

a m s g ð ə

## ତୃତୀୟ ଶ୍ରେଣୀ

ଶ୍ରୀଲିପ୍ତିବ୍ରଦ୍ଧ ମେତାରମ୍ଭେତୁ

Nº VI

036060, 1905

ଓঃ কং প

სიცოდურის მიზანი არ ისეა მოვლინა გადატყი, ერთ კუთხით, რომ ეს მიზანი არ ისეა.

1805

Дозволено цензурою, 3-го августа, 1905 г. Тифлисъ

## Հանձնակառավարությունը և Սահմանադրությունը

(հռման)

ექვს ნაწილად ო. გ. დოსტოევსკის

କାଣ୍ଡିଆ ପରିଚୟ \* )

IV

გაიღო ამ დროს კარები და ოთახში შემოვიდა მა-  
კრძალებით ვიღაცა ქალი. ყველამ გაკვირვებულმა შეჰედა  
ყურადღებით. რასკოლნიკოვმა ვერც-კი იცნო პირველ შეხედ-  
ვით. ეს იყო სოფიო სემონოვნა მარმელადოვისა. მართალია, გუ-  
შინა ნახა პირველადა, მაგრამ ისეთს დროსა და გარემოებაში,  
რომ სხვად დაახსოვდა სახე. იგი იყო ახლა უბრალოდა და ღარი-  
ზად ჩატარებული, მეტად ახალგაზრდა, ზრდილობიანი დაწყინარი,  
ნათელის გამომეტყველების ქალი, მაგრამ, ეტყობოდა, შე-  
შინებული იყო თითქოს. ტანთ ეცვა უბრალო, საშინაო კაბა,  
თავზე ეხურა ძველი შლიაპა; ქოლგა ეჭირა მხოლოდ გუშინ-  
დელივით. ოთახი რომ ხალხით სავსე დაინახა, შეჰერცვა,  
დაიძნა, ბავშვივით მოიბუზა; მინტომა თითქმის უკანვე გა-  
ბრუნებულიყო.

— აჰ... თქვენა ხართ!.. შესძახა გაოცებულმა პასკოლი  
ნიკოლემა და შეკრთა უცბალა.

მოაგონდა მაშინვე, რომ დელამ და ღამ ლუკინის წერი-ლიდამ უკვე ოცნებენ ვილაცა „საზიზლარ ყოფაქცევის“ ქა-

\* ) იბ. „მოამბე“ № 5, 1905 წ.

ლის ამბავი. წარმოუდგა უცბად, რომ ეს კი იყო წინააღმდეგობას აცხადებდა ლუქინის ასეთ ცილის წამებისა გამო და უმტკიცებდა, ერთხლის მეტად არ მინახავსო და უცბად ზეითონ კი გამოეცხადა. მთავონდა ისიც, რომ „საზიზლარ ყოფაქცევისად“ ხსენების შესახებ არა გამოუცხადებია. რა საწინააღმდეგო. ყოველმავე ამან ბუნდად და უცბად გაუელვა თავში. მაგრამ, რომ დააკვირდა კარგად, შეჰქიშნა, რომ საბრალისად იყო საცოდავი. დამცირებული, როგორც ადამიანი. ხოლო როდესაც გაქცევა მოინდომა შეშინებულმა, მაშინ ხომ მთლად სიბრალულათ იქცა.

— სრულიად არ გელოდით, — გამოელაპარაკა საჩქაროდ რასკოლნიკოვი, რომ შეეყენებინა. — დაბრძანდით, გეთაყვათ. კატერინა ივანოვნა გამოგვზავნიდათ უთუოდ. მოითმინეთ, აქეთ კი არა, აი, აქა... დაბრძანდით.

შემოვიდა თუ არა სონა, რაზუმიხინი მაშინვე სკამიდაშ წამოდგა, რომ გამოეტარებინა როგორმე. რასკოლნიკოვმა ჯერ ლივნის იმ კუთხეზე მიუთითა, სადაც ის იყო ზოსიმოვი იჯდა, მაგრამ მოსკონდა მაშინვე, რომ დაახლოვების ნიშანი იქნებოდა ესა, რადგან ლოგინობას უწევდა ლამ-ლამბითა და საჩქაროდ რაზუმიხინის აღგილი შესთავაზა.

— შენ კიდევ აქ დაჯექი, — მიუბრუნდა რაზუმიხინსა და ზოსიმოვის ადგილას დასვა.

დაჯდა, როგორც იყო, შიშისაგან აცახუახებული და ქალებს მოკრძალებით გადაჭეედა. ეტყობოდა, თვითონვე ვერ გაეგო, რა ნაირად ამოუჯდა გვერდით ამ ხალხსა. მოისაზრა-რა ეს თავისი უხერხულობა, იქამდის შეშინდა უცბად, რომ წამოდგა ისევა და მთლად შემკრთალმა ძლივს. მიკმართა რასკოლნიკოვსა.

— მე... მე... ერთის წამით შემოგიარეთ; უკაცრაოდ, რომ შეგაწუხეთ, — დაიწყო ენა დაბმითა. — კატერინა ივანოვნამ გამომგზავნა. სხვას, აბა, ვის გამოჰვაზავნიდა... გთხოვათ დიღათა, ხვალ დილით მიცვალებულის გასვენებასა... და წირვას დაესწროთ... მიტროფანეს სასაფლაოზედ... და მერე ჩვენსა... .

შობრძანდეთ მოსახსენებლათ... გააპატიოსნოთ... დიდათა გთხოვათ.

დაება ენა სონასა, გაჩუმდა.

— ვეცლები... უთუოდ, ვეცლები... — უპასუხებდა ფეხზედ დგომით რასკოლნიკოვი და თან თითონაც ენა ებმოდა. — დაბრძანდით, გეთაყვათ, — სთხოვა უცბად, — მე თქვენთან სალაპარაკო მაქვს. იქნება სჩქარობთ, მაგრამ ორიოდე წამი მაჩუქრეთ როგორმე, გეთაყვათ...

და სკამი მიუწია. დაჯდა ისევ სონა და ისევ ისე მოკრძალებითა და დაბნევით გადაჰდა უცბად ქალებსა, მაგრამ მაშინვე თავი ჩაჰვიდა.

ფერმერთალი სახე უცბად აენთო რასკოლნიკოვსა, მთელის ტანით შეკრთა. თვალები აუელვარდა.

— დედიჯან, — დაუწყო მტკიცედ და მძიმედ, — ეს გახლავთ სოფიო სემონოვნა მარმელადოვისა, ქალიშვილი. იმ უბედურ მარმელადოვისა, რომელიც გუშინ ჩემ თვალ წინ გასრისეს ცხენებმა და რომლის შესახებაც უკვე მოგახსენევით...

შეჰედა პულხერია ალექსანდროვნამ სონას და. თვალები ოდნავ მოჭუტა. მართალია, ძლიერ ჩააფიქრა როდიონის მიერ თვალში ამოღებით ცქერამ, მაგრამ უარი მაინც ვერა სთქვა ამ სიამოვნებაზედა. დუნერიამ-კი პირდაპირ დაუწყო დინჯად ცქერა და სინჯვა საცოდავ ქალსა. მოკრდა თუ არა ყური სონამ გაცნობასა, ოდნავ აიხედა მალლა, მაგრამ შეკრთა მაშინვე და თავი ჩაჰლუნა ისევა.

— მინდოდა შეკითხა, — მიუბრუნდა საჩქაროდ რასკოლნიკოვი, — როგორ მოაწყეთ საქმე? ხომ არავის შეუწუხებირხართ?.. პოლიციას ან სხვას ვისმე.

— არა, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა... აშკარა იყო, აბა, რამაც მოჰკლა. არავის შევუწუხებივართ. ეგ არის ცოტა მდგმურები ჯავრობენ.

— რაო, რა გვინდაო?

— რა-და ისა, ამდენს ხანს მიცვალებული რათ გისვე-ნიათო... ცხელა ხომა და შეხუთულია ჰაერი... ისე რომ დღეს

საღამოთი სასაფლაოზედ გადაასვენებენ. ჯერ არ უნდოდა კატერინა ივანოვნასა, მაგრამ ნახა, რომ მართლაც შეუძლებელი იყო და დასთანხმდა...

— დღეს გადაასვენებენ?

— კატერინა ივანოვნა გთხოვთ, ხვალ მობრძანდეთ წირვაზედა და იქიდამ-კი შინ, მიცვალებულის მოსახსენებლად.

— როგორ, ეგაც მოახერხა, განა?

— დიახ, პატარა საუზმე მოუმზადა. დიდი მადლობელია თქვენი, რომ ისე გვიშველეთ გუშინა... უთქვენოდ უთუოდ დაუმარხველი დაგვრჩებოდა.

ტუჩებიც და ნიკაპიც უცბად საცრემლოდ აუთამაშდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისევე ჩაჰუნა ძირსა.

ყურადღებითა ჰსინჯავდა სონას რასკოლნიკოვი ლაპარაკის დროსა. ეს იყო გამხდარ-გამხდარი, ფერ-მკრთალი, საკმაოდ მოგრძო სახის ქალი, ოდნავ წამწვეტებულის ცხვირითა და ნიკაპითა. ლამაზი, მართალია, არ ეთქმოდა, მაგრამ ისერი მშვენიერი, ლურჯი, ნათელი თვალები ჰქონდა და ისე კეთილად გამომეტყველი სახე, რომ უნებურად იზიდავდა აღაშიანსა. გარდა ამისა, სახეც და გარეგნობაც მთლად პატარად, ბავშვად აჩენდა, თუმცა თვრამეტის წლისა იყო უკვე.

— როგორ მოახერხა და ყველაფერი მოაგვარა კატერინა ივანოვნამა იმ რაღაცა გროშებითა, თითქმის საუზმეც-კი? — დაეკითხა განგებ ლაპარაკის განსაგრძობად რასკოლნიკოვი.

— კუბო სულ უბრალო იქნება... აგრეთვე ყველაფერი, ასე რომ ძვირად არ დაგვიჯდება... წელან ყველაფერი ვიანგარიშეთ მე და კატერინა ივანოვნამა და გამოვიდა, რომ საუზმისთვისაც ეყოფა... ეს-კი გულით უნდა კატერინა ივანოვნასა. მოგეხსენებათ, არ შეიძლება... ანუგეშებს... და თვითონაც ხომ ასეთი ხასიათისაა..

— მესმის, მესმის... რასაკვრელია... რაო, ოთახსა ჰსინჯავთ? აი, დედაც აგრე ამბობს, კუბოსა ჰგავსო.

— გუშინ, მეონი, მთელი თქვენი ფული ჩვენ გადმოგვეცით! — მიუგო. პასუხად სონერებამ როგორლაც ჩურჩულითა და უცბად უარესად ჩაჰუნა თავი.

ტუჩები და ნიკაპი სატიროდ აუთამაშდა ისევ. დიდი ზანი იყო უკვე ყურადღება მიაქცია რასკოლნიკოვის ღარიბს მოწყობილობასა; ამიტომაც უნებლივდ ამოჰსკდა ახლა ეს სიტყვები. პატარა ხანს დუმილი ჩამოვარდა. დუნეჩეას როგორლაც თვალები გაუნათლდა; პულხერია ალექსანდროვნა-მაც წყალობის თვალით გადაჭხედა სონასა.

— როდიონ, დღეს, რასაკვრელია, ერთად ვისადილებთ. წავიდეთ, დუნეჩეა... შენ-კი, როდიონ, ცოტას გაივლიდი, ჰაჟულაპავლი, მერე დაისვენებდი, წამოწვებოდი და აღარ დაიგვიანებდი, საღილათ დროზედ მოხვიდოდი... თორემ, მგონი, მეტად დაგლალევით...

— დიახ, დიახ, მოვალ,—უპასუხა რასკოლნიკოვმა და საჩქაროდ წამოდგა.—მაგრამ საქმე მაქვს ცოტა...

— როგორ, ნუ-თუ ცალკე ისადილებთ?—შეჰვირა გა-კვირვებულმა რაზუმიხინმა და თან რასკოლნიკოვს გადაჭე-და.—რას ამბობ, კაცო?

— არა, მოვალ, რასაკვრელია... მოვალ... მაგრამ ერთს წამს აქ დარჩი შენა. თქვენ ხომ არაფრიისათვის გჭირიათ ახლა? ან იქნება ძალათი გართმევთ?

— აქ, არა, არა! თქვენა, დიმიტრი პროკოფიჩ, თქვენც მობრძანდებით საღილათა, არა? გთხოვთ!

— მობრძანდით, გეთაყვათ,—შესთხოვა დუნიამა.

რაზუმიხინმა მაღლობა გადუხადა, სიამოვნებისაგან მთლად გადირია კინალამ. ერთს წამს თითქოს ყველას შეჰრცხევა.

— მშვიდობით, როდიონ, ე. ი. ნახვამდის. არ მიყვარს „მშვიდობით“-ის თქმა. მშვიდობით, ნასტასია... ფუჟ, კიდევ „მშვიდობითა“ ვსითქვი!..

უნდოდა პულხერია ალექსანდროვნასა სონეჩეას გამო-სთხოვებოდა, მაგრამ ვეღარ მოახერხა როგორლაცა და საჩქა-როდ გავიდა ოთახიდამა.

სამაგიეროდ ავდოტია რომანოვნამ განგებ. მოუცადა თითქოს რიგსა და გვერდით გავლისას ყურადღებითა და ზრდილობიანად დაუკრა თავი, გამოეთხოვა. შეკრთა სონეჩეა

და როგორლაც აჩქარებითა და შეშინებულმა დაუკრა თავი—  
სახეზედ რაღაცა სნეულებრივი ტკივილი დააწნდა, თითქოს  
ემიმა და ეწყინა ავდოტია რომანოვნას ესეთი ზრდილობა და  
უურადლებაო.

— დუნია, მშვიდობით! — მიაყვირა რასკოლნიკოვმა უკვე  
დერეფანში გასულს დასა, — ხელი მომეცი!

— აკი ჩამოგართვი, დაგავიწყდა, განა? — უპასუხა უკან  
შემობრუნებულმა დუნიამ ალექსითა.

— რა ვუყოთ მერე, კიდევ მომეცი!

და მაგრა მოუკირა თითებზედ ხელი. გაულიმა დუნეჩქამა,  
გაწითლდა, გამოსტაცა საჩქაროდ ხელი და მთლად ბედნიერი  
დედას გაჭყვა უკანა.

— კარგით, მაშა! — შესძახა უკან დაბრუნებულმა რას-  
კოლნიკოვმა სონასა და პირდაპირ ჩაკვირდა, — მკვდრებს  
დამერთმა განუსვენოს, მაგრამ ცოცხლებმა დეე იცოცხლონ!  
აგრეა, თუ არა? ხომ აგრეა? ჰა?

როგორლაც გაკვირვებული შეჰყურებდა რასკოლნიკოვის  
ასე უცბად განათლებულს სახეს. სონა., რამდენსამე წამს ასე  
ჩუმად უყურებდა გაშტერებული რასკოლნიკოვი. განსვენე-  
ბულ მარმელადოვის მაშინდელი ნაამბობი უცბად მთლიანად  
გაახსენდა...

— ლმერთო ჩემო, დუნეჩქა! — დაიწყო მაშინვე პულხერია  
ალექსანდროვნამა, როგორც-კი ქუჩაში გავიღნენ, — წარმოიდ-  
გინე, ახლა თითქოს მევე მიხარიან, რომ წამოვედით. რო-  
გორლაც მეშელავათა. რას ვიფიქრებდი, აბა, გუშინ ვაგონში,  
თუ ესაც-კი გამახარებდა.

— გეუბნები, დედო, ჯერ კიდევ ავათ არის-მეთქი. ნუ-  
თუ ვერ ჰქედავთ? იქნება ჩვენზედაცა ფიქრობდა და იმან გა-  
ხადა ავათა. შელავათით უნდა მოვეპყრათ, ბევრი რამ ვაპა-  
ტიოთ.

— აი, შენ-კი არ მოექეცი აგრე! — გააწყვეტინა მა-  
შინვე პულხერია ალექსანდროვნამა. იცი, რა არის, დუ-  
ნეჩქა, გიცქეროდით თქვენ არივესა და დავრწმუნდი, სრუ-

ლიადა, რომ ზედ გამოჭრილი ძმა ხარ; ისე სახით არა, როგორც ხასიათითა: ორივე მელანქოლიკები ხართ, ღალვრეშილები, ფიცხები, ორივე ამაყი ხართ და თავმოყვარენი დიდათ, მაგრამ დიდსულოვნები მასთან... არა, შეუძლებელია ხომ, დუნებიკა, რომ თავკერძო იყოს როდიონი? არა?.. მაგრამ, იმას-კი რომ წარმოვიდგენ, რა იქნება დღეს საღამოთი, გული ლამის გადმომვარდეს!

— ნუ სწუხართ, დედი, მოხდეს, რაც მოსახლომია.

— დუნებიკა! იფიქრე, აბა, რა გარემოებაში ვართ ჩაყენებული! პეტრ პეტროვიჩმა რომ უარი გვითხრას, რა უნდა ვქნათ? — წამოსცდა უცხად საბრალო პულხერია ალექსანდროვნასა.

— რის ღირსი-ღა უნდა იყოს, თუ აგრე იზამს! — მოუჭრა უცბად ზიზღით დუნებიკამა.

— კარგი ვქნიოთ, რომ წამოვედით, — დაიწყო საჩქაროდ პულხერია ალექსანდროვნამა, — თორემ სადღსც მიეშურებოდა; გაიაროს, დეე, ჰაერი ჩაყლაპოს... თორემ შეხუთული ჰაერი აქვს საშინლადა... ან რითი ჰსუნთქავს, ნეტავი? ქუჩებშიაც-კი დახშულია აქ ჰაერი. ღმერთო ჩემო, რა ქალაქია!.. მოეცა, გზა მიეცი, თორემ ზედ გადაგვივლიან, რაღაცა მოაქვთ! ფორტეპიანო გაატარეს, არა?.. მართლა-და როგორ იკვრევინებიან ხელსა... იმ ქალისა მეც ძან მეშინიან... .

— რომელი ქალისა, დედი?

— ამისა, სოფიო სემონოვნასი, ეხლა რომ ვნახეთ...

— რათ გეშინიან?

— რაღაცა. წინედგრძნობა მაქვს ისეთი. დაიჯერებ თუ არა, დუნია, არ ვიცი, მაგრამ შემოვიდა თუ არა, მაშინვე გავიფიქრევი, თავი და თავი მიზეზი ეს უნდა იყოს-მეთქი...

— სულაც არა! — შეჰყვირა გულმოსულად დუნიამა. — ამ, რას არ იტყვით, დედი! ეს-კია, გუშინ გაუცვნია ადამიანი, ისე რომ ვეღარც-კი იცნო უცბადა და...

— აი, ჰნახავ, მაშა... საშინლად მაფიქრებს, თორემ ჰნახავ! მერე, რა როგად შევშინდი: მიყურებს, პირდაპირ მიყუ-

რებს და თვალებიც ისეთი როვორილაკა აქვს, რომ თავი ძლივს-ლა შევიმაგრე, კინალამ სკამილამ გაღმოვვარდი, რო-დიონი რომ გვაუნობდა. და უცნაურიც არის: პეტრ პეტრ როვიჩი ისეთ რამესა გვწერს იმაზედა და როდიონი-კი გვაც-ნობს კიდევა, მერე ისაც შენა! ეტყობა, მაშ, ძვირად უღირს!

— რა ვუყოთ, რომ იწერება! ჩვენზედ-კი არას ამბობ-დნენ და სწერდნენ, დაგავიწყდათ? დარწმუნებული ვარ, სა-ცოდვი... კარგი ადამიანი უნდა იყოს და ყველაფერი, რა-საც ამბობენ, სისულელეა უთუოდ, მოჭორებული!

— ღმერთმა ჰქმნას!

— პეტრ პეტროვიჩი-კი საძაგელი ჭორიკანაა და სხვა არასფერი! — გააწყვეტინა უცბად ღუნებამა.

პულხერია ალექსანდროვნამ მუხლებში ჩაიკეცა პირდა-პირა.

— აი, რა საქმე მაქვს შენთანა და რა უნდა გითხრა... — მიუბრუნდა რასკოლნიკოვი რაზუმიხინსა და ფანჯარასთან მიიყვანა.

— ვეტყვი, მაშ, კატერინა ივანოვნასა, რომ მოხვალთ... გამოელაპარაკა სონა და თავი დაუკრა, რომ წასულიყო.

— ახლავე, ახლავე, სოფიო სემონოვნა, საიდუმლო არა გვაქვს-რა, არას დაგვიშლით... ორიოდე სიტყვა კიდევა მქონდა სათქმელი... აი, რას გეტყვი, — მიუბრუნდა უცბად ისევ რაზუმიხინსა; — ხომ იცი აის... რა ჰქვიან! ? .. პორფირი პეტ-როვიჩს ხომ იცნობ?

— ვიცნობ და აგრე! ნათესავია. რა იყო? — ჩაეკითხა რო-გორლაც აღტაცებული ამ გამოკითხვითა.

— ამ საქმეს... მკვლელობისას... ის იწარმოებს, განა? გუშინ არ იყო ამბობდით? ..

— მართალია... მერე? რაზუმიხინმა უცბად თვალები სა-შინლად დააჭირა.

— დამგირავებლებს თურმე ეკითხება და იბარებს. პო, და — მეც მქონდა რაღაცა დაგირავებული. მართალია, სათქმე-

ლად არა ღირს, მაგრამ ძვირფასია იმითი, რომ საჩუქრებია: ერთია ბეჭედი, რომელიც დამ მაჩუქა აქ წამოსვლის ღროსა და მეორე, მამისეული ვერცხლის საათი. მართალია, სულ ხუთ-ექვს მანეთზედ მეტად არა ღირს, მაგრამ სახსოვრებია და ამიტომ ძვირფასი ჩემთვის. ასე რომ, არ ვიცი, რა ვქმნა ახლა? არ მინდა დამეკარგოს, განსაკუთრებით საათი. სული კბილით მეჭირა წელან, დუნეჩას საათზედ რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, დედას არა ეკითხა-რა იმ საათისა. ერთად-ერთი ნივთია მამის შემდეგ დანარჩენი. ვიცი, უთუოდ ავად გახდება, რომ საღმე დამეკარგოს! დედაკაცები! მასწავლე, მაშ, როგორ მოვიქცე! ვიცი, პოლიციას უნდა გამოვუცხადო, მაგრამ არ შეიძლება, განა, თვითონ პორტირი როგორმე ვნახო? ჰა? როგორა გვინია? საჩქაროდ როგორმე უნდა მოვახერხოთ, თორემ იქნება საღილამდევე მოიკითხოს დედამა!

— პოლიციაში-კი არა, პორტირის მივმართოთ პირდა-პირა! — შეჰყვირა როგორდაც არაჩეცულებრივ აღტაცებულმა რაზუმიხინმა. — მაგრამ, როგორ მიხარია! ახლავ წავიდეთ, სულ რაღაცა ორიოდ ნაბიჯია, შინ იქნება უთუოდა!

— წავიდეთ... კარგი...

— თვითონაც ძალიან გაეხარდება შენი გაცნობა! იმიტომ, რომ სხვა-და-სხვა ღროს ბევრჯელ მილაპარაკნია შენ შესახება... გუშინაცა მქონდა ლაპარაკი. წავიდეთ!.. მაშ, იცნობდი ბებრუხანასა? კარგია, კარგი... მშვენიერებაა, ყველაფერი გამოირკვევა... თვ, მართლა... სოფიო სემონოვნა...

— სოფიო სემონოვნა, — მოაგონდა რასკოლნიკოვსა, — სოფია სემონოვნა, ეს ჩემი მეგობარია, გვარად რაზუმიხინი, ხაუცხოვო კაცია სწორედ...

— თუ წასვლა გინდათ საღმე..., — დაიწყო სონამ დარცხენილმა:

— და წავალთ კიდეცა! — გადასწყვიტა. რასკოლნიკოვმა... — სოფიო სემონოვნა, დღესვე შემოგივლით უთუოდა, მიაზხარით მხოლოდ, საღა სცხოვრობთ?

ენა, მართალია, არ ებმოდა და არ იბნეოდა, მაგრამ თვეალს მაინც როგორლაც განგებ არიდებდა რასკოლნიკოვი. მისცა სონამ სახლის აღრესი და გაწითლდა. უველანი ერთად გამოვიდნენ.

— არ ჰყეტავ ხოლმე ოთახსა, განა? — დაეკითხა კიბეებზედ რაზუმიხინი.

— არასოდეს!.. თუმცა, ორი წელიწადია, აგერ, მინდა სულ კლიტე ვიყიდო, — დასძინა დაუდევრად. — ბეღნიერია, მართლა, ის ხალხი, ვისაც დასაკეტი არა აქვს-რა, განა? — მიჰართა სიცილით სონასა.

ქუჩაში ეზოს კარებთან შედგნენ.

— მარჯვნივ გაუხვევთ; სოფიო სემონოვნა, განა? მართლა: როგორ მიპოვეთ, ვერა გქითხევით? — დაეკითხა რასკოლნიკოვი, როგორლაც უცნაურად, თითქოს სხვა უნდა უკითხა სულა, მავრამ ვერ მოუხდაო. უნდოდა სულ ნათელსა და წყნარს თვალებში ეცექირა სონასათვისა, მაგრამ ვერ ახერხებდა როგორლაც....

— აყი პოლექისათვის გეთქვათ თქვენი აღრესი.

— პოლექისათვის? ჰო, მართლა... პოლექა! ჰატარა გოგონა... თქვენი დაა, განა? იმას ვუთხარი, მაშა?

— როგორ, აღარ გახსოვდათ; განა?

— არა, არა, როგორ არა, მახსოვს...

— მე-კი წინადაც მქონდა განსენებულ მამასაგან გაგონილი. მაგრამ... მაგრამ გვარი არ ვიცოდი მაშინა, და არც თვითონ იცოდა საწყალმა... ახლა-კი მოვედი... და გავიგეთ არა გუშინ თქვენი გვარი... მოვედი და გიკითხეო დღესა: ბატონი რასკოლნიკოვი აქ სცხოვრობს-მეთქი?.. მაგრამ არ ვიცოდი, თუ მდგმურად იდექით თქვენცა... მშვიდობით ბრძანდებოდეთ... ვეტყვი, მაშ კატერინა. ივანოვნასა... .

საშინლად იყო გახარებული სონა, რომ, როგორც იყო, გაჭმორდა ძლივას. წავიდა თავ-ჩაღუნული, საჩქაროდ, რომ მალე როგორმე მიჰთარებოდა თვალიდამა და, რომ მოუხვევდა ქუჩასა, მარტოდ დარჩენილს თავისუფლად შესძლებოდა;

უკელაფერი, რაც-კი რამ უთხრეს და ნახა, გაეხსენებინა და მოესაზრა. არასოდეს სხვა დროს ასეთი რამ არ უგრძენია არსაღ. ბუნდად და უხილავად მთელი ახალი ქვეყანა ჩაესახა სულში. მოაგონდა ბოლოს ისიც, რომ თვითონ რასკოლნიკოვმა მოინდომა მისი ნახვა დღეს, იქნება დილით და ახლავეც შეუაროს!

— მაგრამ დღეს-კი ნუ, გეთაყვათ, ნუ! — დუღუნებდა შეშინებულ-გულმილეული, მიბნედილი. — ღმერთო! როგორ? ჩემთანა... იმ ოთახში?.. უნდა მნახოს... ოჯ, ღმერთო ჩემო!

და ვერა შეპნიშნა-რა, როგორ ერთგულად ადევნებდა ამ დროს ვიღაცა უცნობი ვაჟატონი თვალსა და როგორ მისდევდა კვალ-და-კვალა. ასე მოსდევდა ქუჩაში გამოსვლისათანავე. სწორედ იმ დროს, რაზუმიხინი, რასკოლნიკოვი და ის რომ ერთის წამით ფილაქანფენილზედ შედგნენ ორიოდე სიტყვის სათქმელად, უცნობმა გვერდი აუქცია და შეკრთვაშინლად, მოულოდნელად რომ სონას სიტყვებს მოჰკრა უური: „გიკითხეთ: რასკოლნიკოვი აქ სცხოვრობს-მეთქი?“ საჩქაროდ გადაპხედა მაშინვე სამთავეს, განსაკუთრებით-კი რასკოლნიკოვს, რომელსაც ელაპარაკებოდა სონა; შეპხედა მერე სახლსა და დაიხსომა. ყოველივე ეს მოხდა უცბად, შეუმნინეველად, ასე რომ აჩვინის-რა გაუგია; წაიარა წინა და ნაბიჯს უკლო, რომ სონასათვის მოეცადნა. ჰედავდა უცნობი, რომ ეთხოვებოდნენ ქალსა და საღლაც უნდა წასულიყო მარტოდ.

„მაგრამ საით წავა, ნეტა? საღლაც მინახავს თითქოს, — ფიქრობდა უცნობი და თან სონას სახეს იგონებდა. — უნდა გავიგო უთუოდ“.

მივიღა თუ არა ქუჩის შესახვევთანა, გადავიდა მეორე მხარესა, მოიხედა და დაინახა, რომ სონა უკვე უკან მისდევა და იმავე გზითა. მივიღა თუ არა შესახვევთანა, სონამაც იმავე ქუჩისაკენ შეუხვია. გაჰყვა მაშინვე უცნობიც სონას მხარესა და თან თვალს არ აშორებდა. ასე ორმოც-და-ათი ნაბიჯი რომ წაიარა, უცნობიც სონას მხარეს გადავიდა, მოეწია და ფეხ-და-ფეხ მიჰყვა უკანა.

ეს იყო ასე ორმოც-და-ათიოდე წლის, საშუალოზედ  
მაღალი ტანის, საკმაოდ ჩასხმული, მხარ-ბეჭ განიერი კაცი,  
რაიცა ცოტა არ იყოს წელში წახრილად აჩენდა თითქმს.  
ტანთ ეცვა ბატონკაცურად, მდიდრულად; წამოსადეგად გა-  
მოიყურებოდა. ეჭირა ლამაზი ჯოხი, რომელსაც თვითოეულ  
ფეხის გადადგმაზედ მიაკაკუნებდა ფილაქანფენილზედ, ხელებ-  
ზედ ახალთ-ახალი, მშვენიერი ხელთათმნები ეცვა. განიერი,  
ძვალ-სხვილი პირისახე საკმაოდ საამურის შესახედავობისა  
ჰქონდა, ფერიც სალი, არაპეტერბურგული, ხშირი ქერა თმა  
აქა-იქ ჰქონდა მხოლოდ შეჭალარავებული. ნიჩაბიერი ჩამო-  
შვერილი ხშირი წვერიც ასრევე ქერა, შეჭალარავებული.  
ლურჯი, ცის ფერი თვალები როგორლაც ცივად, ჩაფიქრებით  
აკვირდებოდნენ ყველასა. ერთი სიტყვით; ეჭყობოდა; კარ-  
გად იყო ჯანით სალად შენახული, ნამდვილზედ უმცროსად  
მოსჩანდა.

არხზედ რომ გავიღნენ, ორნი-ლა დარჩნენ მარტოდ ფილაქან-  
ფენილზედა. შეპნიშნა ამ დროს უცნობმა, რომ როგორლაც  
ჩაფიქრებული იყო და დაბნეული სონა. მივიდა სახლთან სონა,  
შეიარა ეზოს კარები, შეუხვია მარჯვნივ და დაადგა კიბეს,  
რომელიც მისს ბინაზედ ადიოდა, „ეჭე!“ წაიღუდუნა უც-  
ბად უცნობმა და აჭყვა კიბეზედ. აქ-ლა შეპნიშნა სონამა,  
რომ უკან ვიღაცა მისდევდა. ავიდა სონა შესამე სართულში,  
შეიარა დერეფანი და მე-9 ნომერს დაურევა, სადაც კარცით  
ეწერა კარებზედ: მკერდადი კაპერნაუმაგი: „ეჭე!“ გაიმეორა  
კვალად გაკვირვებულმა უცნობმა, რომ ასე ერთ ადგილას  
მოჰქვდნენ ორივენი და მე-8 ნომერს დაურევა. ორთავე კა-  
რი ერთი მეორეზედ სულ ოალაცა ექვსიოდ ნაბიჯით იყვნენ  
და შორებულნი.

— კაპერნაუმოვთანა სდგევხართ ბინათა? — დაეკითხა სი-  
ცილით უცნობი კაცი სონასა. — გუშინ უილეტი გადავაკეთე-  
ბინე. მეც აქვე, თქვენ გვერდით, ქ-ნ რესლიხთან, გერტრუდა.  
კარლოვნასთანა ვდგევარ. როგორ მოხდა, და!

ყურადღებით გადაჰქედა სონამა.

— მეზობლები ვართ, მაშა,—განაგრძობდა როგორლაც შეიარულად უცნობი.— მესამე დღეა სულ, რაც პეტერბურგში ვარ. ახლა-კი მშეიდობით ნახვამდისა!

არა უთქვამს-რა სონასა; გაუღეს კარები და მაშინვე შევიდა. თითქოს როგორლაც შერცხვა, შეშინდა...

საშინლად იყო რაზუმინინი ალტაცებული, პორფირისთან რომ მიღიოდნენ.

— საუცხოვოა, ძმაო, საუცხოვო,—იმეორებდა გზა-და-გზა,— მიხარიან სწორედ! მიხარიან!

„რა გიხარიან, ნეტა?“ ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი.

— მე ხომ არც-კი ვიცოდი, თუ შენც გქონდა რამე და-გირავებული ბებრუხანასთანა. მერე... მერე... დიდი ხანია მას აქეთა? ესე იგი, დიდი ხანია, რაც ბებრუხანასთან იყავი?

„ეი, შე გულუბრყვილო ყურყუტო!“

— როდისა?.. შედგა რასკოლნიკოვი და დაიწყო მოგონება.— ჰო, მგონი სამის დღის წინად ჭიყავი, ვიდრე მოჰკლავდნენ. მაგრამ ახლა ხომ გამოსასყიდად არ მივალ, დააყოლა საჩქაროდ.— მანეთის მეტი აღარა მაქვს... გუშინდელ დაწყევლილ სიცხისა და ბოდვის წყალობით!..

განსაკუთრებით საგულისხმოდ წარმოსთქვა სიტყვა ბოდვა.

— რასაკვრელია, ჰო, ჰო,—უმეორებდა რაზუმინინი.— აი, თურმე რათა გცემია ელდა მაშინა... იცი, რა არის, მერეც, სიცხეში, ერთ-თავად რაღაცა ბეჭდებზედა და ძეწკვებზედ ჰბოდავდი!.. დიახ, დიახ... ახლა-კი აშკარაა, ყველაფერი აშკარაა.

„ჰედავთ! ვერ ჰყერობთ, როგორ გასჯდომია ყველაჭავალ-რბილში ეს ეჭვი! აი, ეს კაცი, თუნდა ჯვარს ეცმება ჩემთვისა და ამასაც-კი სასიხარულოდ ჰრჩება მეტადა, რომ გამოირგება, რათა ვბოდავდი ბეჭდებზედა და ძეწკვებზედა!.. ვერ ჰედავთ, როგორ ყველას ეჭვი შეჰპარვია!..“

— მერე, შინ-კი იქნება, ნეტა?— დაეკითხა ხმა-მაღლა.

— შინ იქნება, შინა,—ჩქარობდა რაზუმიხინი. —საუცხოვო ახალგაზრდაა, ძმაო, თორემ, აი, ჰნახავ; მოუხეშავია ცოტა, ე. ი. საზოგადოებაშიაც არის გამოსული, მაგრამ სხვაფრივ არის ცოტა მოუხეშავი. ჭკვიანიც არის, ეგ არის მხოლოდ სხვანაირადა აქვს როგორლაც აზროვნობა ნავარჯიშები... უნდობი არის, ეჭვიაწი, ცინიკი... უყვარს მოტყუება, ე. ი. მოტყუება-კი არა, გაცრუება და გასულელება კაცისა... ნივთიერად-კი ძველის მეთოდის მიმდევარია... მაგრამ საქმე კარგად იცის... შარშან, მაგალითად, ერთი ისეთი მკვლელობა აღმოაჩინა, რომლის გზა და კვალიც მთლად დაბნეული იყო! ძალიან უნდა შენი გაცნობა, ძალიანა!

— რაო, რათაო, ნეტა?

— იმიტომ-კი არა, რომ... გესმის, რა არის? ამ ბოლოს დროს, რაც ავათა ხარ, ბევრჯელ მქონია შენ შესახებ ლაპარაკი... და ისიც ყურს მიგდებდა ხოლმე მუდამ... როდესაც შეიტყო, რომ იურიდიულს ფაკულტეტზედა ხარ და არ შეეგიძლიან სწავლა განაგრძო, საშინლად ეწყინა და სთქვა: აფსუსკო! აქედამ დავასკვენი, რომ... ე. ი. ამასთან ახლა ზოგი სხვაც იყო მიზეზი; გუშინ ზამეტავს... გესმის, როდიონ, მგონი, გადაკრული რაღასაც გეყბედებოდი გუშინ, შინ რომ მიმყავდი... მეშინიან, ძმაო, ემანდ კი არ გააზვიადო ახლა... და ძალდატანებით გაიცინა.

— დიახ, დიახ... ესე იგი, ფუჟ, არა!.. ყველაფერი, რაც-კი გითხარი... (სხვაც ყველაფერი) სისულელე მხოლოდ და შეტი არასფერი, სიმთვრალის ნაყოფია...

— რაო, რა ძაან ბოდიშს იხდი! იცი, როგორ მომბეზზრდა ყველა ესა?—შესძახა როგორლაც გაზვიადებულის. გაბრაზებით რასკოლნიკოვმა.

— ვიცი, ვიცი, მესმის. მერწმუნე, მესმის. თქმისაც-კი მცხვენიან...

— გცხვენიან და ნუ იტყვი, მაშა!

გაჩუმდნენ ორივენი. რაზუმიხინი თითქმის აღტაცებული იყო, რასკოლნიკოვს-კი ზიზლი აღრჩიობდა. აფიქრებდა აგრეთვე ის, რაც ახლა პორფირის შესახებ რაზუმიხინმა უამბო.

„იმასაც უნდა თავი როგორმე სხვა ნაირად მოვაჩვენო,— ფიქრობდა და თან ფიტრდებოდა, გული ელეოდა,— მაგრამ ისე, რომ ნამდვილიდამ ვერ გაარჩიოს. ის-კი, ვგონებ, უფრო უმჯობესი იქნება, სულ არა ვაგრძნობინო-რა. განგებ არა ვაგრძნობინო-რა. არა, არა, უფრო საეჭვო იქნება... მაგრამ, ეჭ, როგორც ემჯობინება, ისე ვიქმ... ვნახოთ ჯერ... კარგია, ნეტა, რომ მივდივარ, თუ არა? პეპელაც ასრე თვითონვე შეაფრინდება ხოლმე სანთელის. გული როგორლაც ძლევ მიჩქროლავს, აი, რაა ცუდი!..“

— აი, ამ ყომრალს სახლში სდგას, — გამოელაპარაკა რაზუმიხინი.

„უმთავრესი-კი ის არის, იცის, ნეტა, პორფირიმა, რომ გუშინ იმ კუდიანის ბინაზედ ვიყავი... და სისხლის შესახებ ვეკითხებოდი მუშებსა, თუ არა? უნდა უცბად როგორმე გავიგო ესა; შევალ თუ არა, მაშინვე როგორმე შევატყო სახეზედა; თო—რ—ემ... მოვკვდები და გავიგებ-კია უთუოდ!“

— იცი, რა გითხრა, მართლა? — მიშმართა უცბად ცბიერის ღიმილით რაზუმიხინსა. — დილიდამვე შეგნიშნე, ძმაო, რომ როგორლაც არაჩვეულებრივა პლელავ? მართალია, თუ არა?

— როგორ თუ ვლელავ? ვინ გითხრა? — იუარა რაზუმიხინმა.

— არა, ძმაო, ნუ უარობ, კარგიდ გატყობ, წელანაც ისე როგორლაც იჯექ სკამზედა და თრთოდი, რომ არასოდეს ჩემს დღეში ჯერ ისე არ მინახავხარ. უმიზეზოდ, უბრალოზედ, მალი-მალ ფეხზედ დგებოდი. ხან თითქოს რაღასაც ჯავრობდი, ხან-კი მყინვარ შაქარივითა დნებოდი. თითქმის რომ წითლდებოდი კიდეცა. განაკუთრებით გაწითლდი მაშინ, საღილად რომ დაგპატიჟეს.

— სულაც არა; სტყუი!... ვითომ რაო, რაზედ ამბობ?

— რაო, რა პატარა მოწაფესავითი ჰმალავ! უგერ არის, ახლაც გაწითლდი, ფუჭ!

— ო, რა ღორი რამა ხარ! ღმერთმანი!

— რაო, რისა გრცხვენიან, რომეო! მოიცა, ერთი ვუ-აშბო დღესა, ხა-ხა-ხა-ხა. ჰაი, თუ ვაცინებ დედასა... და კიდევ ვიღასაცა...

— მოიცა, მოიცა, მოიცა, ეგ ხომ, აბა, რას ეგვანება... აბა, რასა ჰგავს, ეშმაკმა იცის! დაიბნა სულ მთლად რაზუმინი, შიშმა აიტანა.—რას უამბობ, რასა? მე, ძმაო... ფუქ, რა ღორი რამა ხარ!

— გაზაფხულის ვარდი ხარ სწორედ! მერე რა გიხდება, რომ იცოდე, ჩემო რომეო! მერე, როგორ დაბანილხარ და გაქრეშილხარ? ე ფრჩილებიც რომ დაგიჭრია და გამოგიწ-მენდია? სხვა დროს რომ არსად არ გიქმნია ასე?... ღმერთს გეფიცები, მგონი, პომადაც-კი წაგიცხია, დაიხარე, აბა!

— ღორო!!!

იქამდის გულიანად იცინოდა რასკოლნიკოვი, რომ ეგო-ნებოდა მნახველსა, მართლა თავი ვეღარ შეუმაგრებიაო. ასე სიცილით შევიდნენ პორფირი პეტროვიჩის სახლში. რასკოლ-ნიკოვსაც ეს უნდოდა სწორედ: აშკარად გაიგონებდნენ შიგ-ნით ო.ახებში, როგორ შევიდნენ ზარხხარითა და კიდევ რო-გორ იცინოდნენ დერეფანშია.

— კრინტი არ დასძრა აქა, თორემ... იცოდე, თავს შუაზედ გაგიხეთქავ! — წაიღუდუნა გაბრაზებულმა რაზუმინი-მა და თან მხარში ხელი წაავლო რასკოლნიკოვსა, მაგრა შეანჯლრია.

## V

უკვე ოთახში შედიოდა რასკოლნიკოვი, მაგრამ ისე ძა-ლით იმაგრებდა თავსა, გეგონებოდათ, ეს არის, საცაა სი-ცილი წაჲსკდებაო. უკან შეჲყვა მას სიბრაზისაგან ჭარხალივით გაწითლებული, უშნოდ აყუდებული და დარცხვენილი რაზუმი-ნი. მართლაც-და სასაცილო გარეგნობა და სახის გამომე-ტყველება რაზუმინისა სრულიად ამართლებდნენ რასკო-ლნიკოვის სიცილსა. ჯერედ უცნობმა რასკოლნიკოვმა თავი

დაუკრა ოთახის შუაგულ მდგომს განცვიფრებულს სახლის პატრონსა და ხელი გაუწოდა, მაგრამ ისეთის მოხერხებულის ძალადატანებით, თითქოს ძალიან სცდილობს მხიარულობა როგორმე შეიმაგროს და ორიოდე სიტყვა ძლიერ წვალებით წარმოსთქვასო. მაგრამ მიიღო თუ არა ოდნავ დარბაისლური გამომეტყველება და მოემზადა რაღაცა ეთქვა თავის გასაცნობადა, უცბად რაზუმიხინს შეჭრედა ისევ უნებურათა და გულიანად გადიხარხარა. არაჩვეულებრივი მრისხანე გამომეტყველება და მრელვარება რაზუმიხინისა. მართლაც-და მეტად წრფელად და ბუნებრივად აჩენდნენ მთელს ამ მხიარულებასა. რაზუმიხინმაც ხელი შეუწყო ხელა:

— ფუჟ, ეშმაკო! — შეჭრიალა გაბრაზებულმა, გაიქნია ხელი და პატარა რგვალს მაგიდასა სთხლიშა, რომელზედაც ცალიერი ჭიქა იღვა ჩაისა ლამბაჭითა.

გადმოვარდა ჭიქა, ნამშვერევები იატაკს მოეფინა წკრიალითა.

— ე სკამებს რაღას ემართლებით, ბატონებო, ხაზინა ხომ იზარალებს! — შესძახა მხიარულად პორტირი პეტროვიჩმა.

სცენა წარმოადგენდა შემდეგს სურათსა: ჯერ ისევ იცინოდა, რასკოლნიკოვი, მაგრამ სახლის პატრონის ხელი ხელში ეჭირა ისევა და უცდიდა დროსა, რომ დროზედ და ბუნებრივად დაეთავებინა სიცილი. მაგიდის გადაბრუნებითა და ჭიქის გატეხით უარესად დარცხვენილმა რაზუმიხინმა კიდევ დაღვრემილმა გადაჭირდა ჭიქის ნამშვერევებსა, მიაფურთხა გულმოსულმა, ფანჯრისა კენ იბრუნა პირი და იქ მდგომთ ზურგი შეაქცია. იცინოდა პორტირი პეტროვიჩიც და უნდოდა ეცინა კიდევ, მაგრამ, ეტყობოდა, მიზეზის გაგება ჰსურდა. კუთხეში იჯდა სკამზედ ბ-ნი ზამეტოვი, მაგრამ დაინახა თუ არა შემოსულები, წამოდგა ესაცა და პირდალებული. შეჰყურებდა ყველა ამას განცვიფრებული, განსაკუთრებით რასკოლნიკოვსა. ზამეტოვის მოულოდნებულად დანახვამ რასკოლნიკოვზედაც უდად იმოქმედა.

„ესაც უნდა უთუოდ მოვისაზრო!“ გაიფიქრა გუნებაში.

— ბოდიშს ვიხდი, გეთაყვათ, — დაიწყო ჭარცხვენით რას-კოლნიკოვმა, — რასკოლნიკოვი გახლავართ.

— რას ბრძანებთ, აბა, სასიამოვნოა ძან, და ისეც ინებეთ საამურად შემოსვლა, რომ... როგორ, სალამის მოცემაც აღარ უნდა ამასა, თუ რა არის? — ანიშნა პირფირი პეტროვიჩმა რაზუმინიზედ...

— ღმერთს გეფიცებით, არ ვიცი, რად გამიბრაზდა აგრეა ქს-კი იყო, ვუთხარი გზაზედ, რომელს ჰგევხარ-მეთქი და... დავუმტკიცე კიდევაცა; მეტი მიზეზი არ მიმიცია.

— ღორო! — გაღმოსძახა რაზუმინიმა, ისევ ისრე ზურგ-შექცეულმა.

— ეტყობა, მაშ, დიდი რამ საყურადღებო მიზეზი ჰქონია, რომ ერთს სიტყვას აგრე გაუბრაზებია — გაიცინა პირფირიმ:

— აბა, ახლა შენ მოჰყე, გამომძიებელო!.. ეშმაკსაც წაულია თქვენი თავი! — გააწყვეტინა რაზუმინიმა.

მაგრამ აგერა გაეცინა უცბად, გამხიარულდა და პირფირი პეტროვიჩს მიჰმართა სიცილითა.

— კმარა! ჩურჩუტები ხართ ყველანი; საქმეს შევუდგეთ: აი, მეგობარო, როდიონ რომანიჩ რასკოლნიკოვი; ჯერ ერთი, გაგონილი ჰყავდი და უნდოდა გაეცანი და მეორეც, პატარა საქმეცა აქვს შენთანა. ეპა! ზამეტოვიც აქ არის, საიდამა? როგორ? იცნობთ, განა, ერთმანეთსა? დიდი ხანია?

„რას პნიშნავს, ნეტა!“ შეფიქრიანდა რასკოლნიკოვი.

შეპრცხვა თითქოს ზამეტოვსა, მაგრამ ძლიერ-კი არა.

— გუშინ არ იყო, შენსას გავიცანით ერთმანერთი, — უპასუხა თამამად.

— ეტყობა, მაშ, მშვერებია და ზელმეტი ზარალი აღარ მომივა: წარსულ კვირას მეხვეწებლიდა საშინლადა, რომ გამეცნობებინა როგორმე. ახლა-კი უჩემოდ მოგიხერხებიათ... თამბაქო საღა გაქვს?

შინაურულად იყო პორფირი პეტროვიჩი ხალათში გამო-წყობილი, ტანთ სუფთა საცვლები ეცვა, ფეხთ გახეხილი ტუფლები. ეს იყო დაახლოვებით ოც-და-თხუთმეტის წლის,

ტანად საშუალოზედ დაბალი, ჩასუქებული, საკმაოდ ღიპიანი, წვერ-ულვაშ გაპარსული და დაბრლა თმა გაკრეჭილი, თავ-რგვალა კაცი. მსუქანს, რგვალს და ცოტათი ცხვირ-პაჭუა პირი სახეს სნეულებრივი, მუქი მოყვითანო ფერი დაჭრავდა, მაგრამ საკმაოდ მხნე და დამცინველი გამომეტყველებაკი მაინც ნათლად ეტყობოდა. ცოტათი იქნება კეთილი გამომეტყველებისაც-კი ყოფილიყო, რომ წყალ-წყალა, თეთრ წამწამება, მოუსვენარი თვალები არა ჰქონდა. ეს გამომეტყველება იყო მიზეზი სწორედ, რომ მთელს მისს გარეგნობას რაღაც უფრო დარბაისლობა და დაკვირვება ეტყობოდა, რასაც პირველის ნახვით ადამიანი მალე ვერ მიათვისებდა.

გაიგო თუ არა პორტირი პეტროვიჩმა, რომ საქმე ჰქონდა სტუმარსა, სთხოვა მაშინვე დივანზედ დამჯდარიყო, თვითონაც მეორე ბოლოში გამოიჭიმა და დაუწყო გულმო-დგინედ ცდა, იმ იშვიათისა და განსაკუთრებულის ყურა-დლებითა, რომელიც უნდებურად შეაკრთობს ხოლმე ყველას, განსაკუთრებით უცნობობითა და მაშინ, როდესაც, თქვენის საკუთარ აზრით, საამბობი ასეთის არაჩვეულებრივ ყურადღების ღირსი არ არის. რასკოლნიკოვმა მაინც მოკლედ და გარკვევით უამბო თავისი საქმე, ასე რომ კმაყოფილიც-კი დარჩა თავის თავისა, რადგან თვითონ პორტირი პეტროვი-ჩის საკმაოდ დათვალიერებაც-კი მოასწრო. არც პორტირი პეტროვიჩს მოუშორებია თვალი რასკოლნიკოვისათვის. რა-ზუმინიც პირდაპირ დაუჯდათ, იმავე მაგიდაზედა და მოუ-თმენრადა და ხარბად უგდებდა ყურსა, როგორ უამბობდა რასკოლნიკოვი; თან ხან ერთს, ხან მეორეს, რიგ-რიგით, თვალს არ აშორებდა, რაიცა, ცოტა არ იყოს, ზომიერებას არღვევდა.

„ჩურჩუტო!“ გაილანდა გულში რასკოლნიკოვი.

— განცხადება უნდა შეიტანოთ პოლიციაში, — მიუგო სრულიად საქმიანის კილოგრამი პორტირიმ, — რომ, შეიტყო რა ესა და ეს ამბავი, ე. ი. მკვლელობა ბებრუხანასი, სთ-ხოვთ აცნობონ გამომძიებელს, რომელსაც ეს საქმე აქვს

მინდობილი, რომ ესა და ეს ნივთი თქვენ გეკუთვნისთ და გსურთ გამოისყიდოთ... ან არა-და... მაგრამ რა საჭიროა, დაგიწერენ.

— საქმეც ეგ არის, რომ ამ უამაღ ფული არა მაქვს... — უპასუხა დარცხვენით რასკოლნიკოვმა, — ასე მცირეოდენიც-კი, წარმოიდგინეთ... მინდოდა მხოლოდ გამომეცხადებინა. ახლა, რომ ნივთები ჩემია და გამომესყიდნა შემდეგ, როდე-საც ფული მექნებოდა...

— ეგ სულ ერთია, — მიუგო პორფირი პეტროვიჩმა გუ-ლგრილად, — თუმცა შევიძლიანთ პირდაპირ მეც მომმართოთ მაგავე თხოვნით, ე. ი. რომ ესა და ეს ნივთები თქვენია და ითხოვთ...

— უბრალო ქალალდზედ უნდა დაიწეროს? — გააწყვე-ტინა საჩქაროდ რასკოლნიკოვმა და დაანახვა ერთხელ კიდე-ვა, რომ ფულის საქმე ყველაზედ მეტად აფიქრებდა.

— რასაკვრ ელია, უბრალოზედა!

და უცბად პორფირი პეტროვიჩმა როგორლაც დაცინ-ვით გადაპედა, თვალი მოჭუტა და ჩაუკრა კიდეცა თითქოს მაგრამ, იქნება ეჩერნა მხოლოდ რასკოლნიკოვსა, იმიტომ, რომ თვალის დახამხამებაზედ მოხდა ყველა ესა. რაღაც რამ ამ გვარი ყოველს შემთხვევაში უეპველად მოხდა. დაიფიცა-ვდა თუნდ რასკოლნიკოვი, რომ პორფირი პეტროვიჩმა თვალი ჩაუკრა ნამდვილად, ეშმაკმა იცის რისთვისა.

„იცის!“ გაივლო გულში უცბადა.

— უკაცრავად, რომ ასეთ უბრალო საქმისათვის გაწუ-ხებთ, — განაგრძობდა ცოტა დაბნევით რასკოლნიკოვი, — ნივ-თები სულ ხუთ მანეთზედ მეტი არა ლირს, მაგრამ მეძვირა-ფასება, როგორც სახსოვარი და საჩუქარი. გამოგიტყდებით, შემეშინდა საშინლად, რო გავიგე...

— კიდეც მაგიტომ შეხტი უთუოდ გუშინა, ზოსიმოვს რომ ვეყტედებოდი, — პორფირი დამგირავებლებს ეკითხება, მეთქი? — ჩაერია, თითქოს განზრახ რაზუმინხინი.

ეს-კი სწორედ აღარ იყო მოსათმენი. ვეღარ შეიძიგრა თავი რასკოლნიკოვმა და მრისხანედ გააკვესა თვისი ცეცხლებზე მგზნებარე შავი თვალები.

— შენ, ძმაო, მგონი დაიცინები? — მიჰმართა გულმოსულმა გაჯავრებითა. — გეთანხმები, რომ ძალიან ვზრუნავ ამ უბრალო ნივთებზედა. მაგრამ ამისთვის ვერც ვინმე კერძოობას დამტამებს, ვერც გაუმაძლრობას; იმიტომა, რომ თუ შენ უბრალოთ გეჩვენებიან იგინი, ჩემთვის ძვირფასნი არიან. თორემ აკი გეუბნებოდი ახლა, ვერცხლის საათი, რომელიც უროშათ არა ლირს იქნება, ერთად-ერთი სახსოვარია-მეთქი მამისა. იუინე, რამდენიც გინდა, მაგრამ წარმოიღვინეთ, დედა ჩამომივიდა, — მიუბრუნდა პორტირისა, — და რომ შეიტყოს, დაკარგული მაქვს, — მიუბრუნდა ისევ რაზუმიხინსა და სცდილობდა თან ხმა აჭკანკალებოდა, — გარწმუნებ, გულს გაიხეთქამდა! დედაკაცების საქმე არ იცი!

— სულაც არა, რას ამბობ, აბა! იმ აზრით როდი გოთხარი! პირ-იქით! — ჰყვიროდა გაჯავრებული რაზუმიხინი.

„კარგად ვქმენ, ნეტა? ნამდვილსა ჰგავდა? ხომ არ დავამლაშე, ნეტა?“ — ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი. — არა, ე „დედაკაცები“ არა გახსენევი?

— აპა, დედა ჩამოგივიდათ? — დაეკითხა რილასთვისაც პორტირი პეტროვიჩი.

— დიახ.

— როდის?

— გუშინ საღამოთი.

გაჩუმდა პორტირი, თითქოს რაღაცას ჰსაზრობსო..

— არაფრის გულისათვის ნივთები არ დაგეკარგებოდათ, — განაგრძობდა მშვიდად და გულცივად პორტირი პეტროვიჩი. რამდენი ხანია, გიცდით.

და თითქოს არაფერიაო, საფერფლე ზრუნვით მიუწია რაზუმიხინსა, რომელიც პაპიროსის ფერფლს დაუდევრად ზალზედა ჰყრიდა. შეკრთა თითქმის რასკოლნიკოვი, მაგრამ პორტირი ჯერ ისევ რაზუმიხინის პაპიროსს უმარჯვებდა საფერფლესა, ვითომ არც-კი უყურებდა რასკოლნიკოვსა.

— რაო-ო? უცდიდი! მერე, იცოდი, განა, რომ ამასაც  
ჰქონდა რამ დაგირავებული? — შეჰყვირა რაზუმიხინმა.

— ორთავე თქვენი ნივთი — ბეჭედი და საათი — ერთად-  
ჟეონდა ქაღალდში გამოხვეული და ზემოდამ გარკვევით ყა-  
რანდაშით წაწერილი, თუ ვისია ნივთები, ან რა თვესა და-  
რიცხვში მიუღია გირაოთ...

— როგორ კარგად დაგხსომებიათ!.. გაიღიმა უხერხულად  
რასკოლნიკოვმა და თან პირდაპირ თვალებში მიაშტერდა,  
მაგრამ ვერ მოითმინა და დასძინა უცბად: იმიტომ, რომ  
დამგირავებლები ბლომად იქნებოდნენ უთურდ... ასე რომ,  
უველა მათგანის დახსომება, ეჭვი არ არის, გაგიძნელდებო-  
დათ... თქვენ-კი ასე მშვენივრად გახსოვთ უველანი... და...

„სისულელე! სუსტად ნათქვამი! რისთვის დავსძინე!“

— ახლა თითქმის ყველა დამგირავებლებს ვიცნობთ უკვე-  
ეს იყო მხოლოდ თქვენ არ ინებეთ აქამდის მობრძანება, —  
მიუგო პორფირიმ ოდნავის დაკინვით თითქოს.

— ვუქეიფობდი ცოტა და იმიტომა.

— გაგებული მაქვს. ეგაცა. ვიცი ისაც, რომ რილასიც  
გამო საშინლად იყავით თურმე აღელვებული. ახლაც თით-  
ქოს გაფითრებული ხართ როგორლაცა?

— სულაც არა... პირ-იქით, მშვენივრადა ვარ! — მოუჭრა:  
რასკოლნიკოვმა უცბად მკვახედ და გაჯავრებით.

ბოლმა და ბოროტი თან-და-თან გულს უსიებდა, ველარ  
ჰმალავდა თითქმის.

„აი, სწორედ გაბოროტებულს წამომცდება რამ!“ გაი-  
ვლო კვალად გულში. — „რათა მტანჯავენ ნეტა?!..“

— ვერ არის კარგად! წელანაც გააურეოლა! — ჩაერია  
რაზუმიხინი. — გუშინდლამდის ხომ უგონოდ იყო თითქმის,  
ჰბოდავდა სულა... დაიჯერებ თუ არა, პორფირი, არ ვიცი,  
მაგრამ გეტყვი, რა ოინი გვიყო გუშინა: ის-კი იყო მე და  
ზოსიმოვმა თვალი მოვაშორეთ, ჩაეცვა, ბატონო, ტანთა, გა-  
პარულიყო და, ვინ იცის, შუალამებდე სალ არ ეარნა; ფეხ-  
ზედ-კი ძლიერ იდგა და ჰბოდავდა ერთ-თავადა! შესანიშნავი  
შემთხვევა!

— ნუ-თუ მართლა ჭბოდავდა კიდევ? ვერა ჰყურობთ! — გააქნია თავი როგორლაც დედაკაცურად პორფირიმა.

— ეჭ, სისულელეა! ნუ დაუჯერებთ! მაგრამ თქვენ ხომ მაინც არ გჯერათ! — წამოსცდა როგორლაც გაბოროტებულს რასკოლნიკოვსა.

მაგრამ პორფირი პეტროვიჩმა ყურადღება არ მიაქცია, ვითომ არც-კი გაუგონია.

— როგორ შეგეძლო, მაშ, გარეთ გამოსვლა, თუ სიცხიანი არ იყავი, არა პბოდავდი? ცხარობდა რაზუმინინი. — რათ გამოხვედი? რაო, რა გინდოდა?.. ან ისე ჩუმად რათ გაიპარე? შენს კევაზედ იყავი, მაშა? გეკითხები პირდაპირ, რაკი ვიცი, აღარავითარი საფრთხე არ შოგელის!

— საშინლად მომაბეზრეს თავი გუშინა, — მიუბრუნდა უცბად რასკოლნიკოვი პორფირისა, — და მეც გავეძეცი; მინდოდა ახალი ბინა დამეჭირა, რომ ველარ ვეპოვნეთ და ფულიც წავიღე თან ბლომათა. თორემ, აგერა, ზამეტოვმაცა ნახა ფულები. რას იტყვით, ბატონზ ზამეტოვ, ჩემს კევაზედ ვიყავ გუშინა, თუ არა, გაგვაგებინე?

მაგრამ მზად იყო იმ უამად, ძალლივით მიეღრძო ზამეტოვი. არ მოსწონდა საშინლად, რომ ისე უყურებდა გაჩუმებული.

— ჩემის აზრით, ძალიან გონივრულად ლაპარაკობდით, პირ-იქით, ეშმაკურადაც ცოტა, ეგ არის მხოლოდ, გაბრაზებული იყავით მეტად, — განუკენდა ზამეტოვმა გულგრილად.

— ნიკოლიმ ფომიჩმა მითხრა: დღეს, მართლა, — გადაუხევია პორფირი პეტროვიჩმა, — რომ გუშინ სალამოთი თურმე გნახათ გვიან ერთის მოხელის ბინაზედ, რომელიც ცხენებს გაესრისათ....

— ავიღოთ თუნდ ეს მოხელეი! — ჩამოართვა სიტყვა რაზუმინინმა. — გიერ არ იყავ, მაშა? უკანასკნელი ფული ქვრივს მიეცი დასამარხათა! შველა გინდოდა, კარგი! იღებდი და მისცემდი თხუომეტს, ოცს! ერთს სამიოდე მანეთს მაინც არის დაიტოვებდი, თორემ იღებდ და მთლად ოცდა ხუთი მანეთი გადაუთვალე!

— იქნება საღმე განძი ვიპოვნე, ბევრი იცი შენა? ამიტომაც ვიგულხალვათე გუშინა... თორემ, აგერა, ზამეტოვმაც იცის, რომ განძი ვიპოვნე!... ბოდიშს ვიხდი, გეთაყვათ, -- მიუბრუნდა ათრთოლებულის ტუჩებით პორფირისა, — რომ ნახევარ საათია აგერ, რაღაცაუბრალო ყბედობით გაწუხებთ. თავი მოგაბეზრევით, განა?

— რას ბრძანებთ, რასა? პირ-იქით! პირ-იქ-ით! რომ იცოდეთ, როგორ კმაყოფილი ვარ! მინდა სულ ასე გიცქიროთ და ყური გიგლოთ... და ძალიანაც მიხარიან სწორედ, რომ ინებეთ და მობრძანდით, მნახეა...

— ე ჩაი მაინც დაგვალევინე, ყელი გაგვიშრა! შეჰყვირა რაზემიხინმა.

— საუცხოვო აზრია სწორედ! იქნება სხვებმაც ინებონ? არ გინდა... ჩაის არსებითი რამ სხვაც წაუმძლვარო?

— დამეკარგე!

გავიდა პორფირი ჰეტროვიჩი, რომ ჩაი ებრძანებინა.

აზრები ქარიშხალივით უქროდა თავში. საშინლად იყო აღელვებული რასკოლნიკოვი.

„არა, რომ არც კი ჰეთარავენ და აღარც მერიდებიან! არა, რაო ჩემოო? რათ ელაპარაკებოდი ჩემ შესახებ ნიკოლიშ ფომიჩსა, თუ არც მიცნობდი? ეტყობა, მაშ, აღარ ჰმალავენ, რომ ძალლებივითა მდევნიან! პირ-იქით, პირდაპირ პირში მაფურთხებენ!“ ფიქრობდა რასკოლნიკოვი და თან სიბრაზისაგან თრთოდა. „მცემეთ, თუ გინდათ, პირდაპირა, მაგრამ თავვობანას კი ნუ მეთამაშებით. ეგ ხომ უზრდელობაა, პორფირი ჰეტროვიჩ, შეიძლება ხომ ნებაც არ მოცეოთ!.. ავდები და ყველაფერს პირდაპირ მოგახლით პირში. აბა, მაშინა ჰნახავთ, როგორა მძულხართ!..“ და სული ძლივს მოიბრუნა. — „მერე, რომ მეჩვენებოდეს მარტო და ნამდვილი არ იყოს? რომ ვსცდებოდე და ვბრაზობდე გამოუცდელობითა; ამ ჩემს საძაგელს დანიშნულებას ვერ ვასრულებდე რიგზედა? იქნება არც კი აქვთ რამე განზრახვა? ყველაფერი, რასაც ამბობენ, ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ სხვათ მე-

ჩვენება მე? რათ მითხრა, ერთად ჰქონდა შეხვეულიო? ზამეს  
ტოვმა რაღათ დაამატი, ეშმაკურად ლაპარაკობდიო? ასეთი  
კილოთი რათ მელაპარაკებიან? დიახ... კილო საძაგელი..  
რაზუმიხინიც ხომ იქვე იჯდა, რატომ იმას კი არ ეჩვენა  
საეჭვოთა? მაგრამ ამ გულუბრყვილო მუტრუქს როდის რა  
ეჩვენება ხოლმე საეჭვოთა! გამაცა კიდევ!.. თვალი ჩამიკრა  
პორფირიმ წელან, თუ არა? სისულელეა უთუოდ, თორემ  
რათ ჩამიკრავდა თვალსა? იქნება გაბრაზება უნდა, ან, ნერ-  
ვების აშლას მიპირებს? ან მოჩვენებაა ყველა ეს და დამცი-  
ნიან მხოლოდ! წარმოიღგინეთ, ზამეტოვიც კი თავხედობს...  
მაგრამ ასეა, განა? ეტყობა, წუხელ გადუფიქრია. აგრე მე-  
გონა მეცა, გადაიფიქრებს-მეთქი! პირველად არის პორფი-  
რისთანა, მაგრამ სტუმრად არც-კა სთვლის თავსა, ზურგი  
შეუქცევია. ეტყობა, მოულაპარაკნიათ! ჩემ გამო დამეგობ-  
რებულან უთუოდ! ჩვენ მოსვლამდისაც უთუოდ ლაპარაკი.  
ჩემზედა ჰქონდათ!.. ნეტავი, ბინის შესახებ იციან რამე, თუ  
არა? ჩქარა მაინც გამოირკვეს!.. წელან რომ ვუთხარ, ბინის  
დასაჭრად გავიქეც-მეთქი, არა უთქავს-რა, გამოსტოვა...  
ხერ ხიანად-კი მომივიდა სწორედ: გამომადგება!.. ბოლვის  
დროს იყოვო!.. ხა-ხა-ხა-ხა! გუშინდელ საღამოსი ყველაფერი  
იცის! დევის ჩამოსვლა არ სცადნებია... იმ კუდიანს რომ  
რიცხვიც მიუწერია ყარანდაშითა!.. მიჰქარავთ, არ დაგნე-  
ბდებით! ეს ხომ მხოლოდ მოჩვენებაა და არა ფაქტები! ფაქტი  
მოიტათ ოქვენა, ფაქტი! ბინაც ვერაფერს ფაქტობას გაგიწევს  
იმიტომა, რომ ვბოლავდი. ვიცი, რასაც ვეტყვი... ბინისა,  
ნეტა, იციან რამე? არ წავალ, სანამ არ გავიგებ! რისთვის  
მოვედი? ეს-კი იქნება ფაქტათ გამოიყენონ, რომ ვბრაზობ!  
ფუქ, რა ბრაზიანი რამა ვარ! მაგრამ იქნება კარგიც იყოს;  
სწორებრივი როლია... უნდა გამოკროს ვითომ. ეცდება  
გადამრიოს როგორმე, აზრები ამიბნიოს. რისთვის მოვედი,  
მართლა?

ელვასავით გაურბინა ყველა ამან თავში.

მალე მობრუნდა პორფირი პეტროვიჩიც. უცბად რო-  
გორლაც გამხიარულდა.

— წუხანდელს აქეთ, რაც შენთან ვიყავი, ძმაო, თავი მტკივა სულ... და მოვეშვი კიდეცა როგორლაცა,—მიჰ-მართა უცბად მხიარულის კილოთი რაზუმიხინსა.

— არ ვიცი, მერე საყურადღებო რა იყო? მე ხომ გუშინ სწორედ უმთავრესს მუხლზედ გაგ შორდით. ვინ აჯობა?

— რასაკერელია, არავინ. სამარადისო კითხვებს შევეხეთ, ჰაერში უვისრიალეთ.

— წარმოიდგინე, როდიონ, რაზედა გვქონდა წუხელ ლაპარაკი: ვმსჯელობდით, არსებობს საზოგადოდ დანაშაულობა თუ არაო? მაგრამ, ვინ იცის, როგორ არ ვიყვირეთ, და ვიცრუეთ!

— რა არის, მერე, გასაკეირალი? ჩვეულებრივი სოცი-ალური კითხვაა,—მიუგო დაბნევით რასკოლნიკოვმა.

— არა, აგრე როდი იყო საკითხი დაყენებული,—შეჰ-ნიშნა პორფირიმ.

— აგრე არ იყო ცოტა, მართალია,—დაეთანხმა მაშინ ვე რაზუმიხინი და ჩვეულებისამებრ აპილპილდა, გაცხარდა საში-ნლადა.—გესმის, როდიონ, ყური დამიგდე და შენი აზრი შითხარი. მინდა შენი აზრი შევიტყო. იმიტომ, რომ თავი გადავიკალ გუშინა და შენც მოგელოდი; ვუთხარი, მოვა-მეთქი... მაგრამ აღარ იქნა... ლაპარაკი დაიწყო სოციალის-ტების შეხედულებიდამ, რომ დანაშაული არანორმალურ სოციალურ განწყობილების წინააღმდეგობაა. და სხვა არაფერი, არავითარი სხვა მიზეზი არ მოეძებნებაო!..

— აგერა, იცრუა!— შეჰკუირა პორფირი პეტროვიჩმა.

ეტყობოდა პორფირისა, რომ თან-ლა-თან უფრო სიცოც-ხლე ემატებოდა და მით უფრო მეტად მხიარულდებოდა, რამდენიც მეტად აკვირდებოდა. რაზუმიხინსა. რაზუმიხინი-კი უფრო და უფრო ცხარობდა.

— არავითარი სხვა მიზეზი არ მოეძებნება-მეთქი, დიახ!— გააწყვეტინა რაზუმიხინმა,— არა ვსტყუი!.. გინდა, წიგნებსაც გიჩვენებ: ყველაფერს ამითი ჰქსნიან, სხვა არასფრითა. ყველა-ფერში „საზოგადოებაა“ დამნაშავეო. აი, მათი საყვარელო

სიტყვები! ის დასკვნა გამოდის აქედამა, რომ ნორმალურად მოწყობილს საზოგადოებაში დანაშაულობათა ხსენებაც აღარ იქმნება, რადგან საწინააღმდეგო სრულიად აღარა იქმნება-რა. მაშასადამე, ყველანი უცბად გაანგელოსდებიან, სამართლიანობა აღარაფრით არ დაირღვევა. ბუნებას-კი არავითარს ყურადღებას არ აქცევენ, უარ-პყოფენ! მათის აზრით, კაცობრიობა-კი არ განვითარდება ისტორიულად, ბუნებრივად და მიაღწევს ნორმალურს მდგომარეობასა და საზოგადოებრივს წყობილებასა, პირ-იქით, სოციალური სისტემა იშობვის ანაზღეულად რომელისამე მატემატიკოსის თავიდამა და ასრევე ანაზღეულად მოაწყობს მთელს კაცობრიობას ისე, რომ ყველა უცბოდველი და მართალი შეიქმნება; ამისათვის არც ცოცხალი პროცესი და განვითარებაა საჭირო, არც ისტორიული გზა! ამიტომაც არის, რომ ინსტიქტიურად სძლოთ ისტორია: „საძაგლობაა მხოლოდ და სუსულელე ისტორია“ — სულელურად პესნის ყველაფერსაო! ამიტომაც ცხოვრების ცხოველი პროცესი არ უყვართ: სული ცხოველი არ არის საჭირო! იმიტომ, რომ ცოცხალი სული სხვას მოითხოვს, მექანიკას არ დაემორჩილება, ეკვს შეიტანს, ჩამორჩენილია! აქ-კი უკვე სიკვდილის სუნი უდის თითქოს, შეიძლება კაუჩუკიდამაც გაკეთდეს აღამიანი, — მაგრამ სამაგიეროდ სიცოცხლე, ნება აღარ ექმნება, მონა იქმნება, არ აჯანყდება. გამოდის, რომ ყველაფერი აგურის დაწყობასა და კარიდორებისა და ოთახების რიგზედა ყოფილი მხოლოდ დამოკიდებული! კარგი, მაგრამ ე ბუნება აღამიანისა რომ ჯერ კიდევ არ არის მზათა, სიცოცხლე სწყურიან, სიცოცხლის პროცესი არ დაუმთავრებია ჯერა და იღრეა სასაფლაოსაკენ მისი გასტუმრება! მარტოდ ლოლიკით აღამიანის ბუნების ძლევა-შეუძლებელია! ლოლიკა მხოლოდ სამს შემთხვევას ითვალისწინებს, მათი რიცხვი კი მილიონია! მოწყვეტა მთელის მილიონ შემთხვევისა და ყველაფრის მარტოდ ერთ კითხვაზედ ჩამოყვანა სისულელეა! სიაღვილით, ჩასკვრელია, ადვილი არის! აქ ყველაფერი აშკარაა, ფიქრიც არ უნდა! უმთავრესი-

კი ის არის, რომ ფიქრი არ უნდა! მთელის სიცოცხლის საი-ლუმლო ორს ფურცელზედ დაეტევა!

— აი, აი, მოჰესნა, ბატონო, გუდას პირი და ჰეჭვამს! ხელები უნდა დავუჭიროთ,—იცინოდა პორფირი.—წარმოიდგინეთ,—მიუბრუნდა რასკოლნიკოვსა,— გუშინ საღამოსაც ასრე ქნა; ახლა ფუნჯიც დაგვალევინა წინადვე და,—წარმოიდგინეთ, მაშ, რა იქნებოდა?—არა, ძმაო, სტყუი: „საზოგადოება“ ბევრს ჰნიშნავს დანაშაულობაში. თორემ დაგიმტკიცებ ჭიდეცა.

— მეც ვიცი, რომ ბევრსა ჰნიშნავს, მაგრამ ეს მითხარ ერთი: ორმოცის წლის კაცი რომ ათას წლის გოგოს აფუჭებს,—საზოგადოებაა ამის მიზეზი, თუ არა?

— რა არის, მერე, სასტიკად რომ გავსაჯოთ, იქნება აგრეც გამოდგეს,—შეჰნიშნა მედიდურად პორფირიმ.—ძალიანაც შესაძლებელია „საზოგადოების“ გავლენით აეხსნათ.

ცოტას გასწყდა არ გადირია რაზუმიხინი.

— კარგი, მაშ, გინდა ახლავე დაგიმტკიცო, — შეჰრიალა რაზუმიხინმა,— რომ თეთრი წამწამები ივანე დიდის ზარის მიზეზითა გაქვს და დაგიმტკიცო აშვარათა. და ნამდვილად, ლიბერალურის კილოთი? გინდა, თუ არა?. სანაძლეოს დავდებ, რომ დაგიმტკიცებ!

— დამიმტკიცე! ყურს დაგიგდებთ, ვნახოთ, როვორ და-ამტკიცებ!

— ასე გვაჩვენებს სულ მუდამ თავსა! — შეჰყვირა რაზუმიხინმა, წამოხტა და ხელი გააქნია.—ლირს, განა შენთან ლაპარაკი! ასე იქცევა განგებ, არ დაუჯერო, როდიონ! გუშინაც იმიტომ დაუჭირა იმათ მხარი, რომ გაესულელებინა. მერე, რას არ ლაპარა კობდა, ლმერთო! ისინი-კი სიხარულით ფეხზედ ძლივს იდგნენ!.. ასე იცის მუდამ, მოელის კვირაობით გვა-ტყუებს ხოლმე. შარშან, მაგალითად, არ ვიცი რისთვის, დაგვარწმუნა, რომ ბერად მიდიოდა და მთელი ორი თვე ასე გვატუტუცა! ამ წინაზე კიდევ გვარწმუნებდა, ცოლს ვირთა-ვო და საქორწინოდაც მოემზადა. წარმოიდგინე, ახალი ტანი

ხამოსიც კი შეიკერა. ასე რომ, ვულოცავდით კიდეც. მაგრამ რის ქორწილი, რის პატარძალი? მოგვაჩვენა!

— მანდ-კი იცრუე! ტანისამოსი წინად შევიკერე და ფიქრადაც სწორედ მაშინ მომივიდა, მომეტყუებინეთ.

— მართლა აგრე გეხერხებათ მოტყუება? — დაეკითხა დაუღევრად რასკოლნიკოვი.

— მაშ, გეგონათ არა? მოიცათ, თქვენც გაგაცრუებთ — ხა, ხა, ხა! მაგრამ არა, მოიცათ, რა უნდა გითხრათ. უველა ამ კითხვებისა, დანაშაულობათა, საზოგადოებისა, გოგოებისა და სხ. გამო, ერთი რამ მომაგონდა, თუმცა წინადაც მუდამ იზიდავდა ჩემს უურადლებასა, — სახელდობრ, თქვენი წერილი. დანაშაულიდას შესახებ... თუ როგორ ერქვა სახელად, ალარ მახსოვს. ორის თვის წინად წავიკითხ „Периодическая Рѣчъ“-ში.

— ჩემი წერილი? „Периодическая Рѣчъ“-ში? — დაეკითხა გაკვირვებით რასკოლნიკოვი. — მართალია, ნახევარ წლის წინად, უნივერსიტეტიდამ რომ გამოვედი, ერთის წიგნისა გამო წერილი დავწერე, მაგრამ, მახსოვს, „Еженедѣльная Рѣчъ“-ს გადავეცი და არა „Периодическая Рѣчъ“-სა.

— და „Периодическая Рѣчъ“-ში კი დაიბეჭდა.

— მაგრამ „Еженедѣльная Рѣчъ“-ი ხომ დაიკეტა, იმიტომ აღარ დაბეჭდეს...

— ეგ მართალია, მაგრამ გამოცემის შეწყვეტის დროს „Периодическая Рѣчъ“-ს შეუერთდა და ამიტომ თქვენი წერილიც ორის თვის წინად იქ დაიბეჭდა. თქვენ-კი არა იცოდით-რა, განა?

მართლაც-და, არა იცოდა-რა რასკოლნიკოვმა.

— მოითმინეთ-და ფულიც შეგიძლიანთ მოსთხოვოთ! რა უცნაურის ხასიათისა ყოფილხართ! აგრე განდგომილად როგორა სცხოვრობთ, რომ პირდაპირ თქვენ შესახები ამბებისაც კი არა იცით-რა. ეს ხომ ფაქტია.

— ვაშა, როდიონ! არც მე ვიცოდი! — შეჰყვირა რაზუ-მიხინმა. — დღესვე შევირბენ სამკითხველოში და იმ ნომერს მოვითხოვ! ორის თვის წინად რუმ? რა რიცხვში იყო? მაგრამ

სულ ერთი არის, ვიპოვნი! ჰედავთ, რა ამბავია! არა, რომ არც რასმე იტყვის!

— მერე, თქვენ საიდამ გაიგევით, რომ ჩემი იყო ის წერილი? ქვეშ მარტო ერთი ასო უჯდა.

— შემთხვევით გავიგე, ამ დღეებში. რედაქტორმა მითხრა. ნაცნობია ჩემი... მაგრამ ძალიან მიიჩიდა ჩემი ყურადღება.

— როგორც მახსოვს, დამნაშავის ფსიხოლოგიურს მდგომარეობას ვეხებოდი თვითონ დანაშაულობის ჩადენის დროსა.

— დიახ, და ამტკიცებდით, რომ დანაშაულობის ჩადენა უთუოდ ავაღმყოფობასოან არის დაკავშირებული. ორიგინალურია მეტად ეს აზრი, მაგრამ... ამან კი არ მიიპყრო ჩემი ყურადღება, მიიპყრო სხვა აზრმა, რომელიც წერილის ბოლოშია, სამწუხაროდ, ეჭვითა და იგავით, ბუნდად გამოთქმული... ერთი სიტყვით, თუ მოიგონებთ, ბუნდათა გაქვთ გამოთქმული აზრი, რომ არიან ქვეყნად აღამიანები, რომლებსაც შეუძლიანთ... ესე იგი, შეუძლიანთ-კი არა, სრული უფლება აქვთ ჩაიდინონ ყოველგვარი უწესოება და დანაშაულობა, და მათვის კანონი არ არსებობს ვითომ.

გაეცინდა რასკოლნიკოვსა, რომ ასე ძალათი და განზრახდამახინჯეს შისი აზრი.

— როგორა? რაო? უფლება აქვთ დანაშაულობა ჩაიდინონი? იმიტომ ხომ არა, რომ „საზოგადოებამ გარყვნაო?“ — დაეკითხა როგორლაც შეშინებით რაზუმიხინი.

— არა, არა, იმიტომ არა, — უპასუხა პორტირიმ. — საქმე იმაშია, რომ ამათს წერილში მთელი ქვეყანა „არაჩვეულებრივ“ და „ჩვეულებრივ“ ხალხათ არის დაყოფილი. ჩვეულებრივი ხალხი მოვალეა მორჩილი იყოს კანონისა და არასფრით დაარღვიოს იგი, იმიტომ რომ ჩვეულებრივია იგი. არაჩვეულებრივის ხალხს-კი უფლება აქვს ყოველგვარი. დანაშაულობა და უკანონობა ჩაიდინოს, იმიტომ მხოლოდ, რომ არაჩვეულებრივის ბუნებისანი არიან. ასე გაქვთ, ვგონებ, თუ არა ვსცდები.

— როგორ, რას ამბობთ? შეუძლებელია! — ბუტბუტებდა და რაზუმიხინი და ვერა გაეგო-რა.

გაეცინა კვალად რასკოლნიკოვსა. მიწხვდა მაშინვე, რა-შიაც იყო საქმე და რა განზრახვაცა ჰქონდა პორფირისა. კარგად ახსოვდა წერილის შინაარსი და გარდასწყვიტა გამო-ჰკამათებოდა.

— აგრე არ არის სულაცა, — დაიწყო უბრალოდ და წყნა-რაც რასკოლნიკოვმა. — მაინც, გამოგიტყდებით, რომ სწორედ ასწერეთ თითქმის... (იამებოდა თითქოს, რომ დასთანხმდა). ერთად-ერთი განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ საჭი-როდ სულაც არა ვთვლი, ვითომ არაჩვეულებრივი ხალხი უთუოდ და მუდამ უწესოებას ახდენდეს, როგორც თქვენ ამბობთ. ჩემის აზრით, ასეთს წერილს არც დაპირებდავდნენ. შე მხოლოდ გაკვრით გამოვსთქვი, რომ „არა ჩვეულებრივს“ ტაცს უფლება აქვს... ქსე იგი, ოფიციალური უფლება-კი არა, აქვს უფლება თავის სინიდისს დაემყაროს და დაარღვი-ოს... ანუ გადალახოს ზოგიერთა დამაბრკოლებელი მიზეზე-ბი, მაგრამ იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ მისი იდეის გან-ხორციელება (ზოგჯერ მთელის კაცობრიობისათვის სახარგ-ებლოსი) მოითხოვს ამას. თქვენ ამბობთ, ვითომ ჩემი წერი-ლი გაუგებრად და ბუნდად იყოს დაწერილი; მზათა ვარ გა-ნგიმარტოთ, რამდენადაც-კი შევიძლებ. იქნება არა ვსტყუ-ლდე, თუ მოგახსენებთ, რომ, ვგონებ, თქვენც სწორედ ეს გნებავთ. ინებეთ. ჩემის აზრით, თუ რაიმე მიზეზისა გამო კეპლერისა და ნიუტონის აღმოჩენანი ქვეყნისათვის უცნობ-ნი დარჩებოდნენ უიმისოდ, თუ ერთისა, ათისა ან ასისა და შეტ კაცის სიცოცხლე არ შეეწირებოდათ მსხვერპლად, რომ-ლებიც აბრკოლებდნენ და ხელს უშლიდნენ მათს გამოქვე-ყნებასა, უფლება ჰქონდათ ერთსაც და მეორესაც და მოვა-ლეობაც თითქმის... მჟეშარებინათ თავიდამ ეს ათი და ასი ტაცი, რომ ქვეყნისათვის თვისი აღმოჩენანი ეცნობებინათ. აქედამ ყოველს შემთხვევაში ის დასკვნა მაინც არასოდეს არ შეიძლება გამოვიყვანოთ, ვითომ ნუტონს ან კეპლერს უფლება ჰქონდეთ მარჯვნივ და მარცხნივ, განურჩევლად, უდანაშაულო ხალხი ეულიტნათ, ან ყოველ დღე ექურდბაცა-

ცნათ. გარდა ამისა, რამდენადაც მახსოვს, გატარებული მაქვს ის აზრი... რომ კაცობრიობის კანონმდებლები და მომწყობლები, უძველესთაგან მოკიდებული, როგორნიც იყვნენ, სხვათა შორის, ლიკურგი, სოლონი, მაჰმადი, ნაპოლეონი და სხ. ყველანი დამნაშავენი იყვნენ; თუნდაც იმითი მხოლოდ, რომ ახალის კანონის გამოცემით ძველს არღვევდნენ უთუოდ, რომელიც წინაპართაგან იყო ნაანდერძევი და საზოგადოებისა და ხალხის მიერ შეწყნარებულ-შეყვარებული, პატივდებული. ასეთის კანონებისათვის-კი ხშირად სისხლსაცა ჰლვრიდნენ ხოლმე (ზოგჯერ სრულიად უდანაშაულოსაც, იმიტომ მხოლოდ, რომ ძველი არ ეთმობოდათ), რომ თავისი გაეყვანათ და ცხოვრებაში ახალი ჩვეულება და კანონი შეეტანათ. შესანიშნავია აგრეთვე, რომ ქვეყნის კეთილისმყოფელნი და კანონმდებელნი საშინელი სისხლის მსმელები იყვნენ თათვემის ყველანი. ერთი სიტყვით, ის დასკვნა გამომყავს აქედამა, რომ არამც თუ დიდებული კაცები, თვით ოდნავ ნიჭიერებიც-კი, რომელთაც შეუძლიანთ ახალი რამა სთქვან და შეჯემნან, ბუნებით უთუოდ ცოტად თუ მეტად დამნაშავენი არიან. უამისად საერთო ულელსა და მდგომარეობას უმეტესობისას თავს ვერ დააღწევდნენ და გზას ვერ გაიკაფავდნენ. დარჩენა-კი ამ მდგომარეობაში, რასაკვრელია, არასურის გულისათვის არ შეეძლოთ, რადგანაც ბუნება მათი წინააღმდეგი იქმნებოდა ამისა. ერთი სიტყვით, ნათლადა ჰედავთ, რომ ჯერ-ჯერობით აქ საიმისო არა არის-რა სულაცა. ათასჯერ ყოფილა ამგვარი რამა დაწერილიცა და გამოთქმულიცა. რაც შეეხება ჩემს დაყოფვას ხალხისას ჩვეულებრივად და არა ჩვეულებრივ ხალხათ, ეს, რასაკვრელია, ნებაყოფლობითია თითქოს, მაგრამ ნამდვილი ციფრები მაინც არ მომყავს. მე მხოლოდ ჩემი უმთავრესი აზრი მჯერა. ჩემის აზრის თანახმად, ბუნების კანონით ხალხი საზოგადოდ ორ წყებათ იყოფა: ერთს წარმოადგენს ჩვეულებრივი ხალხი, ერთს ის მასალა, რომელიც მხოლოდ თავისს მჩვავსს შთამომავლობას იძლევა, მეორეს ის არაჩვეულებრივი ხალხი, რო-

მელნაც ნიჭი ომა აქვს მიმადლებული და თავისს წრეში ახალის სატყებს თქმა შეუძლიან. რასაკვრელია, შეიძლება რამდენადმე კიდევ დანაწილდეს ეს ჯგუფი, მაგრამ განკერძოებული ნიშნები ერთისა და მეორე წყებისა მაინც აშკარაა. პირველს წყებას ანუ მასალის შეადგენენ საზოგადოდ ჩამორჩენილები, წყნარნი და მორჩილნი. ჩემის აზრით, სხვა რიგად ცხოვრება არც შეუძლიანთ, რადგანაც მათი დანიშნულება ეს არის და არც თუ რამ შეურაცხმყოფელია მათვის აქა. მეორე წყებას შეადგენენ კანონიერებისა და არსებულ წყობილების დამრღვეველი დამნაშავენი, ე. ი. ისინი, ვინც თვისის ნიჭიერებით ბუნებრივად იქცევა ისრე. დანაშაულობა მათი, რასაკვირველია, შედარებით მრავალგვარია: მეტ წილად თხოულობენ იგინი, რომ უკეთეს მომავლისათვის აწყობის დარღვეული. მაგრამ თუ იდეა ითხოვს, რომ მსხვერპლი შეეწიროს, ნება ეძლევათ სინიდისით სისხლიც-კი დაანთხიონ, ეგ-კია მხოლოდ, ყურადღება უნდა მიექცეს თვითონ იდეასა და მის მნიშვნელობასა. მხოლოდ ამ აზრით ვეხები ჩემს წერილში მათს უფლებას დანაშაულობის ჩადენისას (მოიგონეთ მხოლოდ, რომ იურიდიულ კითხვიდამ დაიწყო ჩვენი ლაპარაკი). მაინც დიდად საწუხი აქ არა არის-რა. არასოდეს ხალხი, უმეტესობა, მათს ასეთს უფლებას არ აღიარებს, ჰსჯის სიკვდილითა და მით თავისს კონსერვატულს დანიშნულებას სამართლიანად ასრულებს; მაგრამ შემდგომი მოდგმა ამავე ხალხისა დასჯილებს ძეგლს უდგამს და თაყვანსა სცემს, აქებ- იდიდებს (ცოტად თუ ბევრად). პირველი წყება აწმყოს უფალი, მბრძნებელია, მეორე-- მრმავალისა. პირველნი ქვეყნიერობის დაცვასა და გამრავლებას ემსახურებიან, მეორენი განაგებენ მასა და გარკვეულ მიზნისაკენ მიაჭანებენ. პირველებსაცა და მეორეებსაც ერთნაირი უფლება აქვთ არსებობისა. ერთი სიტყვით, ჩემის წერილის თანახმად ყველის ერთნაირი უფლებები აქვს, vive la guerre éternelle!, ვიღრე იხალიერუსალიმამდე, რასაკვრელია.

— აგრე მაშ, გჯერათ მაინც ახალი იერუსალიმი?

— მჯერა და მწამს, — უბასუხა მტკიცედ რასკოლნიკოვმა. მთელის ამ გრძელ ლაპარაკის დროსა და ახლაც ერთ-თავად ძირს დაჰყურებდა ხალის ერთს რომელლასაც წერტილსა...

— ღმერთიცა გწ-წ-ამთ? ბოდიშ-კი ვიხდი, რომ გეკი-თხებით.

— მწამს, — მიუგო რასკოლნიკოვმა და თავი მაღლა აი-ლო, პორფირის შეჭხედა.

— ლაზარეს აღდგენაცა გწამთ?

— მწამს. მაგრამ რისთვის გინდათ, რათ მეკითხებით?

— მართლა გწამთ ნამდვილათა?

— ნამდვილათა.

— ჰელავთ!.. არაფერი, ისე ვიკითხე. ბოდიშს ვიხდი. მაგრამ მოითმინეთ, — წელანდელს დავუბრუნდები ისევა, — მუდამ ხომ არა სჯიან სიკვდილითა. პირ-იქით, ზოგიერთები...

— სიცოცხლეშივე იმარჯვებენ, განა? დიახ, დიახ, ზოგი-ერთები სიცოცხლეშივე აღწევენ მიზანსა და მაშინ...

— თვითონ იწყებენ სხვათა დასჯასა, განა?

— თუ, რასაკვრელია, საჭიროა. მეტ წილად მაინც ასეა ხოლმე. საზოგადოდ მოსწრებულად მოგივიდათ ეგ სიტყვა.

— გმაღლობთ. მაგრამ მითხარით, გეთაყვათ: ეს არა-ჩეცულებრივი ხალხი ჩეცულებრივისაგან რით გაირჩევა? და-ბადებითვე დაჰყვებათ ხოლმე რამ ასეთი ნიშნები, თუ რო-გორ არის? ვამბობ ამას იმიტომ, რომ საჭიროა მეტი გარე-განი გარკვეულობა და ნამდვილად ცნობა ხალხისა; ბოდიშ-კი ვიხდი, მაგრამ როგორც პრაქტიკისა და კეთილ განზრა-ხეის კაცს საშინლად მაწუხებს ესა; არ შეიძლება ან ტანისა-მოსი რამ შემოვილოთ ისეთი საგანგებო, ან დაღი დავკრათ ხოლმე?.. იმიტომა, რომ, დამეთანხმეთ, ვაი-თუ მონასტერი აირიოს და ერთის წყებიდამ მეორეში მოისურვოს ვი-ნემ გადასვლა და დამაბრკოლებელი მიზეზის გადალახვა, როგორც წელან თქვენ ისურვეთ ბრძანება; მაშინ ხომ...

— ო, რასაკვრელია, მოხდება ხოლმე ხშირად! ეგ თქვე-ნი შენიშვნა ხომ წელანდელზედ უფრო მოსწრებულია...

— გმადლობთ...

— არა ღირს. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ შეცდომა პირველების, ესე იგი „ჩვეულებრივთაგან“ (როგორც ეს მე ვუწოდებ, იქნება მეტად უხერხულადაც). არის მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებითვე დაყოლილი აქვთ მორჩილება, მაინც გაიტაცებს ხოლმე ზოგიერთებსა და თავი დაწინაურებულ ხალხათ, „ძველის დამრღვეველათა“ და „ახალის მთქმელათ“ მიაჩნიათ. და სხადიან ამას სრულიად წრფელად და არა მოსაჩვენებლად. ნამდვილად „ახალის მთქმელს“ კი ვერ არჩევენ და სძულთ, როგორც ჩამორჩენილი და სამარცხვინო აზრების ხალხი. მაგრამ საშიში, ჩემის აზრით, არა არის-რა აქა და არცა ღირს საწუხრადა, რადგანაც არა-სოდეს მათს მოქმედებას დიდი დღე არა აქვს. ასეთის გატაცებისათვის შეიძლება, რასაკვრელია, ყურიც ავუწიოთ ზოგჯერ და გავლახოთ კიდეც, რომ თავისი ადგილი არ დაივიწყონ, მორჩა და გათავდა; ამსრულებელიც-კი არ არის აქ საჭირო, რადგანაც თვითონვე უწევენ ხშირად ერთმანერთს სამსახურსა: ზოგი თვითონვე ჰლახავს თავისს თავსა, ზოგიც სხვის ხელით ილახება... სხვა-და-სხვა გვარს საკანონოს დაიდებენ ხოლმე საჯაროდ,— რაც ჰკუის მასწავლებელიც არის და საკმაოდ საუცხოვოც. ერთი სითტყვით, თქვენ აქ საწუხი არა გაქვთ-რა... კანონივე არსებობს ასეთი.

— ეგ მაინც კარგია, ცოტა დამამშვიდეთ ამ მხრივა. მაგრამ მითხარით, გერაყვათ: ბევრია, ნეტა, ასეთი, რომლებსაც ამ ჩვეულებრივ ხალხის ხოცვისა და ულეტის უფლება აქვს? რასაკვრელია, დავემორჩილებოდი, შაგრამ თუ რიცხვმრავალია, მაშინ-კი, გამოგიტყდებით, საშიში არის ცოტა, ტანში მერუანტლამს როგორლაცა.

— ნურც ამაზედ შესწუხდებით,— განაგრძობდა იმავე კილოთი რასკოლნიკოვი.— საზოგადოდ, ახლის აზრის ხალხი-კი არა, ოდნავ ნიჭიერებიც-კი, რომლებსაც ახალის რისამე თქმა შეუძლიანთ, ერთობ ცოტანი იბადებიან; ასე რომ, გასაოცარიც-კია, რათ არის, ასრე. ერთია მხოლოდ იშვარა,

რომ ყველა ამ წყებათა და განყოფილებათა ხალხის შთასახეა უთუოდ ბუნების რომელსამე გარკვეულს კანონს ემორჩილება. კანონი ეს ახლა, რასაკვრელია, უცნობია ჩვენთვის, მაგრამ მჯერა, რომ თავისს დროზედ უთუოდ გამოირკვევა. ურიცხვი ხალხი, ანუ მასალა, როგორც ზემოდაც ვუწოდეთ, იმიტომაა მხოლოდ ქვეყნად, რომ რაღაც რამ საიდუმლოებრივის პროცესისა და მოდგმათა და ნათესაობათა ერთ-ურთში შერევის წყალობით ბოლოს, როგორც იქნება, ჰშვეს ათასში ერთი რამოდენადმე დამოუკიდებელი და ნიჭიერი ადამიანი. უფრო მეტის დამოუკიდებლობისა და ნიჭის პატრონი-კი ათი ათასში ძლივს იბადება ერთი (ვამბობ ამას მხოლოდ სანიმუშოდ, დასასურათებლად). ამათზედ მეტის ნიჭისა და დამოუკიდებელ ბუნების პატრონი-კი ასი ათასში ერთი. გენიოსები და უდიდესი მსოფლიო გენიოსები ხომ მილიონსა და მრავალს ათას მილიონშიაც ძლივს იბადებიან. ერთი სიტყვით, რომელს ჭურჭელში მზადდება და სწარმოებს ყველა ეს, არ ჩამიხედნია, მაგრამ გარკვეული რამ კანონი რომ უთუოდ უნდა არსებობდეს, უეჭველია ესა. შემთხვევით ახსნა ამ ფრიად საყურადღებო გარემოებისა შეუძლებელია.

— ჰემრობთ ორივენი, თუ როგორ არის თქვენი საქმე? — შეჰყვირა ბოლოს რაზუმისინმა. — ან იქნება ერთმანეთს ატყუებთ? დამსხდარან, ბატონო, და ერთმანერთს დასკინიან! ნუ-თუ არ ჰემრობ, როდიონ!

ჩუმად მიაპყრო თვისი გაფითრებული და მოწყენილი სახე რასკოლნიკოვმა, მაგრამ არა უთხრა-რა. უცნაურად ეჩვენა საშინლად რაზუმისინსა, რომ რასკოლნიკოვის სახეს ასეთი წყნარი და დაღვრემილი გამომეტყველება ჰქონდა და პორფირი-კი ასე დაუფარავად და უზრდედად, დაეინებითა ჰგესლავდა.

— ეგ, ძმაო, თუ არა ხუმრობ და მართალია... რასაკვრელია, უგრეა: ყველაფერი ეს არ ახლია, ძველია და ათას გზის წაკითხული და გაგონილი; მაგრამ თრიგინალური აქ მხოლოდ ის არის, რომ სისხლის საქმეს სინიდისითა სწყვე-

ტავ და იმასაც ასეთის ფანატიზმითა, რომ... ეტყობა, მაშ, შენი წერილის უმთავრესი აზრიც ეს არის. სისხლის საქმის სკნედისთვის გადაწყვეტა, ჩემო ძმაო.... ჩემის აზრით, უარესია, ვიღრე ოფიციალურად და კანონიერად სისხლის ლვრის ნება-რთვა...

— მართალი არის, —უარესია, —დაეთანხმა პორფირი.

— არა, უთუოდ გაგიტაცა რამემ! შეცდომაა. წავიკითხავ... ეჭვი არ არის, გატაცებული ყოფილხარ! თორემ, ვიცი, ამას ვერ იფიქრებდი... წავიკითხავ.

— წერილში მხოლოდ გაკვრითა მაქვს ყველა ეს გამო-თქმული, —უპასუხა რასკოლნიკოვმა.

— ასე, მაშ, ასე, — იმეორებდა პორფირი; — ახლა-კი თი-თქმის ნათლად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უყურებთ და-ნაშაულობასა... მაგრამ მაპატიეთ, რომ ასე გაბეზრებთ თავსა (თვითონვე მცხვენიან, რომ ასე გაწუხებთ!). ასე, მაშ: წელან საქმაოდ დამამშვიდეთ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ამ ორ წყების შორის შეცდომაც მოხდეს ზოგჯერ, მაგრამ...

იი, ზოგიერთა პრაქტიკული მოსახრება და კითხვა მაინც მოსვენებას არ მაქლევს! ვსთქვათ, ახლა რომელმამე ვაუკაცმა ან ჭაბუქმა წარმოიდგინა. უცბდდ, რომ ლიკურგი ან მაჭმალი არის... მომავალისა, რასაკვრელია, და დაიწყო სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა გადალახვა... — შორი მგზავრობა ან ლაშქ-რობა მომელის და ფულები მინდაო... და დაიწყო ფულების ძებნა... იცით, როგორა?

ზამეტოვმა უცბად საშინლად ჩაიფრუტუნა თავის კუთხ ხიდამა, მაგრამ რასკოლნიკოვს არც-კი შეუხედნია.

— გეთანხმებით, —უპასუხა რასკოლნიკოვმა, — რომ ასე-თი შემთხვევა მართლაც შესაძლებელია. აკი ჭკვამოკლე-თავ-მოყვარეები გაებმებიან ხოლმე კიდეც! განსაკუთრებით ახალ-გაზრდები.

— იი, ხომ პხედავთ. როგორ უნდა იყოს, მაშა?

— როგორა და ისე, —გაელიმა რასკოლნიკოვსა, — ჩემი ბრალი. ხომ არ არის. ასე არის და იქნება მუდამ. აგერა,

აკი სთქვა იმანა (რაზუმიხინზედ უჩვენა), რომ სისხლის საქმესა ვსწყვეტავ. რა არის მერე? საზოგადოება ხომ ყოველმხრივ უზრუნველყოფილია: საპატიმროებითა, გადასახლებითა, სასამართლო გამომძიებლებითა, კატორგითა და სხ., — რაღა გაწუხებთ, მაშა? მოძებნეთ ქურდი და იპოვნეთ!..

— მერე, რომ ვიპოვოთ?

— იპოვით და გზა დაულოცოს ღმერთმა!

— ლოგიკურად სწორედა ჰსჯით. მაგრამ ე სინიდისის საქმე როგორ-ლა უნდა იყოს?

— სინიდისთან რაღა საქმე გავთ?

— როგორ თუ რა საქმე? კაცომოყვარეობა და სიმართლე მაიძულებს.

— ვისაც სინიდისი აქვს და შეიგნებს დანაშაულსა, დევიტანჯოს? ეს იქნება სასჯელი მისთვის.

— ნამდვილი გენიოსები-კი, რომლებსაც უფლება აქვთ სხვათა ელეტისა, რაო, არ უნდა იტანჯებოდნენ, რომ სისხლს დაანთხვენ, — დაკითხა მოღუშვით რაზუმიხინი?

— უნდა აქ რა შეუშია? აქ არც ნებართვაა, არც აღკრძალვაა. იტანჯოს, დევ, თუ ებრალება მსხვერპლი... ტანჯვა და ტკივილი სრულის შეგნებისა და ლრმა ბუნების პატრონისათვის სავალდებულოც-კია მუდამ. ჰეშმარიტად დიდებული და მაღალის ბუნების ხალხი, ჩემის აზრით, უთუოდ ლრმად უნდა იყოს დანალვლიანებული ამ ქვეყნად, — დასძინა უცბად დაფიქრებულმა, მაგრამ ისე როგორლაც უცნაურადა, რომ ლაპარაკის კილოს არც-კი მიუდგა სრულიად.

აიხედა მაღლა, ყველას ჩაფიქრებულმა გადავლო თვალი, გაიღიმა და ჭუდს დაავლო ხელი. ახლა უფრო დამშვიდებული იყო შედარებით, ვიდრე წელან; რომ შემოვიდა. თვითონვე ჰგრძნობდა. ყველანი წამოდგნენ.

— ასე მაშ, გამლანძლეთ და გამიჯვარდით, თუ გინდათ; მაგრამ არ შემიძლიან, ერთი პატარა კითხვა არ მოგცეთ კიდევა, — დაასკვნა პორფირი პეტროვიჩმა, — მინდოდა ერთი პატია იდეა კიდევ გამემარტა, რომ არ დამვიწყებოდა...

— კარგით, მითხარით, აბა, ეგ თქვენი პატია იდეა რო-  
მელი-ღაა, — ეუბნებოდა ფერმკრთალი და დაფიქრებული რას-  
კოლნიკოვი.

— არ ვიცი სწორედ, აი... როგორ გამოვსთქვა უფრო  
მოხერხებულათა... იდეა ისე ცოცხალია როგორდაცა,.. ფსიქ-  
ხოლოგიურ ხასიათება... აი, როცა წერილსა სწერდით, ეჭ-  
ვი არ არის, უფორდ თქვენს თავს რაიმე ნაირად ცოტათი  
მაინც „არაჩვეულებრივ“, ასაღი სიცევებს მთქმელ კაცათა  
სთვლიდით, ისე, რასაკვრელია, როგორც ეს თქვენ გესმისთ...  
აგრეა ხოშა, ჰა?

— შეიძლება აგრეც იყო, — მიუგო ზიზლით რასკოლნი-  
კოვმა.

რაზუმიხინი შეირხა.

— თუ ასე არის, მაშ მითხარით, გეთაყვათ, ნუ-თუ რაი-  
მე გაჭირვებისა ან შევიწროვებისა გამო ცხოვრებაში, ან კა-  
ცუბრიობის სახეიროდ, გაჭბედავდით და გადაპლახავდით წინ.  
ამართულს დაბრკოლებასა?.. აი, მაგალითად, მოჭკლავდით და  
გასძარცვავდით ვისმე?..

და უცბად კიდევ ჩაუკრა წელანდელივით მარცხენა თვა-  
ლი და გაუცინა ჩუმად.

— გადავლახავდი თუ არა, ყოველს შემთხვევაში, თუნდ  
მომზდარიყო კიდევ ასე, რასაკვრელია, თქვენ არ გეტყო-  
დით, — მიუგო აშერა ზიზლით რასკოლნიკოვმა.

— არა, ეს მხოლოდ იმიტომ მინდა შევიტყო, რომ მწერ-  
ლობის მხრივ დავაფისო, დიახ, სხვა არასფერი...

„ფუქ, რა აშკარათ და ურცხვათა სცრულბს!“ გაიფიქ-  
რა ზიზლით რასკოლნიკოვმა.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ მაგაზედ, — მიუგო უგუ-  
ლოდ რასკოლნიკოვმა, — რომ არც მაპმაღათა და არც ნაპო-  
ლეონათ ჩემს თავს არა ვთვლი მე... არც მათ მსგავს სხვა  
ვინმეთ. მაშასაღამე, პასუხის მოცემაც არ შემიძლიან თქვენს  
კითხვაზედა, თუ როგორ მოვიქცეოდი.

— კარგით ერთი-და, ყილა არა სთვლის ახლა რუსეთში თავისს თავს ნაპოლეონათა? — წარმოსთქვა უცბად გაკვირვებით პორფირი პეტროვიჩმა.

თვითონ ხმაზედვე ეტყობოდა ამ ჟამად აშკარათა, რომ რაღაცა რამ ჰქონდა გულში დაფარული.

— იქნება ჩვენი ალენა ივანოვნაც რომელმამე ნაპოლეონმა ასჩეხა ცულით წარსულს კვირასა? — წამოიძახა უცბად კუთხიდამ ზამეტრავმა.

ჩუმად და პირდაპირ შეჰყურებდა რასკოლნიკოვი პორფირისა. რაზუმინიც როგორლაც მოიღუშა. წინადაც თითქლს რაღაც ეჩვენა, მაგრამ გარკვევით არა. გაჯავრებულმა მიმოიხედა აქეთ-იქითა. ერთს წამას ასე იყვნენ დალვრემილნი, გაჩუქრებულნი. მობრუნდა რასკოლნიკოვი, წასვლა დააპირა.

— რაგორ, მიბრძანდებით კიდევაც! — მიეხმატკბილა პორფირი და ალერსით ხელი გაუწოდა. — მოხარული ვარ ძალიანა, რომ გაგიცანით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას, ეპვიც ნუ გექნათ. დასწერეთ, როგორც გითხარით და... მაგრამ უმჯაბესია, თითონ შემომიაროთ როგორმე... ამ დღეებში, მაგრამ იქა... აი, თუნდ ხვალა. ასე, დილის თერთმეტს საათზედ უთუოდ იქ ვიქნები. და ყველაფერს გავაკეთებთ... ვილაპარკებთ კიდეც... იქნება, როგორც უკანასკნელიად იქ მყოფია, გაგვაგებინოთ რამე კიდეცა... დასძინა გულკეთილად ვითოშ.

— როგორ, გინდათ ოფიციალურად გამოიძიოთ და გამომკითხოთ? — დაეკითხა მკვაბედ რასკოლნიკოვი.

— რათაო, რას ბრძანებო? ჯერ ეგ, აბა, რა საჭიროა. ჩემი ნათეჭამი ვერ გაიგევით. იცით, რა არის, არ გამომრჩომია არავინ, ვისაც კი რამე ჰქონდა დაგირავებული, რომ... არ მელაპარაკნა... და ჩვენება არ ჩამომერთმია... თქვენ-კი, როგორც უკანასკნელი... მართლა, რა უნდა მეთქვა! — შეჰყვირა უცბად გახარებულმა. — კარგია მომაგონდა!!! და რაზუმინის მიუბრუნდა. — გახსოვს, იმ ნიკოლაშვათი კინაღამ

გამომაყრუე... მე კი ორ ვიცი, განა, ვიცი,— მიუბრუნდა რასკოლნიკოვსა, რომ უდანაშაულოა სრულიად, მაგრამ რას იზამთ, იგერა მიტკაც კი შევაწუხევით... საქმე, აი, რაშია: კიბეზე ავლისას... მითხარით, გეთაყვათ, მერვე საათზე იყავით თქვენა, განა?

— მერვეზე,— უპასუხა რასკოლნიკოვმა, მაგრამ იგრძნო მაშინვე უკმაყოფილება, რომ შეეძლო არც ეთქვა ესა.

— რომ აიარეთ მერვე საათზედა, ხომ არ გინახავთ მეორე სართულის ღია ბინაში,— მოიგონეთ აბა? ორი მუშა, ან ერთი რომელიმე მათგანი? იატაკს წამალს უსვამდნენ, ხომ არ შეგინიშნავთ? ეს მათთვის შეტად საჭირო არის!..

— მხატვრები? არა, არ მინახავან — უპასუხებდა მძიმედ რასკოლნიკოვი, თითქოს იგონებსო და თან მთელის თვისის არსებით სცდილობდა, რაც შეეძლო, გამოეცნო, რასა პნიშნავდა ეს ხაფანგი, ან ხომ არა გამოეპარა-რა? — არა, არ მინახავან და არც ღია ბინა შემინიშნავს... მეოთხე სართულში კი, მახსოვს, (აქ კი მიუხვდა, რა ხაფანგსაც უგებდნენ და გამარჯვება გაიხარა) ვიღაცა მოხელე გადადიოდა ბინიდამა... ალენა იგანოვნას პირდაპირ მდგომი... მახსოვს... ეს კარგად მახსოვს... რაღაცა დივანი გამოჰქონდათ ჯარის-კაცებსა და კინალამ კედელზე მიმჭყლიტეს... მხატვრები კი, არა, არ მახსოვან, ჩომ ყოფილიყვნენ... და არც ღია ბინა ყოფილა საღმერ ვგონებ. ღიახ, ღიახ, არა ყოფილა...

— შენ რაღა დაგემართა? — შეცყვირა უცბად რაზემიხინმა, თითქოს ეგ არის გონს მოვიდა და მოისაზრაო. — მხატვრები თვითონ მკვლელობის დღესა მუშაობდნენ, ეს კი სამის დღის წინად იყო იქა? რას ეკითხები, მაშა?

— ფუჟ, გადავრიე! გაითხლაშუნა შუბლში ხელი პორფირი-რიმა. — ეშმაკმა იცის ამ საქმის თავი და ბოლო, ლამის არის მთლად გამოვყრუვდე! — მიწმართა რასკოლნიკოვსა, თითქოს ბოდიშს იხდისო. — საჭირო არის ძალიან, ვიცოდეთ, მერვე საათზე იმ ბინაში ხომ არავის უნახავს ეს მუშები და, წარმოიდგინუთ, მეგონა, ვითომ თქვენც შეგეძლოთ რისამე თქმა ამის შესახებ... მთლად გადვირიე!

— კიდეც ეგ არის, აბა, უნდა ყურადღება იქონიო თუ, არა? — შეჭნიშნა დალვრემით რაზუმიხინმა.

დერეფანში რყვნენ უკვე, რაზუმიხინმა რომ ეს უთხრა. პორფირი პეტროვიჩმა კარებამდე ალექსიანად და თავაზიანად მიაცილა. რასკოლნიკოვიც და რაზუმიხინიც ორთავ დალვრემილები გამოვიდნენ ქუჩაში. რამდენსამე ხანს ხმა არ გაუციათ ერთმანერთისთვის. ბოლოს, როგორც იყო, ღრმად ამოისუნთქა რასკოლნიკოვმა...

## VI

—...არ მჯერა! და ვერც მირწმუნებია! — იმეორებდა გაოცებული რაზუმიხინი და სცდილობდა რასკოლნიკოვის საბუთები დაერღვია.

ბაკალევრის ნომრებს მიადგნენ უკვე, სადაც პულხერია ალექსანდროვნა და დუნია დიდი ხანია უცდილნენ. აღელვებული და შემკრთალი იმითი, რომ პირველად იწყეს ასე გამოტეხითა და აშკარად ლაპარაკი, რაზუმიხინი გზა-და-გზა ერთ-თავად ცხარედ ლაპარაკობდა და წამდაუწუმა დგებოდა.

— ნუ გჯერა და ნუ დაიჯერებ! — ეუბნებოდა გულცივისა და დაუდევარის ღიმილით რასკოლნიკოვი. ჩვეულებისამებრ შენ ვერას ატყობდი; თორემ მე უველა სიტყვას კარგად გავუგე დაფარული აზრი.

— ეგ იმიტომ, რომ ეჭვიანი ხარ, უნდობი... ჰმ!.. მაგრამ გეთანხმები, უცნაური იყო კილო პორფირი პეტროვიჩის ლაპარაკისა და განსაკუთრებით გაიძვერა ზამეტოვისა! .. მართალს ამბობ, რაღაცა ჰქონდა დაფარული. მაგრამ რაზაო, რათა?

— ლამე გადაუფიქრია.

— პირ-იქით, პირ-იქით! მართლა რომ ასეთი საზიზდარი და უგუნური აზრი ჰქონდათ; ეცდებოდნენ უთუოდ დაემალათ როგორმე და არავისთვის რა გაეგებინებინათ, რომ უფრო

მაგრა ჩაეჭირათ ხელი... ახლა კი საძაგლობა და გაუფრთხილებლობაა ესა!

— მართლა რომ ფაქტები ჰქონდათ, ნამდვილი ფაქტები, ან რამდენადმე საბუთიანი ეჭვი, რასაკვირველია, უთუოდ დაპირავდნენ, რომ ამითი მეტად მოეგოთ (თუმცა გაჩხრეკვით დიდი ხანია უთუოდ გამჩხრეკავდნენ!). მაგრამ ეგ არის, რომ არც ერთი ფაქტი არ მოეძევებათ, ყველაფერი მონაჩვენებია, ორ-აზროვანი და საეჭვო; გუმანი აქვთ მხოლოდ, სხვა არას-ფერი,—ამიტომაც არის, რომ სცდილობენ ასე გაიძვერობით როგორმე გზა-კვალი ამიბნიონ და ხაფანგში გამაბან; ან იქნება ბრაზობს, რომ ფაქტი არა უჭირავს-რა ხელში და იმის ტომ ვეღარ შეიმაგრა თავი. ან იქნება სხვა რამ განზრახვა აქვს... ეტყობა, ჭკვიანი კაცია... იქნება უნდოდა შევეშინებინე, რომ რაღაცა იცის... აქ, ძმაო, თავისებური რამ. ფსიხოლოგია... მაგრამ ყველა ამისი ახსნა და განმარტება საშაგლობაა. თავი დამანებე!

— და მასთან შეურაცხმყოფელიც! მესმის, რაც გინდა სთქვა! მაგრამ... რაკი ასე გულახდით ვლაპარაკობთ და აღარა ვმალავთ არასფერს (საუცხოვოა სწორედ, ძალიან მომწონს და მიხარიან!), გამოგიტყდები, ძმაო, რომ დიდი ხანია შატყობლი რაღაცა ფარულს აზრს, გულში დამარხულს, მაგრამ რათაო, რათ უნდა ჰქონდათ ასეთი აზრი! როგორ ჰბედავენ? სადა აქვს, ნეტა, ფეხსვები ამ ეჭვს გადგმული? რომ იცოდე, როგორ ვგრაზობდი! როგორ: ლარიბი, ხელმოკლეობისა და იპოხონდრიისაგან დამონავებული და შეწუხებული სტუდენტი, ავადმყოფობის წინა დღით, რომელიც შეიძლება დაწყებულიც ჰქონდა უკვე, ეჭვიანი, თავმოყვარე და თავისის თავის ფასისა მცოდნე, რომელსაც მთელი ეჭვით ვე ადამიანი არ უნახავს თავისს ქოხში, ძმნებსა და ძირებ გაგლეჯილს წალებში გამოწყობილი ითმენს ყოველგვარს შეურაცხყოფას ვიტაცა უბნის ზედამხედველის თანა შემწისაგან, აქვე მოულოდნელად საიდამლაც ნადვორნი სოვეტნიკის ჩებაროვის ვადაგასული ვექსილი და ვალი აუჩნდება.

შეხუთული წამლის სუნი, ოც-და-ათი გრადუსი სიცხე, აყრო-ლებული, დახშული ჰაერი, ხალხის გროვა და ამბავი ვიღა-ცა ბებრუხანას მკვლელობისა, რომელთანაც მხოლოდ წინა დღით იყო საცოდავი და მასთან ცალიერი, გამოფიტული კუჭი!.. მითხარით, როგორ არ შეულონებდა გულსა! და მერე, ყველაფერი ამაზე დაამყარეს! ეშმაკმა იცის იმათი თავი! მეს-მის, რასაკვირველია, გულმოსაყვანია ყველა ეს, მაგრამ შენს ადგილს რომ ვიყო, როდიონ, ყველას სასაცილოდ ავიგდებ-დი მხოლოდ, ან-და უფრო უკეთესი: ყველას პირში მივა-ფურთხებდი, შევარცხვენდი; მერე ძექთ-იქით ყველას ალი-ყურს ვაჭმევდი, რაც ჩემის აზრით არასოდეს არ არის მეტი და გავათავებდი, მორჩა. მიაფურთხე, ყურს ნუ უგდებ! გა-მხნევდი, არა გრცხვენიან.

„კარგათ ასწერა, არა უჭირს-რა,“ გაიფიქრა რასკოლ-ნიკოვმა.

— მივაფურთხო? და ხვალ-კი ისევ გამოძიება მოახდინ-ონ! — ჩაილაპარაკა მწარედ რასკოლნიკოვმა. — ნუ-თუ ვიკა-დრო და ახსნა და განმარტება დავუწყო? იმასაც ვწუხვარ, რომ გუშინ ზამეტოვს გამოველაპარაკე ტრაქტირში...

— ეშმაკმა იცის იმათი თავი! წავალ, პორტირის ვნა-ხავ! და ცრთი ლამაზად შევახურებ ნათესაგურად: დეე, ყვე-ლაფერი ამიხსნას, გამაგებინოს! ზამეტოვს-კი, ვიცი, რასაც...

„ძლივას არ მიჰხედა!“ გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

— მოიცა! შეჰყვირა რაზუმიხინმა და უცბათ მხარში ხელი წაავლო. მოიცა! ვიცი, იცრუე! რის გამოცდა? რის გამოტეხვა? ამბობ, მუშებზედ განვებ დაიწყო გამოკითხვა, რომ ჩავეჭირეო? მაგრამ იფიქრე, აბა: რომ მართლაც შენი ჩადენილი ყოფილიყო საქმე, გამოტყდებოდი, განა, რომ ნახე, როგორ უსვამდნენ მუშები წამალს იატაკსა?.. პირ-იქთ: იტყოდი უთუოდ, რომ არავინაც არ გინახავს, თუნდაც გენახა კიდეც! ვინ გიჟი იზამს მაგასა, რომ თვითონვე გა-მოტყდეს?

— ვიტყოდი უთუოდ, რომ ვნახე მუშებიცა და პინაკა-  
მეთქი, მართლა რომ მე ჩამედინა მკვლელობა, — უპასუხა  
როგორლაც უგულოთა და ზიზღით რასკოლნიკოვმა.

— მერე, რათა, რათ უნდა გეთქვა?

— რათა და იმათ; რომ მხოლოდ ხეპრე და გამოუცდე-  
ლი ხალხი უარჲყოფს ხოლმე ყველაფერს გამოძიების დროსა.  
ოდნავ განვითარებული და ნაცადი კაცი-კი უთუოდ გამო-  
ტყდება ყველაფერს იმაში, რაც გარევნობით აუცილებელია.  
ეგ არის მხოლოდ ნაჩვენებს მიზეზსა და ნიადაგს სხვას უძე-  
ბნის, სხვა რიგადა ჰესნის, სხვა მნიშვნელობას აწერს. პორტ-  
ირიც ამიტომ ფიქრობდა; ვითომ გამოვუტყდებოდი სიმარ-  
თლის გულისათვისა, მაგრამ სხვა რიგად როგორმე ავხსნიდი...

— მერე, არ გეტყოდა მაშინვე, განა, რომ ორის დღის  
წინად მუშები სულაც არ იყვნენ იქა; მაშასადამე, თუ ყო-  
ფილხარ და გინახავს, სწორედ მკვლელობის დღესა ყოფი-  
ლხარ, მერვე საათზედა? და დაგიჭერდა უბრალოზედა.

— დიახ, დიახ! ეგონა ვეღარ მოვასწრებდი მოფიქრებას.  
და დავივიწყებდი, რომ ორის დღის წინად მუშები არ იქნე-  
ბოდნენ იქა, მაგრამ არ მოხდა აგრე.

— ან-კი როგორ უნდა დაგევიწყნა?

— მაგაზედ ადვილი რა არის? მაგისთანა უბრალო რა-  
მეზედ არ არის ხოლმე, რომ იბნევიან გამოცდილები და  
გონიერები. რაც უფრო გამოცდილი და ეშმაკია კაცი, მით  
უფრო ნაკლები ეჭვი აქვს, რომ უბრალოთ დაიჭერენ. ამი-  
ტომაც სცდილობენ ხოლმე უბრალოდ გამოტეხვასა. არც ისე  
ტუტუცია პორტირი, შენ რომ გგონია..:

— საზიზღარი გაიძვერაა, მაშ, თუ აგრეა!

ვეღარ შეიმაგრა თავი რასკოლნიკოვმა, გაეცინა. მაგრამ  
უცნაურად ეჩვენა მაშინვე, რომ ისრე ხალხისიანადა და  
ალფროვანებით უხსნიდა ახლა, მაშინ როცა წელან დალვრე-  
მილი ელაპარაკებოდა, უგულოდ, თითქმის ზიზღითა.

„ზოგიერთა მოხლის შესახებ როგორ ვხალისობ განმარ-  
ტებასა“! გაიფიქრა თავისითვის.

მაგრამ იმავ წაშს როგორდაც უცბად მოუსვენრობა და-ეტყო, თითქოს მოულოდნელმა რამ მწვავე ფიქრმა გაუელვაო მღელვარება და მოუსვენრობა თან-და-თან ემატებოდა. უკვე ბაკალევრის ნომრების შესავალს გაუსწორდნენ.

— შედი, — უთხრა უცბად რასკოლნიკოვმა, — მეც ახლავ მოვალ.

— სად მიხვალ, რა დროსია? მოვედით კიდევაცა!

— საქმე მაქეს, საქმე... ნახევარ საათს შემდეგ უთუოდ მოვალ... ასე უთხარი.

— შენი ნებაა, მაგრამ მეც გამოგყვები!

— როგორ, გინდა შენც იმათსავითა მტანჯო! — შეჲყვი- რა ისეთის სიმწარითა და სასოწარკვეთილებით რასკოლნიკოვ- მა, რომ რაზუმინინი მთლად გაშრა. რამდენსამე ხანს გაშტე- რებული იდგა რაზუმინინი ნომრების შესავალთანა და გასც- ქეროდა, როგორ საჩქაროდ გასწია რასკოლნიკოვმა თავისს ქუჩის შესახვევისაკენა. გააღრციალო მერე კბილები, მოკუმშა მუშტები და დაიფიცა იქვე, რომ ლიმონისავით გამოსწურავდა პორფირისა. და საჩქაროდ ზემოდ გასწია, რომ ლოდინისა- გან შეღონებული პულხერია ალექსანდროვნა დაემშვიდებინა როგორმე.

სახლს რომ მიუახლოვდა რასკოლნიკოვი; საფეთქლებ- ზედ უკვე ოფლი დაპსკდომოდა, ძლიერ-ლა ჰსუნთქავდა. ავიდა საჩქაროდ კიბეზედ, შევიდა თავისს კარტაუკეტელს ოთახშია და შაშინვე შიგნიდამ კარები გადაირაზა. მიპვარდა მერე შეშინე- ბული და გადარეული ოთახის იმ კუთხესა, საცა მაშინ ნივ- თები ელაგა და რამდენსამე წაშს გულ-დასმით ურევდა შპა- ლერს ქვეშ გამოლრუტნულში ხელსა. წამოდგა, რომ ვერა იპოვა-რა და მძიმედ და ლრმად ამოისუთქა. წელანვე, ბაკა- ლევევის ნომრებთან რომ მივიდნენ, წარმოუდგა უცბად, რომ შესაძლებელი იყო რაიმე ნივთი, ძეწკვი, ან ქალალდი ჩაპრ- ჩენოდა, რომელზედაც ბებრუხანას ხელით იქნებოდა რამ წა- წერილი და მოულოდნელად გამტყუვნდებოდა, დაიღუპებოდა.

იდგა ასე ჩაფიქრებული და რაღაცა უცნაური, დამამცი-  
რებელი და უგუნური ღიმი უქროდა ტუჩებზედა. ღაავლო  
ბოლოს ხელი ქუდსა და ჩუმად გამოვიდა ოთახიდამა. აზრე-  
ბი ერეოდა. დაფიქრებული მიღიოდა ეზოს კარების გასავალში.

— აგრია, თვითონ ისინიც! — დაიძახა ვიღამაც ხმა-მალლა,  
რასკოლნიკოვმა თავი ასწია.

თავისს ქოს წინ იდგა მეეზოვე და ვიღაცა შუატანის  
კაცს უთითებდა რასკოლნიკოვზედ. ტანთ უცნობს (გარეგნო-  
ბით მოქალაქეს) რაღაცა ხალათის მზგავსი კაბა და ჟილეტი  
ეცვა, შორიდგან დედაკაცს წააგავდა. გაპოხილი ქუდი ეხურა,  
თავი ძირს ჩაეკიდა, მოკუზულიყო თითქოს. დაძაბუნებული,  
დანაოჭებული სახე უმტკიცებდა, რომ ორმოც-და-ათს წელს  
იყო გადაცილებული. წვრილი, ჩამძვრალი თვალები ნაღვ-  
ლიანად, სასტიკად და უკმაყოფილოდ გამოიყურებოდნენ.

— რა იყო? დაუკითხა რასკოლნიკოვი მეეზოვესა.

კაცმა როგორლაც გვერდზედ გადაჭხედა და ქვეშ-ქვეშ  
დაუწყო მძიმედ და ჟურადლებით თვალიერება. მობრუნდა  
მერე ისევ მძიმედ და ეზოდამ გარეთ გავიდა, არა უთქვამს-რა.

— რა იყო, მაინც! შევჭიდო რასკოლნიკოვმა.

— რა, ვიცი, ვიღაცა იყო, გკითხულობდათ: აქა დგას  
ესა და ეს სტუდენტი, ვისთანა სცხოვრობსო. ამ დროს თქენც  
ჩამოხვედით, დავანახვე, აგრე ისინიც-მეთქი და წავიდა. ჰე-  
დავთ, მიღის.

მეეზოვეც გაოცებული იყო ცოტათი, მაგრამ იფიქრა  
პატარა ხანსა და თავისს ქოხში შეძრა ისევა.

გამოუდგა მაშინვე რასკოლნიკოვი და დაინახა მალე,  
რომ ქუჩის მეორე მხარეს შიღის თავ-ჩაკიდული მძიმედა,  
თითქოს რაღასაც ფიქრობსო. მალე კიდეც წამოეწია, მაგრამ  
არა უთხრა-რა, რამდენსამე ზანს უკან მისდევდა; გაუსწორ-  
და ბოლოს და მიმავალს გვერდიდამ შევხედა სახეში. კაც-  
მაც მაშინვე შევნიშნა, საჩქაროდ აავლ-ჩაავლო თვალი,  
მაგრამ ისევ ჩაჰკიდა თავი და ერთ ხანად ასე მიღიოდნენ ერ-  
თი მუორის გვერდითა, არც ერთს, არც მეორეს კრინტი,  
ხმა არ დაუძრავთ.

— თქვენა მკითხულობრით... მეეზოვესთანა? — ჩაეკითხა ბოლოს რასკოლნიკოვი, მაგრამ როგორლაც გაუბედავად, ჩუმად.

კაცმა ხმა არ გასცა, არც-კი შეპხედა. გაჩუმდნენ ისევ.

— რასა ჰგავს... მოღიხართ, მკითხულობთ... და მერე-კი ხმას აღარ იღებთ... რას ჰნიშნავს?

სიტყვებს როგორლაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ბუნდად ამ-ბობდა, ხმა უწყდებოდა რასკოლნიკოვსა.

ახლა-კი აიხედა კაცმა და დაღვრემილმა გესლიანად გა-დაპხედა რასკოლნიკოვსა. ბოროტის მომასწავებელი იყო როგორლაც ეს შეხედვა.

— მკვლელო! — ჩაილაპარაკა უცბად წყნარად, მაგრამ გარკვევით უცნობმა.

გვერდით მისდევდა რასკოლნიკოვი. ფეხები საშინლად დაუუძლურდა, წელში ცივმა ურუანტელმა დაურბინა, ერთ წამას გულიც აღარ უცემდა თითქოს. მერე-კი უცბად სა-შინელის ძალით დაუწყო ძეგრა, თითქოს ეგ არის უნდა გადჰმოვარდესო. ასე გაიარეს ერთად ასიოდე ნაბიჯი, არც ერთს ხმა არ ამოულია.

კაცი სულაც არ უყურებდა.

— რას ამბობთ... რასა... ვინ არის მკვლელი? — წაიღუ-დუნა ოდნავ რასკოლნიკოვმა.

— ვინა, და შენა — გაუმეორა კვალად გარკვევით და მოურიდებლად მტკიცედ უცნობმა, თითქოს კმაყოფილია, რომ ამხილაო და ისევ პირდაპირ შეპხედა გაფითრებულს სა-ხესა და ჩახოცილს თვალებში.

ჯვარედინა ქუჩას მიადგნენ. უცნობმა მარცხნივ შეუხ-ვია, რასკოლნიკოვი-კი შედგა იქვე და დიდხანს გაპყურებდა მიმავალსა. დაინახა აგერ, რომ შედგა ბოლოს უცნობი, ასე ორმოც და ათი ნაბიჯა რომ გაიარა, შემობრუნდა, გამოპხე-და რასკოლნიკოვსა, რომელიც ისევ ისე იდგა უძრავად. იშ აღგილასა და გაარჩია თითქოს, რომ წელანდელივით სიმძუ-ლვარით, ცივად გაუდიმა.

ნელისა და სუსტის ნაბიჯით დაბრუნდა მუხლებ-აკან-კალებული რასკოლნიკოვი თავისს ქოხში, მოიხადა ქუდი, დასდო მაგიდაზედა და ათიოდე წამი უძრავად უდგა გვერდითა. წამოწვა მერე დაუძლურებული და მოწყვეტილი დივანზედა და სუსტად ამოიკვენესა. თვალები დახუჭული ჰქონდა. ასე იწვა ნახევარს საათსა. მაგრამ არასფერს არა ფიქრობდა.

მოსდიოდა მხოლოდ რაღაცა უთავბოლო და ნაწყვეტ ნაწყვეტი ფიქრები, ჰქედავდა ვიღაცა ბავშვობის დროს ან ერთხელ საღმე ნანაბ ხალხის სახეებსა, რომლებსაც უთუოდ ვერასოდეს სხვა დროს ვერ მოიგონებდა. აგერა ჰქედავს: ვ-ს საყდრის სამრეკლოსა; სადღაც ტრასტირში ბილიარდსა და მის გვერდით ვიღაცა ოფიცერსა; სადღაცა ძირის სართულში თამბაქოს დუქნიდამ ციგარის სუნი მისდის; აგერა სასმელი დუქანიც, შავი და ბნელი კიბე, მთლად წუმპე-ტალასითა და კვერცხის ნაჭუჭებით სავსე; საიდამლაც სადღესასწაულო ზარების რეკვა ისმის... საგნები ერთმანერთს გრიგალივით სწრაფადა სცვლიდნენ. ზოგიერთა მათგანი მოსწონდა კილეც, მაგრამ უცბად ისევა ჰქრებოდა. საზოგადოდ რაღაცა აწვა გულზედა, მაგრამ ძალიან-კი არა. იშვიათად კარგათაც ჰქრძნობდა თავსა... ცივი ჟრუანტელი მაინც უფლიდა, მაგრამ ესაც თითქოს იამებოდა.

უცბად რაზუმიხინის ჩქარი ნაბიჯი და ხმა შემოესმა, მაგრამ მაშინვე თვალები დაპატიჟა, თავი მოიმშინარა. გამოაღო კარი რაზუმიხინშა, მაგრამ რამდენსამე ხანს ასე იდგა კარებში, რაღასაც ფიქრობდა. შევიდა მერე წყნარის ნაბიჯით ოთახში და დივანთან მივიდა. რასკოლნიკოვი ნასტასიას ჩურჩული შემოესმა:

— ნუ გააღვიძებ, დაე ეძინოს; შერე სკამს.

— მაინც რომ, — უპასუხა რაზუმიხინმა.

ორივე ფრთხილად გარეთ გავიდა, კარი გაიხურეს. გაჰვლო კილევ ნახევარ საათმა. გაახილა თვალი რასკოლნიკოვმა, გადაბრუნდა გულაღმა, ხელები თავს უკან დაიწყო.

„ვინ არის, ნეტა? საიდამ გატყვრა? კამ ჰშვა თუ დელამიწამა? სად იყო, ან-და რა ნახა? მაგრამ, ეჭვი არ არის, ყველაფერი უნახავს, მაგრამ სად იდგა, ნეტა, და საიდამ იცქირებოდა? ან რაღა ახლა ამოძვრა დედამიწიდამა? მაგრამ საიდამ უნდა ენახა,— შესაძლებელია, განა?.. ჰმ!...— განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თანა თრთოდა, კანკალი იტანდა.— მაგრამ ნიკოლამ რომ კარებს უკან ნივთის ბუდე იპოვნა: განა, ეს-კი შესაძლებელია? მამხილებელია? მეასე ათასს რაღაცა ნაჩვრეტს გამოაპარებ და ვნახოთ, უცბად უზარ-მაზარი რამ მამხილებელი ფაქტი გამოგეჭიმება წინა! ბუზი გაფრინდა, მაგრამ დაინახაო! ნუ-თუ მართლა შესაძლებელია?“

და იჯრძნო უცბად, რომ საძაგლად მოეშვა, დასუსტდა.

„უნდა მცოდნოდა, რომ ასე იქნებოდა,— ფიქრობდა მწარე ღიმილით. — როგორ გავბედე ან-კი, ჩემის თავის ამბავი რომ ვიცოდი, რომ ავიღე ცული და სისხლი დავლვარე. წინადვე უნდა მცოდნოდა... მაგრამ, ეჭ, არ ვიცოდი, განა!..“ წაიბუტბუტა სასოწარკვეთილმა.

ზოგჯერ რაღაც რამ ფიქრი მოუვლიდა და გარინდდებოდა ხოლმე სულ მთლადა.

„სჩანს, ისინი სხვა რიგად არიან შექმნილნი; ვინც ნამდვილად უფრდა და ვისთვისაც ყველაფერი ნებადართულია, როდი რასმე ერიდება: აოხრებს ტულონს, პარიზში ხალხსა ჰელეტს, ეგვიპტეში მხედრობას ივაჭეუბს, ნახევარ მილიონს. ხალხს მოსკოვის ლაშქრობაში ჭდუბავს და მერე ორჭოფ სიტყვებით თავს აძვრენს ვილნოში. მაგრამ სიკვდილის შემდეგ მასვე უდგამენ ძეგლებსა: მაშასაღამე, მისთვის ყველა ნებადართულია. არა, ეტყობა, ხორცის მაგივრად ბრინჯაოს ტანი ჰქონია!“

„ნაპოლეონი, პირამიდები; ვატერლოო, — და იქვე გამხდარ-გამხდარი, საძაგელი რეგისტრატორის ქვრივი, მევახშე ბებრუხანა, რომელსაც ტახტი ქვეშ, კუნკულში, წითელი ყუთი უდგია, — როგორი რამ მოსანელებელია თუნდაც პორფირი ჰეტროვიჩისათვისა!.. საიდამ, სადაო! როგორ მოინელე

ბენ!.. ესტეტიკა დაუშლით ხელსა: „განა ნაპოლეონი ბებრუ-  
ხანას ტახტ ქვეშ შეძვრება!.. ეჭ, რა საძაგლობაა!..“

დრო-და-დრო ჰერმინბდა, რომ ჰბოდავდა კიდევა თით-  
ქოს; როგორლაც ციებიანიყით ჰბორგივდა, მოუსვენრობდა.

„ბებრუხანა სისულელეა!—ფიქრობდა როგორლაც აჩქა-  
რებით და ფიცხად.—იქნება მართლა შეცდომაც იყოს, ბებრუ-  
ხანა მხოლოდ ავაღმყოფობა იყო... რომელიც მინდოდა  
საჩქაროდ გადამელახა... პრინციპი მოვკალი და არა კაცი!  
პრინციპი, მართალია, მოვკალი, მაგრამ არ გადამილახავს-კია,  
გამოლმა დავრჩი... მოკვლა მოვახერხე მარტო! მაგრამ ესაც  
თურმე ვერ მოვახერხე... პრინციპი? რისთვის ჰლანძლავდა  
წელან ტუტუცი რაზუმიხინი სოციალისტებს. შრომის მოყვარე  
და ვაჭარი ხალხია; „საზოგადო ბედნიერებას“ ემსახურებიან.  
არა, სიცოცხლე მხოლოდ ერთხელა მაქვს ნაჩუქები, მეტს  
ველარ ველირსები: არა მსურ- „საზოგადო ბედნიერებას“  
ვუცადო. მინდა თვითონაც ვიცოცხლო, თორემ თუ ასე  
არ იქნება, სჯობს სულაც მოვსპონ სიცოცხლე. რა არის რამა?  
არ მინდოდა მხოლოდ მშიერი დედის წინ გამეარა ჯიბეში  
მაგრა დაბლუჯულის მანეთითა, რა არის, „საზოგადო ბედნი-  
ერებას“ ველი-მეთქი. „მეც ჩემი აგური მიმაქვს საზოგადო  
ბედნიერების დასამყარებლად ვითომ, და იმიტომა ვარ გულ-  
დამშვიდებული-მეთქი“. ხა, ხა, ხა! რისთვის გამიშვით მერე?  
მეც მარტო ერთი სიცოცხლე მაქვს ხომ, მინდა... ეჭ, ესტე-  
ტიური ტილი ვარ და სხვა არასფერი“, —დასძინა უცბად და  
შეშლილივით გაეცინა.— „დიახაც რომ ტილი ვარ, —იმეორებდა  
როგორლაც ბოროტის კმაყოფილებით და თან ამ ფიქრს  
ევლებოდა, ეთამაშებოდა, — თუნდაც მარტო იმიტომ, ჯერ  
ერთი, რომ ვფიქრობ—ტილი ვარ-მეთქი; მეორე იმიტომ,  
რომ მთელი თვეა აგერ ყოვლად მწყალობელს განგებას  
ვაწუხებდი, ვითომ ჩემთვის-კი არა ვსჩადიოდი ამას, სხვა რამ  
საუცხოვო აზრი მქონდა, —ხა-ხა-ხა! მესამე, იმიტომ, რომ  
მინდოდა ასრულების დროს რაც შეიძლება სამართლიანად და  
ზომიერად მოვქცეულიყავ: ავირჩიე განგებ კველაზედ უსარ-

გებლო ტილი და მოკვლის შემდგომ წამოვიდე მხოლოდ იმდენი, რაც პირველ ხანად დამჭირდებოდა, მეტი არა (დანარჩენი, რასაკვრელია, ანდერძისამებრ მონასტერს მოჰქმარდებოდა—ხა-ხა-ხა!...). იმიტომა ვარ კიდევ ტილი,—დასძინა კბილების ღრუბილითა,—რომ, ვინ იცის, იქნება მე უარესიც ვიყო, ვიდრე მოკლული; და წინადგე გგრძნებიდა ამასა, რომ ასე ვეტყოდი მკვლელობის შემდეგ ჩემს თავსა! დიახ, ნუ-თუ ამ საზარლობას შეედრება და რამ! ოჯ, საზიზლრობავ! ოჯ, საძაგლობავ!.. ოჯ, როგორ მესმის ბუნება ხმალ-ამოწვდილ ცხენოსან „წინასწარშეტყველისა!“ გიბრძანებს ალლაპი და ჰმორჩილე მას „მთრთოლვარე ქმნილებავ! მართალია „წინას-წარმეტყველი“, სადმე ქუჩაში რომ ლამაზს ბატრეასა სდგამს და ბრალიანსა თუ უბრალოს ბრეს ადგენს და განმარტების ღირსადაც-კი არავისა სთვლის! ემონე, მთრთოლვარე ქმნილებავ,—მაგრამ ნუ ისურვებ ნურასფერს, იმიტომ, რომ ნატვრა და სურვილი შენი საქმე არ არის!.. ოჯ, არაფრის გული-სათვის ბებრუხანას არ ვაპატიებ!“

ოფლისაგან თმები მთლად დაპირებოდა, მთრთოლვარე ტუჩები სიცხიანივით შეჰქმობოდა, მაღლა ჭერს მიკშტერებოდა.

„დედა და და,—როგორ მიყვარდნენ! ახლა რაღათა მძულან! დრახ, მძულან; მეჯავრებიან ჩემ გვერდით რომა ვხედავ... მახსოვს, მივედი წელან და დედას ვაკოცე... ეხვეოდე და ჰფიქრობდე, რომ იცოდესო ის.. ვუთხრა, მაშა! ჩემგან ესაც მოსალოდნელია... ჰმ! ისიც უთუოდ ისეთი უნდა იყოს, როგორიც მე ვარ, დასძინა ძალდატანებით, თითქოსა სცდილობს გონს მოვიდეს, ბოდვეს თავი დააღწიოს.—ოჯ, როგორა მძულს ბებრუხანა! მგონი, მეორეთ მოვკლავდი, ცოცხალი რომ იყოს! საბრალო ლიზავეტა! საიდამ გაჩნდა უბედური!.. მაგრამ უცნაურია სწორედ, რატომ იმაზედ-კი არასა ვფიქრობ, თითქოს სულაც არ. მომეკლას!.. ლიზავეტა! სონა! საბრალო, მშვიდობიანი, წყნარი არსებანი!.. რატომ არა სტირიან? რათ არ კვნესიან?.. ყველაფერს სხვას

სწირავენ... წყნარად, მშვიდად იყურებიან... სონა, სონა! წყნარო სონა!..“

გაშტერდა, დავიწყებას მიტყა; ეუცნაურა სწორედ, რომ არ ახსოება, ქუჩაში საიდამ გაჩნდა. გვიანი საღამო იყო უკვე ბინდი ხშირდებოდა. სავსე მთვარე თან-და-თან მეტად აკაშ-კაშებდა არე-მარესა. მაგრამ შეხუთული იყო როგორლაც ჰაერი. ხალხი გუნდ-გუნდათ დადიოდა ქუჩაში. ხელოსანი და საჭმის ხალხი შინისაკენ მიეშურებოდა, სხვები სეირნობდნენ. მტვრისა, კირისა და დანაგუბებ, აშმორებულ წყლის სუნი ტრიალებდა. რასკოლნიკოვი დალონებული და დაფიქრებული მიღიოდა: იცოდა მშვენიერადა, რომ შინიდამ რაღაცა განზრახვით გამოვიდა და უნდოდა საჩქაროდ გაეკეთებინა, რაღაცა იყო, მაგრამ რა, აღარ ახსოვდა. უცბად შედგა და დაინახა. რომ ქუჩის მეორე მხარედამ ვიღაცა კაცი ხელს უქნევს. შემობრუნდა რასკოლნიკოვი და ქუჩის მეორე მხარესაკენ გასწია, მაგრამ კაცი მაშინვე შიტრიალდა და წავიდა, თითქოს აქ არა ამბავიაო. მიღიოდა თავ-ჩაკიდული, უკან მოუხედავად, თითქოს დაძახება აზრალაც-კი არ მოჰსელიაო. „მართლაც-და, ვინ იცის, მიძახოდა-კი?“ გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, მაგრამ გაჰყევა მაინცა. ისე ათ ნაბიჯზედ რომ მიუახლოოვდა, იცნო უცბადა და—შეშინდა. ეს იყო წელან-დელი უცნობი მოქალაქე, ისევ ისრე ხალათში გამოწყობილი და წელში მოკაკული. შორიდამ მისდევდა რასკოლნიკოვი; გული საშინლად უცემდა. ქუჩის შესახვევში შებრუნდნენ,— მაგრამ როდი უცქერის უცნობი. „იცის, ნეტა, რომ უკან მივსდევ?—ფიქრობდა რასკოლნიკოვი. მოქალაქე რომელილაც დიდი სახლის ეზოში შევიდა. მივიდა საჩქაროდ რასკოლ-ნიკოვი ეზოს კარებთანა და ცქერა დაუწყო: მობრუნდება და დამიძახებს, თუ არაო? მართლაც, გაიარა მთელი ეზოს შესა-ვალი და ეზოში რომ გავიდა, მობრუნდა თითქოს და წელან-დელივით ხელი დაუქნია. შევიდა მაშინვე რასკოლნი-კოვიცა, მაგრამ მოქალაქე აღარა სჩანდა. ეტყობოდა, იქვე პირველს კიბეზედ შეეხვია. რასკოლნიკოვიც გამოუდგა, მა-

შინვე. მართლაც-და, ორის კიბით მაღლა ვიღასიც ზომიერი და მძიმე ნაბიჯი გარკვევით ისმოდა. უცნაურია სწორედ, კიბე თითქოს ემცნაურება! აგერა, პირველი სართულის ფანჯარაც; ფანჯრის შუშებში მთვარე მოწყენილია და საიდუმლოებრივ აშუქებს. აგერა მეორე სართულიც. ეჰა! ეს ის ბინაა, მხატვრები რომ წამალს უსვამდნენ... რატომ მაშინვე არ იცნო? წინ მიმავალის კაცის ნაბიჯი შესწყდა: „სჩანს, საღმე შედგა ან მიმალა“. აგერა მესამე სართულიც. კიდევ ავიდეს ზევით? რა სიწყნარეა, საშიშიც-კია... მაგრამ წავიდა მაინც. საკუთარივე ფეხის ხმა აშინებდა. ღმერთო, ოჰ, როგორ ბნელა! მოქალაქე უთუოდ აქვე კუთხეში სატმე მიმალა. ეჰა! ბინა მთლიად ყურთამდე ღიაა. დაფიქრდა პატარა ხანსა და შევიდა. დერეფანში საშინლიად ბნელოდა, არავინ მოსჩანდა, თითქოს ყველაფერი გაუზიდნიათო. ნელ-ნელა, ფეხის თითებზედ, შეიპარა სასტუმროში: ოთახი მთლიად მთვარის შუქით იყო გაკაშკაშებული. ყველაფერი წინანდებურად იყო მოწყობილი: სკამები, სარკე, ყვითელი დიუანი და სურათები, ყველა თვისს ადგრლას იყო. ვერბა, რგვალი, სპილენძივით წითლად გავარვარებული მთვარე პირდაპირ ფანჯრებში იყურებოდა. „მთვარის გამოა ასეთი სიწყნარე,— გაითიქრა რასკოლნიკოვმა,— უთუოდ ამოცნობას რისამე ჰავიქრობს: იდგა ასე დიდ-ხანსა და უცდიდა, დიდ-ხანს უცდიდა; მაგრამ რამდენიც მეტად ყუჩიბდა მთვარე, იმდენად უფრო მეტად უცემდა და სტკიოდა გული. სიჩუმე იყო ირგვლივა. უცბად რაღაცა ხმელი ტკაცუნი გაისმა, თითქოს კვარს რამე აახეთქესო და სიჩუმე გამეფდა ისევ. გაღვიძებული ბუზი, შუშას დაეტაკა უცბად და საცოდავად იწყო ბზუილი. ამ დროს სწორედ პატარა შკაფსა და ფანჯარის შუა, კუთხეში, კედელზედ ჩამოკიდული ქალის წამოსასხამი შეპნიშნა. თითქოს. „რა უნდა აქ წამოსასხამსა? — გაითიქრა. — წინად რომ არ იყო“... მივიდა ნელ-ნელა და შეატყო, რომ წამოსასხამს უკან თითქოს ვიღაცა იმალება. გადასწია ფრთხილიად წამოსასხამსა და დაინახა, რომ კუთხეში სკამი სდგას და სკამზედ

კიდევ ბებრუხანა ზის, მაგრამ მოკრუნჩეული და ისე დაბლა თავჩაკიდული, რომ პირისახე ვერ გაარჩია, თუმცა ის არის, ჰეყდავს. რამდენსამე ხანს ასე იდგა: „ეშინიან!“ გაიფიქრა. გამოიძრო მერე მარყუშიდამ ცული და ერთხელ, მეორედ, მესამედ დაჰკრა თავის ქალაში. მაგრამ უცნაურია: არც კი განძრეულა, თითქოს ხდსააო. შეეშინდა რასკოლნიკოვსა, დაიხარა, ახლოდამ შევხედა. მაგრამ ბებრუხანამაც დაბლა დაიწია, არ შეახედა. ჩაიკეცა მთლად იატაკმდე და ისე შევხედა. სახეზედა, მაგრამ მთლად გაფითრდა, მოკვდა თითქმისა: იჯდა მებრუხანა და ხითხითებდა ჩუმად, რომ რასკოლნიკოვს არ გაეგონა. მოეჩვენა უცბად, რომ საძილო ოთახის კარიც ოდნავ გამოილო და იქაც ისრევე იცინოდნენ, ჩურჩულებდნენ. ბრაზმა აიტანა და დაუწყო, რაც ძალი და ღონე. ჰქონდა, ბებრუხანას ცულის ცემა, მაგრამ სიცილი და ჩურჩული საძილო ოთახში თან-და-თან უფრო მატულობდა და ბებრუხანაც გულიანად ხითხითებდა, სიცილისაგან მთლად ირხეოდა. გაჭცევა დააპირა, მაგრამ დერეფანი და კიბე მთლად ხალხით იყო უკვე გაჭედილი, ზევით, ქვევით, ყველგან ხალხი იდგა და იყურებოდა,— მაგრამ სული გაენაბნათ, რაღასაც უცდილნენ, სდუმდნენ!.. გული მთლად შეეხუთა, ფეხებს ვეღარა სძრამდა, დედამიწაზედ მიეწება თითქოს... უნდოდა დაეყვირა,— მაგრამ გამოეღვიძა.

ღრმად ამოისუნთქა,— მაგრამ უცნაურია სწორედ; თითქოს ისევ სიზმარშია: კარები ყურთამდე ლია აქვს და ვიღაცა უცნობი ყურადღებით აკვირდება.

ჯერ არ გაეხილა მთლად თვალები, რომ უცბად ისევ მოხუჭა. გულთაღმა იწვა რასკოლნიკოვი, არ ინძრეოდა.

„სიზმარში ვარ ისევა, ნეტა, თუ არა?“ ფიქრობდა თავისთვისა და თან ნელ-ნელა წამწამებს ეწეოდა მაღლა, რომ ჩუმად როგორმე გაეხედა: უცნობი მართლაც იქვე იდგა. თვალს არ აშორებდა.

შემოდგა ბოლოს უცნობმა ფეხი, კარები ფრთხილად მიიხურა, მივიდა მაგიდასთანა, ერთს წამას შეიცადა, — მაგ-

რამ თვალს მაინც არ აშორებდა,—და წყნარად, ნელა დი-  
ვანთან დაჯდა სკამზედა.. შლაპა იქვე გვერდით დაიდო იძ-  
ტაკზედა, დაეყრდნო ორივე ხელით ჯოხსა, დაადო ზედ ნი-  
კაპი და დაიწყო ცდა. ეტყობოდა, დიდ-ხანს აპირებდა ასე  
ცდასა. რამდენადაც-კი შეეძლო გაერჩია თვალ-მოხუჭულსა,  
ნახა, რომ უცნობი საკმაოდ ხნიერი, ჩასხმული, ხშირ წვე-  
რიანი, ჭაღარა შერთული კაცი იყო..

— ა ე გაიარა ათმა წამმა. ის, იყო ბინდდებოდა. რთახში  
სრული სიჩუმე იყო. კიბიდამაც-კი არავითარი ჩამი-ჩუმი არ  
ისმოდა. ფანჯარაში მხოლოდ სადღაც ხარაბუზა ეგლებოდა  
შუშასა და ბზუოდა. ვეღარ მოითმინა ბოლოს რასკოლნი-  
კოვმა და წამოჯდა უცბად.

— მითხარით, რა გინდათ, რას მიყურებთ?

— განა, არა, ვფიქრობდი, განგებ იმძინარებს-მეთქი  
თავსა,—მიუგო როგორლაც უცნაურად უცნობმა და გულ-  
დამშვიდებულმა გაიცინა.—ნება მიბოძეთ გაგეცნოთ არკადი  
ივანიჩ სვიდრიგაილოვო.

ან-ანა.

(გაგრძელება იქნება)

# ეკონომიკური ფინანსები

## I

### პრინციპი შრომისა

რა არის ფასი? სადაა მისი წყარო? შეიძლება თუ არა სინათლე მოეფინოს მის საიდუმლოებას? ეს საკითხი უხსოვრის ღროიდგან თავის სატეხი საკოთხი იყო მეცნიერთათვის და, თუმცა ბევრი რამ გამოირკვა მის შესახებ, ჯერაც კიდევ არ არი სისრულით გადაწყვეტილი:

რატომ ფასობს, მაგალითად, ერთი ადლი მაუდი სამ მანეთად? რა არის საერთო ერთ ადლ მაუდსა და სამ მანეთს შორის? ზოგიერთების სიტყვით, ფასთა საზომი სარგებლობაა. სამი მანეთი იმდენადვე სასარგებლოა, რამდენადაც ერთი ადლი მაუდი. ყოვლად შეუწყნარებელი აზრია, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ტავტოლოგიაა. თუ კი სამ მანეთად ერთ ადლ მაუდს ვყიდულობთ, ცხადია, სამი მანეთი აგრეთვე სასარგებლოა, როგორც ერთი ადლი მაუდი. საკითხი მხოლოდ ის არი, რატომ არიან სამი მანეთი და ერთი ადლი მაუდი ერთგვარად სასარგებლონი? აქ სიტყვა „სარგებლობა“ მხოლოდ „სიტყვის ბანზე აგდებაა“, სხვა არაფერი.

ზოგიერთების ფიქრით, თუ ერთი ადლი მაუდი სამი მანეთი ღირს, მიზეზი ამისი ის არის, რომ ერთი ადლის ღამზადება იმდენი ჯდება, რამდენიც სამი მანეთის ოქროს ღამზადება. აქაც „სიტყვის ბანზე აგდებაა“, რადგან გამოურკვეველი საგანი სურთ გამოარკვიონ გამოურკვეველი საგნის

შემწეობით. მართლაც, რატომ ჯდება მაუდის მომზადება ამდენი და არა იმდენი? რაც ერთი აღლის დამზადებაზე დაიხარჯა, ვით შევადაროთ იმას, რაც სამი მანების ოქროს დამზადებაზე დაიხარჯა. მუშებს გარდა, რომელთა დაქირაცვებაც საჭირო იყო ორსავე შემთხვევაში, ხომ სხვა-და-სხვა მასალები იყო საჭირო. მაუდის დასამზადებლად, მაგალითად, მატყლის ძაფი იყო საჭირო, რომელიც სრულიად არ იყო საჭირო ოქროს დასამზადებლად. ოქროს დასამზადებელი მაშინა სულ სხვაა, ვიდრე მაუდის დასამზადებელი. ვით შევადაროთ ერთმანეთს ეს სხვა-და-სხვა მასალები და იარაღები? რა აქვს მატყლის ძაფს საერთო მაშინასთან? მკითხველი ხედავს, რომ ამგვარმა მეთოდმა ერთი ბიჯიც ვერ გადაგვადმევინა წინ, არამედ უკან, იქვე დაგვაბრუნა, საიდანაც გამოვედით. საკითხი იგივე რჩება, მხოლოდ კიდევ უფრო გართულებული და დაბნეული.

უკვლიად შეუძლებელია გავიგოთ წყარო ფასისა ეგრედ წოდებულ მოთხოვნილებითა და შემოძლევითა (ცირისომს և პრედიქენიემს). საკითხი ისევ საკითხად რჩება, ე. ი. გაუგებარი რჩება, რატომ გვაძლევენ ამ თუ იმ სავაჭროს ამ თუ იმ ფასად. ვთქვათ, რომელიმე საქონელი ბევრი დამზადდა, იმაზე მეტი, რაც საზოგადოებას ეჭირვება. მაშინ იგი გაიაფდება. შემდეგ ამისა, რა კი ნაწილი კაპიტალისა იაფი საქონლის წარმოებას თავს დაანებებს. და სხვა საწარმოო ასპარეზე გადავა, საქონელი კვლავ გაძვირდება. ფასთა ამგვარი რევენ აუცილებელია ახლანდელ გარემოებათა შორის. მაგრამ არის ერთი წერტილი, რომლის გარშემოც ირყევა ფასთა სასწორი. ეს არის საშუალო ფასი. რით უნდა გამოვარკვით მისი რაოდენობა? რატომ აქვს ამა თუ იმ სავაჭროს ეს ან ის საშუალო ფასი?

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ის საქონელი, რომელიც შცირეა რიცხვით, ცოტა იშოვება, —ძვირია, რომელიც ბევრი იშოვება, იაფია. ესეც შეუწყნარებელი აზრია. ვთქვათ, ალმასი ცოტაა ქვეყანაზე. ეს გარემოება არაფერს არ გვეუბ-

ნება შესახებ იმისა, როგორ ფასობს აღმასი. ვთქვათ, დედა მიწის ზურგზე ოქრო ათას-მილიონჯერ მეტია, ვიდრე აღმასი. ნუ თუ, ამიტომ, ერთი მისხალი აღმასი ათას მილლიონ მისხალ ოქროდ ელირება? ან, ვთქვათ, ქვეყნათ მოდის წელიწადში ერთი მილლიარდი ფუთი პური და მზადდება იმავე დროს ასი მილლიონი მანეთის ოქრო. ნუ თუ ამიტომ მანეთად ათი ფუთი პური ელირება? ამგვარად, სიმცირე და სიბევრე სავაჭროსი არ შეიძლება იყოს ფასის საზომად.

მაშ რა არის საერთო სხვა-და-სხვა სავაჭროთა შორის, რით შეიძლება შედარება მათი? ამ საკითხზე ერთმა ეკონო-მოსმა შემდეგი პასუხი მიუგო. საერთო სხვა-სხვა სავაჭროთა შორის მხოლოდ ის არის, რომ თვითოვეული მათგანი კაცის შრომით არი მომზადებული.

არ არის ისეთი სავაჭრო, რომელიც კაცის ხელით არ მზადდებოდეს. რუსეთელი ეკონომისტი ტუგან-ბარანოვსკი ფიქრობ, რომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, ვითომც ყველა-ფერს ავტომობილები ან მაიმუნები ამზადებდენ. მაგრამ ეს იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, როდესაც. ამ ავტომობილებს ან მაიმუნებს კაცის გონება ექნებათ.

ვთქვათ, თვითოვეული გამყიდველი იმავე დროს. მუშაც არის. ვთქვათ, ჯერ ქიჩით მომუშავე არ მოიპოება. ვთქვათ, ყველა მუშებს-ვაჭრებს თანასწორი ხელოსნობის უნარი, თანასწორი იარაღები მოეპოებათ. ამ შემთხვევაში ერთი მუშავაჭარის ერთი დღის ნამუშევარი იმდენი ელირება, რამდენიც თვითოვეული სხვა მუშა-ვაჭარის ერთი დღის ნამუშევარი. თუ, მაგალითად, რომელიმე სავაჭრო მეტი დამზადდა, ვიდრე საჭიროა, და გაითვდა, მაშინ ამ სავაჭროს მზადებას სხვა ახალი მუშები აღარ მოჰკიდებენ ხელს, როგორც უსარგებლო ხელობას, ეს დარგი წარმოებისა აღარ გაიზრდება, სამაგიეროდ მუშა-ვაჭრები მოემატება წარმოების სხვა დარგებს, სადაც სავაჭრო უფრო ძვირია. ამას კი მოჰკიდება პირველი სავაჭროს შედარებით გაძვირება და სხვა სავაჭროთა გაიაფება. ფასთა სასწორის რყევა, ყანყალი, მაშინაც იქმნება, მაგრამ

საშუალოდ ერთი კაცის ერთი დღის ნამუშევარი ეღინდა აძლენი, რამდენიც უოგელი სხვა კაცის ერთი დღისაგე ნამუშევარი.

ვთქვათ, რომელიმე დარგის მუშები ნაკლებ დროს მუშაობენ, ვიდრე სხვა დარგთა მუშები და ფასი კი იმ ნამუშევარისა, რომელსაც ერთი მუშა რვა საათის განმავლობაში ამზადებს, უდრის ფასს იმ ნამუშევარისას, რომელსაც სხვა მუშა თორმეტი საათის განმავლობაში ამზადებს. ამ შემთხვევაშიაც მუშები მოემატებიან პირველ დარგს, სადაც შრომა მცირეა და ფასი დიდი, ვიდრე ამ დარგშიაც ისეთივე მუშაობა და ისეთივე ფასი არ დაწესდება, როგორც სხვა დარგებში.

ამგვარად, კონკურრენცია, ცილობა თავისუფალ მუშავაჭართა გაათანასწორებს ფასებს სხვა-და-სხვა დარგებში, თუმცა ეს გათანასწორება, გასაშუალება ფასთა არის შედეგი ფასთა მუდმივი აწევ-დაწევისა, რყევისა და ყანყალისა.

ვთქვათ, ვაკარი განშორდა მუშას და ამზადებს სავაჭროს დაქირავებულ მუშების ხელით. წარმოვიდგინოთ აქაც, რომ ყველა ვაჭრებს თანასწორი სიმდიდრე და თანასწორი იარაღები აქვთ და თანასწორი სისწრაფით ამზადებენ საქონელს; საზოგადოდ, ყველა თანასწორ პირობებს შორის არიან. ამ შემთხვევაშიაც, რაც, მაგალითად, ათი მუშის დღიური ნამუშევარი ეღირება წარმოების რომელსამე დარგში, ის ეღირება ყოველსავე სხვა დარგშიაც ათი მუშის დღიური ნამუშევარი. რატომ? მიტომ, რომ, თუ რომელსამე დარგში სავაჭროს ფასი დიდი იქნება და მუშათა რიცხვი კი მცირე, ამ დარგის ვაჭრები მეტ სარგებელს მოიგებენ ერთსა და იმავე დანაბარჯ ფულზე, ვიდრე სხვა დარგის ვაჭრები. მაშინ სხვა დარგთან კაპიტალი გადმოვა ხსენებულ უფრო მოსაგებ დარგში, გაამრავლებს საქონელს და დასწევს ფასს. იგივე შეიძლება ითქვას ყოველივე სხვა დარგის შესახებაც.

თუ რომელსამე დარგში ვაკარი მეტ ქირას აძლევს მუშას და, მაშინადამე, მეტ ფულად უჯდება თავის საქონლის მომზადება, ვიდრე სხვა დარგში, მაშინ სამი რამ არის შესა-

ძლებელი, 1) ან სხვა დარგთან გადავლენ მუშები ხსენებულ დარგში, საღაც მეტი ქირაა, და ერთმანეთის შეცილებით, რაკი მუშა ბევრი იქნება, დასწევენ მუშის ქირს, ან 2) კაპიტალი გადავა იმ დარგიდან, საღაც მუშა ძვირია, სხვა დარგებში და რაკი ამ შემთხვევაშიაც მუშა ჭარბად იქნება, მუშის ქირა დაიკლებს, ან და 3) მოხდება ორივე ის, რაც ზემოხსენებულ ორ მუხლში აღნიშნეთ.

ვთქვათ აგრეთვე, რომ რომელსამე დარგში მუშა ნაკლებ, დროს ანდომებს მუშაობას, ვიდრე სხვა დარგებში. ამ შემთხვევაში მუშები სხვა დარგთაგან ხსენებულ შეღავათიან დარგს მიაწყდებიან, სანამ იქაც მუშაობის დრო არ აიწევს და არ გაუთანასწორდება სხვა მუშების მუშაობას.

ყოველივე ეს მოხდები მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თავისუფალი ცილობა, კონკურრენცია, როგორც ავაჭრებს შორის, აგრეთვე მუშათა შორის. გათანასწორება მუშათა ქირების და მუშაობის რაოდენობისა წარმოების სხვა-და-სხვა დარგებში, აი კანონი თავისუფალი კონკურრენციისა.

შესაძლებელია კიდევ მოხდეს შემდეგი. ამ უკანასკნელ დროს გამოცდილება ამტკიცებს, მაგალითად, რომ რვა საათის მუშაობის დროს მუშა იმდენსავე ამზადებს, ასე გასინჯეთ, მეტსაც კი, რამდენსაც თორმეტისაათის მუშაობის დროს. თუ ვაჭრებმა ეს შეიგნეს, მაშინ თვითონ შემოიღებენ რვა საათის მუშაობას. ამას მოითხოვს მათივე სარგებლობა.

მე აქ არ შევეხები კანონმდებლობას, რადგან ამის განხილვა გაართულებს საკითხს. ჯერ მხოლოდ იმის გამორკვევას შევუდგები, რა შედეგები მოჰყვება თავისუფალ ცილობას, ე. ი. როდესაც მუშის დაქირავებაში კანონმდებლობა არ გაერევა და, როგორც ვაჭრობა, აგრეთვე დაქირავება მუშისა წარმოობს კერძო ვაჭართა და მუშათა ერთმანეთის ნება-ყოფლობით. ცხადია, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოირკვევა ტენდენცია, მიმართულება, მიზანი, რომლისკენაც მიაქანებს კაცობრიობას ეგრედ-წოდებული თავისუფალი ვაჭრობა.

## II

## თვისება საფაჭოთა

ყოველ საქონლოს, რომელიც იყიდება, სახელ-წოდების საფაჭო. იყო დრო, როდესაც ყოველგვარი ჭირნახული მზადდებოდა მხოლოდ შინ სახმარებლად. წარმოების ცენტრი იყო პატარა წრე, ოჯახი, რომელიც თვითონ, თავის საკუთარი წარმოებით, გაუყიდველად და უყიდველად აკმაყოფილებდა ყველა თავის მოთხოვნილებას. მაშინ არც ვაჭრობა იყო განვითარებული და არც წარმოება. ასეთ ეკონომიურ მდგრადი მომარტინი ეძახიან პატრიარქალურს.

პატრიარქალურ მდგრადი მომარტინი ახასიათებს მონობა. სახელმწიფოს უმრავლესი ნაწილი სრულიად გამოსხლეტილი იყო საზოგადო საპოლიტიკო საქმეებისაგან. მწარმოებელი, რომელსაც არც მოთხოვნილება ჰქონდა დიდი და არც შორს საღმე წასვლა სჭირდებოდა, რომ თავის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, რომელიც თავის სახლის კარზე შოულობდა სამუშაოს და, მაშასადამე, არ იცოდა, მის ეზოს მესერს. იქით რა ხდებოდა, კმაყოფილი იყო თავის უშფოთველ, მცონარე ცხოვრებით. თითქმის დღესაც ასეთები არიან ჩვენი გლეხები. საერთო, საზოგადო მნიშვნელობა დღესაც ვერ შეუგნიათ, კარჩაკეტილობიდან დღესაც ვერ გამოსულან, რაღაც მათს წარმოებას ვიწრო, პატრიარქალური ხასიათი აქვს.

სულ სხვას ვხედავთ დღეს განათლებულ ქვეყნებში. იქ თვითეული მწარმოებელი თავის ნაწარმოებს მხოლოდ გასაკიდლად ამზადებს. საზოგადოება პატარა-პატარა განცალკევებულ საეკონომიკ წრეებისაგან კი არ შესდგება, არამედ ერთ მთელ საეკონომიკო ოჯახს წარმოადგენს. როგორც პატარა ოჯახში არის შრომის განაწილება, ე. ი. ერთი ძმა ხუროა, მეორე მწყესი, მესამე მიწის-მუშა, ქალები ქსოვენ; მზარეულობენ და სხ., აგრეთვე ამ დიდ ოჯახშია საზოგადო შრომის

განაწილება. როგორც პატარა ოჯახის წევრები უერთი-მეორე-სოდ არ ვარგიან, აგრეთვე დიდი საზოგადოების ჯგუფებს არ შეუძლიანთ იყარგონ უერთმანეთოდ. რასაკვირველია, პა-ტარა ოჯახსა და დიდ ოჯახს შორის განსხვავებაც იმდენად დიდია, რამდენადაც მთელი საზოგადოება მეტია, ვიდრე პატარა ოჯახი. ჯერ ერთი, რა-კი საზოგადოების თვითეული დიდი ჯგუფი რომელსამე განსაკუთრებულ ნაწარმოებს ამზა-დებს, შრომის განაწილებამ მიაღწია უკიდურეს ხარისხს, ერთი მხრით ცილობამ და მეორე მხრით კოოპერაციამ, თანამშრომელობამ შექმნა სამაგალითო განვითარება წარ-მოებისა. ხალხი გამრავლდა. მცხოვრებთა უმეტესობამ ქალა-ქებში მოიყარა თავი. გაჩნდენ რკინის-გზები, ორთქლის ხომალდები და სხ. მწარმოებელი გამოვიდა ეკონომიურ კარ-ჩაკეტილობიდან და შეიქმნა მოძრავ ეკონომიურ ელე-მენტიდ. ამ ხანას ეწოდება ხანა ვაჭრობისა და მრეწველობისა, ხანა ფულის, ანუ კაპიტალის გაბატონებისა.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მწარმოებელი პირების თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ ამზადებს ნაწარმოებს, არამედ გასაყიდლად. ყოველი ნაწარმოები სავაჭროა, უთუოდ საქვეყნო ბაზარზე უნდა გამოიფინოს, უნდა გასაღდეს. ამგვარად კერძო ნაწარმოები ხდება საზოგადო ნაწარმოებად. აი, ამაშია მთელი უკულმართობა კაპიტალის-ტურ წარმოებისა. ჯერ ერთი, კერძო მწარმოებელს არ შეუძლია გაიგოს სისრულით, რამდენი და როგორი ნაწარ-მოებია საჭირო. საზოგადოებისათვის ამა თუ იმ დროს. ამ შემთხვევაში ნაწარმოები არ საღდება და მწარმოებელი კო-ტრდება. მეორე, სავაჭრო, რომელიც არის საზოგადო ნაწარ-მოები, რომელსაც მხოლოდ მიტომა აქვს ძალა, რომ საზო-გადო ნაწარმოებებთან არის ჯაჭვით გადაბმული, არის საკუთ-რება კერძო მწარმოებლისა. რკინის გზები, ორთქლის ხომალ-დები, ფაბრიკები, მთელი ახლანდელი მეცნიერება და ტე-ნიკა, მუშათა კოოპერაცია, საზოგადო წესწყობილება, ე. ი. მთელი ახლანდელი კულტურა და განათლება, აი რა არის შემქმნელი სავაჭროსი. მიუხედავად ამისა, სავაჭრო საზოგა-

დოქტორის კი არ ამდიდრებს, ამდიდრებს კერძო პირს, რომ ელსაც შემთხვევით ჩაუგდია იგი თავის ხელში. ამგვარად საზოგადო თვისება სავაჭროსი მის მაგივრად, რომ ხელს უწყობდეს საზოგადოების ეკონომიკურ წარმატების, ხელს უწყობს კერძო კაპიტალისტების ბატონობას, ექსპლოატაციას. საზოგადოება თავის ძალის ხელში უგდებს კაპიტალისტების მცირე რიცხვს.

ამგვარად სავაჭრო არის ნაყოფი. შრომის განაწილებისა, უმაღლეს კულტურისა და განათლებისა. სავაჭრო არის საზოგადო ძალა, თუმცა საკუთრებაა კერძო პირისა, მაში, ერთსა და იმავე დროს კერძო ნაწარმოებიც. და საზოგადოც.

ამას გარდა, სავაჭროს ბატრონი უყურებს თავის სავაჭროს, როგორც ფულის ასაღებს საშუალებას. ოლონდ ფულზე გაანალის თავისი სავაჭრო და მეტი დარღი არა აქვს. თავის სავაჭროს იგი თვითონ არ ხმარობს, მხმარებელი სხვაა, მყიდველია. ამიტომ, რაღანაც ყოველი მწარმოებელი თავის თავისითვის უფრო ზრუნავს, ვიდრე სხვისთვის, ყოველი გამყიდველი ცდილობს მოატყუოს მყიდველი. ერთი-მეორის მატყუება ერთი ნიშნობლივი თვისებათაგანია ვაჭრობისა. მაშასაღამე, ის გარემოება, რომ სავაჭრო ერთის-თვის ფულის ასაღები საშუალება, პოტენციალი, ფარული ფულია და იმავე დროს მეორესთვის სახმარი ნივთია, რომ ფულითი ლირებულება, ამგვარად, განცალკევებიც, გამოსცლია და ეწინააღმდეგება სახმარ ლირებულებას, არის მიზეზი ერთ-მანეთის მოტყუებისა და ფალსიფიკაციისა. ბოლოს-და-ბოლოს მოტყუებული ის რჩება, ვინც ნაკლებად ფხიზელი და ნაკლებად გამოცდილია. ყოველი სიყალბე, რასაკვირველია, მაზარალებელია მოტყუებულისთვის, მაგრამ მეტადრე სასმელ-საჭმლის გაფუჭება, ფალსიფიკაცია. დამღუპველი საზოგადოების ჯან-მთელობისა. ამგვარად, ის, რაც ერთს ამდიდრებს, მეორეს ასნეულებს, უდროო დროს ასაღმებს წუთი-სოფელს. ასეთია წინააღმდეგობა საზოგადო ინტერესებისა, უკულმარ-თობა ვაჭრობისა.

აგრეთვე ხშირად მოხდება ხოლმე შემდეგი. მწარმოებელ-ვაჭარს დამზადებული აქვს თავისი ნაწარმოები-სავაჭრო გასაყიდად. მას დიდძალი ფული აქვს დახარჯული ამ ნაწარმოებზე და ამიტომ დიდძალ ფასად უნდა გაანალიზოს. თუ ნაკლები ფული აიღო, გაკოტრდება. მეორე მხრით, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მისი სავაჭრო საზოგადოებისათვის საჭირო აღარ არის, საზოგადო მოთხოვნილებამ მის სავაჭროზე იკლო. რა არის ამის მიზეზი? იგივე, ე. ი. ის, რომ სავაჭრო გამყიდველისთვის არის მხოლოდ ფულის ასაღები საშუალება, მხოლოდ გამყიდველს უნდა აიღოს სავაჭროში ფული; მყიდველი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იყიდის სავაჭროს, თუ იგი მოსახმარებლიდ ვარგა, თუ სხვა, უკეთესი ლირსების სავაჭრო არ იშვიება იმავე ფასად. ამგვარად მოპირდაპირე მწარმოებელ-ვაჭრები ერთმანეთის სარგებლობას არაფრად დასდეცენ, ერთი მეორეს ებრძვიან და თვითეული მხოლოდ იმას ცდილობს, რომ თვითონ გამოვიდეს გამარჯვებული, თვითონ არ გაკოტრდეს.

ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ კიდევ, როგორც შედეგი წინააღმდეგობისა ფასსა და სახმარებელ ლირებულების შორის.

ვსთვეთ, ასი ფუთი პურის მოყვანას სკირდებოდა დღე-მდის ერთი კაცი, წელს კი საუკეთო მაშინის საშუალებით ან უკეთეს მოსავლის წყალობით, ერთ კაცს შეუძლია მოიყვანოს ორასი ფუთი პური. ამასთანავე სახეში უნდა მივიღოთ, რომ მიწის-მუშა უწინაც იმდენ ხანს მუშაობდა, რამდენ ხანსაც ახლა მუშაობს. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში პურის ფასი უნდა დაეცეს. ახლანდელი 200 ფუთი პური იმდენი ეღირება, რამდენიც წინად 100 ფუთი პური ლირდა, რადგან ფასი განისაზღვრება მით, რამდენი შრომაა დახარჯული ნაწარმოების მომზადებაზე. მაშასადამე, თუ უწინ ფუთი პური მანეთი ლირდა, წელს ათი შაური ეღირება.

კაპიტალისტურ წარმოებაში თვითონეული დარგი წარმოებისა შესდგება. მრავალ კერძო მწარმოებელთაგან, თვითე-

ული ფაბრიკა მუშაობს თავის პატრონის ხარჯით და ყველა მეფაბრიკები ერთმანეთს ეცილებიან, ერთმანეთის გაკოტრებას ცდილობენ. ერთის დაცემა, დალუპვა მეორის ამაღლებასა და გამდიდრებას მოასწავებს.

ვთქვათ, რომელმამე ფაბრიკამ გამოიგონა ახალი მაშინა, რის მეოხებითაც იმავე ნაწარმოების განსაზღვრულ რიცხვის მომზადებას ნაკლები მუშა-ხელი, ე. ი. ნაკლები შრომა სჭირდება, ვიდრე წინად. ამ შემთხვევაში ამ ნაწარმოების თვითეული ერთეული გაიაფდება მთელ სენებულ საწარმოო დარგში, რადგან ყველა ფაბრიკები იძულებული შეიქმნებიან. დასწიონ ფასი. ამ გვარი გაიაფება კი ნაწარმოებისა ბევრ მქონებრივეს გააკოტრებს. ამგვარად, რაც ეროისთვის გამამდიდრებელია, ის სხვისთვის ზარ-დამცემი და გამანადგურებელია. რაც მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლოა, ის ზოგიერთ-თათვის გამაკოტრებელია.

თვით მრეწველ-ვაჭარი ბევრად უფრო მხურვალე მონაწილეობას იღებს საზოგადო საქმეებში, ვიდრე პირვანდელი ოჯახის მამა, პატრიარქი. როგორც ვთქვით, ახლანდელ ვაჭრის სარგებლობა დაკავშირებულია სხვა მრეწველებისა და ვაჭრების სარგებლობასთან და ზარალთან. სიძვირესა და სიიაფეს, სიკეთესა და უვარვისობას, სიჭარბესა და სიმცირეს რომელიმე დარგის ნაწარმოებისას გავლენა აქვს ყველა სხვა დარგის სავაჭროზე. ხშირად ერთის გამდიდრებას მეორეს გაკოტრება მოჰყვება ხოლო, ერთი აგროვებს თავის სიმდიდრეს სხვის სილარიბეზე, აშენებს თავის ბეღნიერებას სხვების ძვლებისაგან ნაკეთებ საფუძველზე. თვითოეული თვალ-დაჭვეტილი და ყურებ-დაცევეტილი ადევნებს თვალს საზოგადო სამრეწველ-სავაჭრო მდგომარეობას, რომ მარჯვე დრო შეარჩიოს, ჩხვები მოატყუოს; ძირს დაანარცხოს და საერთო ბრძოლიდგან თვითონ გამარჯვებული გამოვიდეს.

ამგვარად, როდესაც საერთო სარგებლობა იმავე დროს კერძო მრეწველისთვისაც სასარგებლოა, ეს უკანასკნელი მომხრეა საერთო სარგებლობისა; როდესაც მისი კერძო სარგებ-

ლობა ეწინააღმდეგება საერთო სარგებლობას, იგი წინააღმდეგია საერთო სარგებლობისა; ხან გულწრფელად ელტვის საზოგადო კეთილ-დღეობას, ხან მტრობს. ამგვარის წინააღმდეგობით არის გამსჭვალული არსება თანამედროვე მრეწველვაჭრისა. იგი ვერ არის ისეთი ერთგული მეგობარი მთელი საზოგადოებისა, როგორც ძველი ოჯახის წევრი იყო თავის ოჯახისათვის.

ლირისია აგრეთვე აღნიშვნისა, როგორ აღიბეჭდება ამგვარი ეკონომიური ურთიერთობა მწარმოებლის ფიქრსა და გონებაში. მწარმოებელ-ვაჭრის ფიქრით, ყოველი ნაწარმოები გაჩენილია თვით ბუნებისაგან სავაჭროდ. თვით ვაჭრებიც მიტომ არიან ვაჭრები, რომ ასეთია წება უფლისა და თვისება ბუნებისა. ყოველთვის აღებ-მიცემობა ყოფილა და იქნება სული და გული ეკონომიურ ურთიერთობისა.

ნამდვილად კი ნაწარმოები მიტომ არის სავაჭრო, რომ 1) განცალკევებულ მწარმოებელს ეკუთვნის როგორც კერძო საკუთრება, 2) საზოგადო შრომის განაწილებამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია. ვაჭრობა არ არის თვისება. ყოველი საზოგადოებისა. იყო დრო, როდესაც ვაჭრობაზე არ იყო დაფუძნებული საზოგადო წესწყობილება. ვაჭრობა კი არა ჰქმნის საზოგადო ურთიერთობას, საზოგადო ურთიერთობა ჰქმნის ვაჭრობას და ვაჭარს. მოსპერ კერძო საკუთრება, — და მოისპობა ვაჭრობაც.

ნაწარმოები, ჟექმნილი საზოგადოების მრავალ წევრთა თანამშრომლობით, საზოგადო შრომის რთული განაწილებით, არის საკუთრება კერძო კაცისა. აქედან აუცილებლობა გაცვლა-გამოცვლისა, ვაჭრობისა, გამდიდრებისა და გაკოტრებისა. საზოგადო წეს-წყობილებამ წინ წაუსწრო საკუთრების დაწესებულებას. ნაწარმოების დასაკუთრება კერძო მწარმოებელი-საგან და წარმოების გაერთება, გაზოგადება, აი ეს წინააღმდეგობაა მიზეზი ხსენებულ უკუღმართობათა.

## III

## ფ უ ღ ი ღ

მოვაჭრეები იძულებულნი არიან იქონიონ ერთი რომელიმე სავაჭრო, რომლითაც ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდეს. საჭიროა, ვაჭარს ჰქონდეს ხელში ისეთი სავაჭრო, რომ დაუყოვნებლად იყიდოს; რაც დასჭირდება. ასეთ სავაჭროს, გაცვლა-გამოცვლის იარაღს ეწოდება ფული.

რომ ფული არ იყოს, არც თანამედროვ ვაჭრობა იქნებოდა. როდესაც ფული არ იყო, ანუ იყო პირდაპირი გაცვლა სავაჭროთა ერთმანეთს შორის, წარმოებაც და ვაჭრობაც უმდაბლეს საფეხურზე იდგა.

თუ სავაჭროთა ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლა არ მოისპო, არც ფული მოისპობა, რადგან სხვა იარაღი გაცვლისა არ მოიპოება.

ფულია, თავი-სავაჭრო, პირველი სავაჭრო, რომლის სა-  
შუალებითაც სავაჭროები იცვლებიან ერთმანეთს შორის.

როგორც სალდათი, არ ვარგა უსარდლოთ, აგრეთვე სა-  
ვაჭრო არ შეიძლება უფულოდ.

საფრანგეთის ეკონომისტი პ'ეტრ დონს უნდოდა სავაჭრო  
და ეტოვებია ხელუხლებლად და ფული კი მოესპო. ეს ყოვ-  
ლად შეუძლებელია. ახლანდელ საზოგადოებაში ფულის მა-  
გიერობას ვერაფერი ვერ გასწევს. ვაჭარს თუ ოქრო ხელში  
უჭირავს, ვაჭრობა და წარმოება არ შეუჩერდება, რადგან  
ოქროს, როგორც შრომის ნაყოფს, ყოველთვის გასავალი  
აქვს. მიეცით მას ხელში უბრალო ქაღალდი, რომელსაც,  
თუ გნებავთ, სახელმწიფო ბეჭედი დაასვით და სავალდებულო  
სახელმწიფო ქაღალდი უწოდეთ. ამგვარი ქაღალდის პატრონი  
არაფრის მქონეა, რადგან ქაღალდს, როგორც არაფერში  
არ გამოსადეგს, არავინ არ იყიდის.

ოქრო, რომელიც ფულად იხმარება, შეგიძლია სამკაუ-  
ლად გამოიყენო, თუ ფულად არ გამოგადგა. უბრალო ბი-

ლეთი კი, თუ ფულად აღარ გამოგადგა, ფუჭია. ამიტომ ვაკარი სიამოვნებით გაასაღებს თავის სავაჭროს ოქროზე, უბრალო ბილეთზე გასაღება კი ხელს არ მისცემს. რომ ოქრო არ იქმნეს ფულად და ფულის დანიშნულება უბრალო ქალალდის ბილეთებმა აასრულონ, ისეთი საშინელი რყევა ასტულება ეკონომიურ ცხოვრებაში, რომ წარმოებაც და ვაჭრობაც თვალის დახმამებაში დაეცემა, მოისპობა.

ამიტომ, განვიმეორებთ, საჭიროა, რომ საცვლელი იარაღი სავაჭრო იყოს, შრომის ნაყოფი, რომლის ფასი არასოდეს არ დავარდება, ნაკლებად იცვლება, რომელსაც შეუძლია აასრულოს დანიშნულება ფულისა და, თუ გასკირდა, დანიშნულება უბრალო სავაჭროსი, რომლისაც გაყიდვა ყოველთვის შესაძლებელია, მაშინაც კი, როდესაც შეუძლებელი გამხდარა მით სყიდვა სხვა სავაჭროსი.

განვიმეორებთ: რაც უნდა მაღალ-მნიშვნელოვანი სიტყვა დაწეროთ ქალალდის ბილეთს, მას მაინც არ ექმნება ფასი, რადგან იგი შრომის ნაყოფი არ არის და თან არც არაფრად მოსახმარია. ლობიოს რომ ხორცი ვუწოდოთ, ხორცად არ გადიქცევა. „კოკისა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“, ამბობს შოთა რუსთაველი.

რადგან ოქროს ფასი უფრო ნაკლებად იცვლება, უფრო მუდმივია, რადგან ლირსება ოქროსი ყველგან ერთია, მცირე წონა მისი დიდ ფასს შეიცავს, და, მაშასადამე, მისი პატარა ნაწილები გამოსადევნი არიან დიდ-ტანკეან სავაჭროთა გაცვლა-გამოცვლისათვის, ე. ი. აღვილად გადასაზიდნი არიან სხვა სავაჭროებთან შედარებით, ყველა ამ მიზეზის გამო სავაჭრო-ოქრო გადაიქცა ფულად:

რადგან ფულია იარაღი გაცვლა-გამოცვლისა, ამიტომ ფულის პატრონი უფრო უზრუნველ ყოფილია საზოგადოდ, ვიდრე სხვა სავაჭროს პატრონი. ამ ან იმ სავაჭროზე შეიძლება მოთხოვნილება მოისპონ; ამ შემთხვევაში მისი პატრონი გაკოტრდება. ფულზე კი ყოველთვის არის მოთხოვნილება, რადგან ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ფული უფრო საზოგადო სავაჭროა, ვიდრე ყოველი სხვა სავაჭრო.

სავაჭროთა გაცვლა-გამოცვლისათვის ოქროს განსაზღვრული რაოდენობაა მხოლოდ საჭირო. ვთქვათ, საჭიროა მხოლოდ ერთი მილლიონი გირვანჭა ოქრო და ტრიალებს კი, როგორც ფული, ორი მილიონი გირვანჭა ოქრო. დაეცემა თუ არა ოქროს საღირალი, გაკოტრდებიან თუ არა ფულის პატრონები? სრულიადაც არა. ის ოქრო, რომელიც საჭირო აღარ არის სავაჭროთა გასანალდებლად, საგზლად იქმნება შენახული ბანკებში. ყველამ იცის, რომ მოვა დრო, როცა მეტი ფული დასჭირდებათ დასატრიალებლად, და მაშინ ოქრო კვლავ გაინთავისუფლებს თავს ბანკების შეხუთულ კოლოფებიდან. და გამოვა სავაჭრო ასპარეზზე.

ამ გარემოებას მოსდევს შედეგად შემდეგი უკულმართობა. ყოველ ვაჭარს ხან ფული მეტი უჭირავს ხელში და ხან სავაჭრო. საერთო კრიზისის დროს ისინი არიან მოგებულნი, რომელთაც შემთხვევით მეტი ფული ეჭირდებათ ხელში,—ისინი კი, რომელთაც თავისი ფული უკვე სავაჭროდ გადუქცევიათ, გაკოტრებულ იქმნებიან.

რადგან ფულია იარაღი გაცვლა-გამოცვლისა, ამიტომ ფულით გაიზომება საღირალი ყოველისავე სავაჭროსი. არავინ არ იტყვის, ერთი ადლი მაუდი ლირს ათ ადლ პირკლადო; ყველაფერს ოქროს აღარებენ, რადგან ოქრო თამაშობს ფულის როლს.

მაშასაღამე, ოქრო, როგორც ფული, არის საზომი ყოველი სავაჭროს საღირალისა.

როგორც წინად ვთქვით, სავაჭრონი გაიცვლებიან ერთი მეორეზე შრომის რაოდენობათა კვალად, რომელიც მათს გაკეთებას მოუნდა. თუ ერთი ადლი მაუდი ლირს სამ მანეთ ოქროდ, მიტომ, რომ ერთი ადლი მაუდის მომზადებას იმდენივე შრომა მოუნდა ადამიანისა, რამდენიც სამი მანეთის ოქროს. მაშასაღამე, ოქრო ყველაზე უმაღ მიტომ არის საერთო საზომი სავაჭროთა, რომ შეიცავს საზოგადო შრომას, არის საზოგადო შრომის ნაყოფი, როგორც ყოველი სხვასა-

ვაკრო. რომ ოქროს არ სჭირდეს ეს თვისება, საერთო ყველა საგაჭროთათვის, მაშინ იგი ვერ იქნებოდა საერთო საზომი.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს საზომი ერთობ შორს არის სისრულეზე. ჯერ ერთი, მცირეოდნად თვით ოქროს სალირალიც იცვლება ხოლმე. თუ წელს სამი მანეთის ოქროს დამზადებას ერთი კაცის დღიური შრომა უნდებოდა, გაისად შეიძლება ნახევარი კაცის დღიური შრომა დასჭირდეს. რაც შეეხება სხვა სავაჭროებს, ყოველი მათგანის ღირებულება ხომ ფრიად ცვალებადია. დღეს თუ ერთი ადლი მაუდის დამზადებას ერთი კაცის დღიური შრომა უნდება, ხვალ შეიძლება იმავე ნაწარმოებს ოთხჯერ ნაკლები შრომა დასჭირდეს. ამგვარად, საერთო საზომის, ფულის, საღირალიც იცვლება და თვითოეული სავაჭროს საღირალიც. რომ ყველა სავაჭროს საღირალნი თანასწორად, თანაბრად იცვლებოდნენ, აწევდაიშევლნენ, მაშინ უბედურება აპ იქნებოდა, მაგრამ ეს ცვალებადობა უთანასწოროა. ერთი სავაჭროს საღირალი რომ თავის მესამედამდის დაიწევს, მეორესი დაიწევს მეოთხედამდის. ეს არის ერთი მთავარი მიზეზთაგანი; რომ მწარმოებელი ვერ არის უზრუნველი. მის ბედს საზოგადო ორგულობა ქარიშხალიჭით მოჟვლინება ხოლმე, დღეს თუ დიდი ფასის საქონელი უჭირავს ხელში, ხვალ, საზოგადო მიზეზთა გამო, მისი საქონლის საღირალი გამეათდება, გამეოცდება, და თვით იგი გაკოტრდება.

რადგან ოქროს ფასი ნაკლებად იცვლება, ვიდრე საზოგადო სხვა სავაჭროებისა, ამიტომ დიდი ღვთის-წყალობა იქნებოდა მწარმოებელთათვის, რომ ფულიად მხოლოდ ოქროტრიალებდეს და ქაღალდის ფული არ იყოს შემოღებული.

ყოველი საზომი განიყოფება თავის ნაწილებად: საჟენი ადლებად, ადლი გოჯებად და სხ. ფუთი გირვანქებად, გირვან ჭა მისხლებად და სხ. აგრეთვე ფულია. განსაზღვრული წონა ოქროსი, რომელსაც სახელმწიფო ბეჭედი აზის, იწოდება. მონეტად: მონეტა არის თუმნიანი, ხუთ მანეთიანი, და

სხ. ხუთ მანეთიან ოქროში ორჯერ ნაკლები წონაა ოქროსი, ვიდრე თუმნიან მონეტაში. ერთგვარობა მონეტათა ნაწილებისა აუცილებელი პირობაა, რომ მწარმოებელ-ვაჭართა მდგომარეობამ არ განიცადოს უძლიერესი რყევა, კრიზისი.

ნამდვილად კი ეს ერთგვარობა მონეტათა ნაწილებისა არ არსებობს. ჯერ ერთი, ფული ხმარების ღროს ცვდება. თუმცა მონეტას ხუთი მანეთი აწერია, მაგრამ ნამდვილად იჯი იწონის ახალ ხუთ მანეთიანზე ნაკლებს. ეს კიდევ არაფერი. გაცვეთა ფულისა დიდი უბედურება არ არის. უბედურება ის არის, რომ მონეტათა ნაწილნი სხვა-და-სხვა ლითონებისაგან შესდგება. მართალია, მთავარი ფული, მთავარი მონეტები, სავალდებულო სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შორის, ოქროს, მაგრამ თვითოვეულ სახელმწიფოში, წვრილი ფული, წვრილი მონეტები ვერცხლისა და სპელენძისაგან კეთდებიან. დღეს თუ მანეთის ვერცხლი ხუთ-მანეთიან ოქროს მეხუთედი ღირს, ხეალ, შეიძლება, კიდევ ნაკლები ეღიროს. ვერცხლისა და სპელენძის ღირებულება უფრო ხშირად იცვლება, ვიდრე ოქროსი, რადგან პირველი ლითონები უფრო გავრცელებულნი არიან ბუნებაში. თუ სსენებული ლითონების ერთსა და იმავე წონის მოპოებას ორჯერ ნაკლები შრომა სჭირდება ახლა, ვიდრე უწინ, მათი ღირებულებაც ორჯერ ნაკლებია ახლა, ვიდრე უწინ იყო. ოქროს ფასი კი არ გამოცვლილა. მაშა-სადამე, მანეთიანი ვერცხლის მონეტა თავისი ღირებით ხუთ-მანეთიან ოქროს მეხუთედი კი აღარ არის, არამედ მხოლო მეათედია.

ვერცხლს კიდევ არა უშავს-რა. მისი ღირებულება იმდენად არ დავარდება, რომ მისი პატრონი მთლად განადგურდეს. ყველაზე მეტი უბედურება მოაქვს ქაღალდის ფულს.

რამდენი ოქროს ფული უნდა ტრიალებდეს, უნდა გადადიოდეს ხელიდან ხელში, არ უნდა იყოს შენახული, გაჩერებული რომელსამე დროს განმავლობაში?

ვთქვაო, ერთ-მანეთიანმა იყიდა სავაჭრო № 1, მერე იმავე მანეთიანმა იყიდა სხვა ვაჭრის ხელით სავაჭრო № 2,

შემდეგ მესამე ვაჭარმა იმავე მანეთიანით იყიდა სავაჭრო № 3, მეოთხემ კიდევ იმავე მანეთიანით იყიდა სავაჭრო № 4, მეხუთემ სავაჭრო № 5, ამგვარად მანეთიანმა ხუთი სავაჭრო იყიდა, ხუთი მანეთის სავაჭრო გადიყვანა სხვა-და-სხვა ვაჭართა ხელში.

ვთქვათ, თვითეული მანეთი, ამგვარი სისწრაფით ტრიალებს. რამდენი მანეთი იქმნება მაშინ საჭირო? რამდენი ფასის სავაჭროც გასაღდება, იმაზე ხუთზე უფრო მცირე რიცხვი მანეთის ოქრო. თუ ხუთი მილიონის სავაჭრო უნდა გასაღდეს, ერთი მილიონის ოქროს მანეთიანი მონეტაა საჭირო.

მაშ ოქროს მოტრიალე მონეტათა რიცხვი ამგვარად შეიძლება განვისაზღროთ: გასაღებულ სავაჭროთა ფასის რაოდენობა, სისწრაფე თვითეული მონეტის ტრიალისა.

და ამ გვარად, თუ 100 მილიონი მანეთის სავაჭრო საღდება რომელსამე დროს, და თვითეული მანეთი ათი მანეთის სავაჭროს ასაღდებს, ამ შემთხვევაში 10 მილიონი მანეთი ტრიალებს ოქროს ფულათ.

თვითეულ სახელმწიფოში იციან გამოცდილებით, რამდენი ფული უნდა ტრიალებდეს დაახლოებით მუდამ, განუწყვეტლად. ეს მოტრიალე ფული მუდამ ხელიდან ხელში გადადის, არ ინახება და არც სხვა რამე საქმეს ხმარდება.

ვთქვათ, რომელსამე სახელმწიფოს სჭირდება მუდმივ სატრიალებელ ფულად 100 მილიონი მანეთი. რადგან მთელი ის ოქრო, რომელიც გადადნობილა ას მილიონ განეთის ფულად, მხოლოდ ტრიალობს, ხელიდან ხელში გადადის, სხვას არაფერს ხმარდება, ამიტომ სახელმწიფო ამ ფულს თავის სალაროში ინახავს, ოქროს მაგიერ საზოგადოებას, ურიგებს ქაღალდის ბილეთებს, რომელთაც ზედ აწერიათ, რომ შეიძლება მათი გაცვლა ოქროს ფულზე. სახელმწიფო მოვალედ რაცხს თავს, რომ ქაღალდის ფულის წარმომდგენელს ოქროს ფული დაუბრუნოს.

მაშ ქალალდის ფულია უბრალო ნიშანი ფულისა, უბრალო ბილეთი. თავის-თავად მას არავითარი ფასი არა აქვს. მასა აქვს ფასი მხოლოდ მით, რომ იგი წარმომადგენელია ოქროს ფულისა.

თუ ასმანეთიან ქალალდის ფულის წინდად სახელმწიფო სალაროში ასი მანეთის ოქრო სქევს, მაშინ ერთ-მანეთიანი ქალალდის ფულით ერთი მანეთის საღირალ სავაჭროს ყიდვა შეიძლება. თუ ორასი მანეთის ქალალდის ფულია გამოსული და ამ ფულის წინდად კი მხოლოდ ასი მანეთის ოქროა შენახული სალაროში, მაშინ ერთ მანეთიანი ქალალდის ფულით შეგვიძლია ვიყიდოთ ათი შაურის საღირალი სავაჭრო.

ქალალდის ფული, რომელიც ოქროს მაგიერ არის გამოსული, ასრულებს მხოლოდ ერთს დანიშნულებას, ე. ი. იგია იარაღი, გაცვლისა, სავაჭროთა გასაღებისა. შესანახად არ ვარგა, რადგან არ არის სანდო, და სხვა საქმისათვის, რა-საკვირველია, სრულიად გამოუსადევარია. ვისაც საგზალი უნდა შეინახოს, ინახავს ოქროს, რომლის საღირალი აგრე-რიგად არ იცვლება. ამიტომ ქალალდის ფული მუდმივ ტრიალ-შია, ხელიდგან ხელში გადადის, არავის არ სურს გააჩეროს იგი ხანგრძლივ თავის სალაროში. თუ ასი მილლიონი მანე-თის ბილეთია გამოცემული, ასი მილლიონი მანეთის ბილეთი იქნება ტრიალ-ში; თუ ათასი მილლიონი მანეთის ბილეთია გამოცემული, ამ შემთხვევაში მთლად ეს ათასი მილლიონი მანეთის ქალალდი ტრიალებს და გადად-გადმოდის. ხელიდან ხელში.

ვთქვათ, გამოცემული იყო ათასი მილლიონ მანეთის ქალალდის ფული, ვთქვათ, ვაჭრობაც მოითხოვდა ამდენ ფულს, ვთქვათ, წინდადაც ამდენი ოქროს-ფული ჰქონდა სახელმწი-ფო სალაროს შენახული, რომ უზრუნველეყო ქალალდის ფული. ვთქვათ, რამდენსამე წელიწადს შემდეგ ვაჭრობის მდგომარეობა შეიცვალა, კრიზისი ჩამოვარდა, სავაჭროთა საერთო რიცხვის საღირალმა იკლო და, მაშასადამე, სავა-ჭროთა გასაცვლელ-გამოსაცვლელად მხოლოდ ხუთასი მილ-

ლიონი მანეთის ოქრო შეიქმნა საჭირო. რა მოხდება ამ შემთხვევაში? დავარდება თუ არა ქალალდის ფულის სალი-რალის? არ დავარდება მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფო სალარო ქალალდის ფულის პატრონს ქალალდის ფულს გამო-ართმევს და ოქროს მისცემს. ამ შემთხვევაში, რადგან ვაჭ-რებს ხელში მხოლოდ ხუთასი. მიღლიონი მანეთი დასჭირ-დებათ, დანარჩენ ხუთას მიღლიონ ქალალდს ფულის სახელ-მწიფოს სალაროს მისცემენ და სამაგიეროდ სახელმწიფო სალაროდან ხუთასი მიღლიონის ოქროს გამოიტანენ. და, რადგან ხელში სატრიალებლად ხუთასი მიღლიონი მანეთის ფული ექმნებათ და სახელმწიფო სალაროშიაც წინდად ხუთასი მიღლიონი მანეთის ოქრო. იქნება ამ ქალალდის ფულის უზრუნველ საყოფელად, ქალალდის ფულის სალირალი არ დაიკლებს, იგივე დარჩება.

სამაგიეროდ სახელმწიფო დაცალიერდება, გაკოტრდება. რამდენჯერ სავაჭრო კრიზისი დადგება, იმდენჯერ თუ სახელ-მწიფო სალარომ ოქრო აძლია ვაჭრებს, თვით სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელი იქნება. ტყუილია. დაპირება შეუ-ძლებელის ასრულებისა.

თუ სახელმწიფო სალარო ქალალდის ფულის პატრონებს წინდიდგან არაფერს არ მისცემს, მაშინ ქალალდის ფულის სალირალი ერთი ორად დაიკლებს, რადგან სავაჭროთა გასაც-ცვლელ-გამოსაცვლელად საჭირო იქნება მხოლოდ ხუთასი მიღლიონი მანეთის ოქრო და ვაჭრებს კი ხელში ექნებათ ათასი მიღლიონი მანეთის ქალალდის ფული, ე. ი. ორჯერ მეტი მონეტა. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში; ერთ-მანეთიან ქალალდის ფულს ექნება იმდენი სალირალი, რაც ნახევარ-მა-ნეთის ოქროს ფულს. ამ გარემოებას თავის მხრივ მოჰყვება კრიზისი და გაკოტრება მრავალ ვაჭირ მრეწველთა. ვისაც ბევრი ქალალდის ფული შერჩება ხელში, ის, რასაკვირველია, წაგებული იქნება, მისი სიმდიდრე შემცირდება. ვისაც ვალს ქალალდის ფულით გადუხდიან, ისიც ხომ, ცხადია, წაგებაში იქნება.

ამიტომაც არის, რომ რომელისამე სახელმწიფოს ქაღალდის ფული სავალდებულოა მხოლოდ ამ სახელმწიფოში, სხვა სახელმწიფოში მხოლოდ ოქროსა აქვს გასავალი და სხვა-დასხვა სახელმწიფოთა ვაჭრებმა ერთმანეთი თანამდებობაში უნდა გაისტუმრონ. ამ გვარად საერთაშორისო ვაჭრობაში ოქროს მნიშვნელობა ხელუხლებელი და შეუცვლელი რჩება. ერთი სახელმწიფოს ქაღალდის ფული იცვლება მეორე სახელმწიფოს ქაღალდის ფულში იმის დაცვალობაზე, თუ რამდენი თანამდებობა იყიდოს ამ ან იმ ქაღალდის ფულმა. თუ ჩვენი თუმნიანი ქაღალდის ფული იმდენად დავარდა, რომ წინანდელთან შედარებით ორჯერ ნაკლები ოქრო შეუძლია იყიდოს, და იმავე დროს უცხოეთის ქაღალდის ფულის ფასი არ დავარდნილა, ამ შემთხვევაში ჩვენი ქაღალდის თუმნიანით ორჯერ უფრო მცირე უცხოეთელი ქაღალდის ფული შეგიძლია იყიდო, ვიდრე წინად შეგეძლო.

ამიტომ, თუ, მაგალითად, ჩვენში ქაღალდის ფული დაფუა, შეძლება ჩვენი ვაჭარ-მრეწველებისა, რომელთაც ქაღალდის ფული შერჩათ ხელში, უცხოეთელ ვაჭარ-მრეწველებთან შედარებით შემცირდება.

იგივე შედეგი მოჰყვება იმ გარემოებას, თუ სახელმწიფომ რამე საჭიროებისთვის ქაღალდის ფული მოჭრა იმაზე მეტი, რაც საჭიროა. შეიძლება სახელმწიფო ბანკს მიღლიარდი მანეთის თანამდებობის მიზნების თავის სალაროში<sup>1)</sup>.

საქმე კიდევ უფრო რთულდება მით, რომ ფულის მაგიერობასა სწევენ ბანკის-ბილეთები, ვექსილები და სხ. მაგრამ კრედიტის გავლენას და მნიშვნელობას განვიხილავთ ცალკე შემდეგ.

ამ გვარად ვაჭარ-მრეწველი შეიძლება გამდიდრდეს და გაუოტრდეს მისდაუნებურად, გარეშე მიზეზთა გამო. აზრი,

1) მაგრამ, თუ სახელმწიფოში სავაჭროთა ტრიალისათვის მხოლოდ ერთი მილიარდი მანეთის ოქროს საჭირო, მაშინ მიღლიარდი მანეთის ფულის მოჭრა შეიძლება მხოლოდ. თუ მეტი მოიჭრა; ქაღალდის ფულის კურსი დავარდება.

ვითომც ყოველი მდიდარი საკუთარი შრომით გამდიდრებულიყოს, შემცდარია, ლმობიერ კრიტიკის შეხებასაც კი ვერ გაუძლებს. ამას გარდა თანამედროვ ცხოვრებაშიარც მდიდრები არიან უზრუნველ-ყოფილნი ბედის უკუღმართობისაგან. დღეს სიმდიდრით ამაღლებული შეიძლება ხვალ ძირს დაეცე. ვაჭარ-მრეწველი, მწარმოებელი, მშრომელი მუდამ უნდა მოელოდეს, რომ ნავი გადაბრუნდება და შთანთქმება ცხოვრების სამრეწველო ქარიშხლისაგან ცხოვრების მღელვარე ტალღათა შორის. ყოველი კაცის ბედი რყევაშია. დღეს რომ იცინოდე, დარწმუნებულიარა ხარ, რომ ხვალ არ იტირებ. ერთი რომ იცინის, მეორე სტირის, ერთის გაკოტრება მეორეს ამდიდრებს. ეკონომიკურ ურთი-ერთობის სასწორი მუდამ ირყევა, ყანყალებს, ერთი მწარმოებელი. რომ კაში აჲყავს, მეორეს ძირს ანარცხებს. ახლანდელი ეკონომიკური ცხოვრება მღელვარე ზღვაა, დამღუპველი მრავალ მწარმოებელთა ნავებისა. უნდა აღვიაროთ კი, რომ მსხვერპლი კრიზისისა ბუვრად მეტია მუშათა შორის, ვიდრე კაპიტალისტთა შორის.

## IV

## დაწელილებითი გამორჩევება ცნებისა „დარებულება“.

გავახსნენ ებთ მკითხველს, რომ მიწის სიმდიდრე არ ჰქმნის ფასებს. ვთქვათ, ყველა მემამულებს ერთი და იმავე ღირსების მიწები უჭირავთ ხელში. ამ შემთხვევაში უჭირატესობა არც ერთს არ ექმნება, პურის ფასი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვის რამდენი მუშა ჰყავდა. რაღაც არ დღიურ მიწას ორჯერ მეტი მუშა დასჭირდება, ვიდრე ერთს დღიურს, ამიტომ ორი დღიურის ჭირნახული ორჯერ მეტ ფასად ეღირება, ვიდრე ერთი დღიურის ჭირნახული.

ვთქვათ, მიწა გამოიფიტა, ნაყოფიერობა მოკლდა ყველა მემამულეთა მიწებს ერთგვარად და ერთსა და იმავე ღროს. ამ შემთხვევაშიაც თვითეული დღიურის ჭირნახული იმდენი-

ვე ელირება, რამდენიც წინად ღირდა, თუ მის დამუშავებას იმდენივე დასჭირდება, რამდენიც სჭირდებოდა. ამასთანავე არც ერთი მემამულე სხვაზე ნაკლებ არ იზარალებს და სხვაზე უფრო არ მოიგებს.

ვთქვათ, ყველა მიწებზე წინანდელზე უკეთესი მოსავალი მოვიდა. ამ შემთხვევაშიაც თვითეული დღიურის ჭირნახული იმდენი ელირება, რამდენიც წინად ღირდა, რადგან მის დამუშავებას ახლაც იმდენი მუშა დასჭირდა, რამდენიც წინად. ამას გარდა მემამულეებსაც ერთი მეორეს შესახებ არავითარო უპირატესობა არ ექმნებათ.

ვთქვათ, წინანდელზე უკეთესი მოსავალი შხოლოდ ზოგიერთ მემამულეთა მიწებზე მოვიდა. რა შედეგი მოჰყვება? ამ გარემოებას? თუ საზოგადოდ ყველა მიწებზე საჭირო მუშების რაოდენობა იმდენი იყო, რამდენიც წინად, ყველა ამ მიწების მთელი მოსავალი იმდენადვე ელირება, რამდენადაც წინად ღირდა, რადგან წარმოების არც ერთს დარგს არა აქვს უპირატესობა სხვა დარგზე. ვთქვათ, წინად ყველა მიწებზე მოდიოდა ერთი მილლიონ მანეთად ღირებული, ვთქვათ ეს მიწები ას მემამულეს ეკუთვნოდა, მაშასადამე, თვითო მემამულეს მოსდიოდა ათი-ათასი ფუთი, ათი-ათას მანეთად ღირებულია ახლა კი მილლიონ ფუთის მაგიერ ორი მილლიონი ფუთი მოვიდა, შხოლოდ მომატებული მილლიონი მხოლოდ ორმოცდა ათ მემამულეს მოუვიდა. რადგან ახალი მოსავლის ორი მილლიონი ფუთი პური მილლიონ მანეთადვე ელირება, თვითეული ფუთი ელირება ათი შაური, მაშასადამე, მოსავალი იმ მემამულეთა, რომელთაც წინანდელზე მეტი პური არ მოსვლიათ, ელირება მხოლოდ ორასი-ათას სუთას მანეთად, დანარჩენ, ბედნიერ მემამულეთა მოსავალი კი ელირება სამჯერ მეტად, ე. ი. შეიდასი ათას სუთას მანეთად.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში საერთო რიცხვი ფასთა არ მომატებულა, იგივე რაოდენობა ფასთა დარჩა, მხოლოდ სხვა გვარად განაწილდა, ესე იგი, ერთის ჯიბიდან მეორეს ჯიბეში გადავიდა, რაც ერთს მოემატა, ის მეორეს დაკლდა.

აშგვარად, მოსავლის მომატება ყველა მიწებზე ვერ გააღიდებს ამ მოსავლის ფასს, თუ მუშა-ხელი იმდენივე და-რჩა, მხოლოდ, როდესაც მოსავალი ერთბაშად მატულობს ან კლებულობს ყველა მიწებზე, მემამულეები ერთგვარ პირ-ობებში არიან, არ მდიდრდებიან და მცირდებიან ერთმანე-თთან შედარებით და, როდესაც კი მოსავალი მხოლოდ ზო-გიერთების მიწებზე მატულობს, თუმცა საერთო რაოდენობა მოსავლის ფასისა არ იცვლება, ზოგიერთი მემამულეები მდიდრდებიან და დანარჩენები კი ღარიბდებიან.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ მიწის ნაყოფიერობა, კარგ-მოსავლიანობა, სეუხვე, სიმდიდრე არ ამრავლებს ფასთა რაოდენობას, არა ჰქმნის ფასს. ფასია განხორციელება შრ-ომის რაოდენობისა. თუ ბევრი ნივთი გაკეთდა მცირე შრო-მით, მაშინ თვითეული ნივთი მცირე ფასად ეღირება.

ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ოქროს საღირღლი არ იცვლება, ე. ი. ოქროს - დამზადებისათვის საჭირო მუშა ხელი უცვლელი რჩება.

მაშასადამე, როგორც მტკიცდება, ერთად-ერთი მიზეზი, შემქმნელი ფასთა საერთო რაოდენობისა, არის შრომა. ბუნ-ების სიმდიდრე, ჰქმნის მხოლოდ სასარგებლო ნივთს, სახმარ-ლირებულებას და არა ფასს, საცვალ ლირებულებას.

ესევე კანონი მოქმედობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ოქროს საღირალი იცვლება, ურთიერთობა სავაჭროთა შო-რის ამით არ ირღვევა, სავაჭრონი მაინც იმის კვალობაზე გაიცვლებიან ერთი-მეორეში, თუ რამდენი შრომა ყოფილა დახარჯული ამა თუ იმ სავაჭროზე. სულ ერთია, ორ მანეთ-ად დავაფასებთ ერთ ადლ მაუდს თუ სამ მანეთად, თუ-კი ორ მანეთს და სამ მანეთს ერთი და იგივე გასავალი, ერთი და იგივე ძალა ექმნებათ სყიდვისა.

მართალია, კანონი, რომლის ძალითაც სავაჭრონი იც-ვლებიან ერთი-მეორეში მათზე დანახარჯ შრომის კვალობა-ზე, იზღუდება მეორე კანონით, რომლის შესახებაც ამ თავ-ით გვქონდა ლაპარაკი.. ორ ფუთ პურს არვინ გაგიცვლისთ.

ერთ ფუთში, თუნდ რომ პირველ ორ ფუთ პურზე, მიწის სინაყოფიერის გამო, იმდენივე შრომა, იყოს დახარჯული, რამდენიც მეორე ერთს ფუთზე; შაგრამ, ჯერ ერთი, კანონი შრომისა ამ შემთხვევაში სრულიად უარ-ყოფილი კი არ არის, არამედ მხოლოდ იზღუდება მეორე კანონით, და, მეორე, კანონი შრომისა მაინც კიდევ უპირატესობს, რადგან, როგორც ზემოდ დავინახეთ, საერთო გამრავლება ფასთა რაოდენობისა, საცვალ ლირებულებათა არის მხოლოდ შრომის შედეგი, და მიწის სიმდიდრე, ნაყოფიერობა საწვალ დარქებულებათა საერთო რაოდენობის არ ამრავლებს.

ამგვარად მტკიცდება, რომ შრომა არის შემქმნელი საცვალ ლირებულებისა, უ. ი. საცვალ ლირებულება, ეს მთავარი თვისებათაგანი სავაჭროსი, არის დანახარჯა შრომა. საერთო ლირებულებათა რაოდენობას ჰქმნის საერთო შრომის რაოდენობა და თვითეული სავაჭრო საერთო შრომიდან, საერთო ლირებულებიდან იქნება თვის საცვალ ლირებულებას. აქედან სჩანს, რომ შეიძლება, სხვა-და სხვა მიზეზთა გამო, იცვლებოდეს წამ-და-უწუმ საცვალი ლირებულება თვითეულ სავაჭროსი, მაგრამ ყველა სავაჭროების ლირებულებათა საერთო რაოდენობა უცვლელი ჩება, თუ კი მუშათა რიცხვი, საერთო შრომა უცვლელია. საერთო შრომის რაოდენობა არის „მთელი,“ რომლის ნაწილებსაც შეაღენენ სავაჭროთა ლირებულები, ე. ი. თვითეული სავაჭროს ლირებულება არის ამ მთვლის ნაწილი.

პირუტკის შრომა არ არის შემქმნელი საცვალ ლირებულებისა. რატომ? მიტომ, რომ მხოლოდ გონიერი, ცნობიერ, მეტყველ აღამიანთა შრომა არის საჭიროს ყველ-გვარ წარმოებაში, მაშასადამე, თუ ერთი სავაჭრო შეგვიძლიან შევადაროთ სხვა სავაჭროს, მხოლოდ მით, რომ ორივე სავაჭრო კაცის ხელით არის გაკეთებული. ვერავითარი პირუტკი ვერ შეასრულებს მუშაობას - უკაცოდ, ვერავითარი ავტომობილი ვერ იზამს კაცისღენობას. გონება, ნიჭი აღამიანისა მუშაობს ყველგან, საღაც კი კეთდება რამე. ამგვა-

რად, თუ სხვა პირობანი სწორნი არიან, სავაჭრონი გაიცვლებიან ერთმანეთს შორის იმისღავარად, თუ რამდონი შრომა გონიერი ადამიანისა არის დახარჯული თვითეულ მათგანის მომზადებაზე. ამიტომ აზრი ტუგან-ბარანოვსკისა; ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ავტომობილებმა და მაიმუნებმა კაცის ადგილი დაიკირონ მუშაობის დროსაო, დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ავტორი ცდილობს წარმოიდგინოს წარმოუდგენელი, შეუძლებელი, შემდეგ ეს შეუძლებელი აღუარებია შესაძლებლად და დამტკიცებულად და ამ ცრუ გზით მიღის იმ დასკვნამდის, ვითომც საცვალ ღირებულების შემქნელი მიზეზი შრომა არ იყოს.<sup>1)</sup> „მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს,“ ამბობს შოთა რუსთაველი, შემცდარი აზრი კოველთვის შემცდარ აზრსა შობს, ვიტყვით ჩვენი მხრით.

წარმოების ყოველ დარგში არის ისეთი ფაბრიკები და ქარხნები, სადაც შრომა უფრო სუბუქია, უფრო ოდვილად ასატანი, და აგრეთვე ისეთებიც, სადაც პირობები არ ვარგიან და მუშაობა ძნელად ასატანია. საინტერესოა ვიკოდეთ, ცუდ-პირობებიანი ფაბრიკის მუშები მეტ საცვალ ღირებულებას ამზადებენ, თუ კარგ პირობებიანი ფაბრიკის მუშები? ხომ არ შემცირდება საერთო რაოდენობა საცვალ ღირებულობისა, ცუდ-პირობებიანი ფაბრიკები რომ მოისპოს. ხომ არ ამრავლებენ, აღიდებენ, მაშასადამე, ცუდ-პირობებიანი ფაბრიკები საცვალ ღირებულების საერთო რაოდენობას?

ცუდ-პირობებიანი ფაბრიკის მუშები, თუმცა მეტ ენერგიის ხარჯავენ მუშაობის დროს, მაგრამ ღირებულების საერთო რაოდენობას მაინც არ ამრავლებენ ამით. რატომ? იმიტომ, რომ კარგ-პირობიან ფაბრიკების პატრონებს შეუძლიანთ იაფად გაყიდონ თავისი საქონელი და, მაშასადამე,

<sup>1)</sup> ის მის წერილი: „Основная ошибка абстрактной теории капитализма Маркса“ ეურნალში: Научное Обозрение“. მაი 1899 გ. № 5.

ცუდ - პირობიან ფაბრიკის პატრონებმაც ძალა-უნებურად უნდა გააიათონ თავისი საქონელი; აგრეთვე იმიტომ, რომ ერთმანეთს შორის კონკურენციის, ცილობის ფამო, კარგ-პირობიანი ფაბრიკები მაღავლდებიან და აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნილებას და ცუდ-პირობებიანი ფაბრიკები ცოცხლადვე კვდებიან, იმარხებიან, რა-კი საზოგადოებისათვის საჭირონი აღარ არიან. ამგვრი გამრავლება კარგ-პირობებიან ფაბრიკებისა ადვილი საქმეა, რადგან გონიერი მუშები ადვილად ითვისებენ ახალ ხელობას, ახალ საქმეს. აქედანაც სჩანს, რომ შეუძლებელია მაიმუნისა და, საზოგადოდ, პირუტყვის შედარება ნიჭით სავსე ადამიანთან. ვთქვათ, მეცნიერმა გამოიგონა ახალი მეთოდი, ხერხი რომელისამე სავაჭროს უკეთ კეთებისა. გამრავლდუბა-თუ არა ამ შემთხვევაში საცვალი ღირებულების რაოდენობა?

ერთი შეხედვით, კაცს ეგონება, თითქო ხსენებული რაოდენობა გამრავლდება. მეცნიერის ახალ გამოგონებას დაეპატრონება ხოლმე რომელიმე ერთი კაპიტალისტი. ახალი საქონელი, რომლის მგზავსი ჯერ არ ყოფილა, ღირს ძვირად. კაპიტალისტი, რომელსაც ხელთ უპყრია ეს გამოგონება, მდიდრდება, მეტ ფულს იზიდავს თავის ჯიბეში საერთო სალაროდან. მაგრამ, სამაგიეროდ, რაც ემატება ამ კაპიტალისტს, აკლდება სხვა კაპიტალისტებს. რომ ახალი გამოგონება ვისამე საიდუმლოდ არ ჰქონდეს დაცული და იმ წამსვე ცხადდებოდეს საქვეყნოთ, ე. ი. რომ ახალი გამოგონების გაცნობა ყველა კაპიტალისტს შეეძლოს, სასწორი სიმდიდრისა არ შეირყეოდა და ერთი კაპიტალისტი მეორე კაპიტალისტზე უფრო მდიდარი არ შეიქნებოდა.

საზოგადო გაუმჯობესობა წარმოებისა ვერ ამრავლებს საცვალ ღირებულების რაოდენობას. თუ წინათ უარესად ამზადებლნენ და ახლა უკეთ ამზადებენ საქონელს, ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ შრომის რაოდენობა მატულობს. და საცვალი ღირებულების გამრავლება ხომ შრომის გამრავლებას მოასწავებს.

ვთქვათ, ერთი ვიწმე გენიოსი გამოჩნდა, რომელმაც ერთი რამ მოიგონა, თვითონ აკეთებს საკუთარ ქარხანაში, ჰყიდის თავის ნაწარმოებს ძვირფასად და მდიდრდება. ნუ თუ გამრავლდება ამით საცვალ ღირებულების რაოდენობა? რასაკვირველია, რომ არა, რადგან, რასაც გამომგონებელი შეიძენს, იმდენი ფული დააკლდება სხვებს (აქაც, როგორც ყველგან, ვგულისხმობთ, რომ ოქროს ფასი არ იცვლება).

თუ გენიოსი თავის გამოგონებას სხვა მუშებს განუზიარებს, თუ ერთი კაცის მაგიერ მილლიონმა კაცმა შეიტვისა ეს გამოგონება, მაშინ ახალი სავაჭრო გაიაფდება და არავის უპირატესობა არ მიეცემა, ვერც ერთი ვერ გამდიდრდება სხვაზედ უფრო, ე. ი. ვერავინ ვერ შეიძენს სხვაზე მეტ ფულს, თუ, რასაკვირველია, მოპირდაპირები თანასწორ პირობებში იქმნებიან.

აქედან სჩანს, რომ ეგრედ წოდებული პგალიტიკური შრომა, უკეთესი მუშის შრომა არ ამრავლებს საცვალ ღირებულების საერთო რაოდენობას, არამედ ამრავლებს მხოლოდ თვით ამ შრომის პატრონის ჯიბეს.

ყველა მუშებიც რომ გენიოსები შეიქმნენ, ამით საცვალი ღირებულების საერთო რაოდენობა არ გამრავლდება, რადგან ჯაფა, შრომის სიმძიმე ამით ჟრულიადაც არ მოიმატებს.

აქედან სჩანს, რომ მიზეზი, შექმნელი საცვალ ღირებულებისა, არის შრომის სიმძიმე; რაც მეტია ამგვარი შრომა, იმდენად მეტია საცვალი ღირებულება. შეიძლება იმატოს შრომის მწარმოებელმა ძალამ, ე. ი. შეიძლება ერთ და იმავე შრომით მეტი და უკეთესი საქონელი იქნას მომზადებული, ვიდრე წინად, მაგრამ ამით საცვალ ღირებულების რაოდენობა არ მოიმატებს, რადგან შრომის ტვირთთა რაოდენობა, ენერგია დანახარჯი შრომისა, არ იცვლება. ამგვარად შრომის მწარმოებელ ძალის გაუმჯობესება, ე. ი. მეცნიერებათა და ხელოვნებათა განვითარება მოასწავებს კონკრეტულ მატერიალ, ხილულ სიმღიდრეთა გამრავლებას და არა საცვალ

ლირებულების გამრავლებას. მწარმოებელი ძალა შრომისა და საცვალი ლირებულება ერთი მეორეს წინააღმდეგ ვითარდებიან, ე. ი. რაც მეტი საქონელი კეთდება მცირე შრომით, იმდენად იაფია ეს საქონელი, ანუ, უკეთ ვთქვათ, უფრო ნაკლებია მისი საცვალი ლირებულება.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუმცა უკეთეს პირობებში დანახარჯი შრომა არ ამრავლებს საცვალ ლირებულების ჩაოვენობას, მაგრამ ცხადია, არც ამცირებს ამ რაოდენობებს. ამგვარი შრომა შედის იმ საერთო შრომის რიცხვში, რომელიც შეადგენს საზოგადოების საცვალ ლირებულებათა კრებულს.

რაც შეეხება ცუდ-პირობებში დანახარჯ შრომას, იგი არ შედის საზოგადო შრომის რიცხვში, ვერ იღებს, მაშასად-ამე, მონაწილეობას საცვალ ლირებულებათა შექმნაში. რატომ? იმიტომ, რომ, როდესაც საზოგადოებას მრავლად აქვს საშუალო-პირობებიანი ფაბრიკები, როდესაც მას შეუძლია გაამრავლოს ეს ფაბრიკები რამდენადაც უნდა, მაშინ ცუდ-პირობებიან ფაბრიკების შრომა საჭირო აღარ არის საზოგადოებისათვის, აღარაფრად ფასობს.

მაში მთელი საზოგადოების საცვალ ლირებულებათა რაოდენობა შესდგება საზოგადო შრომისაგან, რომელიც იხარჯება უკეთეს ტეხნიკურ პირობებში, თუ კი ეს პირობები გავრცელებულნი არიან, და აგრეთვე იმ საუკეთესო ტეხნიკურ პირობობებში, რომელნიც შეადგენენ მხოლოდ ზოგიერთ მწარმოებელთა საიდუმლოებას.

როგორც მკითხველი დაინახავს, ტეხნიკური პირობები, რომელნიც დღეს ზოგიერთების საიდუმლოებას შეადგენენ, ხვალ გამოცხადდება და საქვეყნო საკუთრებად შეიქმნება. მაშინ ის საწარმოო იარაღები, რომელნიც ამას წინად კარგ იარაღებათ ითვლებოდნენ, აღარ გამოდგებიან წარმოებისათვის; შრომა, დანახარჯი ამ გვარ იარაღების საშუალებით, საცვალ ლირებულებას ვერ შეჲქმნის და მრავალი მწარმოებელი, რომელიც ახალ იარაღების შემოლებას ვერ მოასწრებს, იხარალებს ან გაკოტრდება.

ცენტრი იმ ტეხნიკურ პირობებისა, რომელთა შორისაც შრომა ჰქმნის საცვალ ღირებულებას, მიიწევს თან და თან და ძლიერ სწრაფადაც საუკეთესო იარაღებისკენ. ეს გარემოება ამტკიცებს ადამიანის ნიჭის; რომ ადამიანს არ შესძლებოდა უცბად შეესწავლა ახალი საქმე, მაშინ ასეთი ცვალებადობა არ იქმნებოდა წარმოებაში. აქედან ცხადად სჩანს, რომ მხოლოდ ადამიანის შრომა ჰქმნის საცვალ ღირებულებას, მხოლოდ მაშინ გავიგებთ საწარმოო მოვლენათა მოძრაობას, თუ აღვიარებთ ამ მოვლენათა აღმხსნელ პრინციპად კაცის შრომას. ცხადია ისიც, თუ რამდენად სცდება ტუგან-ბარანოვსკი, რომ ადამიანის შრომას პირუტყვისა და ავტომობილის შრომას ადარებს.

მაშასადამე, საზოგადო საცვალ-ღირებულებათა რაოდენობას ჰქმნის შრომა საშუალო ნიჭის და შეძლების ადამიანისა, უკეთ ვთქვათ, ჯაფა, სიმძიმე ამ შრომისა, ე. ი. არა კონკრეტული, არამედ განყენებული შრომა, დანახარჯი იმ უკეთეს ტეხნიკურ პირობებში, რომელიც გავრცელებული არიან და აგრეთვე იმ საუკეთესო პირობებშიაც, რომელიც ჯერ მხოლოდ ზოგიერთ მწარმოებელთა საიდუმლოს შეაღენენ; გენიოსი საცვალ ღირებულებათა საერთო რაოდენობას იმდენადვე ამრავლებს, რამდენადაც საშუალო ნიჭის პატრონი კაცი, გენიოსი ამრავლებს მხოლოდ კონკრეტულ სიმდიდრეს, შრომის ნაყოფიერებას, მწარმოებელ ძალას.

აქამდის ჩვენ ვგულისხმობდით, რომ სხვა-და-სხვა სამრეწველო დარგებში ნამზადები ნაწარმოებნი გაიცვლებიან ერთმანეთს შორის იმის დაგვარად, თუ რამდონი შრომაა დახარჯული თვითეულ დარგის ნაწარმოებზე. ნამდვილად კი ასე არის. სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, რომელთა შესახებაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი, კერძო შრომა, დანახარჯი რომელსამე საწარმოო დარგში, შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები, ვიდრე ის საცვალი ღირებულება, ანუ საზოგადო შრომა, რომელსაც ეს დარგი იზიდავს საზოგადო შრომის საერთო თანხიდან. თუმცა ეს ასეა; მაგრამ პრინციპი შრომ-

ისა მაინც შეურყეველი რჩება. რაოდენობა იმ შრომისა, რომელიც ჰქმნის საცვალ ღირებულებათა საერთო როცხვს, არ შეიცვლება მით, რომ ეს შრომა სხვა-და-სხვა გვარად განაწილდეს სხვა-და-სხვა საწარმოო დარგთა სავაჭროებზე. ერთი ჩაფი ღვინო ერთი ჩაფი იქნება ყოველთვის, თანასწორ ბოთლებში გადასხამ თუ უთანასწოროებში. ზღვაში თუ წყალმა ერთგან დაიწია, მეორეგან აიწევს, ამით ზღვას არც არა მოემატება-რა და არც არა მოაკლდება-რა. თუ რომელსამე საწარმოო დარგს საცვალი ღირებულება მოემატა იმაზე მეტი, რაც ამ დარგში საცვალი ღირებული შეუქმნია შრომის, სწორედ ამდენივე საცვალი ღირებულება დაკლდებათ სხვა საწარმოო დარგებს, არც მეტი, არც ნაკლებია. ეს კანონი შედეგია იმ პრინციპისა, რომელიც ზემოდ განვიხილეთ, ე. ი. შრომის პრინციპისა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ აღვიხული რთული ეკონომიური მოვლენანი. ამაռა ძიება ყოველსაცე სხვა პრინციპისა.

ამას გარდა, როდესაც რომელსამე საწარმოო დარგის ნაწარმოებთ ემატება საცვალი ღირებულებას იმაზე მეტი, რაც თვათ ამ დარგში მხადდება, ეს უბრალო შემთხვევის ბრალი არ არის, აქ მოქმედებს განუსაზღვრელი კანონი, რომლის შესახებაც შემდეგ გვექმნება ლაპარაკი და რომელიც ამტკიცებს აგრეთვე შრომის პრინციპის სიმართლეს.

## V

თანხსა, ანუ ქაშიტალი.

რომ მესაკუთრეებს მეტი სიმდიდრე აქვთ, ვიდრე მუშებს, ეს ემპირიული ფაქტია, რომლის უარ-ყოფა შეუძლებელია. მაშინ, როდესაც პირველთ აუარებელი წლიური მოგება შემოღისოთ, უკანასკნელთ თავისი უმცირესი მოთხოვნი-ლებანიც კი ვერ დაუკმაყოფილებიათ რიგიანად. მაშინ, როდესაც საზოგადოების ერთ პოლიუსზე ურიცხვ სიმდიდრეს

შოთა გრიგორია თავი, მეორე პოლიტიკური უკიდურესი სიღარიბე მოთავსებულა.

ასეთი განსხვავება, დიფერენციაცია არ არის გამოწვეული წარმოების მოთხოვნილებით, საზოგადო შრომის განაწილებით. ამგვარი განაწილება სრულიადაც არ მოითხოვს, რომ ზოგიერთები განცხრომაში ყვინთავდნენ და ზოგიერთები შიმშილით იხოცებოდნენ.

ზოგიერთების ფიქრით, მესაკუთრეებს თუ მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე მუშებს, ეს მიეწერება. მესაკუთრეთა ღვაწლს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მესაკუთრეები ისეთივე უბრალო მომაკვდავი ადამიანები არიან, როგორც სხვები. საკუთრება არა სცვლის ადამინის ბუნებას, ვერ გარდაქმნის ადამიანებს ანგელოსებად, არა ჰქონის უფსკრულს ადამიანთა შორის. მონათ-მფლობელებს ეგონათ, ჩვენ სხვა სისხლი და სხვა ხორცი გვაქვს, ვიდრე ჩვენს მონებსო, და უკანასკნელებს პირუტყვებს ამსგავსებდნენ. უამთა-ვითარებამ დაამტკიცა, რომ იგინი სცდებოდნენ. ახლა კი თანამედროვე მესაკუთრეები თამაშობენ უწინდელ მიწათ-მფლობელთა შორის. ესენიც იმას ამტკიცებენ, ჩვენ სხვა ვართ, მუშები სხვა, ამიტომ ჩვენ მეტი სიმდიდრე გვერგვებათ.

ბევრი ცდა არ დაგვჭირდება, რომ ამ აზრის შეცდომა გამოვააშკარავოთ. მართლაც, ბევრი მესაკუთრეა, რომ წარმოებაში მონაწილეობას სრულიადაც არ იღებს, ფული ბანკში ან რომელსამე სააქციონერო თანხაში შეუტანია და სარგებელს კი იღებს. მაშ სარგებლის შეძენისათვის სრულიადაც არ არის საჭირო გარჯა, საკმაოა მხოლოდ, ფული ჰქონდეს, მესაკუთრე იყო.

ვინც თავის საწარმოო საქმეებს განაგებს, არც იმას სჭირდება განსაკუთრებული ნიჭი და ენერგია. საწარმოო საქმის კარგ მმართველს იმდენს იშოვით, რამდენიც გნებავთ, და არც ძალიან ძვირად. ცილობა, კონკურრენცია აითვებს ამ შმართველთა ქირას.

საცვალ ღირებულებათა რიცხვი არ მრავლდება მით, რომ ამ ღირებულებათა დიდ ნაწილს მესაკუთრეები ითვისებენ. ხსნებული რიცხვი ღირებულებათა რომ მუშათა შორის დატრიალდეს, ცხადია, ამით ეს რიცხვი არ მოიკლებს.

ამგვარად, კერძო საკუთრება არ ამრავლებს საცვალ ღირებულებათა რაოდენობას და აქვს გავლენა მხოლოდ ამ რაოდენობის განაწილებაზე.

მართალია, მესაკუთრეებსაც ერგებათ თავის მუშაობის ქირა, როგორც უბრალო მმართველებს, მაგრამ ეს ქირა არაფერი არ არის შედარებით იმ მოგებასთან, რაც მათ შემოუდისთ.

მაშ მესაკუთრეები იძენენ იმაზე მეტს, რაც მათ ერგებათ, როგორც მუშებს. საზოგადო შრომის რამდენიმე ნაწილი მესაკუთრეებს მიაქვთ მუქთად, უეკვივალენტოდ.

აქედან სჩანს, რომ მუშებს წილად ხვდებათ თავისი შრომის მთელი ნაყოფი კი არა, არამედ ნაწილი ამ ნაყოფისა.

თუ აღვიარებთ იმ აზრს, რომ ადამიანები დაახლოებით თანასწორნი არიან და თანასწორად მუშაობენ, ჯილდოც არ წნდა ჰქონდეს ერთს მეორეზე მეტი.

თუ მესაკუთრეს იმდენივე ღვაწლი მიუძლვის საზოგადოების წინაშე, რამდენიც ყოველ სხვა მუშას, მაშინ მესაკუთრესაც იმდენი ჯილდო ერგება, რაც მუშას.

თუ კი საერთო შრომის ნაყოფიდან მესაკუთრეს უბრალო მუშაზე მეტი მიაქვს, ე. ი. მიაქვს იმაზე მეტი, რაც ერგება, ცხადია, მუშას რჩება ამ ნაყოფიდან იმაზედ უფრო მცირე წილი, რაც მას ეკუთვნის.

აქედან სჩანს, რომ მუშის ქირა უმეტეს წილად უფრო მცირეა იმ ქირაზე, რაც მას ერგებოდა, რომ პრინციპი თანასწორობისა არ ყოფილიყოს დარღვეული.

ამ შემთხვევაშიაც ისაზღვრება პრინციპი შრომისა, მუშაფასობს იმაზე ნაკლებად, რა ფასის საქონელსაც თვითონ ამზადებს. მაგრამ პრინციპი შრომისა ამით არ ირღვევა. რაც აკლდება მუშებს, ის ემატება მესაკუთრეებს. საერთო რიცხვი საცვალ ღირებულებათა უცვლელი რჩება.

რომ ასე არ იყოს, რომ მუშები იმდენს ქირას იღებდნენ, რამდენიც შეესაბამება მათგან დანახარჯ შრომას, ანუ რამდენიც მათ ეკუთვნისთ, მაშინ მესაკუთრები წმინდა მოვებას ველარ დაეპატრონებოდნენ.

თუ აღვიარებთ, რომ, ასაც მუშები ქირად იღებენ, მათი მუშაობა მეტი არა ლირს, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ნაწილი უდრის მთელს.

მარქსი ამბობს, რომ მუშის ქირა მიტომ არის უფრო მცირე იმაზე, რასაც მუშა ამზადებს, რომ მუშა ისყიდება, როგორც უბრალო, სავაჭრო. და, როგორც უბრალო სავაჭრო ლირს იმდენად, რამდენი შრომაცაა. საჭირო მის შოსამზადებლად, აგრეთვე მუშა, მუშის ძალაც იმდენად ლირს, რამდენი შრომაცაა საჭირო მუშის სიცოცხლისათვის და მის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მუშა კი თვითონ იმაზე მეტს ამზადებს, რაც საჭიროა თავის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რასაკვირველია, რომ მუშები და მესაკუთრეები თანასწორ პირობებში იმყოფებოდნენ, რომ მუშებს გაჭირვება არ ატარ ნდესთ ძალას, იაფად ჰყიდონ თავისი თავი, რომ მუშებსა და მესაკუთრეებს შორისაც ისეითვე თავისუფალი ცილობა, კონკურენცია იყოს; როგორც თვით მესაკუთრეთა შორის არის, მაშინ მესაკუთრეებს აღარაცერი უპირატესობა არ ექმნებოდათ, მუშები იმდენად დააფასებდნენ თავს, რამდენად ნამდვილად ლირან, მესაკუთრეებიც მხოლოდ თავის შრომის ფასს შეიძენენ და სხვისწავლის ვერ მიითვისებდნენ, ერთა სიტყვით, კერძო საკუთრება აღარ იქნებოდა და აღარ იქნებოდა, მაშასადამე, თანამედროვე წესწყობილება.

ტყუილად ამბობენ, ვითომ თანამედროვე, ეგრედ წოდებულ კაპიტალისტურ წესწყობილებას თავისუფალი კონკურენცია ჰქონდეს საფუძვლად. პირიქით, კაპიტალისტური წესწყობილება უთანასწორობის პრინციპზეა აშენებული.

ერთი მხრითა სდგას მესაკუთრე, კაპიტალის პატრონი, ანუ კაპიტალისტი, რომელსაც შეუძლია დიდხანს: იცადოს.

გაუჭირვებლად. მეორე მხრით არის მუშა, ყოველ ქონებას მოკლებული, რომელსაც ერთი, კვირის საგძალი თუ ექნება და, მაშასადამე, თუ დიღხანს დარჩა უმუშაოდ, შიმშილით ამოხდება სული. კაპიტალისტი თავისუფალია, თუ უნდა ამუშავებს მუშას, თუ უნდა, არ ამუშავებს. იგი აბსოლიუტი მფლობელია თავის კაპიტალისა. და, ვიდრე მუშა მცირე ქირას არ დასჯერდება, თავის კაპიტალს არ აწარმოებს. მუშას კი არა აქვს უფლება მოსთხოვოს კაპიტალისტს უფრო სამართლიანი ქირა.

ამგვარია საფუძველი თანამედროე ეკონომიკურ ურთიერთობისა. აქაც უთანასწორობაა, ბატონ-ყმობაა, მხოლოდ უფრო შემსუბებებული და ფარული, ვიდრე უწინ იყო. თანამედროე კანონიც, როგორც ყოველთვის, კაპიტალისტებისაკენ ხრის სასწორს, კაპიტალისტებს უფრო იფარავს, ვიდრე მუშებს.

მაშ მუშის ქირის რაოდენობა განისაზღვრება თავისუფალ კონკურრენციით კი არა, ძალადობით. რომ ეს ქირა თავისუფალი კონკურრენციის ნაყოფი ყოფილიყოს, მაშან იქნებოდა სამართლიანი, ნორმალური, როგორც ფასი ყოველისავე სხვა სავაჭროში. მაგრამ ძალადობა არღვევს თავისუფლების პრინციპს, ამიტომ მუშის ქირა იმაზე ნაკლებია, რაც უნდა იყოს. მართლაც, რატომ არის, რომ მუშის შრომის ნაყოფი მთლად არ იხარჯება მუშის ყოველ-გვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? რატომ არის, რომ მუშას თავის ნაშრომის მცირე ნაწილი-და რჩება; რომელიც ძლივს უძლვება აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას? თუ ყოველისავე სხვა სავაჭროს გაუმჯობესებას ცდილობენ, რატომ მუშა არ უნდა გაუმჯობესდეს? დიალ, მუშა ერთად-ერთი სავაჭროა, რომლის განვითარებასაც არა სცდილობს მესაკუთრე.

თვითონ კაპიტალისტები ამბობენ, რომ ნორმალური, კანონიერი მცოლოდ ის არის, რაც არის ნაყოფი თავისუფალ კონკურრენციისა. თუ ამ პრინციპს დავემყარებით, კანონიერი ქირა მუშისა უნდა იყოს მისი ნაშრომი მთლად, რადგან მუშა

არათრით არ ჩამოუვარდება კაპიტალისტს და თავისუფალი კონკურენცია სრულიად მოსპობდა განსხვავებას მუშასა და კაპიტალისტს შორის.

რომ აღამიანები თანასწორნი არ იყვნენ ნიჭით და ყოველგვარი თვისებით, მაშინ ჩაგრულნი აღარ ეცდებოდნენ თავის დაღწევას მონობიდან, უთანასწორობის მძიმე უღლის გადაგდებას თავის კისრიდან. ისტორია კაცობრიობისა არის ისტორია ბრძოლისა დამონებულთა და დამმონავებელთა შორის. ხანგრძლივმა მონობამ ვერ შეჰქმნა განსხვავება აღამიანთა შორის ფიზიოლოგიურ და სულიერ თვისებათა მხრივ. თანასწორობა აღამიანთა შორის არის კანონი ბუნებისა, რომელსაც ექვემდებარებიან სოციალური კანონები. განხორციელება ამ პრინციპისა საზოგადო ცხოვრებაში ბოლოს-დაბოლოს აუცილებელია.

მაში იდეალური ქირა მუშისა არის მუშისავე ნაშრომნალვაწი. არსებული ქირა იდეალურზე ნაკლებია, რაღან ნაყოფია თავისუფალ ცილობისა კი არა, არამედ ძალ-დატანებისა. მართალია, მუშები ერთმანეთს ეცილებიან, მაგრამ ამ ცილობით კიდევ უფრო ამცირებენ თავის ქირას. კაპიტალისტებსა და მუშებს შორის კი, როგორც ზემოდ ვთქვით, თავისუფალი ცოლობა არ არსებობს, რაღან იგინი თანასწორ პირობებში არ იმყოფებიან.

ამგვარად, მაშინ, როდესაც სხვა სავაჭროთა საერთო კრებული თავის ღირებულ ფასად გაიყიდება ხოლმე, მუშა ისეთი სავაჭროა, რომელიც გაიყიდება ხოლმე თავის ღირებულ ფასზე ნაკლებად. ეს განსხვავება სავაჭრო მუშასა და დანარჩენ სავაჭროთა საერთო კრებულს შორის. ამ განსხვავებაზეა აშენებული მუშათა ექსპლოატაცია, კლასთა ერთმანეთს შორის განსხვავება; დიფფერენციაცია.

ამგვარად, მუშების ნაშრომი განიყოფება ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ამ ნაშრომისა მიაქვთ კაპიტალისტებს იმ ქირის. მაგიერ, რომელსაც კაპიტალისტები მუშებს აძლევენ, მეორე ნაწილი მუშათა ნაშრომისა მიაქვთ კაპიტალისტებს უეკვივა-

лінгнімад, міжтада. єс Мєнкі Іафіліо Шкотіса, რომელიც კაპіტаლісტівіс შეუსყიდვе лінгнід, უეквізаціялінгнід, міжтада მіаქт, аრіс ზედ-მეტი შкотіса. іс ნაწіліо Шкотіса, რომ-ლіс: თანისწორ ქіріс, ეკвізаціялінгніс, мішігбі ღებულობენ, аріс აუცილებელი შкотіса, ე. ი. іс შкотіса, რომელიც აუ-ცილებელია, რომ მუშათა უბრალო მოთხოვნილებანი და-კმაყოფილოს.

ღირებულებათა რაოდენობა, შექმნილი ზედ-მეტი შкот-მісაგან, იწოდება ზედ-მეტ ღირებულებად.

კაპიტаლісტівіс მіаქт საზოგადო ღირებულებათა რაო-დენობიდან ზედ-მეტი ღირებულება მіжтад, შეუსყიდველი, უეквізаціялінгнід. ი წყარო მათი სიმდიდრისა და მუშათა სიღარიბისა,

აქედან სჩანს, რამდენად შემცდარია ტუგან-ბარანოვსკი<sup>1)</sup>, რომელიც ფიქრობს, ვითომც თეორია „ზედ-მეტი ღირებუ-ლებისა“ არ იყოს სწორი თეორია. საკვირველია, სწორედ რომ ზედ-მეტი შкотіса არ იყოს, ე. ი. რომ მუშათა ნაშкот-მіს ერთ ნაწილს კაპიტаლісტівი მіжтад არ ითვისებდნენ, საიდან ექნებოდათ კაპიტаლісტівის მოგება?!

მართალია, ტუგან-ბარანოვსკის არა ჰგონია, რომ საცვა-ლი ღირებულება, ანუ ფასი იყოს ნაყოფი. ადამიანის შкот-მісა. ზემოდ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საცვალ ღირებულებათა საზოგადო რაოდენობასა პემნის მუშათა საერთო შкотіს. მაშა-სადამე, თუ კი მართალია ის, რომ კაპიტალісტівი მუშათა ზედ-მეტ შкотіს ითვისებენ მіჯтад, მართალია ისიც, რომ კაპიტალісტівი ითვისებენ მіჯтад ზედ-მეტ საცვალ-ღირებუ-ლებას, იმ საცვალ ღირებულებას, ფასს, რომლის მაგიერს, ეკვივალენტს მუშებს არ აძლევენ.

რაც მეტია მუშის ქірია და ნაკლებია ზედ-მეტი საცვალი ღირებულება, იმდენად მეტია განსხვავება კაპიტალісტისა და მუშას შორის. კაპიტალісტი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი:

<sup>1)</sup>) „Очерки изъ новѣйшей исторіи Политической Экономіи“ изд. 1903 г. стр. 387.

შესყიდველი შრომა დაცინცლის ხელიდან მუშას. მუშა კი, თავის მხრით, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წილი მისი შრომისა იქმნას შესყიდული. ამგვარად, მუშის ქირის რაოდენობა დამოკიდებულია კაპიტალისტისა და მუშას შორის ბრძოლაზე. რაც უკეთესი ორგანიზაცია და კლასსობრივი ცნობიერება აქვთ მუშებს, მით მეტია მათი ქირა, ანუ ის ნაწილი მათი შრომისა, რომლის ეკვივალენტიც მათ ეძლევათ. პირიქით, რაც უფრო დაქაქსულია და მოუწყობელია. მუშათა დასი და განუვითარებელია მათი კლასსობრივი ცნობიერება, მით უფრო მცირეა სამუშაო ქირა და მეტია ზედმეტი ლირებულება. მთავარი ძარღვი შინაგან პოლიტიკისა ამ კლასსთა შორის ბრძოლაზეა დამყარებული.

საჭიროდ მიგვაჩნია ცოტათო გვერდი ავტევიოთ საგანს და ერთ მოვლენაზე შევჩერდეთ. როგორც ზევით ვუქვით, საცვალ ღირებულებასა ჰქმნის მხოლოდ შრომა ადამიანისა. ვთქვათ, რომელსამე მესაკუთრესა ჰყავს დაქირავებული ათასი მუშა; რომელსამე სხვა მესაკუთრეს კი ხუთასი მუშა ჰყავს დაქირავებული. ნათქვამიდანა სჩანს, რომ პირველის მუშები ორჯერ მეტ საცვალ ღირებულებას შევქმნან, ვიღრე მეორე მესაკუთრის მუშები. ახლა ვიკითხოთ, რა-კი პირველი მესაკუთრის მუშები მეტ საცვალ ღირებულებას ამზადებენ, ეს მესაკუთრე მეტ მოგებას იძენს, თუ მეორე მესაკუთრე, რომელ საც ორჯერ ნაკლები მუშა ჰყავს დაქირავებული? მუშები ამრავლებენ საცვალ ღირებულებათა საერთო რიცხვს. კერძო მესაკუთრე იმის კვალად კი არ იხვეჭს მოგებას, რამდენი მუშაც დაუქირავებიფ არამედ იმის კვალად, რამდენია მისი საკუთრება. შეიძლება მას ათასი მუშა სჭირდებოდეს, მაგრამ სამაგიეროდ მასალა მცირე ფასის სჭირდებოდეს. აგრეთვე შეიძლება მეორე მესაკუთრეს მხოლოდ ხუთასი მუშა სჭირდებოდეს, მაგრამ ამასთანავე დიდ-ძალი ფასის მასალაც სჭირდებოდეს თავის ნაწარმოების დასამზადებლად. თუ საერთოდ პირველი და მეორე მესაკუთრეები თანასწორ თანხებს ხარჯავენ თავ-თავის საქმეზე, მაშინ პირველს იმდენივე მოგება

ექმნება, რამდენიც მეორეს, თუმცა კი პირველის მუშები მეტ საცვალ ღირებულებას, მაშასადამე, მეტ ფასს ჰქმნიან, ვიდრე მეორეს მუშები. ასე რომ საცვალ ღირებულებათა ნაწილი, შექმნილი პირველი მესაკუთრის მუშებისაგან, მეორე მესაკუთრის ჯიბეში გადადგს. რატომ არის ასე? მიტომ, რომ თანასწორი კაპიტალები, თანხები, თანასწორ მოგებას იზიდავენ. თუ რომელიმე დარგი წარმოებისა ერთსა და იმავე თანხაზე მეტ მოგებას იძლევა, ამ დარგში გადმოვლენ კაპიტალები და გააიაფებენ ამ დარგის ნაწარმოებს, ვიდრე აქაცი იმდენივე მოგება არ დარჩება კაპიტალს, რა მოგებაც აქვს ყოველი სხვა დარგის კაპიტალს.

პრინციპი შრომისა ამ შემთხვევაში სრულიადაც არ ირღვევა. ჯერ ერთი, საერთო რაოდენობა საცვალ ღირებულებათა არ იცვლება მით, რომ სხვა და სხვა დარგებში სხვა და სხვა რაოდენობა მუშათა სჭირდებათ თანასწორ კაპიტალის მესაკუთრეებს. სულ ერთია, თანასწორ კაპიტალებს რიცხვით თანასწორი მუშები ეყოლებათ დაქირავებული, თუ უთანასწორო. საერთო რაოდენობა საცვალ ღირებულებათა ერთი და იგივე მომზადდება ორივე შემთხვევაში.

რაც შეეხება საცვალ ღირებულების საერთო რიცხვის განაწილებას კაპიტალისტებს შორის, აქაც განსაზღვრული კანონი მოქმედობს. ეს კანონი შეიძლება განვსაზღვროთ ციფირით. ვთქვათ კაპიტალი პირველი მესაკუთრისა კ განიკოფება ორ ნაწილად, იმ ნაწილს, რომელსაც შეადგენს მასალა და იარ რაღები, ვუწოდოდ „მ“, იმ ნაწილს, რომელიც იხარჯება მუშათა დაქირავებაზე, ვუწოდოთ „ქ“; ზედ-მეტ ღირებულებას, რომელსაც ჰქმნიან მუშები, ვუწოდოთ „ზ“. მეორე მესაკუთრის ქარხანაში იმავე ელემენტებს ვუწოდოთ კ., მ., ქ., ზ., ამასთანავე კ=კ.; მ+ქ=მ, +ქ; მ ნაკლებია, ვიდრე მ,, მაგრამ „ქ“ მეტია, ვიდრე ქ, ნათქვამიდან სჩანს, რომ ზედ-მეტი ღირებულება, ანუ მოგება ორივე მესაკუთრისა = ზ+ზე. თუმცა ზ მეტია, ვიდრე ზ; მაგრამ თვითეულ მესაკუთრეს თანასწორ

რი მოგება აქვს, ე. ი.  $\frac{6+6}{2}$ , ეს უკანასკნელი რიცხვი ე. ი.  $\frac{6+6}{2}$ , დამოკიდებულია, რასაკვირველია, იმაზე, თუ რამდენია  $\frac{6+6}{2}$ .

$\frac{6+6}{2}$ , დამოკიდებულია მუშათა ქირებზე, ესე იგი  $\frac{6+6}{2} \cdot \frac{6+6}{2}$ . თვითებულის თანხას კი განსაზღვრული დამოკიდებულება აქვს მუშათა ქირასთან. ერთი სიტყვით, ხსენებულ ელემენტებს განსაზღვრული დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, ისეთი განსაზღვრული დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება ციფრებით, ამგვარ დამოკიდებულებას კი ეწოდება მეცნიერებაში კანონი.

აქედან სჩანს, რომ საცვალ-ლიტებულებათა განაწილება სხვა და სხვა მესაკუთრეთა და დარგთა შორის ექვემდებარება განსაზღვრულ კანონს, რომელიც დაფუძნებულია შრომის პრინციპზე. თუ უარ-ცყოფთ შრომის პრინციპს, ყოვლად შეუძლებელია გავიგოთ ხსენებული კანონი.

ჰქონის თუ არა კაპიტალი საცვალ ლიტებულებას? რასა-კვირველია, რომ არა. მართალია, კაპიტალი სარგებელს, ანუ, უკეთ ვთქვათ, ზედმეტ ლიტებულებას იზიდავს, მაგრამ მხოლოდ იზიდავს და კი არა ჰქონის. კაპიტალი კრებული საცვალ ლიტებულებათა, რომელსაც დასაკუთრებია ცერძო კაცი. იგი შრომის ნაყოფია, წარსული შრომის განხორციელებაა. თავის-თავად იგი ვერ გაიზრდება; რომ ვინმემ მოინდომოს თავისი კაპიტალის გაყიდვა ფულად, რაცა ლირს, იმაზე მეტს ვერ აიღებს.

რომ კაპიტალი არ იყოს, რომ ყოველ მუშას - ჰქონდეს საკუთრება, რომ ყველა მუშა-მწარმოებლები თანასწორნი იყვნენ ყოველისფრით, მაშინ თვითებული მუშა-მწარმოებელი თავისი შრომის ნაყოფს მოლად მიიღებდა, საკუთრება აღარავის აღარ მისცემდა მოგებას, ე. ი. აღარ იქნებოდა აღარც თავნი, ე. ი. კაპიტალი, და აღარც სარგებელი მაგრამ ამით საერთო რიცხვი საცვალ ლიტებულებათა სრულიადაც არ იქნებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იქნებოდა, რომ, მის მა-

გიერად, რომ კაპიტალისტები მდიდრდებიან და მუშები კი სიღარიბეში არიან, საზოგადო ნაყოფი საერთო შრომისა თანასწორად იქმნებოდა განაწილებული. რაც კაპიტალისტებს დაკლდებოდათ, ის მუშებს მოემატებოდათ. განვიმეორებთ, ამით საერთო რიცხვი საცვალ ღირებულებათა სრულიადაც არ შემცირდებოდა.

მაშასადამე, კაპიტალი ვერა ჰქმნის საცვალ ღირებულებას და, მაშასადამე, ვერც ზედ-მეტ ღირებულებას, რომელიც არის წყარო მოვებისა, სარგებლისა.

კაპიტალი აძლევს მესაკუთრეს საშუალებას, რომ მუშების შრომის ნაწილი მიითვისოს მუქთად, უეკვივალენტოდ, ეს იგი მითვისოს ზედ-მეტი ღირებულება. კაპიტალი არ არის საშუალება, შემქნელი საცვალი ღარებულებისა, არამედ საშუალება სრვისი ნაშრომის ნაწილის მუქთად მითვისებისა, შრომის ექსპლოატაციისა, მესაკუთრეთა ბატონობისა მუშებზე.

ყოველთვის კაპიტალად ხომ არ არის კერძო საკუთრება? რასაკვირველია, არა. იქ, საღაც მსხვილი წარმოება არარის, სადაც ყველასა აქვს თავისი პატარა კერძო საკუთრება, მესაკუთრეს არ შეუძლია მუქთად მიითვისოს სხვისი საკუთრება, თუ პოლიტიკური მონობა არ არსებობს. კერძო საკუთრება მხოლოდ მაშინ ხდება კაპიტალად, როდესაც ეს საკუთრება საზოგადოების უმცირეს ნაწილს ჩაუგდია ხელში და უდიდეს ნაწილს ხელიდან გამოსცლია. კაპიტალისტი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც არსებობს საქირაო მუშა, საკუთრებას. მოკლებული. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მუშათა ექსპლოატაცია, რაღაც მუშა უქმია, მას შიმშილით ამოხდება სული, თუ კაპიტალისტის სამუშაო იარაღებს არ მოჰკიდა ხელი და არ აწარმოვა.

მაში, ვიდრე კერძო საკუთრება კაპიტალიდ გარდიქცეოდა, ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იყო საჭირო. საჭირო იყო ხანგრძლივი ეკონომიური ბრძოლა, განვითარება ვაჭრობისა და მრეწველობისა, გაკოტრება განუვითარებელ სახელისნოთა, გაფართოება და გადიდება წარმოებისა, ერა-

თად შეგრძოვება კაპიტალებისა და სხ. საჭირო იყო აგრეთვე შეცვლა ძველებურ პოლიტიკურ წეს-წყობილებისა თანამე-დრო წეს-წყობილებად. საჭირო იყო, მუშას თავისუფლად გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა, მაშასადამე, ბატონ-ყმობის გადავარდნა და სხ. საჭირო იყო თვით-მმართველობა ვაჭარ-მრეწველთა, განთავისუფლება მათი ფეოდალების ბატონობი-საგან. ყველა უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ისეთი განვი-თარება წარმოებისა, რომელსაც დღეს ვხედავთ ევროპაში, რომელმაც განაშორა მუშები წარმოების იარაღებს, ჩაუგდო ხელში მთელი სიმდიდრე ვაჭარ-მრეწველ კაპიტალისტებს, შექმნა პროლეტარიატი, ეკონომიური მონობა.

მაშ კაპიტალი ისტორიული კათეგორიაა, შედეგი ხან-გრძლივი ისტორიული პროცესისა და, ამიტომ, დროებითი წარმავალი, როგორც დროებითი და წარმავალიც ყოფილა სხვა ისტორიული კათეგორია.

კაპიტალია აგრეთვე საშუალება ბრძოლისა, ცილობისა, კონკურრენციისა. რაც ომის ველზე ზარბაზანია, ის სამრე-წველო ასპარეზზე ქარხანაა. კაპიტალისტები ერთმანეთს ამარ-ცხებენ, აკოტრებენ ეკონომიურად. მათს შორის ეკონომიუ-რი ერთობა, ორგანიზაცია არ არის. ბრძოლა ყველასი ყვე-ლასთან,—აი შედეგი კაპიტალისტურ კერძო საკუთრებისა. რასაკვირველია, ამ დაუზოგველ ბრძოლაში მსხვერპლი მეტია, ვიდრე ბედნიერი. კრიზისები, გაკოტრება კაპიტალისტთა უმ-რავლესობისა, ნიშნობლივი თვისებაა ამ წეს-წყობილებისა, რომელიც კაპიტალისტებს. მიაჩნიათ საუკეთესო წეს-წყობი-ლებად, ბუნებრივად.

როგორც მკითხველმა უწყის, ტეხნიკის გაუმჯობესობა აიაფებს სავაჭროს. ეს გაუმჯობესობა თანამედროვ ეკონომი-ურ ცხოვრებაში საოცარი სისწრავით ხდება. ის კაპიტალის-ტი, რომელიც ვერ მოასწრებს. დასრულებულ სატეხნიკ-პირობების შემოღებას თავის ქარხანაში, უნდა გაკოტრდეს, რადგან, საერთო სიიაფის გამო, მცირე ფასად გაასაღებს თა-ვის სავაჭროს, რომლის დამზადებაც ძირიად დაუჯდა.

საზოგადოდ მსხვილ, მდიდარ კაპიტალისტებს აქვთ აშ მცრით უპირატესობა, რადგან მათ უფრო აღვილად შეუძლიათ იყიდონ, მაშასადამე, შემოილონ ყოველი ახალი გამოგონება.

საერთო კრიზისის დროსაც, რასაკვირველია, მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტს შეუძლია შეირჩინოს თავისი მდგომარეობა, პოზიცია, რადგან, რაც უნდა იზათოს, მაინც ბევრი სიმდიდრე შეტანება ხელში. კრიზისის შემდეგ, პირიქით, მსხვილი კაპიტალისტი, რა კი წვრილ მოცილეებს თავიდან მოიშორებს, მეტ მოგებასაც ნახავს და, მაშ, წინანდელზე უფროც გამდიდრდება.

კაპიტალი თავის ტრიალის დროს იჩრდება. განვიხილოთ დაწვლილებით, რა გორ ხდება ეს ზრდა.

ვთქვათ, კაპიტალისტმა დახარჯა თავის საწარმოო საქმეზე ერთი მილლიონი მანეთი. ვთქვათ, ამ ფულში  $\frac{1}{5}$  მილლიონისა, ესე იგი 200,000 მანეთი მუშების ქირად დაეხარჯა და დანარჩენი, ე. რ. 800,000 მან. დაეხარჯა სხვა და სხვა იარაღზე და მასალაზე. ვთქვათ, მუშების შრომის შეუძლია ხეჭქმნას 400,000 მანეთის სილირალი. მაშინ მთელი მისი ნაწარმოები ელირება ერთი მილლიონი და 200,000 მანეთი. რატომ? მიტომ, რომასტლ ნაწარმოების ფასში შედის 1) იარაღებისა და მასალის ფასი, ესე იგი 800,000 მანეთი, 2) ის სალირალი, რაც ამ ნაწარმოებს მოემატა დაქირავებულ მუშების შრომით, ესე იგი 400,000 მანეთი. ერთი სიტყვით, ძველ შრომის ემატება ახალი. შრომა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მუშები თავისი შრომით არა თუ ჰქმნიან ახალ საცვალ ღირებულებას, არამედ ახალ ნაწარმოებზე ძველი ნაწარმოების, ესე იგი იარაღისა და მასალის, ლირებულებაც გადააქვთ.

ამგვარად კაპიტალისტმა დახარჯა ერთი მილლიონი მანეთი და დაამზადა ერთი მილლიონისა და 200,000 მანეთად ღირებული ნაწარმოები, სავაჭრო 800,000 მანეთს, რომელიც იარაღსა და მასალაზე დაიხარჯა, ეწოდება მუდმივი ნაწილი კაპიტალისა, მუდმ ვი კაპიტალი, რადგან იგი არ იცვლება, არ იზრდება, უკლებლად და მოუმატებლად გა-

დადის ახალ ნაწარმოებზე. 200,000 მანეთს, რომელიც მუშების ქირად დაიხარჯა, ეწოდება ცვალებადი ნაწილი კაპიტალისა, ცვალებადი კაპიტალი, რაღაც ეს კაპიტალი იხარჯება მუშებზე, რომელიც ზრდიან კაპიტალს, ჰქონიან ახალ საცვალ ღირებულებას, ანიჭებენ კაპიტალისტს მოგებას ანუ ზედ-მეტ ღირებულებას.

ურთიერთობას მუდმივ კაპიტალსა („მ“) და ცვალებად კაპიტალს („ც“) შორის,  $\frac{3}{5}$  ეწოდება კაპიტალის ორგანიული შენობა.

რაც უფრო წინ მიღის მრეწველობა, მთ მეტია ის ნაწილი კაპიტალისა, რომელსაც ხმარობენ იარაღებად და მასალად და ნაკლებია კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც იხარჯება მუშების ქირად, ესე იგი ურთიერთობა, ანუ წილადი რიცხვი (Дробное число) მ/ც, მატულობს. თუ კი მუშათა ქირა მცირდება მუდმივ კაპიტალთან შედარებით, მცირდება, რასაც კირველია, მუდმივ კაპიტალთანვე შედარებით ზედ-მეტი ღირებულებაც, რადგან ზედ-მეტ ღირებულებას მჭიდრო კავშირი აქვს მხოლოდ ცვალებად კაპიტალთან, მუშათა ქირასთან.

მაშასადამე, რაც დრო მიღის, მით მეტი თანხა, მეტი კაპიტალი უნდა დახარჯო, რომ იგივე მოგება შეიძინო, ესე იგი მით უფრო ნაკლები მოგება გექნება ყოველ ას მანეთზე.

ამგვარად, თუმცა მოგება, პროცენტებად ნაანგარიშევი, კლებულობს, ე. ი. თუმცა ყოველ ას მანეთზე შოგება თანდა-თან უფრო-და-უფრო მცირეა, მაგრამ კაპიტალისტები ამით არ ღარიბდებიან და მუშები არ მდიდრდებიან. კაპიტალისტები არ ღარიბდებიან, რადგან, თუმცა ყოველ ას მანეთზე მოგება აკლდებათ, მაგრამ ას მანეთთა რიცხვი უმრავლდებათ. როგორც ზემოდ ვსთქვი, წვრილი კაპიტალისტები კოტრდებიან და მსხვილები თან-და-თან მდიდრდებიან. ჩნდებიან მილლიარდერები, ურიცხვ. ქონების ჰატრონები, რომელთაც ყოველთვის დიდი მოგება ექმნებათ, რაც უნდა შეცირდს მოგება თვითონულ ას მანეთზე.

მუორეს მხრით, მუშა არ მდიდრდება - მით, რომ კაპიტალისტს ქვეყნის სიმდიდრე უჭირავს ხელში და, ტეხნიკის გაუმჯობესობის გამო, მცირე მუშა ხელი სჭირდება უწინდელთან შედარებით. ამით მცირდება მხოლოდ მუშათა საერთო რიცხვი კაპიტალთან შედარებით, ე. ი. უზარ-მაზარი კაპიტალი მუშათა მცირე რიცხვს მოჰკაობაში. მართალია, ამის გამო, ზედ-მეტი ღირებულების საერთო რაოდენობა შედარებით მცირდება, მაგრამ თვითეულ მუშას სრულადაც არ ემატება სამუშაო ქირა.

ამგვარად, თუ გვინდა გავუგოთ მუშის მდგომარეობა, უნდა მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ მემდეგს: მუშის ნაშრომის რამდენი ნაწილი მიაქვს კაპიტალისტს ქირით და რამდენი მიაქვს ქირის გაულებლად, უკვივალენტოდ. რაც უფრო ნაკლებია ცვალებადი კაპიტალი და რაც მეტია ზედ-მეტი ღირებულება, მით მეტია, მაშასადამე, ექსპლოტაცია მუშისა, მეტია ქირის გაულებლად მითვისებული ნაწილი მუშის ნაშრომისა. წილადი რიცხვი ც/%, ესე. იგი ურთიერთობა ცვალებად კაპიტალსა და ზედ-მეტ ღირებულებას შორის არის. ერთად ერთი მაჩვენებული ექსპლოტაციისა, კაპიტალისტთა და მუშათა შორის ურთიერთობისა. ურთიერთობას „ც“-სა და „ზ“-ს შორის ც/%-ს ეძახიან საშუალო ძალას ექსპლოტაციის ნორ-მას.

კაპიტალი მუდმივ იცვლის თავის გარევან ფურმას, სახეს. იგი ხან ფულის სახით იმოსება, ხან სავაჭროს სახით, ხან მწარმოებელ კაპიტალის სახით. მაგალათად, მჩერწველი უჭირავს ხელში განსაზღვრული რაოდენობა ფულისა, „ფ“. თუ უნდა, ფულმა სარგებელი მოუტანოს, ამ ფულით უნდა იყიდოს სავაჭრო „ს“. ეს სავაჭრო, ცხადია, ტყვილა არ უნდა იყოს გაჩერებული. იგი შესდგება სხვა-და-სხვა იარაღისა და მასალისაგან. რომ ამ იარაღებმა და მასალებმა ნაყოფი გამოიღონ, საჭიროა მუშებმა მოკიდონ ხელი, მუშებმა იმუშაონ მათი შემწეობით. საჭიროა, მაშასადამე, მუშების დაჭირავებაც. მაშასადამე, სავაჭრო შესდგება, ერთი მხრით,

უსულო იარაღისა და მასალისაგან, მეორე მხრით, მუშა-ხელ-თაგან.

როგორცა ვთქვით, საჭიროა შეერთება მუშებისა და იარაღ-მასალისა წარმოებაში, საჭიროა იარაღი და მასალა განა-ყოფიერებულ იქმნას მუშების შრომით, რომ შეიქმნას ახალი სავაჭრო. ამას გარდა სწორედ ამ მუშაობის დროს დიდდება საცვალი ღირებულება, თავდაპირველად დახარჯული, რად-გან მუშები ამზადებენ თავისი შრომით მეტ საცვალ ღირე-ბულებას, ვიდრე იმათ ეძლევათ ქირა. ამგვარად კაპიტალის-ტური წარმოება მოაწავებს არა მარტო ახალ სავაჭროს მომზადებას, არამედ ზედ-მეტი ღირებულების მომზადებასაც, პროცესი წარმოებისა არის მზრდელი ზედ-მეტ ღირებულე-ბისა, შემქნელი მოგებისა. ამ პროცესში იზრდება კაპიტა-ლი. წარმოება კაპიტალისტის თვალში მხოლოდ ამ ზედ-მე-ტი ღირებულების შექმნაა. მას აინტერესებს მხოლოდ ზრდა კაპიტალისა და არა ახალ ნაწარმოების შექმნა. შრომის ნა-ყოფიერი ძალა, მეცნიერება, ტეხნიკა, ყველაფური ეს კაპი-ტალისტისათვის იმდენად არის ნაყოფიერი და მწარმოებელი; რამდენადაც ადიდებს ზედ-მეტ ღირებულებას ანუ მოგებას, ესე იგი ზრდის მის ჯიბეს.

მაშასადამე, რა-კი კაპიტალისტმა სავაჭრო შეიძინა, ე. ა-ერთი მხრით იარაღი და მასალა შეიძინა და მეორე მხრით მუშები დაიქირავა, მისი კაპიტალი გადადის წარმოებითს ხა-ნაში, ხდება მწარმოებელ კაპიტალად, ესე იგი იწყება ისეთი პროცესი, რომლის დროსაც კაპიტალი იზრდება, აწარმოებს, ჰქმნის ზედ-მეტ საცვალ ღირებულებას. მაშ მწარმოებელ კაპი-ტალად, “მწ.“, იწოდება წარმოების პროცესში მყოფი კაპი-ტალი,

მწარმოებელი კაპიტალი წარმოების პროცესიდან გამო-დას, როგორც გასაყიდელი სავაჭრო, „ს“; მკითხველი ადვი-ლად მიხვდება, რომ ამ სავაჭროში მეტი საცვალი ღირებუ-ლებაა, ვიდრე პროველად ნაყიდ სავაჭრო „ს“-ში. სავაჭრო „ს“-მ შეიძინა თავისი ზედ-მეტი ღირებულება, როგორც

ვთქვით, წარმოების პროცესსში. რომ წარმოების პროცესი არ განევლო კაპიტალს, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა გაგება, როგორ იცვალა სავაჭრო „ს“ სავაჭროდ ას“, ესე იგი, როგორ გაიზარდა სავაჭრო. ამიტომ კაპიტალის მოძრაობის განხილვის დროს დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, წარმოების პროცესის გამოტოვება.

სავაჭრო „ს“ უნდა გასაღდეს ისევ ფულად, „ფ“, რასაკვირველია, ბოლოს ალებული „ფ“ მეტია თავდაპირველად და-ხარჯულ ფულზე, „ფ“-ზე.

მაშასადამე, კაპიტალს ჰქონდა პირველად ფულის სახე, შერდეგ მიიღო სავაჭროს სახე, შემდეგ გადიქცა მწარმოებელ კაპიტალად და, რა-კი ვაიზარდა, ისევ სავაჭროდ გადიქცა, ბოლოს-და-ბოლოს კი ისევ ფულის სახე მიიღო. ამგვარად, კაპიტალმა გააკეთა წრე. შემდეგ ამისა ფული კიდევ სავაჭროზი უნდა გაცვლილ იქმნას, სავაჭრო მწარმოებელ კაპიტალად გადიქცეს და სხ. ერთი სიტყვით, კაპიტალი თავის მუდმივ მოძრაობაში წრეს აკეთებს ხოლმე, და თვითეულ წრეში იძულებულია სხვა-და-სხვა ფორმა მიიღოს.

ეს გარემოება ძლიერ აფერხებს კაპიტალისტის საქმეს.. იგი მუდამ შიშია, საქონელი ძვირად არ დაუჯდეს და მისი სავაჭროს ფასი არ დავარდეს ბაზარზე. თუ ან ერთი მოხდა ან მეორე, მაშინ პირველად დახარჯული ფული მეტი იქნება ბოლოს აღებულ ფულზე, რაც გამოიწვევს გაკოტრებას. თანამედროვე ეკონომიკური წესწყობილება, როგორც სჩანს, ისეთია, რომ დამოკლეს ხანჯალივით დაღერებია თავზე კაპიტალისტსაც და მუშასაც, ე. ი. მთელ საზოგადოებას, რომელსაც მუდამ ემუშავება გაგანაღვეურებო. გაკოტრება კაპიტალისტისა, კრიზისი, აუგედურებს, მუშებსაც, რომელნიც საშუალოს ვეღარ შოულობენ, როდესაც გაკოტრებული კაპიტალისტები თავის ქარანტენს ხურავენ. მართალია, როდესაც ბევრი კაპიტალისტი კოტრდება, მაშინ მდიდრდება მცირე რიცხვი კაპიტალისტებისა, მართალია, ბოლოს და ბოლოს საზოგადო წარმოება, დიდდება, უმჯობესდება, წარმა-

ტებაში -შედის, მართალია, რომ ბოლოს და ბოლოს მუშა-  
ხელიც მომეტებულია ხოლმე საჭირო, მაგრამ კრიზისის დროს,  
სანამ მრეწველობა გამობრუნდებოდეს, დიდ გაჭირვებაში  
ცვივა მუშა ხალხი. და ეს კი ყველასთვის ცხადია, რომ  
დღეს თუ კაცს პური არა აქვს, ვერაფერი ნუგეშია მისთვის  
ხვალინდელი სადილი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ კაპიტალისტის  
კაპიტალი ხსენებულ ტრიალს განიცდის, აღვილად წარმოვი-  
დგენთ, როგორი მოუწყობლობა, ანარქია სუფეს თანამედ-  
როვე ეკონომიურ ცხოვრებაში. საკირელია, რომ ასეთს  
წესწყობილებას ასე ბევრი მომხრე ჰყავს. უმეცრებაა ყოველი  
ცრუმოწმუნეობის მიზეზი. ანარქია ჰგონიათ თავისუფლება,  
შიში და კანკალი, რომლითაც შეპყრობილია მუშაც და მრეა  
წველიც, მიაჩნათ აუცილებელ საჭიროებად, რომ პიროვნე-  
ბა განვითარდეს, უბედურება კაცობრიობისა მიაჩნიათ პრო-  
გრესის, წინ-მსვლელობის წყაროდ, თვით-ნებობა კაპიტა-  
ლისტებისა ნაყოფიერ ინიციატივად. ამგვარი სიბრძმავე კაცო-  
ბრიობისა შედეგია ტრადაციული უმეცრობისა, სისაწყლისა  
და მონობისა. ძველ ტრადიციულ ცრუმორწმუნობით გაეღე-  
ნთილმა კაცმა ამოჰყო თავი ტეხნიკის მხრივ ძლიერ განვითარე-  
ბულ ეკონომიურ მდგომარეობაში და ხელს უშლის. ამ მდგომარე-  
ობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, აფერხებს თავის თავის წინ-  
მსვლელობას, იუბედურებს თავს. საფუძველი თანამედროვე  
ეკონომიურ ცხოვრებისა ეურჩება ძველ რწმენას და ჰქმნის  
ახალ, თავის შესაფერ რწმენას. აი აქ არის. მთავარი ძარღვი  
თანამედროვე ეკონომიურ პოლიტიკურ ბრძოლისა და მო-  
ძრაობისა.

თვითეული კაპიტალი განიყოფება ორ ნაწილად. კაპი-  
ტალის იმ ნაწილს, რომელსაც შეადგენენ იარაღები შრომისა,  
ეწოდება ძირითადი თანხა, ანუ კაპიტალი. კაპიტალის იმ  
ნაწილს კი, რომელსაც შეადგენს სხვა-და-სხვა მასალა წარმო-  
ებისა, იარაღებს გარდა, ეწოდება მოტრიალე კაპიტალი. რა-  
ტომ? მიტომ, რომ იარაღი ერთბაშად არ ცვდება, არ იხარ-

ჯება ახალი ნაწარმოების, პროდუქტის დამზადების დროს. იარაღი დიდ ხანს სძლებს და მხოლოდ დიდის თან-და-თანობით გადააქვს თავისი ფასი ახალ ნაწარმოებზე. თუ ათასი მანეთის იარაღი ათ წელიწადს გაძლებს, ეს იარაღი ყოველ წელს ას მანათის სალირალს გადიტანს ახალ ნაწარმოებზე. აი ამიტომ შეიცავს იარაღი ძირითად კაპიტალს.

მასალა კი ერთბაშად გადადის მთელი თავისი ტანით ახალ ნაწარმოებში. ან ერთბაშად ქრება ახალ ნაწარმოების მომზადების დროს. მაგილითად, ბამბა, ნახშირი და სხ. მასალას მთელი თავისი ფასი ერთბაშად შეაქვს ახალ ნაწარმოებში. მაშასადამე, ის ნაწილი კაპიტალისა, რომელიც შედის მასალაში, უფრო ჩქარა გამოცვლის ზემოდ აღნიშნულ ფორმებს, ამიტომაც ეწოდება მას მოტრიალე კაპიტალი.

მოტრიალე კაპიტალი იმდენსაც მოგებას აძლევს თავის პატრონს, რამდენსაც თანასწორი რიცხვი ძირითად კაპიტალისა. მოტრიალე კაპიტალი მხოლოდ მით განსხვავდება, რომ უფრო ჩქარ-ჩქარა იცვლის ფორმებს, უფრო ჩქარ-ჩქარა გასალდება ხოლმე ფულზე და ცხ. ფორმათა ცვალდებადობა, ე. ი. ჩქარი ტრიალი კი კაპიტალისა, ვერ ამრავლებს მოგებას. ეს არის, მოტრიალე კაპიტალის პატრონს ხან ფული მეტი აქვს ხელში, ვიდრე მასალის ღირებებულება, როცა მასალას გაასალებს ფულად, ხან კი მეტი წილი მისი კაპიტალისა მასალად არის გადაქცეული, როცა ფულს ერთბაშად ხარჯავს მასალაზე. ძირითადი კაპიტალის პატრონს კი, რა-კი ერთხელ-ვე დის ფულს დახარჯავს მაშინებზე და სხ., დიდი ზნის განმავლობაში, მეტი წილი თავის კაპიტალისა აქვს შენახული ამ მაშინებში და არა ფულად. ის გარემოება, რომ მოტრიალე კაპიტალის პატრონი უფრო ჩქარ-ჩქარა ასალებს თავის კაპიტალის დიდ ნაწილს ფულად, რასაკვირველია, მეტ მოგებას ვერ მისცემს მას, ვიდრე ძირითადი კაპიტალის პატრონი იძენს თავის კაპიტალისაგან, რაღვან მართალია, ფული ჩქარ-ჩქარა უბრუნდება, ჩქარ-ჩქარა მოიყრის ხოლმე მის ხელში თავს, მაგრამ ამ ფულში მოგება მცირეა, ამ ფულის უმეტე-

სი ნაწილი მხოლოდ დანახარჯ კაპიტალის ანაზღაურებაა, ამოგებაა, სხვა არაფერი.

ის დარგი წარმოებისა, რომელშიაც ძირითადი კაპიტალი აღემატება მოტრიალე კაპიტალს, უფრო დიდებული და განვითარებულია, ვიდრე ის დარგი, სადაც მოტრიალე კაპიტალი უპირატესობს. სხვა პირობათა თანასწორობისთანავე, რაც მეტია ძირითადი კაპიტალი და შედარებით ნაკლებია მოტრიალე კაპიტალი, მით უფრო დიდი და გაუმჯობესებულია წესი წარმოებისა. ორი ქვეყანა რომ ერთმანეთს შევადაროთ, დავინახავთ, რომ ის ქვეყანა უფრო განვითარებულია წარმოების წესის მხრივ, სადაც სასწორი უფრო გადახრილია ძირითადი კაპიტალისაკენ.

კაპიტალის ტრიალი პერიოდულია. ერთხელ რომ შემოტრიალდება კაპიტალი, მეორედაც უნდა შემოტრიალდეს, მერე მესამედ და მებრვე დაუსრულებლად. კაპიტალი მაში მუდამ ფერს იცვლის, მუდამ ქრება და მუდამ იბადება, ხელახლა ჩნდება. ამ ხელახლა ტრიალი, ხელახლა გაჩენას, ხელახლი წრის კეთებას ქვია ხელახლი წარმოების პროცესი კაპიტალისა. ხელახლი წარმოება კაპიტალისა უბრალოა მაშინ, როდესაც კაპიტალი განმეორებულ ტრიალის დროს. იმდენია, რამდენიც პირვანდელ ტრიალის დროს იყო. ვაკარმა დახარჯა ერთი მილლიონი მანეთი, მოიგო ოცი ათასი მანეთი. შემდეგ ისევ დაიწყო წარმოება და ისევ ერთი მილლიონი მანეთი დახარჯა, 20.000 მანეთი კი თავის ოჯახის შინაურ მოთხოვნილებაზე დახარჯა. ამ შემთხვევაში ხელახლი წარმოება არ გადიდებულა, უბრალოა.

თუ მწარმოებელმა მოგების ნაწილი, მაგალითად, 20.000 მანეთიდან მხოლოდ 10.000 მანეთი დახარჯა თავის საკუთარ, შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და 10.000 მანეთი კაპიტალს მიუმატა, მაშინ ხელახლი წარმოება მეტი იქნება, ვიდრე პირვანდელი. მაშინ, როდესაც პირველად ერთი მილლიონით დაიწყო მწარმოებელმა საჭმე, ახლა ერთი მილლიონითა და ათი ათასი მანეთით იწყებს. რო-

დესაც ამგვარად ხელ-მეორედ მეტი კაპიტალი ტრიალობს, ვიღრე პირველად, ამგვარ პროცესს ეძახიან გაფართოებულ ხელ-ახალ წარმოებას.

კონკურენციის ფაში კაპიტალისტები იძულებული არიან თან-და-თან უფრო და უფრო გააფართოონ წარმოება. ყოველი შემოტრიალების შემდეგ კაპიტალმა მეტი ძალით, მეტი რაოდენობით უნდა დაიწყოს კვლავ ტრიალი. თუ ასე არ მოიქაცია კაპიტალისტი, თუ თავისი წმინდა მოგება მთლიად შეჭამა, კაპიტალს არ მიუმატა, კაპიტალი არ გააღიდა ხოლმე, მაშინ იგი სხვა კაპიტალისტებს თან-და-თან ჩამორჩება და ბოლოს კიდევაც გაკოტრდება.

კაპიტალის გაფართოება კი აგრე აღვილი არ არის. შეიძლება კაპიტალისტია სავაჭრო თავისი ფასად ვერ გაყიდოს, შეიძლება მისი სავაჭრო მისგან დამუჯკიდებელ მიზეზთა გამო გაიაფდეს და სხ. და სხ. ათასი განსაცდელი და დაბრკოლება ხვდება კაპიტალისტს წინ. ამიტომ შეიძლება მოგების მაგიერ მან წაგებაც ნახოს და თავისი წარმოება არა თუ გააღიდოს, შეამციროს კიდევაც.

უველა ამ მიზეზთა გამო მხოლოდ დიდ კაპიტალისტებს არ ეშინიათ გაკოტრების, მხოლოდ იგინი გადურჩებიან ხოლმე ეკონომიურ გრიგალს.

როგორც მკითხველი ხელავს, კაპიტალის ერთჯერ შემოტრიალებაც კი ძნელია. პერიოდული, მუდმივი ტრიალი კი, რასაკვირველია, კიდევ უფრო ძნელია და სახიფათოა. თუ კაპიტალის ერთი შემოტრიალების დროს გადარჩი, მეორე ან რომელიმე შემდეგ შემოტრიალების დროს შეიძლება დამარცხდე. მუდმივ ტრიალი კაპიტალისა არის იმავ დროს მუდმივ გულის ტრიალი კაპიტალისტისა. მყუდრო ნავთ-საყუდელს ვერ ეღირსება იგი.

აქ უნდა განვსაზღვროთ შემდეგი თვისება კაპიტალისა. მთელი კაპიტალი ერთსა და იმავ ხანში, სტადიუმში, არ იმ-ყოფება ტრიალის დროს. კაპიტალის ნაწილები ცალ-ცალკე ტრიალობენ. ერთი ნაწილი კაპიტალისა რომ ფულად არის,

ე. ი. ფულის სტადიუმშია, მეორე ნაწილი იმავე დროს არის შრარმოებელ კაპიტალის სტადიუმში ესეიგი წარმოებაშია, მე-სამე ნაწილი არის იმავე დროს გამოტანილი გასასყიდად, რო-გორც სავაჭრო და სხ. ეს გარემოება საჭიროა, რომ სავაჭრო მუდამ იყიდებოდეს, რომ მუშტარშა ყოველთვის იშოვოს სავაჭრო, როდესაც კი უნდა. ეს გარემოება ჰქმნის შეუწყვე-ტელ წარმოებასა და შეუწყვეტელ ვაჭრობას. მეორ მხრით, იგივე გარემოება სახიფათოც არის, რადგან, თუ რომელიმე მიზეზის გამო კაპიტალისტმა თავისი წარმოება დროებით შეა-ჩერა, მუშტარი ჩამოეცლება და კვლავ მუშტრის შორის გაუ-ჭირდება,

ამგვარად მუდმივ გულის-ტრიალი შიში, დამოკლეს ხანჯალივით დაღერებია თავზე კაპიტალისტებს, მუშებს, სახო-გადოდ, მთელს თანამედროვე საზოგადოებას. სულის სიმშეი-დე შეუძლებელია. ბედნიერებას მდიდარიც კი მოკლებულია, არა თუ ღარიბი. გამდიდრება და გაღარიბება ხშირად არის შედეგი გარეშე პირობებისა და არა პირადი ღირებისა. ამ საყრთო დაუზოგავ ბრძოლაში ადამიანთა შორის უფრო ხშირად გაიძვერები იმარჯვებენ და არა კეთილ-შობილნი.

კაპიტალის, რომელისაც თავის ტრიალის დროს აკლია წარმოების ხანა, სტადიუმი, ჰქვია სავაჭრო კაპიტალი. ვაჭარი ხარჯავს ფულს, ყიდულობს სავაჭროს; ეს არის ერთი მუხლი, ერთი ფაზა ტრიალისა. შემდეგ სავაჭროს ყიდის და კვლავ იღებს ფულს. ამით სრულდება მეორე ფაზა ტრიალისა. იწყებს ფულით და ათავებს ფულითვე. ამას ვარდა ბოლოს აღებული ფული მეტია, ვიდრე პირველიდ დანახარჯი. ესე იგი ვაჭარს, როგორც საზოგადოდ ყოველ კაპიტალისტს, კაპიტალის შემოტრიალება უმრავლებს კაპიტალს, ე. ი. სავაჭრო კაპიტალიც იზრდება თავის ტრიალის დროს. ფული — სავაჭრო — ფული, ანუ ფ.—ს.—ფ, ი. ფორმულა სავაჭრო კაპიტალის ტრიალისა, ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ფ, მეტია, ვიდრე ფ.

თუ ვაჭარი არაფერს აწარმოებს, არ ამუშავებს მუშებს, არ ამზადებინებს ნაწარმოებს, მაშასადამე, არა ჰქმნის ახალ საცვალ ღირებულებას, არ ამრავლებს ფასთა რაოდენობას.

ერთი შეხედვით, კაცს ეგონება, რომ ვაჭარი ამრავლებს ვითომ ფასთა რაოდენობას, რადგან სავაჭროს აძირებს, ვითომ, რომ ვაჭრები არ ყოფილიყვნენ, ფაბრიკანტები უფრო იაფად გაყიდდენ სავაჭროს, თვითეული სავაჭრო ნაკლებ ფასად ელირებოდა და ამიტომ საერთო რაოდენობა ფასებისა უფრო მცირე იქნებოდა. შემცდარი აჩრია. რომ ვაჭარი არ ყოფილიყოს, ფაბრიკანტები უფრო ძვირად მოგვყიდდენ ჩვენ სავაჭროს, ვიდრე ახლა ყიდიან იგინი ვაჭრებს.

შეიძლება ვისმე ეგონოს, რომ ვაჭარი ყიდის სავაჭროს რაც ღირს, იმაზე მეტად, რადგან ბევრი მუშტარი ჰყავს სახელმწიფო მოსამსახურეთა, მოხელეთა შორის. შემცდარი იქნება, ვინც ასე იფიქრებს, რომ სახელმწიფო მოსამსახურები არ ყოფილიყვნენ, ის ფული და ის სავაჭრო, რასაც ეს მოსამსახურები ხარჯავენ, კაპიტალისტების და ხალხის ხელში დარჩებოდა. საზოგადოება რომ ხარჯს უხდის მოხელეებს, ეს სრულიადაც არ ამრავლებს ფასთა საერთო რაოდენობას. რომ ხარკი არ ყოფილიყო, მაშინ კაპიტალისტების ხელში დარჩებოდა ფასთა ეს ზედ-ზეტი რაოდენობა, რაც მოხელეებზე იხარჯება. რასაკვირველია, აქედან ის ღასკვნა არ უნდა გამოვიყანოთ, ვითომც სახელმწიფო მოხელეები საჭირონი არ არიან.

ამგვარად ვაჭრები არ ამრავლებენ ფასთა საერთო რაოდენობას, რადგან მუშებს. არ ამუშავებენ, მაშასადამე არ ჰქმნიან ახალ საცვალ ღირებულებას. ვაჭრები მუშათა მცირე რიცხვით აუარებელ კაპიტალებს ატრიალებენ, აუარებელ მოგებას იძენენ. თუ კი წარმოების ვერც ერთი დარგი ვერ მოიგებს ვერაფერს, თუ მუშები არ ეყოლა, თუ ახალი საცვალი ღირებულება არ შეჰქმნა მუშების წყალობით, საიდან იძენენ მოგებას ვაჭრები? სად არის წყარო მათის მოგებისა?

მეფაბრიკე, ანუ მწარმოებელი ვაჭარს უთმობს მუქთად თავის ზედმეტ ღირებულების, ანუ მოგების ნიშილს. ვთქვათ,

შეფაბრიკებ დახარჯა ერთი მილლიონი მანეთი და დაამზადა ერთი მილლიონისა და ორასი ათას მანეთის სავაჭრო. ზედ-შეტი ღირებულება ამ შემთხვევაში ორასი ათას მანეთს უდრის. ვთქვათ, მეფაბრიკებ მცყიდა ვაჭარს მთელი ეს სავაჭრო ერთ მილლიონად და ას ორმოცდა ათი ათას მანეთად. ამ შემთხვევაში ვაჭარმა მუქთად შეიძინა ორმოცდა ათი ათასი მანეთი. ვაჭარი თავის მხრით სავაჭროს მილლიონ თრას ათას მანეთად გაყიდის და, მაშასადამე, ორმოც და ათ ათას მანეთს ფულად მოიგებს.

მაშ, წყარო ვაჭრის მოგებისა არის იგივე ზედ-მეტი ღირებულება, რომელსაც იძენს მწარმოებელი მუშათაგან უკვი-ვალენტოდ. ამ ზედ-მეტი ღირებულების ნაწილს მწარმოებელი ვაჭარს მუქთად უთმობს, რომ თავი გაინთავისუფლოს სავაჭროს ფულად განაღლებისაგან:

როდესაც მრეწველობა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული, როდესაც სავაჭროს ჯერ კიდევ ხელით ამზადებდნენ, როდესაც მწარმოებელ-მრეწველი ჯერ კიდევ ხელოსანი იყო, მაშინ ვაჭარი არც კი კადრულობდა ხელოსნობას, ვაჭარი უფრო მღიდარი და პატივცემული იყო, ვიდრე ხელოსანი. როდესაც მრეწველობა განვითარდა, მაშინ ვაჭარი შეიქმნა მრეწველად. მეცხრამეტე საუკუნეში მრეწველობის განვითარებისა და გვარად მრეწველმა კაპიტალისტებმა მოიპოვეს უპირატესობა. დღეს საქვეყნო კაპიტალის უდიდესი ნაწილი მრეწველ კაპიტალისტების ხელშია. ახლანდელ ვაჭრებს მეორე ხარისხის როლი შერჩენიათ ხელში. რატომ? მიტომ, რომ, როდესაც მრეწველობა არ იყო განვითარებული, გაერთიანება წარმოებისა შეუძლებელი იყო. სახელოსნოს გადიდება არ შეიძლებოდა იარაღების განუვითარებლობის გამო. ვაჭრობის გადიდება, კონცენტრაცია კი შესაძლებელი იყო ყოველთვის. ერთ კაცს შეეძლო დიდი სავაჭრო კაპიტალი დაეტრიალებია. როდესაც მრეწველობა განვითარდა, მეტადრე, როდესაც მრეწველობაში შემოვიდა მაშინა, წარმოების გადიდებამ, გაერთიანებამ, კონცენტრაციამ, მეტ ხარისხს მიაღწია, ვიდრე

ეს შესაძლებელია ვაჭრობაში. ვაჭრობა, რაც უნდა იყოს, უფრო დანაწილებული უნდა იყოს, ვიდრე მრეწველობა, რადგან ვაჭრობის დანიშნულებაა საზოგადოების ყოველ წევრს მისწვდეს, დაუახლოვოს სავაჭრო. ამიტომ სავაჭრო კაპიტალი უფრო დანაწილებული და გაფანტულია.

დამზადება კი სავაჭროსი შეუძლია ერთს ცენტრს. ცენტრალიზაცია, კონცენტრაცია, ერთს აღავს თავის. მოყრა დასამზადებელ იარაღებისა და მასალისა ძლიერ სასარგებლოა ეკონომიკისათვის, მწარმოებელ ძალის გასაღიდებლად.

ამიტომ ახლა მრეწველი უფრო მღიდარია, უფრო დიდი კაპიტალის პატრონი, ვიდრე ვაჭარი. თუ საფრანგეთის რევოლუციამდის ვაჭარი პირველობდა, დღეს მრეწველია პირველი, მეტი უფლებებით, მეტი გავლენით ოღქურვილი.

არის კიდევ ერთი დარგი კაპიტალისა,— მოვახშის კაპიტალი. ამ კაპიტალის ტრიალის დროს გამოტოვებულია როგორც წარმოება, აგრეთვე ვაჭრობა. მოვახშე გასესხებს ფულს და აიღებს თქვენგან ფულს სარგებლით. აქ აშკარადა სჩანს სხვის ნაშრომის მუქთად მითვისება, ექსპლოატაცია.

მოვახშე მრეწველსა და ვაჭარს აგრე რიგად ვერ ჩაიგდებს ხელში. მრეწველი და ვაჭარი ერთსა და იმავე დროს მსესხებლებიც არიან და გამსესხებლებიც.

გლეხი კი მხოლოდ მსესხებელია. აქ პროცესი მხოლოდ ცალმხრივია. გლეხს მხოლოდ ვალი ჰქიდია ზურგზე, თვითონ კი იმდენი შეძლება არა აქვს, ფული ავალოს. გლეხი მუშაა, რომელიც თავის შრომის ნაწილს მუქთად უხდის მოვახშეს.

მოვახშის კაპიტალი, სხვათა შორის, მით განირჩევა, რომ დიდ სარგებელს ახდევინებს მსესხებელს. ეს კაპიტალი მიწასთან ასწორებს, აღარიბებს გლეხს, ხელს უშლის გლეხური შიწის-მუშაობის განვითარებას. ამიტომ მოვახშეს კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის მძულვარებით ახსენებენ.

საქართველოში ამ ხანად უპირატესობა სავაჭრო კაპიტალსა და მოვახშის კაპიტალს უჭირავთ. სამრეწველო კაპიტალი, კი ჯერ აგრე რიგად არ არის განვითარებული.

მოვახშის კაპიტალი არ უნდა შეურიონ მსხვილ კრედიტან. მსხვილი კრედიტი, რომლის ოპერაციები სრულდება ბანკების რთულ მეხანიზმის საშუალებით, ნაყოფია განვითარებულ მრეწველობისა და იმდენად და შორებულია მოვახშის კაპიტალზე, რამდენადაც რკინის გზა ურემზე. ამ საგნის შესახებ შემდეგ მექნება ბაასი.

სამრეწველო კაპიტალმა ძლიერ შეუწყო ხელი მოქალაქების განვითარებას. რაკი წარმოება ჩავარდა კაპიტალისტის ხელში, რა-კი ყოველიფერი გადიქცა სავაჭროდ, რა-კი თავი იჩინა ცილობამ, აუცილებელი იყო მრეწველობის განვითარება. მიწის პატრონი ფეოდალები თან-და-თან გაღარიბდნენ და კაპიტალისტები გამდიდრდნენ. სიმდიდრე გაღავიდა სოფ-ლიდან ქალაქში. სიმდიდრესთან ერთად ქალაქმა უფლებრივი უპირატესობაც მოიპოვა. საფრანგეთის რევოლუცია იყო მხოლოდ ერთი უპიზოდი ხანგრძლივი ბრძოლისა სოფელსა და ქალაქს შორის. დღეს ევროპაში ქალაქია ბატონი სოფლისა და ქვეყნის ბატონი კი ევროპაა. რა პროცესიც ევროპაში მოხდა, იგივე ხდება ქვეყნიერობის ყოველ კუთხეში. იჩღვევა ძველი წარმოების საფუძველი, ისპობა პატრიარქალური წეს-წყობილება, რომლის ადგილს ზან-და-თან იჭირს კაპიტალის-ტური წეს-წყობილება.

ეს კია, რომ უცვლელი ქვეყნად არა არის-რა, მეტადრე საზოგადო წეს-წყობილება. კაპიტალისტური წეს-წყობილებაც გარდამავალი და დროებითია. ტეხნიკის თანამედროვე განვითარებამ წინ წაუსწრო ახლანდელ უფლებრივ მდგომარეობას. კერძო საკუთრება შეუძლებელი შეიქმნა მაშინ, როდესაც მსხვილი მრეწველობა გაჩნდა, რაღაც ბრძოლა მსხვილ მრეწველთ შორის ჰქმნის საშინელ ეკონომიურ კრიზისებს, ჰყრის ქუჩებზე უსაქმოდ დარჩენილ მრავალ მუშას, არყევს ძირიან-ფესვიანად საზოგადოების კეთილ-დღეობას. ყველაზე ადრე მუშებმა შეიგნეს, რომ თანამედროვე განვითარებული ტეხნიკა მოითხოვს კერძო საკუთრების გაუქმებას, საზოგადო წარმოებას, საზოგადო წარმოების ორგანიზაციას. კაპიტალისტებიც

კი ერთდებიან სინდიკატებად, აერთებენ თავის კაპიტალებს და ხელს უწყობენ ამით წარმოების გაერთიანებას.

ეს მოძრაობა სტიქიურია, აუცილებელი, როგორც ბუნების კანონი. გაერთიანებისკენ მსვლელობას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს სამუდამოდ. ბრძოლა მასთან დონკითოტობაა, სხვა არაფერი. დონ-კითოტებს შეუძლიანთ საზოგადოების წინ-სვლა შეაყენონ მცირე ჟამს, მაგრამ სტიქიური პროცესი მაინც თავისას იზამს და ბოლოს-და-ბოლოს ყოველსავე დაბრკოლებას წალეკავს, გადალახავს.

გაერთიანება კი წარმოებისა გამოიწვევს სახმარ ნივთთა თანასწორ განაწილებას. ულმობელ კონკურენციის მაგიერ დაარსდება თავისუფლება, მტრობის მაგიერ ძმობა, ბარბაროსიბის მაგიერ განათლება. კაცობრიობა გადააბიჯებს ცხოველთა სამეფოდან აღამიანობის სამეფოში.

გასცდ წერეთელი.



წარმომადგენლობის რუსთავი \*)

თ. გოგოშვილისა.

წარმომადგენლობით კრების არჩევნების მნიშვნელობა მჭიდროდ დაკავშირებულია იმასთანა, თუ რა ხასიათისა იქმნება პროექტით განზრახული დაწესებულება. თუ რომ საზოგადოების წარმომადგენლებს მიიწვევენ იმიტომ მხოლოდ, რომ მთავრობას თავისი აზრი აცნობონ, ან სახელმწიფო საბჭოში დაიჭირონ რამდენიმე თავისუფალი აღგილი; თუ რომ მათი მოვალეობა იქმნება მხოლოდ წინასწარი შემუშავება ცალკ-ცალკე საკანონმდებლო განზრახულებათა, არჩევანის წესსა და რიგს მაშინ უმთავრესი მნიშვნელობა სრულიად ეკარგება. საიდამა და როგორც უნდა მოიწვიონ ამ გვარს პირობებში მთავრობასთან ერთად სამუშაოდ საზოგადო მოღვაწენი და წარმომადგენლი, არსებითი მნიშვნელობა მაინც არ ექმნება არასოდეს. იქამდის მცირეა ამ შემთხვევაში წარმომადგენლობისადმი მინაკერძები როლი, რომ მთავრობას შეეძლო თვითონვე მიეწვია ასე საზოგადო მოღვაწენი, მზგავსად იმისა, როგორც პეტერბურგის სხვა-და-სხვა კომისიებსა და მიწათ-მოქმედების სამინისტროს საბჭოში იწვევენ, ან როგორც ეს 80-იან წლებში მიიწვიეს „შეგნებული ხალხი“. არ შეიძლება

\*) „Русскія Вѣдомости“ 1905 წ. №№ 144, 147, 149, 150 და 151.

არ შევნიშნოთ, რომ წარსულის მაგალითსა და სამწუხარო შედეგს მზგავს ბჟობა-რჩევისას, რომელსაც ადგილობრივ მცხოვ-რებლებიდან იწვევდა ხოლმე ბიუროკრატია, უნდა უთუოდ დაერწმუნებინა, რომ ყოველგვარი ასეთი შრომა და მეცა-დინეობა ფუჭი და უსარგებლობა მხოლოდ. თანამედროვე ყოფა-მდგომარეობის ბოროტებას მარტო ოდენ ქვეყნის გაჭირ-ვებათა და მოთხოვნილებათა უცოდნელობა როდი შეადგენს.

ადგილობრივი დაწესებულებანი და უურნალ-გაზეთობა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ღროს უკეთ შესძლებდნენ დაესახელებინათ ყველა ასეთი გაჭირვება და მოთხოვნილება, ვიღრე შემთხვევით მიწვეული რამდენიმე საზოგადო წარმო-მადგენელი, რომელთაგანაც მოქლის მთავრობა სასარგებლო ცნობებისა და რჩევის მიღებასა. შინაური მდგომარეობა რუ-სეთისა იქამდის გამწვავებულია დღეს, რომ არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს, ვითომ სათათბირო კრებებმა გვიხსნან როგორც ამ გაჭირვებიდამა. გამეორება იმისი, რაც 80-იანს წლებში „შეგნებულ ხალხის“ კომისიამ გააკეთა, თუნდაც თვითონ ხალხმა აირჩიოს წარმომადგენლები და არა მთავრო-ბამა, შეუძლებელია ახლა.

საერო წარმომადგენლობამ უნდა გააკეთოს ბევრად მეტი და საკანონმდებლო უფლებაში მუდმივი მონაწილეობა მიიღოს. ასეთს გარემოებაში არჩევნების ორგანიზაციას პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან აზრათა აქვს ის-კი არა, რომ მთავრობას ასე თუ ისე გამოსადევი მოთათბირენო გაუჩინოს, არამედ ის, რომ ხალხის მიერ არჩეულებსა და საზო-გადო აზრისა და მიმართულების ხელმძღვანელებს, რომელი-ბსაც მრავალ-მილიონიანი ხალხი რუსეთისა ენდობა და მისდევს უკანა, თავი ურთად მოუყაროს. ადვილი არ არის, მართალია ეს საქმე, მაგრამ მაშინ ექმნება მხოლოდ ფასი და გასავალი წარმომადგენლების აზრსა და ხმასა, როცა ქვეყნის ყველა კუთ-ხესა და მხარეში პპოვებს იგი თანაგრძნობასა და კერძო კაცთა აზრათ-კი აზ დარჩება, პირ-იქით, თვითონ ხალხის გრძნობებისა და შეგნების გამომხატველი შეიქმნება. აი, მაშინ შეიძენს.

მხოლოდ წარმომადგენლობა იმ პოლიტიკურს ძალასა, რომელსაც შეეძლება სახელმწიფო ცხოვრების ამოძრავება და რუსეთის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოყვანა.

საჭიროა საერო წარმომადგენლობამ შექმნას ცენტრი, სადაც საზოგადოებრივს აზრს შეეძლება სრული თავისი ძალა სავსებით გამოჰქატოს; ამიტომაც საჭიროა უთუოდ აღგილი დაეთმოს ქვეყნის ყველა გავლენიანსა, მომქმედსა და ცოცხალს ძალებსა. წარმომადგენლობა უნდა იყოს უუსწორესი გამომხატველი ნამდვილ ცხოვრებისა და არა მისი დამამახინჯებელი.

### წოდებრივი წარმომადგენლობა.

აღნიშნულ მოთხოვნილების წინააღმდეგი იქმნებოდა უთუოდ, თუ საერო წარმომადგენლობის ორგანიზაცია წოდებრივი ნიადაგზე აღმოცენდებოდა. წოდებრივ ორგანიზაციის მომხრეთ საბუთად მოჰყავთ ჯერ ერთი ის გარემოება, ვითომ მხოლოდ ისტორიული შემდგარს კავშირებს შეეძლოთ შეაერთონ მჭიდროდ საზოგადოებრივი ელემენტები; გარეშე ასეთ კავშირებისა, მცხოვრებთა სხვა-და-სხვა ნაწილები წარმოადგენენ ვითომ „ხალხის მტვერს“ მხოლოდ, რომელსაც სხვა-და-სხვა შემთხვევითი სტიქიური მოვლენა და მღელვარება ადვილად იმორჩილებს; მეორეც, ვითომ მხოლოდ წოდებანი იცავდნენ ისტორიულს ტრადიციის სახელმწიფო მოვალეობათა შემეცნებისასა. ტრადიციებს მოკლებული უწოდებრივო ხალხი მათის აზრით ვერ შეიძლებს სახელმწიფოში მტკიცე წესიერება დაიცვას.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ წოდებრივი წყობძლება რუსეთისა მთავრობის შექმნილია უფრო და არა შინაგან საზოგადოებრივ ძალთა ნაყოფი. სხვა-და-სხვა წოდება შესდგა გარკვეულის სახელმწიფო აზრით: გარდა-სახადების გაღებისა და სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისათვის. საერო წარმომადგენლობის დანიშნულება-კი სულ

სხვაა: საზოგადოებას ახალი რამსამსახური და გარდასახადი-კი არ ეკისრება, პირ-იქით გარკვეული პოლიტიკური უფლებები ეძლევა. ახალის დანიშნულებისათვის კი შემაკავშირებელი ფორმებიც ახალივე საჭირო, რაღან წოდებრივს დანაწილებას, სხვა დანიშნულებისა და მოთხოვნილებისათვის წარმომდგარს, საერთო არა აქვს-რა მასთან. სახელმწიფო შემოქმედებითს მუშაობას, რომლისთვისაც რუსეთის საზოგადოებას იწვევენ, სხვა უნარი და ცოდნა უნდა და სხვა შინაგანი თვისებანი, რომელთა შექმნაც წოდებრივს ბორკილს არ შეუძლიან.

საერთო წარმომალებენლობამ ხალხის საერთო საჭიროებანი უნდა შეიმუშავოს და დაიცვას და არა ინტერესები ცალკე წოდებათა, რომლებიც წარსულთა დროთა ნაშთია მხოლოდ.

იმპერატორის ალექსანდრე II მიერ გლეხთა განთავისუფლებისა და სამოქალაქო ცვლილებათა შემდეგ წოდებრივი წყობილება ნელ-ნელა სრულიად ირღვევა, თუმცა მთავრობა ძლიერა სკლილობს, ფეხზედ როგორმე დააყენოს და გააძლიეროს. ალექსანდრე III მეცადინეობამ ამის შესახებ სრულიად უქმად ჩაიარა და ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობა ვეღარამ შეაფერხა.

წოდებრივი წყობილება დასავლეთ ევროპისა საუკუნოებით იყო შექმნილი და განმტკიცებული და აკი ამიტომ დიალი ბრძოლაც დასჭირდათ, ვიდრე დაარღვევდნენ მას. მაგრამ ბუნებრივი იყო ასეთი წყობილება იქ, რაღან მჭიდრო იყო კავშირი. არისტოკრატიისა მიწასთანა და აქედგან წარმომდგარ მიწათმთლობელობის პოლიტიკურ უფლებებთანა. დასავლეთ ევროპის არისტოკრატიული ჩამომავლობა მიწასთან იყო თითქოს შესისხლხორცებული, მისგან იყო წარმომდგარი და პოლიტიკურს გავლენასა და უფლებასაც მისგან იღებდა ისევა. რუსეთში კი არასფერი ამგვარი არა ყოფილა; პირ-იქით თავად-აზნაურობას მიწისმთლობელობასთან კავშირი მთლად გაწყვეტილი აქვს თითქმის. თორემ აი, მაგალითიც: გლეხთა განთავისუფლების შემდეგ თავად-აზნაურობამ 7.8 მილიონი

დესეტინა მამული ჩაიბარა, მაგრამ 1900 წელს ამ მამულები-  
ლებან მხოლოდ 54 მილიონი-ლა ჰქონდა ხელში: დანარჩენი  
24 მილიონი დესეტინა, ე. ი. მესამედი მთელის მამულებისა,  
40 წლის განმავლობაში ხელიდამ წაუვიდა.

გარდა ამისა, წოდებანი აერთებენ არა ერთგვარს საზო-  
გატოებრივს ელემენტებს, არამედ აკავშირებენ სრულიად.  
ხელოვნურად ისეთს საზოგადოებრივს ჯგუფებს, რომლებსაც  
ყოფა-მდგომარეობითა თუ მეურნეობით მცირედი რამა აქვთ  
საერთო. ამიტომაც ისტორიულ წარსულის მიხედვით ვერასო-  
დეს თავად-აზნაურობა ვერ შეჰქმნის იმ სასურველს მჭიდრო.  
ერთობასა, რომელიც პოლიტიკურ ძალისა და გავლენისათვის  
არის საჭირო. ერთი ნაწილი თავად-აზნაურობისა მთავრობის  
სამსახურს ესწრაფვის, მეორე—მიწათმფლობელობასა. ასეთი-  
ვე ერთი მეორის წინააღმდეგი მიმართულება: სამსახურისა.  
და მიწათ-მფლობელობისა იჩენს თავს თავად-აზნაურობის კრე-  
ბებზედაცა. მაღალი წრე თავად-აზნაურობისა, ე. ი. უმაღლესი  
არისტოკრატია და სამსახურის პირნი მამულს მთლად მოწყვე-  
ტილნი არიან. თავისის საზოგადოებრივის მდგომარეობითა და  
ნივთიერის საშუალებით სხვილ მემამულეთა წარმომაღენელებს-  
შეეძლოთ, რასაკვრელია, თვეის არე-მარეში გავლენა ჰქონო-  
დათ და თავად-აზნაურობის მნიშვნელობა გაეძლიერებინათ,  
მაგრამ პროვინციაში მოლვაწეობას სრულიად გაურჩიან იგინი,  
რადგანაც არც პატივი და არც სამსახურის წარმატება არ მოე-  
ლით აქა. რაკი მამულს შემოსავლის წყაროდა სთვლის მხო-  
ლოდ და თვითონ-კი შიგ არა სკეოვრობს, მდიდარი და გავლე-  
ნიანი თავად-აზნაურობა სრულიად ჰყარგავს კავშირს ადგი-  
ლობრივ საქმეებში და მონაწილეობას არ იღებს არა მხოლოდ-  
საერთო კრებებზედ, თვით ადგილობრივ თავად-აზნაურთა სა-  
ზოგადოებასთანაც-კი აღარა აქვს არავითარი ერთობა და დაა-  
ხლოვება, თუმცა სიებში მათთან ერთად არის მოქცეული.

მხოლოდ საშუალო შიწათ-მფლობელს თავად-აზნაურო-  
ბას-ლა აქვს რაიმე მნიშვნელობა ადგილობრივა და ამანვე  
გამოიყვანა სამოქმედოდ თვითმართველობის მოლვაწენი.

საერო კრებათა ხმოსნები, საბჭოთა თავმჯდომარენი და წევრები, სასამართლოს შუამავლები და მოსამართლენი. ნივთიერი მდგომარეობა-კი ყველაზედ ცუდად საშუალო მიწათმფლობელ თავად-აზნაურობისათვის მოეწყო. მამულების მცირე შემოსავალმა და დავალიანებამ, მასთან უსალსრობამ აიძულა უნდებურად, მომეტებულს მათგანს სხვა შემოსავლიანი წყაროები გამოეძებნა, რასაც ხელს უწყობდა, სხვათა შორის, სხვა გვარ საქმიანობისაღმი მათი ბუნებრივი მიჩვევაც. შედარებით სახეირო პროფესიონალურმა შრომამ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი ან ისევ სახელმწიფო სამსახურისკენ გაიტაცა ან-და ლიბერალურ ხელობის ხალხათ—ვექილებათ, ინჟენერებათ, ექიმებათ, მასწავლებლებათა და სხ. აქცია.

ამ რიგად ნელ-ნელა ეცლება თავად-აზნაურობას ნაწილი, რომელიც ცალკე, უწოდებრივო ინტელიგენციასა ჰქმნის. თავად-აზნაურობიდამ უწოდებრივო ინტელიგენციაში გადასვლის პროცესი, როგორც ვხედავთ, თან-და-თან ძლიერდება და ბოლოს მთლად დაარღვევს წოდებრივს კავშირს, როგორც აუცილებელი შედეგი თავად-აზნაურთა წოდების თან-და-თანის ღიფერენციაციისა.

მეორე წოდება—გლეხობა, მართალია, უფრო ერთგვარია თავისის ყოფა-ცხოვრებითა, მაგრამ ძველი სოფლური ხასიათი ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების გავლენით აქაც ღიდად შეიცვალა.

სოფლებში მოსული ხალხი ესახლება, გლეხობა ქალაქის შემცირება და ფაბრიკებში მომუშავეთ უერთდება. მეტი წილი გლეხობისა მხოლოდ სახელით-და ეკუთვნის გლეხთა წოდებასა, აღარც ხელობითა და აღარც ჩვეულებით მასთან საერთო აღარა აქვს-რა.

ქალაქის მცხოვრებთა შორის ხომ წოდებრივს დანაწილებას აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, კანონით შერჩენილი წოდებრივი დანაწილება ქალაქის ნამდვილს ხაზო. გადოებას სრულიად აღარ უდგება.

აღარც სავაჭრო-სამრეწველო კლასები, აღარც ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავენი, აღარც ქალაქის ინტელიგენცია

აღარ უდგებიან წოდებრივს წყობილებასა. 90 წლების კანონ-მდებლობაც-კი, რომელსაც აზრად ჰქონდა ყველაფერი წოდებრივს ჩარჩოებში მოექცია, იძულებული შეიქმნა ქალაქის მო-წყობის საქმეში დადგენილ პრინციპებისათვის მხარი იქცია..

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ცხოვრების თანამედროვე პირობებს სრულიად ეწინააღმდეგება. წოდებრივს ნიადაგზედ აღმოცენებული საერო წარმომადგენლობა, მომხრევი მაინცა ჰყავს, რომელთაც განზრახვა აქვთ ცალკე მო-წყონ წარმომადგენლობა სათავად-აზნაურო კრებებისა და ცალკე წარმომადგენლობა გლეხებისა.

მეცადინეობა იმისი, რომ უმალლესს სახელმწიფო დაწესებულებებში განსაკუთრებულის ადგილის დათმობით განამტკიცონ როგორმე თავად-აზნაურობა, არის მხოლოდ ხელოვანურად არისტოკრატიულ ნიადაგის შექმნა, რაიცა რუსეთის ნამდვილს ცხოვრებას სრულიად არ შეისაბამება და წარმოადგენს მხოლოდ უქმნა და უსიცოცხლო „არქეოლოგიურს“ ოცნებასა.

თავად-აზნაურობის მიერ მიღებული უპირატესობა იქმნება მხოლოდ უნიადაგო რამ განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც ნამდვილი დანიშნულება და მნიშვნელობა თავად-აზნაურობისა არასურით არ მიუდგება.

სათავად-აზნაურო კრებებს არ შეეძლებათ შექმნან არისტოკრატიული სახელმწიფო წარმომადგენლობა, რომ კან-სერვატიულ დაწყებულებათ სახელმწიფო ში დარაჯათ ედგეს მუდამა. თვითონ კრებებზედვე იჩენს თავს სხვა-და-სხვაობა მი-მართულებისა და ვერ შექმნიან მტკიცესა და გარკვეულს სა-ზოგადოებრივს აზრს, რომელსაც სახელმწიფო საქმეთა მსვლელობის ხელმძღვანელობა შეეძლება. თავად-აზნაურობა, სამსახურისა გამო, დამოკიდებულია მეტად, არა მარტო მაღალ მთავრობისაგან, თვით მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთაგანაც-კა. ამიტომაც არა აქვს ის დამოუკიდებლობა, რომელიც ყველაზედ უპირველესად საჭიროა არისტოკრატიულ დაწესებულებისათვის. რომელიცამ წოდების უპირატე-

სობა მხოლოდ შურსა და მტრობას შეჰქმნის საზოგადოების დანარჩენს კლასსებში. ასეთს შურსა და მტრობას-კი უნდა ესცდილობდეთ ვერიდნეთ განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც განზრახულია სახელმწიფოს ძირითადი ცვლილება და საზოგადოების ყველა ძალი. თანხმობით უნდა მოქმედებდნენ. დასასრულ, თვითონ თავად-აზნაურობის ინტერესებისათვისაც მავნე იქმნება ასეთი უპირატესობა, რადგან ავტორიტეტსა და ზნეობრივს გავლენას თავად-აზნაურობისას სრულებით დაცემს და საზოგადო არჩევნებზე აღარავინ მცხოვრებთაგანი ხმას აღარ მისცემს, რის სამაგიეროსაც განსაკუთრებული წარმომადგენლობა ვერასოდეს ვერ შეუვსებს. ამიტომაც სახელმწიფო წარმომადგენლობა თავად-აზნაურობისა შეიქმნება ისეთ პრივილეგიად (უპირატესობად), რომელიც ავნებს თვითონ თავად-აზნაურობასაცა და მთელს საერო წარმომადგენლობასაცა.

წოდებრივივე ტენიცენციები ეტყობა გლეხთა წარმომადგენლობის საგსებით განკერძოვების პროექტებსაც, რომელთა თანახმადაც გლეხები უნდა ირჩევდნენ წარმომადგენლებს სხვა წოდებათაგან ცალკე და მხოლოდ და მხოლოდ გლეხთავე წოდებიდამა. საბუთად მოჰყავთ ის გარემოება, ვითომ გლეხებისთვისვე პზრუნავდნენ და სცდილობდნენ განათლებულ კლასსების გავლენისა და პოლიტიკურ აგიტაციის გამრყვნელ მოქმედების წინააღმდეგ დაიფარონ. ასეთ წარმომადგენლობის მომხრენი თავს იმითი მართლულობენ, ვითომ ნამდვილი აზრი გლეხებისა მხოლოდ გლეხებსავე შეეძლოთ გამოსთქვან, სხვას არავისა. ძნელი არ არის გამოსაცნობად, რომ ასეთს მზრუნველობას გლეხების შესახებ მხოლოდ მათივე ვნება შეუძლიან, და არა სარგებლობა. საერო წარმომადგენლობის მოვალეობა იქნება არა ვისსამე კერძო საჭიროებათა გამოთქმა, არამედ სჯა და გარდაწყვეტა საზოგადო სახელმწიფო საქმეებისა, რისთვისაც შუამდგომლები და მოსარჩელები-კი არ არიან საჭირონი, საჭირონი არიან წარმომადგენლები, რომელთაც უნდა შეეძლოთ გაგება და დაფასება როგორც ხალხის ინტერესე-

ბისა, ისე მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ საზოგადო სახელმწიფო დანიშნულება მოთხოვნილებათა. შეუძლიან, განა, გლეხობას წამოაყენოს უმაღლეს სახელმწიფო მოღვაწეობისათვის გამოსადევი საკმაო რიცხვი წარმომადგენელთა თავისს წრიდამა, როდესაც ხელოვნურად და განგებ ჰგლეჯენ ხელიდამ ყველას, ვისაც კი გლეხთაგანს რაიმე განათლება მიუღია? იმ აღკრძალვას არ ეჯვანება ესა, განა, რომ გლეხს სასამართლო საქმეების წარმოება არ შეუძლიან სხვას ვისმე მიანდოს, თუ არა თავისს სოფლელსა? ეს ხომ წინადვე წაგებული საქმე იქნება და უარესად განაკერძოვებს გლეხობას, მთლად დაუხშობს საერო წარმომადგენლობაში მოქმედების ასპარეზსა!..

წოდებრივობა გლეხთათვის პნიშნავს იმასა, რომ განსაკუთრებულს სასამართლოებსა და იდმინისტრაცის. დაუმორჩილებენ, გამოსწირავენ საზოგადო მოქალაქობრივს უფლებებსა და უარესად დამზაბლებენ. ასეთ წყობილების წინააღმდეგ გარკვევით გამოსთქვეს ახრი სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებმა და თხოულობდნენ აუცილებლადა, რომ გლეხთათვისაც იგივე უფლებები მიენიჭებინათ, რა უფლებებიც მცხოვრებთა დანარჩენს კლასსებსა აქვთ. წოდებრივ განკერძოვებისა და განცალკევების ნიადაგზე გლეხთა მოქალაქობრივ უფლებებისათვის სახეირო არა გაკეთდება-რა, რადგანც აღმინისტრაციისა და წვრილ მოხელეთა თვითნებობასა და ბატონობას გაეხსნება ისევ ფართე გზა. წმინდა საგლეხო წარმომადგენლობას შედეგათ ის მოჰყვება, რომ გლეხთა წარმომადგენელნი საგუბერნიო აღმინისტრაციისაგან იქმნებიან იმავე გლეხთა. წოდებიდამ არჩეულნი.

### კლასსობრივი წარმომადგენლობა.

წოდებრივ წარმომადგენლობის ახლო მონათესავეა პრინციპი ეგრედ წოდებულ, ინტერესთა წარმომადვენლობისა „ანუ ამომრჩეველთა კლასსობრივად დანაწილებისა. ეს პრინციპია შეტანილი ბევრს პროექტში, რომლებიც ბეჭდვითი სიტყვით

თუ ისე იქნა გამოქვეყნებული; მაგრამ არსად წარმომადგენლობის განსაკუთრებულ საფუძვლად არ არის იგი დადებული, ყველგან ან წოდებრივ ორგანიზაციასთან არის შეერთებული, ან-და საერობო და საქალაქო დაწესებულებათა სისტემა-სთანა.

ინტერესთა წარმომადგენლობის იდეით წარმომადგენელთა კრება თანაბრად უნდა იყოს გამომხატველი ყველა. იმ უმთავრეს ეკონომიკურ ინტერესებისა, რომელთა სხვა-და-სხვაობაზედაც სახელმწიფოს სოციალურ კლასსებათ დაყოფვაა დამყარებული. ამიტომაც თვითოეულ პროექტისა და ოლქის ამო-მრჩევლებს ჯგუფებად ჰყოფენ იმის-და მიხედვით, თუ ეს რა შეძლება და ქონება აქვს, ან რა ხელობა; თვითოეული ჯგუფი ცალკე ირჩევს თავისისავე წრიდამ წარმომადგენლობას. ასეთს წარმომადგენლობას მომხრე მრავალი ჰყავს და ევროპის ზოგა-ერთ სახელმწიფოშიაც, მაგ. ავსტრიასა და პრუსიაში, პრაქტიკულად უკვე განხორციელებულია. საიმპერიო სეიმში (რეიხ-სრატში) არჩევნების დროს ავსტრიაში ამომრჩევლებს ოთხ კლასსობრივ ჯგუფად ანუ კურიათ ჰყოფენ; 1) შეადგენე სხვილი მემამულენი; 2)—სოფლის საზოგადოებანი (წვრილი მემამულენი); 3)—ქალაქები; 4)—სავაჭრო პალატები ანუ სავაჭრო-სამრეწველო კლასსის წარმომადგენელნი. ამ ბოლოს დროს აღნიშნულს ოთხს კურიას მეხუთეც მიუმატეს — კურია, საყოველთაო კენჭის ყრისა, რომელშიაც უმეტესობას მცხოვ-რებთა მცირედ შეძლებულნი შეადგენენ და რომელნიც პირველს ითხს კურიაში არ არიან შეტანილნი. თვითოეულ კურიოს წარმომადგენელთა რაოდენობა კანონით დადგენილ საგანგებო სიით არის განსაზღვრული.

ინტერესთა წარმომადგენლობის სისტემა პრუსიაში უფრო უხამსად არის განხორციელებული. ქონების რაობას კი არა, რაოდენობას აქცევენ ყურადღებასა, ესე იგი იმას, თუ რომელი ამომრჩეველი რამდენს პირდაპირს გარდა სახადს იხდის წლიურადა. მეორეც, ინტერესთა წარმომადგენლობის სისტემა დაკავშირებულია ეგრედ-წოდებულ ორ-კეც

არჩევნებთანა და ირჩევენ პირდა-პირ დეპუტატებს-კი. არა, არაშედ ჯერ მხოლოდ რწმუნებულებსა და შემდეგ ესენითავისს შორის ლანდტაგის წევრებს ანუ დეპუტატებსა. თვითონეულს ოლქში აღენენ სიას, თუ ვინ რამდენს პირდა-პირს გარდასახადს იხდის და რიგზედ სწრენ ყველას გვარებსა, რომელთაგანაც მეტ გარდასახადის გამდებთ თავში ათავსებენ, მცირე გარდასახადისას — ქვევით, ბოლოში. სიას მერმესამ ნაწილადა ჰყოფენ, მაგრამ შიგ აღნიშნულთა რაოდენობის მიხედვით-კი არა, იმის მიხედვით, თუ რამდენი კაცი ერთად რამდენს იხდის; ასე რომ თვითონეულს ჯგუფს უნდა ჰქოდეს  $\frac{1}{3}$  გარდასახადთა, რაც-კი ოლქშეა მთლად გაწერილი. ამიტომაც აქედამ წარმომდგარი კლასები ამომრჩეველთა რიცხვით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მაშინ როდესაც უკანასკნელს მესამე კლასში მოექცევა უმეტესობა ამომრჩეველთა, პირველში მხოლოდ რამდენიმე სხვილი გარდასახადების გამდები მოპარდება. მაგრამ რწმუნებულთ მაინც თანაბრად ირჩევენ ყველა კლასები, ე. ი. 5 და 10-ს პირველი კლასისას, მაგალითად, სევთივე უფლება ეძლევა, როგორიც 500 და 5,000 მესამე კლასისას.

პრუსიის სამ-კუს საარჩევნო სისტემას ხომ რუსთიც კარგად იცნობს, რომლის საფუძველიც ჩვენს ქალაქის თვითმმართველობაში იქმნა 1870 წლ. საქალაქო დებულებით შემოღებული და 1892 წ. ახალის დებულებით შეცვლილი. კლასსობრივივე წარმომადგენლობა, მზგავსაც ავსტრიულ სისტემისა, რომელიც ყურადღებას აქცევს როგორც რაოდენობას ისე რაობას ქონებისას, დაედო საფუძვლად 1864 წლ. საერთო დებულებას. როგორც ვუწყით, აღნიშნულის დებულებით სამაზრო საერთო კრების ხმოსნები ამომრჩეველთა სამის სხვა-და-სხვა ჯგუფისაგან-ირჩევოდნენ: 1) მაზრის უძრავ ქონებათა კერძო მესაკუთრეთაგან, 2) ქალაქის მემამულეთაგან მასთან პირველი და მეორე ჯგუფი კიდევ ცალკე იყოფოდნენ სხვილ მემამულეებათ, რომლებიც პირდაპირ ირჩევდნენ ხმონებსა და წვრილ მემამულეებად, რომლებიც რწმუნებულთა

საშუალებით იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობასა. „ნადელის“ მქონე გლეხებს კიდევ სამკეცი საარჩევნო სისტემა დაუწესეს.

ამ ორის წლის წინად რომ საერობო წარმომადგენლობის რეფორმა განიზრახეს, საერობო კრებათა უმეტესობამ უარ-ჰყო წოდებრივს ნიადაგზედ დამყარებული წარმომადგენლობა და 1864 წლ. კლასსობრივ სისტემის აღდგენა სცნო სასურვე-ლადა, რომელშიაც მხოლოდ მცირედი რამ ცვლილება და-დამატება უნდა შეეტანათ. ასე, მაგალითად, მოსკოვის საგუ-ბერნიო საერობო კრების მიერ მიღებულს პროექტს საფუძვლად დაედო 1864 წლის დეპულებიდამ აღებული პრინციპი „ქონე-ბათა და ინტერესთა სხვა-და-სხვაობისა“ და შევსებულ იქნა: სავაჭრო-სამრეწვლო სახლების პატრონებისა და ზოგიერდა-ადგილებში კიდევ სახლებისა და აგარაკების პატრონთაგან ცალკე ჯგუფი იქმნა შედგენილი.

საერო წარმომადგენლობის ორგანიზაციის დღემდის ცნო-ბილ პროექტებიდამ, რომლებიც-კი საყოველთაო სახელმწიფო წარმომადგენლობას ერობისაზე ამყარებენ და მასთან ამომრ-ჩევლებს ქონების რაოდენობისა და სახის მიხედვით ჰყოფენ ჯგუფებად, აშკარათ სჩანს, რომ ძირითად პრინციპათ კლას-სობრივი დანაწილება აქვთ მიღებული.

ადგილობრივს თვითშმართველობაშიაც-კი წინააღმდეგობას იწვევს კლასსობრივი დანაწილების პრინციპი, რაიცა, სხვათა შორის, გამოსთვევს ზოგიერთმა საზოგადო და სახე-ლმწიფო მოღვაწეთ 1864 წლის საერობო დეპულების შემო-ლების დროს. მით უფრო სამართლიანად შეიძლება, მაშა-სადამე, გავუწიოთ წინააღმდეგობა მას საყოველთაო წარმო-მადგენლობის საქმეში.

ჯერ ერთი ინტერესთა წარმომადგენლობის სისტემა არ იძლევა რამოდენადმე მაინც არის სამართლიანს საშუალებას, რომ საზოგადო რაოდენობა წარმომადგენელთა (ანუ საარ-ჩევნო რწმუნებულთა) ამომრჩეველთა სხვა-და-სხვა ჯგუფებს შორის სამართლიანად იყოს განაწილებული. თუ ჯგუფთა რიცხვის მიხედვით იქნებოდა განაწილებული, ზოგიერთა კლასს

მიიღებდა დიდი უმეტესობას, სხვები კი მცირეს, რის გამოც მთავარი აზრი სისტემისა — ყველა კლასთა ინტერესების თანაბრად დაცვა — დაირღვეოდა უთუოდ. ყველაზედ მეტად კი შეუძლებელია ამ პრინციპის რუსეთში განხორციელება, სადაც ყველაზე დიდი სოციალური კლასი, სახელმობრ, გლეხობა, ბევრად სჭარბობს რიცხვით ყველა სხვა კლასებს ერთადა. რაც შეეხება წარმომადგენლობის იმის-და მიხედვით განაწილებას, თუ რომ ელი კლასი რამდენს იხდის ან რა ქონების პატრონია, როგორც ეს პრუსიიშია დღესა, ეს ხომ მთლად უსამართლობა და უაზრობა იქნებოდა, რადგანაც სახელმწიფოს ცხოვრებაში რომელისამე კლასის მნიშვნელობა მისის ქონებითა და შეძლებით არ გაიზომება არასოდეს. ამიტომაც განაცხადა ბისმარკმა 1867 წ., რომ „პრუსიის სამკეც საარჩევნო სისტემაზედ უსამართლო და უგუნიური რამ სხვა ალარა ვიცი-რაო“. დასასრულ ერთად-ერთი საშუალება, რომ საქმეს როგორმე ეშველოს, ისლაა, რომ თვითონეულს კლასს ერთხელ სამუდამოდ განსაზღვრული რიცხვი ჰყავდეს წარმომადგენელთა, როგორც ამას კანონმდებელი სცნობს თვითონ საჭიროთა და დააფასებს სხვა-და-სხვა, კლასის მნიშვნელობასა. მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ასეთი დანაწილება იქმნება მუდამ ხელოვნური და კანონმდებლის თვითნებობაზედ დამყარებული, რაიცა კლასთა შორის მწვავე კამათსა და დიდი უკმაყოფილებას დაპირდებს მხოლოდ.

არა მარტო წარმომადგენლობის კლასთა შორის დანაწილება, თვითონ მცხოვრებთა კლასებათ დაყოფვაც-კი თვითნებობითი და ხელოვნურია. რაც უნდა სრული და უნაკლული, იყენენ ამ საგნის შესახებ მთავრობის განკარგულებანი, მაინც ვერასოდეს არსებულს სხვა-და-სხვაობას ინტერესებისას, თუნდაც მხოლოდ ნივთიერად, არ მიუდგება არასოდეს. გარეგან ნიშნებით მიწისმთლობელთა წყებაში მოქცეული ადაშიანი შეიძლება ნამდვილად სულ სხვა კლასს ეკუთვნოდეს, არა მხოლოდ თავისს პირად კავშირითა და სიმპატით, არამედ ნივთიერ მდგომარეობითაც, თუ, მაგალითად, მისი ქონება მეტ წილად შესდგება აღგილ-მამულიდამ-კი არა, არამედ რო-

შელისამე სავაჭრო-სამრეწველო საქმის აქციებიდამ. გარეგნობით საერთო ნივთიერ მდგომარეობით დაკავშირებული კლასები შეიძლება ეკონომიურ ინტერესებით დიდად სხვა-დასხვაობდნენ და აქედამ ბევრს საყურადღებო პოლიტიკურს კითხვებშიაც სხვა-და-სხვა დამოკიდებულება ჰქონდეთ. მშვენიერს მაგალითს ამისას დღეს ინგლისში ვხედავთ, სადაც საბაჟო გარდასახადთა კითხვა სხვილ მრეწველთა კლასს ორ მოწინააღმდეგე ბანაკათა ჰყოფს: რკინის მწარმოებელთა წარმომადგენელი ჩემბერლენის პროტექციონულს პლანებს ემხრობიან, თავისუფლად ვაჭრობის პრინციპს-კი ბამბეულ ნაწარმოების წარმომადგენელი. შესაძლებელია, მაშასადამე, ასეთმავე მოვლენამ რუსეთშიაც იჩინოს თავი, თუმცა რამოდენადმე ახლავ ეტყობა ასეთი დანაშილება. სხვებზედ მრავალრიცხვოვანი და განკერძოებული კლასი, გლეხობაც-კი ერთნაირად არ ეპყრობა, მაგალითად, ეკონომიურ კანონმდებლობის ისეთს საყურადღებო საგანს, როგორიც არის საზოგადო ანუ სასოფლო მიწათმფლობელობა. გლეხთა სხვა-და-სხვა გვარი დამოკიდებულება ამ საგნისადმი მარტო ადგილობრივ პირობების სხვა-და-სხვაობით არ აიხსნება, რადგან ერთსა და იმავე მხარესა და სოფლებში, გლეხთა დიფერენციაციის გამოისობით, თუ სოფლის მცხოვრებთა ერთის ნაწილისათვის სასარგებლოა საზოგადო მიწის-მფლობელობა, მეორისათვის სრულიად საზარალოა. ასეთი დამოკიდებულება ექმნებათ ეკონომიურ და საზოგადო პოლიტიკის მრავალ კითხვასთან სხვილს მემამულებსაც, იმის-და მიხედვით, შიგ მამულში იცხოვრებენ, თუ მხოლოდ იშვიათად ინახულებენ და დაპირის გლეხების ან დაქირავებულ მუშების დახმარებით ამუშავებენ მამულს, თუ იჯარით ექმნებათ გაცემული; წმინდა მეურნეობას აზგანან, თუ მიწათ-მოქმედებასთან დაკავშირებულ სხვა რამ სამრეწველო საშუალებით სარგებლობენ მამულით. შეიძლებოდა ასე თვითეულ კლასიდამ ურიცხვი მაგალითი მოგვეყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ კანონმდებლობის მიერ ზოგადი გარკვევა კლასებისა ვერასოდეს ნამდვილს ცხოვრებასა და ინტერესთა ბუნებრივს.

სხვა-და-სხვა გვარად შეჯგუფვას ვერ დაახასიათებს, ვერ მიუღება.

უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება აღნიშნულს ფაქტს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასა, რომ საზოგადოებრივსა და სახელმწიფო ცხოვრებაში ეკონომიკურ ინტერესებს გარდა, რომლებზედაც ამყარებენ ამომრჩეველთა კლასობრივს ჯგუფებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ნაციონალურს, სარწმუნოებრივსა და წმინდა პოლიტიკურს ინტერესებსა. თუნდაც დავთანხმდეთ, რომ ეკონომიკურს ინტერესებს სახელმწიფოს საზოგადოებრივს ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს, ყოველს შემთხვევაში კანონმდებელი არ უნდა სცდილობდეს ასეთი გავლენა და კლასსობრივი სხვა-და-სხვაობა, განკურძოვება განგებ გააძლიეროს; არ უნდა მიაჩვიოს მოქალაქენი, თვით პოლიტიკურს კითხვებშიაკ-კი წმინდა ეკონომიკურ შეხედულებით ხელმძღვანელობუნენ უმთავრესად.

შესაძლებელიც არის და კერძოდ ერობის მოღვაწეთა შორის დღესაცა ვხედავთ მრავალს მაგალითს რუსეთში, რომ ქონებით სხვა კლასისა და ინტერესების წარმომადგენელი მოღვაწეობით სულ სხვა კლასის ინტერესებს იცავს და სხვას ემსახურება. სამართლიანი იქნება, განა, მაშ, აიძულოს ვინაშემ იგინი თავიანთის პოლიტიკურ უფლებებით მხოლოდ და მხოლოდ თავისს წრეში იმოქმედონ, სადაც იქნება უმცირესობას შეადგენენ და არა იქა და მათთან ერთად, ვისდამიც შათა სიმპატია და თანაგრძობა მიმართული?

გარდა ამ შემთხვევებისა, მთელს სახელმწიფოში სხვა-და-სხვა დროს შეიძლება თავი იჩინონ ისეთმა არა-ეკონომიკურ თვისების ინტერესებმა, რომლებიც კლასობრივ დანაწილების წინააღმდეგ დაჰყოფენ მთელს ქვეყანას პარტიებათა. ასეთს მოვლენას არ ვხედავთ, განა, დღესაც რუსეთში? დღე ვანდელს პოლიტიკურს ბრძოლაში არსებულმა სოციალურმა კლასებმა თვითონვე დაარღვიეს ერთიანობა და ერთმანერთის მოწინააღმდეგე. პარტიებად დაიყვნენ. ძირითად პოლიტიკურ ცვლილების მომხრეებათა ვხედავთ დღეს განურჩეველად

ყველასა: მიწათ-მომქმედსაც, მეფაბრიკესაც, ვაჭარსაცა და თავისუფალ ხელობის კაცსაც. ასეთსავე კლასობრივს სხვა-და-სხვაობას წარმოადგენს მოწინააღმდეგე ბანაკიც. ეს გარე-მოება ამტკიცებს, რომ ინტერესთა წარმოშადგენლობის სის-ტემა საზოგადოების ბევრს ცოცხალს ძალებს ხელოვნურად შექმნილს ჩარჩოებში მოაქცევდა და მიიყვანდა იქამდის, რომ არჩევნების ღროს ბევრგან უმცირესობას შეადგენდნენ და არ მიიღებდნენ წარმომადგენლობას, მაშინ როდესაც მცხოვრებ-თა თავისუფლად შეჯკუფვის ღროს თავისს თანამოაზრებს მიემხრობოდნენ უთუოდ და უმეტესობას შეადგენდნენ.

ამ რიგად ვუახლოვდებით კლასსობრივ სისტემის წარ-მომადგენლობის ძირითადს ნაკლს, რომელიც მის პრაქტი-კულად განხორციელების სიძნელეში კი არა. თვითონ იდეა-შია დაფარული. ეს ნაკლი უჩვენეს ნათლად 1864 წლის სა-ერობო დებულების შემუშავების ღროს. ამომრჩეველთა კლასობრივადა და წოდებრივად შეჯგუფვის წინააღმდეგ და ტერიტორიალურ სისტემის სასარგებლოდ გამოსთქვა მაშინ თავისი აზრი, სხვათა შორის, პეტერბურგის თავად-აზნაურთა კრებამ. იმავე აზრს ემხრობოდნენ სახელმწიფო საბჭოში: პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მ. კორფი, ნ. ბახმეტევი, თავ. სუვოროვი, გრ. მილუტინი და ტიმოვსკი. უმეტესობის მიერ მიღებულ სისტემის წინააღმდეგ გამოსთქვეს ის აზრი, რომ „ცალკე ამომრჩეველთა წრეებიდან ამორჩეულნი ჩაითვლებიან თავიანთ ამრჩეველ კლასების დელეგატებათ და იმოქმედებენ არა როგორც მთელის ერობის ინტერესთა წარმომადგენელნი, არამედ როგორც თვითოვეულ ცალკე კლასის განსაკუთრებულ სარგებლობათა დამცველნი. ასეთს გარემოებაში-კი შეუძლებელია ერთსულობა და ერთგუ-ლობა, რომელიც უნდა უთუოდ ახასიათებდეს საერობო დაწესებულებათა მოქმედებას, რადგანაც მათს საგანს შეა-ჯენს არა გარჩევა კერძო, ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ, წოდებრივ ინტერესებისა, არამედ საზოგადო, მთლად ყველა პცხოვრებთა ინტერესების გამომხატველი საერობო საქმეთა კარჩევა და გარდაწყვეტა“.

ადგილობრივ წარმომადგენლობის შესახებ ასე მართლად და ღრმად გამოთქმული აზრი მით მეტად მიეწერება პოლიტიკურს არჩევნებს. ინტერესთა წარმომადგენლობის სისტემა არა მარტოდ ხელოვნურია და უსამართლო, ძირითადად ეწინააღმდეგება თვით თანამედროვე სახელმწიფოს იდეასაც. ეჭვს გარეშეა ყველასათვის, რომ მცხოვრებნი ყველგან საზოგადოებრივ კლასებათ არიან დაყოფილნი, რომელთა ინტერესებიც ერთი მეორისაგან განირჩევიან, ხშირად ერთი მეორის წინააღმდეგნი არიან; ეჭვს გარეშეა ისიც, რომ კლასობრივს ბრძოლას სახელმწიფო ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს. მაგრამ ეჭვს გარეშეა, მეორე შხრივ, ისიც, რომ სახელმწიფო წყობილების ერთს უმთავრესს დანიშნულებას შეადგენს ის, რომ ოც შეიძლება დაასუსტოს ასეთი გავლენა და მიაჩვიოს მცხოვრებნი, რომ თავისს ეგოისტურს მისწრაფებას ფრთხი შეაკვეცონ ხოლმე და დაუმორჩილონ საყოველთაო სიკეთის პრინციპს, რომ სახელმწიფო უფლების სახით შეჯემან ძალა, კლასსთა და მათ საურთიერთო ბრძოლაზედ მაღლა მდგომი, რომელსაც შეეძლება კლასსთა საგანგებო ინტერესები საზოგადო სახელმწიფო შეხედულებით მოარიგოს და შეათანხმოს ერთმანერთანა.

ამ შეხედულებას უნდა ადგეს არა მხოლოდ უმაღლესი მმართველობა, არამედ სახალხო წარმომადგენლობაც, რაღაც იგიც სახელმწიფო უფლების შემადგენელია და ორგანო მისი. წარმომადგენელ კრების წევრები თავისს ამომრჩევლების რწმუნებულები-კი არა, მთელის ერის წარმომადგენელნი არიან. ამიტომაც სახელმწიფო კანონები და მთავრობის სხვა-და-სხვა ღონისძიებანი საზოგადო სახელმწიფო შეხედულებით უნდა განსაჯონ და გაარჩიონ და არა იმ კერძო ჯგუფთა ინტერესების მიხედვით, რომლის წარმომადგენელნიც თვითონ არიან: წარმომადგენლობის კლასსობრივს ორგანიზაციას-კასულ სხვა იქვს აზრადა.

კერძო სოციალურ ჯგუფების მიერ ამორჩეულნი უნებლიერ იქნებიან მათი და არა. მთელის ერის წარმომადგე-

ნელნი, ამიტომაც მეტი შისწრაფება ექმნებათ, ზნეობრივადაც-კი, პირველს ადგილას კლასსობრივი ინტერესები დააყენონ და არა საზოგადო სახელმწიფო მოსაზრებანი, მაშინ როდესაც სხვა სისტემის დროს იგივ წარმომადგენელნი შეიძლება საყოველთაო, საერთო სიკეთის გზას დასდგომოდნენ.

ინტერესთა წარმომადგენლობის სისტემა ხელოვნურად ამწვავებს სოციალურს უთანხმოებასა და კლასსთა ბრძოლას, რომელსაც სახელმწიფო უნდა უფლობდეს, თვითონ სახელ-მწიფო უფლებისა და მისს უმაღლეს ორგანოების საბრძანე-ბელში უთმობს ადგილსა. ამიტომაც უნდა უთუოდ გაკიცხულ იქნას და ვეწინააღმდეგოთ, რომ არ შემოიღონ იგი რუ-სეთში; მით უმეტეს, რომ წინანდელზედ მეტად დღეს არის კლასსობრივი წინააღმდეგობა გამწვავებული და წარმომა-დგენლობით მმართველობის წინააღმდეგნიც ხელოვნურად ამწვავებენ აღნიშნულს ანტაგონიზმსა. ნორმალური პოლი-ტიკური ცხოვრება სახელმწიფოსი კლასსთა ბრძოლაზე-კი არ უნდა იყოს დამყარებული, პოლიტიკურ პარტიათა ბრძო-ლამ უნდა განამტკიცოს. პარტიიები, მართალია, იშვიათად კლა-სსობრივს დანაწილებასაც ემყარებიან, მაგრამ სავსებით არ უერ-თდებიან და თავისის ბუნებით სრულიად განსხვავდებიან მათ-გან. კლასებს თავისი ეგოისტური, სხვა-და-სხვა, ერთი შეორის მიუდგომელი ინტერესები აქვთ, პარტიებს-კი საერთო აზრად და მიზნად მთელის სახელმწიფოს სიკეთო აქვთ დასახულის განირჩევიან მხოლოდ იმათ, რომ სხვა-და-სხვა საშუალებით სკლილობენ ამ მიზნის მიღწევასა. ადამიანი ეკუთვნის რომელ-სამე კლასს თავისის გარეგან მდგომარეობით, პარტიას-კი — თა-ვისის რწმენითა და მიმართულებით. ამიტომაც კლასსთა რიც-ხვითი დამოკიდებულება საზოგადოდ უძრავია, რაიმე ეკა-ნომიურს ცვლილებას შეუძლიან მხოლოდ მისი შეცვლა. პირ-იქით, პარტიების რიცხვითი დამოკიდებულება-კი მუდავ იცვლება. დღევანდელმა უმცირესობამ შეიძლება ხვალ უმეტე-სობა მიიღოს. ასეთი ცვალებადობა და მოძრაობა-კი უმთა-ვრესი პირობაა სახელმწიფოს საღის განვითარებისა.

წოდებრივ და კლასსობრივ წარმომადგენლობის პროექტებთან ერთად მეტად გავრცელებულია აგრეთვე აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთში წარმომადგენელ დაწესებულებათა უმთავრეს საფუძვლად ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზების: საგუბერნიო ერობათა და სხვილ ქალაქების წარმომადგენლობა იქმნეს მიღებული.

**ადგილობრივ დაწესებულებათა (ერობათა და ქალაქების) წარმომადგენლობა.**

საერო წარმომადგენლობის მოწყობას საგუბერნიო ერობათა და ქალაქის საბჭოთა არჩევნებით ის უპირატესობა აქვს ვითომ, რომ უკვე არსებულს საზოგადოებრივს ძალებზეა იგი დამყარებული. მართლაც და, რუსეთის ცხოვრების მოუწყობლობისა გამო მხოლოდ ერობანი და ქალაქები იძლევიან საზოგადოებრივს წრეს, რომელსაც ასე თუ ისე საჭირო მომზადება და ცოდნა აქვს, თუ როგორ უნდა ჟენერალურვანელოს და უპატრონოს საზოგადო საქმეებსა. აღნიშნულ დაწესებულებათ შექმნეს გარკვეული ტრადიციები, რომელნიც საერობო მოღვაწეობას მცხოვრებთა საზოგადო ინტერესებსა და მათგან ყველაზედ მეტად გაჭირვებულს — გლეხობას — ამსახურებენ. იქამდის მტკიცე და შეურყეველი გამოდგეს ტრადიციები, რომ 90 წლ. საკანონმდებლო ცვლილებამაც კი ვერავითარი წოდებრივი და კლასსობრივი განკურძოვება ვერ შეიტანა ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში. ყველა ეს თავდებია უფერესობად, რომ სახალხო წარმომადგენლობის არჩევნების დროსაც ერობანი და ქალაქები სახელმწიფო მოღვაწეობისათვის გამოსადევება და ნიჭიერს ხალხს აირჩევენ უთუოდ. პოლიტიკური მიმართულება მომავალ წარმომადგენლობით კრებისა ამ პირობებში შეიძლება უკვე საქმაოდ გარკვეულად ჩაითვალოს, რის იმდიც არ შეიძლება ვიქონიოთ, თუ სხვა რამ საარჩევნო სისტემა იქმნება შემოღებული. ყველა სხვა სისტემა დიდად გამოურკვეველი იქმნება

და, როგორც უცნობი, იმედსაც დიდს გაულვიძებს ბევრსა და შიშაცა. აღგილობრივ თვითმმართველობათა წარსული-კი, პირ-იქით, ნათლად ამტკიცებს, რომ ერობათა და ქალაქების წარმომადგენელნი სახელმწიფო ცვლილებაშიაც იმავე საზოგადოებრივს ხასიათსა და საფუძველს შეიტანენ, როგორიც დღეს ატყვიდ ქალაქებისა და ერობათაგან დაწყებულს საქმე-ებსა.

მაინც იქამდის დიდი ნაკლი აქვს სახალხო წარმომადგენლობის აღნიშნულს ნიადაგზედ ორგანიზაციასა, რომ ხაეჭვოა, თუ მისი შეწყნარება და მიღება შესაძლებელი გახდება. იგი იქმნება მხოლოდ მკრთალი მზგავსება საერო წარმომადგენლობისა და ვერასოდეს მისს კეშმარიტს დანიშნულებასა და აზრს ვერ შეასრულებს. ჯერ ერთი, შემოღებული იქმნება მრავალკეცი არჩევანები, რომელიც მხოლოდ აბრკოლებს და სათავეშივე ჰეშობს მცხოვრებთა პირდაპირს სურვილსა და აზრსა. საგუბერნიო ერობათა და ქალაქის საბჭოებში მჭიდრო კოლლეგია სდგება, რომელსაც სახელმწიფო არჩევნების უპირატესობა აქვს მინიჭებული. აღნიშნულს. წრეში მოხვედრის მსურველმა არა მხოლოდ კენჭი უნდა იყაროს რამდენგზისამე, ნიჭიერება და უნარიც უნდა გამოიჩინოს, რომ საერობო ანუ საქალაქო ხმოსნობა შეუძლიან. საგუბერნიო ერობათა კრებებში უმეტესობას ამჟამად მიწისმფლობელი თავად-აზნაურობა შეადგენს, რადგანაც წოდებრივი საარჩევნო სისტემა მათ მეტს უფლებებს ანიჭებს. რა გინდ მცირე საერობო საარჩევნო ერთეულიც შემოილონ საყოველთაო საარჩევნო უფლების გასახორციელებლად, გლეხები მაინც ყოველს შემთხვევაში უმცირესობას თავს ვერ დააღწევენ და საგუბერნიო ხმოსანთა რიცხვი გლეხთა წრიდამ მუდამ ნაკლები იქნება. მიზეზი ამ გარემოებისა სრულიად ბუნებრივია, რადგანაც შრომის მწეველს გლეხობას არ შეუძლიან. სხვა კლასსების წარმომადგენლებს მეტოქეობა გაუწიოს, ვინაიდგან ამას მომზადებაცა სჭირია შესაფერისი და მოცალეობა-თავისუფლებაცა. ასეთს არჩევნებს-კი აუ-

ცილებელ შედეგათ ის მოჰყვება, რომ სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობა საარჩევნო უფლებებს ნამდვილად მაინც მოკლებული იქნება. განხორციელება ამგვარ არჩევნებისა ისე იქმნება გართულებული, რომ ურთიერთი კავშირი და დამოკიდებულება არჩეულსა და ამომრჩევლებს შორის სრულიად გაჰქირდება, დაიკარგება. წარმომადგენლებსა და ამომრჩევლებს შუა ჩადგება პრივილეგიით მოსილი კოლეგია, რომლის ხელთაც იქმნება პირდაპირი არჩევანი სახელმწიფო კრების წევრებისა. წარმომადგენელთა და ხალხს შორის ზნეობრივი კავშირი და დამოკიდებულება სრულებით გაწყდება, ერთმანერთისათვის უცხონი შეიქმნებიან; ხალხი მათ არა სცნობს თავისს რჩეულებათა, წარმომადგენელნი კიდევ ხალხს არ მიჰმართავენ, როცა ან დახმარებადასჭირდებათ, ან რისამე ჩვენება და რჩევა. უსწორობა და უაზრობა ასეთის წარმომადგენლობით სისტემისა ყველაზედ ნათლად და აშეარად ზოგიერთა განაპირო ქვეყნებისა და სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიების შესახებ იჩენს თავსა, საღაც: მცხოვრებლები მთლად მაღლოროსსები და მართლ-მაღიდებლები არიან,—მაღალის წრის წარმომადგენელნი და მემამულენი— კა—კათოლიკები და პოლონელები. საკმარისია წარმოვიდებინოთ, რა წესით მოხდება საერობო კრებათა და ქალაქის საბჭოთაგან არჩევნები საერო წარმომადგენლობისა. აღნიშნულს გუბერნიებში, რომ შევიგნოთ სავსებით, როგორი უმეტესობა ჰქოდება პოლონელს მემამულებსა და რამდენად განახორციელებს ასეთი საერო კრება ნამდვილს მცხოვრებთა წარმომადგენლობასა.

ამ რიგად ძვირად დაჯდება მეტად უპირატესობა, რომელიც ერობათა და ქალაქების საარჩევნო სისტემას მივათვისეთ და შედეგათ მოჰყვება ის, რომ წარმომადგენელთ ამრჩევლებთან არავითარი ცხოველი და პირდაპირი კავშირი არ ექმნებათ. ასეთს კავშირსა და ერთობას მოკლებული წარმომადგენლობა-კი უნიადაგო და ჰაერში დაკიდული, უქმი უფლება იქმნება მხოლოდ.

არც მთავრობისა და არც საზოგადოების თვალში წარმომადგენლობას მაშინ ღირსეული მნიშვნელობა არ ექმნება. ბიუროკრატის მიხეზი, ექმნება უარ-ჰყოს ხოლმე კრების დადგენილება და გარდაწყვეტილებანი და თავი იმართლოს იმითი, რომ საზოგადოების ამა და ამ წრეებმა ძალმომრეობა იხმარეს და იმიტომ მოხდა ასეო. მეორე მხრივ, ასეთი ვიწრო სარბიელი პოლიტიკურ წარმომადგენლობისა ვერც დაიტევს ვერასოდეს მთელს საზოგადოებრივს მოძრაობასა. საზოგადოებრივნი ძალნი სხვა საშუალებას დაუწყებენ ძებნასა, წარმომადგენლობის გარეშე და მის წინააღმდეგ იმოქმედებენ და ორ მოწინააღმდეგე მიმართულებათა შორის, — ერთის მხრივ ბიუროკრატისა, მეორე მხრივ-კი საზოგადოებრივის აზრისა და მიმართულებისა, — მოქცეული წარმომადგენლობა შესტლებს-ლა, განა, ერთიცა სძლიოს, მეორეცა და ისეთსავე უნაყოფო და მტანჯველს ბრძოლას არ უნდა ეწეოდეს, განა, როგორც ერობა ებრძოდა დღეშის ბიუროკრატის უფლებასა?

ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლობის სისუსტე, როგორც ერთად-ერთ საკინონმდებლო დაწესებულებისა, აიძულებს მათ, ვინც მხარს უჭერს ამ პროექტსა, წინადვე დაამცირონ მისი მნიშვნელობა, შეზღუდონ მისი კომპეტენცია და მოქმედება, მთავრობის წინაშე ორჯოფი მდგომარეობა დაიჭირონ და გამოაცხადონ, წარმომადგენლობის წინაშე შინისტრი პასუხის მგებელი არ არისო. შეიძლება, განა, კანონიერების ასე დამყარება და უმაღლეს ბიუროკრატის თვითნებობის ასე ალაგმვა?

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რამდენად უაზრო და უნაყოფო იყო მუდამ საერო წარმომადგენლობის საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლობით შეცვლა. ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის მიერ თითქმის იმავე უფლებებითა და ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლობით მოწვეულმა შეერთებულმა ლანდტაგმა. კეთილი ნაყოფი ვერ გამოილო და რევოლუციურია ვერ ააცილა თავიდამა.

ზემოდ ნათქვამიდამ, მაშასადამე, ის დასკვნა გამოდის, რომ საერობო და საქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენლობას ნამდვილ საერო წარმომადგენლობის მაგიერობა არ შეუძლიან. ვიდრე განვსჯიდეთ, შეიძლება თუ არა საერო წარმომადგენლობის დამატებათ მაინც გამოდგეს, როგორც ადგილობრივ ინტერესების წარმომადგენელი დაწესებულებაო, ყოველს შემთხვევაში აღვიაროთ უნდა, რომ პირდაპირ მცხოვრებთაგან აჩჩეული საერო წარმომადგენლობა საჭიროა უთუოდ და აუცილებელი. მერე-კი შეიძლება მეორე კითხვასაც შევეხოთ: საერო წარმომადგენელთა არჩევნებში რუსეთის იმპერიის ყველა სრულუფლებიანს ქვეშევრდომს უნდა მიენიჭოს მონაწილეობის მიღების უფლება, თუ მხოლოდ იმათ, ვისაც განათლებითა და ქონებით ექნება ამისი ცენზი? სხვა გვარი რამ შეზღუდვა კა, მაგალითად, ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვით, ეჭვი არ არის, საკამათო არ შეიქმნება, რაღანაც პირითადი უფლება და წესი თანამედროვე სახელმწიფოთა პირდაპირ ეწინააღმდეგება ამასა და განათლებულ ერების საზოგადოებრივი აზრიც სამუდამა ჰქიცხავს.

### ქონებრიგი ცენზი.

ქონებრივი ცენზი ამომრჩეველთათვის, იმის-და მიხედვით, თუ ვინ რა უძრავ ქონების პატრონია, რამოდენს გარდასაზადს იხდის, ან როგორ ბინაში სცხოვრობს (ასეა ინგლისში), ევროპის ბევრს სახელმწიფოშია შემოღებული. ქონებრივს ცენზზევე დამყარებული ერობათა და ქალაქების. თვით-შპართველობათა წარმომადგენლობა რუსეთში. ღიღის ხნის ჩვეული პრინციპი, რომელიც საერობო და საქალაქო დაწესებულებათ დაედო საფუძვლად, შეიძლება ის გარემოებაც, რომ საგლეხო მიწათმფლობელობის პირობებით რუსეთში სა-ადგილ-მამულო ცენზი ერთად-ერთა საშუალებაა, რომ ხალხმა მეტი მონაწილეობა მიიღოს. არჩევნებში,—პრინიან ერთად იმ

პირობებსა, რომ ქონებრივ ცენზის მომხრე, განსაკუთრებით საერობო მოღვაწეთა შორის, რუსის საზოგადოებაში მრავალიც ერთობ. ის პირველის შეხედულობით შეურყეველი აზრი, ვითომ საზოგადო საქმეებს ის უნდა აწარმოებდეს მხოლოდ, ვინც მათს გაძლოლაში ხარჯს იხდისო, როგორც ეს საერობო კრებებზედ აღძრულ საერობო საარჩევნო უფლების ცვლილებათა პროექტებიდანა სჩანს, საერობო მოღვაწეთა შორის დიდად გავრცელებულია. საერობო მოღვაწენი, რომელიც საჭიროდ სთვლილნენ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეგრედ წოდებულ „მესამე ელემენტსაცა“ ჰქონოდა, ურჩევდნენ შემოსავლისა დაგვარად, ან-და საცხოვრებელ ბინებზედ დაეწესებინათ გარდასახადი ერობის სასარგებლოდ, მაგრამ ასეთები განზრახვასაც ოპოზიციას უწევდა უმეტესობა და უცვლელად ადგა პრინციპსა, რომ საარჩევნო უფლებისათვის უძრავი საჭირო კუთრება უთუოდ საჭირო არის.

არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ ზემოდ მოყვანილი აზრი რამდენად შეესაბამება ადგილობრივ თვითმმართველობასა (ამის შესახებ ქვევით იქმნება); ვიტყვით მხოლოდ გარდაწყვეტილს, რომ საზოგადო სახელმწიფო წარმომადგენლობას არას გზით არ უდეგება პოლიტიკურ არჩევნებისათვის ქონებრივი, ანუ გარდასახადთა მიხედვით შემოღებული ცენზი. უპირველესად ყოვლისა ის უნდა ვიქონიოთ აქ სახეში, რომ სახელმწიფო ხარჯებში თვითონეულ მოქალაქის მონაწილეობაშე იძლება გამოირკვეს ნამდვილად მხოლოდ პირდაპირის გარდასახადებით. მიშინ, როდესაც მათთან ერთად არსებობს ეგრედ წოდებული არაპირდაპირი გარდასახადებიც, რომელსაც თითქმის მთლად შეუძლებელი ანუ მცირედ შეძლებული კლასი იხდის. რუსეთში, მაგალითად, არაპირდაპირი კარდასახადი ადევს საყოველთაო მოთხოვნილების ყველა საგნებსადა სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის მთავარს ძარღვსაც სწორედ ეს გარდასახადები შეადგენს. ყველა, ვინც კი ერთს ჭიქარიას, ან ფინჯანს ჩაის დაპლევს; ვინც-კი კოლოფს ასანთს იყიდის, ან ნავთის ლამპარს აინთებს; ვინც-კი რკინის გზის

ვაგონში ჯდება, ყველა უთურდ ხაზინის. სასარგებლოდ იხდის ფულსა და შემოსავლისა დაგვარად ღარიბი მდინარზედ გაცილებით მეტს, რადგანაც საყოველთაო საკიროების საგნებს იგიც უთურდ იმდენსავე ჰერჯავს თითქმის, რამდენსაც თავისს წილად მდიდარი. ამიტომაც, ერთად თუ აჭილებთ, შეუძლებელი კლასები ბევრად მეტს იხდიან გარდა სახალსა, ვიდრე შეძლებულები. მეორე მხრივ, ნუ დავივიწყებთ ნურც იძასა, რომ მარტო გარდასახადებით არ არიან სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქალაქენი გაბეგრილები. ფულით გარდასახადთან ერთად არსებობს რუსეთში აგრეთვე „სისხლის გარდასახადი“ ანუ საყოველთაო სამხედრო ბეგარა, რომელიც; სხვა-და-სხვა გვარ უპირატესობათა წყალობით, განათლებით თუ სამსახურით, ფაქტიურად ისევ შეუძლებელს მცხოვრებლებს აწევს მძიმე ტვირთადა, მაშინ როდესაც შეძლებულებს, განათლებითა თუ სამსახურით, შრავალი შელავათი ეძლევა. დღეს, როდესაც საზარელი ტვირთი აღნიშნულ გარდასახადისა ომის გამო ასე სეგრძნობელი შეიქმნა მცხოვრებთა უმჯრესობისათვის, უეჭველია, ყველას უაზროდ და წინააღმდეგად ეჩვენება ის აზრი, ვითომ მარტო სახაზინო გარდასახადი ანიჭებდეს ადამიანს სახელმწიფო საქმეების გაძლილა-წარმოების უფლებასა და ხალხის ვრძნობასაც ღრმად შეუჩიცხვოთს იგი.

ექვს გარეშე ამ რიგადა, რომ სამართლონბა ქონებრივ ცენზის წინააღმდეგია, რომელსაც მომხრენი პოლიტიკურ გოსაზრებით ამართლებენ. „ამჩენებში მონაწილეობის მიღება იმდენად უფლება არ არის, — ამბობენ, — რამდენადაც სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ შეგნებულად მისთვის მომზადებულთა და საკმაო ნიჭიერების მქონეთ დავაკისროთო. ასეთ ნიჭიერებისა და მომზადების გარეგან, შესამჩნევ ნიშნებათ-კი კანონმდებელი ასე თუ ისე ნივთიერად უზრუნველყოფასა სცნობს. ვისაც ქონება რამა-აქეს, იმას შეუძლიან, მაშასადამე, განათლებაც მიიღოს და თავისუფალი ღროც მოიპოვოს, რომ სახელმწიფო საქმეების გაძლილისა და მართვაში მონაწილეობა მიიღოს. მასვე VI

შეუძლიან მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინოს, თავი არავის მოასყიდვინოს, მუქარას არ შეუშინდეს და არჩევნების დროს არავის გავლენით არ იმოქმედოს“. სხვათა შორის, ასე ასაბუთებდა ქონებრივ ცენზის შემოლების საჭიროებას განსვენებული ბ. ნ. ჩიჩერინი.

ასეთი მოსაზრება რომ საკმაოდ დასაბუთებული არ არის, პირველის შეხედვითვე აშკარად ეტყობა! პოლიტიკურ მომზადებისა და ნიჭიერების საზომად თუ ქონებრივს უზრუნველმყოფელობას მივიღებთ, აშკარაა, ამითი ბევრისათვის მხოლოდ განვებ შევწინით დამაბრკოლებელსა და შემცდარს სახელმძღვანელო შეხედულებასა. ყველაზედ ნაკლებ-კი შეეფერება იგი რუსეთის ცხოვრებასა.

თუ მართლა დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისი და გერმანია, ძველადვე მოიპოვებიან განათლებული და ნივთიერად შეძლებული კლასები, სადაც ნასწავლი ახალგაზრდობა თითქმის მთლად ამ კლასებიდამაა გამოსული, — ამიტომაც ნივთიერად უზრუნველყოფილიც და დამოუკიდებელი უთუთდ — იგივ ა. რ. ითქმის რუსეთზედ, სადაც ნივთიერად განადგურებულია არა მარტო უბრალო ხალხი სოფლისა, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთა დაწინაურებული ნაწილიც-კი, რომლიც საზოგადო მოღვაწეობას შეჩვეულია უკვე; რაც შეეხება ქალაქებს, აქ ხომ განათლება მთლად ინტელიგენტ პროლეტარიატის ხელშია და არა ბურჟუაზიისა, რომელიც ახლა იყიდებს მხოლოდ ფეხსა.

რუსეთის საზოგადოების ერთ-ერთს განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს ის, რომ არსებობს აქ ევრელ-წოდებული კლასი „ინტელიგენციისა“, რომელიც გონიერივის შრომითა სცხოვრობს და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტად. მაგრამ ბევრის სხვა-და-სხვა ხელშემშლელ გარემოებისა გამოისეა დაყენებული ეს მათი შრომა, რომ უმეტესობა მათგანი ნივთიერად გაჭირვებულია; ასე რომ შემოსავლის დაგვარად შემოლებული გარდასახადიც-კი ბევრს მათგანს ვერ მოუპოვებდა ცენზისა და უფლებასა; მაშინ როდესაც ინტელიგენციის ხელ-

შია მთლად გონებრივი ძალა ქვეყნისა, იგია მისის კულტურულ განვითარების ხლმძღვანელი და ის შეერთებული საზოგადოებრივი მომქმედი ძალა, რომელმაც ბიუროკრატის მხრივ ფევნითა თუ ბივრის სხვა მაგალითით ნათლად დაამტკიცა თვისი სიმტკიცე და დამოუკიდებლობა. მაშასადამე, გარიყვა ასეთის ძალისა, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდეს და ლეგალურ პოლიტიკურ ბრძოლის უფლება არა ჰქონდეს, ეჭვი არ არის, დიდი უსამართლობა და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

ქონებრივ ცენზის სისტემას რომ ხელოვნურს მოსაზრებებზე ამყარებენ და რუსეთის ნამდვილ ცხოვრებას არაფრით არ უდგება იგი, ნათლად მტკიცდება ეს გლეხების შესახებაც, რომლებიც მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ. მართალია საგლეხო მიწათ-მფლობელობის არსებული წესი საშუალებას გვაძლევს, მიწის მფლობელთა კლასს მივაკუთვნოთ და, მაშასადამე, ქონებრივ ცენზის მქონეთ ჩავთვალოთ ხალხის უმეტესობა, გლეხობა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ გლეხთა ქონებრივი ცენზი არსებითად ფიქცია მხოლოდ და სხვა არასფერი. ფორმალურად შეიძლება გლეხებიც უზრუნველ-ყოფილ კლასად ჩავთვალოთ, რაკი „სანადელო“ მამული მოქალაქებათ, მაგრამ ნამდვილად თითქმის ღარები არიან და ნივთიერად გაცილებით ცუდს გარემოებაში ჩაყენებულნი, ვიდრე დასავლეთ სახელმწიფოთა მუშა პროლეტარი. შეიძლება, განა, უზრუნველ-ყოფილად ჩაითვალოს ხალხი, რომელიც თითქმის მუდამ სახელმწიფო დაზმარებასა საჭიროებს და მოუსავლობისა გამო დამშეულია? ფორმალურად რუსის გლეხი პროლეტარი არ არის, მაგრამ არც განათლების მიღების სალსარი აქვს და არც დამოუკიდებლობა, თუ რომ დამოუკიდებლობას მართლა ქონებრივი მდგომარეობა ჰქმნის. ქონებრივ ცენზად საშუალო საგლეხო „ნადელის“ (ხვედრი მიწა) მიღება არ იძლევა ამ რიგად უპირატესობათ, რომლებსაც ქონებრივ ცენზის მოშხენი ჰგულისხმობენ და უბრალო ხალხის შეგნებულს ნაწილს, ქალაქის მუშებს, პოლიტიკურს

ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის უფლებას სრულიად სწირავს. იმ მოსაზრებით, რომელიც ქონებრივ ცენზის სა-სარგებლოდ მოჰყავთ, გონივრული იქნებოდა უფრო და უესა-წყნარებიც საცენზო ნორმათ საშუალო გლეხის ქონებაზედ მეტი ქონება ეცნოთ, მაგრამ მაშინ წარმომადგენლობის გარე-შე დარჩებოდა თითქმის მთელი უბრალო ხალხი და ოლი-გარხია ანუ რიცხვ-მცირეთა ბატონობა დამყარდებოდა. ასეთს წარმომადგენლობას-კი თვით უკიდურესი კონსერვატიული პარტიებიც არა თხოულობენ. აშკარაა აქედამ ყველასათვისა, რომ გლეხობამ უთუოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს წარმო-მადგენლობაში. მაგრამ მოსაჩვენებელ ქონებრივ ცენზით-კი არ უნდა მიენიჭოს ეს უფლება, სხვა უფრო ღრმა საფუძვ-ლის ძალით. უნდა მოხდეს, რის შესახებაც ქვემოდ გვეძნება ნათერამი.

ზოგიერთს სახელმწიფოში, მაგალითად, ინგლისში ქონე-ბრივ ცენზად ბინებზედ დადებული გარდასახადია მიღებული-აღნიშნულის სისტემით აქტიური საარჩევნო უფლება ეძლევა ყველას, ვისაც-კი მთელი სახლი ან ცალკე ბინა უკირავს ქირითა. ასეთს განსაზღვრას აზრათა აქვს მოუსპოს მონაწილე-ობის მიღების უფლება ნივთიერად დამოკიდებულს ხალხსა, მაგალითად ნათესავებან ან სახლის პატრონებან. მუქთად მცხოვრებს შეუძლებელსა და ეგრედ წოდებულს უსახლ-კარო ჰაწანწალა ხალხს. ასე საშეღავათოდ შემცირებულ ქონებრივ ცენზის წინააღმდეგ კიდევ არა ითქმის-რა, მაგრამ ვაი, რომ საცხოვრებელ ბინების ცენზიც არ უდგება რუსეთის ცხოვრე-ბასა და სამართლიანობას ვერ დააშყარებს.

რომ უფრო სწორედ და სამართლიან ად დავათხსოთ იგრ პოლიტიკურად, საჭიროა გავითვალისწინეთ, მცხოვრებთა-რა და რა ელემენტებს გამოეწირებოდათ საარჩევნო უფლება, რომ მართლა ასეთს სისტემას შემოიღებდნენ რუსეთში.. ჯერ-ერთი, საცხოვრებელ ბინების ცენზით სოფლად პოლიტიკური უფლებები მიენიჭებოდა მხოლოდ ოჯახის უფროსებისა და ოჯახობის დანარჩენს გაუყრელი. წევრებს-კი არჩევნებში მო-

ნაწილების მიღების ნება არ ექმნებოდათ. პირველის შეხედვით ასეთი წესი თითქოს მართლაც შეესაბამება სოფლის მცხოვრებთა მსოფლიო შეხედულებასა და ცხოვრებასა. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასა, რომ პატრიარქალური წესი ცხოვრებისა სოფლადაც ირლვევა უკვე; რომ ოჯახობის ახალგაზრდა წევრთა არჩევნებიდამ გარიყვაბევრს აღგილას წერა-კითხვის მცოდნე ამომრჩეველთა პროცენტს დიდად შეამცირებდა და მრავალ-რიცხვოვან გაუყრელოჯახთა საზარალოდ გაყრილ ოჯახობათ დიდს უპირატესობას ჰიანიჭებდა უსამართლოდ, ცხადი შეიქმნება მაშინ; რომ საცხოვრებელ ბინების ცენზი არ არის სამართლიანობის პრინციპის გამახორციელებელი. მეორე, ქალაქებსა და საფაბრიკო აღგილებში აღნიშნული ცენზი სრულიად გამოსწირავდა საარჩევნო უფლებებს მეტ წილს მუშებისას, ე. ი. იმ ნაწილს მდაბიო ხალხისას, რომელიც აქა-იქ უკვე სავსებით გამოღვიძებულია საპოლიტიკო ცხოვრებისათვის და პოლიტიკურს უფლებებსაც დაუინებითა თხოულობს. დასასრულ, საცხოვრებელ ბინების ცენზით ვერ ისარგებლებდა გლეხობა, რომელიც იძულებულია შეუძლებლობისა გამო სამუშაოდ გარედ გავიდეს და ქილაქად საღმე ეძებოს საქმე, თუ რომ არჩევნების დროს სოფლად არ იქნებოდა; მაშინ, როდესაც გარედ მოშუშავე გლეხობა თავისის შეხედულებითა და გამოცდილებით მიწის მუშას სოფლის მცხოვრებს თუ არა სჯობნის, არაფრით ჩამოუვარდება. ამ რიგად, ყველა ამ ნაკლთანა და არა სასურველ შედევთან შედარებით აღარად, მოსჩანს და იჩრდილება ის შედარებითი სარგებლობა საცხოვრებელ ბინების ცენზისა, რომელსაც მისნი მომხრენი ასახელებენ (მაგალითად, მაწანწალა და ლატაკ მცხოვრებთა არჩევნებიდან გამოკლებას, რომელიც თავის თავადვე იქმნებოდნენ უთუოდ მაწანწალობისა და პროფესიონალურ გლაზაობისათვის სასამართლოს გარდა წყვეტილებით უფლება-აყრილნი).

განათლების ცენზიც, თუნდ ის, რომ წერა-კითხვა მაინც არის იცოდეს არჩევნებში მონაწილეობის მიმღებმა, შეუფე-

რეპელია რუსეთისათვის, რადგანაც მეტად დიდ-ძალი მცხოვრები უნდა გამოსთხოვებოდა მაშინ საარჩევნო უფლებასა; მასთან წარმომადგენლობაც ყველგან თანასწორად არ იქნებოდა განაწილებული, რადგანაც ბევრია მეტად ისეთი მხარე და ადგილი, სადაც სკოლები ერთობ მცირეა დახსნილი, მაშასადამე, ხალხს საშუალება არა აქვს პირველდაწყებითი სწავლა მაინც არის მიიღოს. გარდა ამისა, წერა-კითხვის ცოდნის მოთხოვნას სხვაც მრავალი ბორატმოქმედება და წესის დარღვევა მოჰყვებოდა უთუოდ, რომლის გაგება და თავიდამ აცილებაც დროზედ ძნელი იქმნებოდა მეტად. რუს მცხოვრებთათვის ხომ სულ გაუვებარი იქმნებოდა ესა, რადგანაც არსებულს ჩვეულებებსა და წესებს დაარღვევდა. სოფლის ყრილობაზედ, მაგალითად, მონაწილეობას იღებენ მუდამ ოჯახის უფროსი წევრები ანუ ოჯახის თავები; ახალი წესით კი წერა-კითხვის უცოდნელ უფროსების მაგივრად წერა კითხვის მცოდნე ახალგაზრდები დაიჭერდნენ მათს ადგილსა, რაც, ეჭვი არ არის, გამოიწვევდა უკმაყოფილებასა და წესების დარღვევასა, რადგანაც ძველს ჩვეულებასა და წესს, ეჭვი არ არის, ადვილად არ დასთმობს ხალხი. დასასრულ, გუბერნიებში, სადაც რუსები და სხვა ეროვნებისანი სცხოვრობენ ერთად, არჩევნების დროს რუსები მთლად გარიყულები დარჩებოდნენ და განათლების ცენზით სავსებით უცხოერის წარმომადგენელნი ისარგებლებდნენ. ასე იქმნებოდა, მაგალითად, სახერთ-დასავლეთს გუბერნიებში, სადაც პოლონელები და ებრაელები თითქმის ყველანი წერა-კითხვის ცოდნენი არიან.

### აქტიურ საარჩევნო უფლების შირდები:

საყოველთაო არჩევნების პრინციპი, რასაკვრელია, იმას კიდევ არა პნიშნავს, ვითომ არჩევნებში უთუოდ განურჩეველად ყველა იღებდეს მონაწილეობასა. ყველგან არსებობს გარკვეული წესი და მოთხოვნა, რომელიც ამომრჩეველს არ

უნდა ჰქონდეს დარღვეული, არსებობს საყველთაო არჩევნების გამონაკლიც. უფლებას ანიჭებს ამომრჩევლისას: ქვეშევრდომობა, სქესი, წლოვანობა, მოქალაქობრივი უფლება-მოსილობა და უმშიცვლობა, მაგრამ ამათგანაც ყველას არ მეუძლიან აქტიურ საარჩევნო უფლებით ისარგებლოს, რადგანაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება აღკრძალული აქვთ; მაგალითად, სამხედრო სამსახურში მყოფთა და სახელმწიფო პოლიციის მოხელეთ.

ქვეშევრდომობის შესახებ სათქმელი აქ არა არის-რა, რადგანაც თავისს-თავად იგულისხმება, რუსეთის საერო წარმომადგენლობის არჩევნებში უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი ვერ მიიღებს. მონაწილეობასა.

შედარებით ბევრად საკამათოა დეტათა საარჩევნო უფლება, რომელსაც პრაქტიკულად თითქმის ყველა სახელმწიფო ები უარპყოფენ.

მაგრამ რუსეთის საზოგადოების დიდი ნაწილი მოწადინებულია თითქმის ამ ქამადა, რომ ქალსა და კაცს თანასწორი პოლიტიკური უფლებები მიენიჭოს. პრინციპიალურად საწინააღმდეგო აქ არა ითქმის-რა მაგრამ, მეორე, მხრივ, უსაფუძვლოდ არ უჩევნებენ იმ დიდს პრაქტიკულს დაბრკოლებასა, რომელიც, სამწუხაროდ, „დედათა კითხვის“ დაუყოვნებლივს გარდაწყვეტის ელობება წინა. დედათა პოლიტიკურ უფლებების იდეა, არამც თუ რუსეთში, დასავლეთ ევროპის დაწინაურებულსა და განათლებულს სახელმწიფოებშიაც-კი არ არის საყველთაოდ მიღებული და განხორციელებულია მხოლოდ ზოგიერთა მცირე ქვეყნებში, რომლებიც სრულიად განსაკუთრებულს. პოლიტიკურს გარემოებაში სცხოვრობენ და ევროპის ერთა პოლიტიკურ ცხოვრების. პირობებთან შედარებით ბევრად განირჩევიან (სახელდობრ, ჩრდილო ამერიკის ზოგიერთა შტატებსა და ავსტრალიის. ახალ შენებში. თვითონ ინგლის ში-კი, რომლის მაღალს უფლებებსაც აღნიშნული ახალ შენები აღიარებენ, მარტოდ ვა-სათხოვარსა და ქვრივ ქალებსა აქვთ ადგილობრივს თვითმმა-

როველობაში საარჩევნო მონაწილეობის უფლება. ასეა თვით-მმართველობის წვრილს ერთეულებში: შეუძლიანთ — აირჩიონ და არჩეულ იქმნენ, მაგრამ უმაღლესს თვითმართველს კავ-შირებში-კი შხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლება აქვთ მინიჭებული). შესაძლებელია ამიტომ მცხოვრებთა უმეტესობამ ჩვენშიაც არ შეიწყნაროს, თუმცა საზოგადოების დაწინაურებულს წრეებში დადად მიღებულია იგი. ვერ დავი-ვაწყებთ ვერც ითასა, რომ წერა-კითხვის უცოდინარი დე-დათა შორის ერთი სამად მეტია, ვიდრე მამაკაცია შორის, რის გამოც დაუყოვნებლივ საარჩევნო უფლებათა მინიჭება მეტს შეგნებულობას არ შესძენდა ქალებსა. გარდა ამისა, არჩევნებშიაც ყველგან თანაბრად არ მიიღებდნენ ქალები მო-ნაწილეობასა: ქალაქებში მეტი მიიღებდა მონაწილეობასა, ვიდრე სოფლად; ქრისტეან მცხოვრებთა შორის შედარებით სწრაფად გავრცელდებოდა დედათა პოლიტიკური მოღვაწეობა, ვიდრე მაჰმადიანთა შორის. მცხოვრებთა რაოდენობით თანასწორობის გროს არჩევნებში მონაწილენი თანაბრად არ იქმნებოდნენ განაწილებულნი და შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ მცირე რიცხვოვანი ჯგუფი ხმათა უმეტესობას. მიიღებ-და, მრავალ რიცხვოვანი-კი — უმცირესობას, რადგანაც დე-დათაგან ბევრნი არ მიიღებდნენ მონაწილეობასა. რასაკვრე-ლია, აღნიშნული დაბრკოლებანი არც ისე უძლეველნი იქმ-ნებოდნენ, რომ არაფერი ჰშველებოდათ, მაგრამ არ იქმნე-ბოდა პოლიტიკურად გონივრული, თუ სამძიმო საქმეს საერო წარმომაზებენლობისას რუსეთში არა ნაკლებ რთულსა და სამ-ძიმოს მეორეს აფუკიატებით, ერთსა და იმავე დროს გარ-დასაწყვეტადა. უკეთესი იქმნებოდა ამიტომ, ჯერ ჯერობით აღგილობრივს თვითმმართველობაში მიჰნიჭებოდათ უფლება. მონაწილეობისა, რთული საკითხი დედათა საერო საწარმო-მაღენლო უფლებისა-კი გარდასაწყვეტად შემდეგ დროისათ-ვის გადაგვედო, როდესაც წარმომაღენლობითი შმართვე-ლობა უკეთესს გარემოებას შეჭქმნიდა. ამისთვისა და მის სრულიად გამარჯვებასა და სასურველიად გარდაწყვეტას ნია-დაგს მოუმზადებდა, ხელს შეუწყობდა.

ამომჩეველთა წლოვანობის შესახებაც ეკროპის სხვა-და სხვა სახელმწიფოში სხვა-და-სხვა კანონი არსებობს. ზოგიერთა ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში პოლიტიკურ სრულ-წლოვანობისათვის 21 წელიწადია დადებული, სხვაგან უფრო მეტი წლოვანობითი ცენზია, მაგალითად, 25 წელიწადი (ასე საფრანგეთში). ჩვენშიც რუსეთში, საერობო და საქალაქო არჩევნებისათვის 25 წლის ცენზია მიღებული, სათვალ-აზნაურო არჩევნებისათვის კი — მოქალაქობრივი სრულ-წლოვანობაა მიღებული. პრინციპიალურად უკანასკნელი უფრო სამართლიანია. მართლაც-და, უზრობა არ არის, განა, რომ ბევრად რთულ მოქალაქობრივ საქმიანობისათვის 21 წელიწადი იყოს საქმარისად ცნობილი და პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობისათვის-კი, რასაც მხოლოდ ჩვენება უნდა კაცისა, რომ ესა და ეს უფრო სასარგებლო და ნიჭიერი წარმომადგენელი იქმნება საწარმომადგენლო მოღვაწეობისათვის, ვიდრე მეორე, — აქ-კი იგივ წლოვანობა საქმარისად არ იყოს ცნობილი? გარდა ამ საზოგადო ხასიათის მოსაზრებისა, არის სხვა პრაქტიკულ-პოლიტიკურ ხასიათის მოსაზრებაც, რომლითაც წლოვანობის 21-ამდე ჩამოყვანა აუცილებლივ საჭირო არის. დასივლეთ ეკროპის მცხოვრებლებთან შედარებით (განსაკუთრებით საფრანგეთისა) რუსეთს მეტიც ებადება ყოველ წლივა და მეტიც ეხუცება. ამიტომაც საარჩევნო უფლებისათვის ცენზად 25 წლის შემოღებით ბევრად მეტ აალხს გავრიყავდით და გამოვწირავდით არჩევნებში მონაწილეობის უფლებასა, ვიდრე დასავლეთ ეკროპის კანონმდებლობა სწირავს იმავე საწლოვანო ნორმის მიღებითა. ამ რიგათ გარიყულს ხალხს კი დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა, არა მხოლოდ თვისის რაოდენობით, არამედ თვისებითაც და მომზადებითაცა. სხვილს ქალაქებსა და სამრეწველო აღგილებში, მაგალითად, წლოვანობა 21-25-მდე იძლევა ყველაზედ მეტად შეგნებულ-სა და შეკავშირებულს, აქტიურს საზოგადოებრივს ძალას მუშებიდამ; ვიდრე ქალაქის დაბალ მცხოვრებლებიდამა, — სოფლად კიდევ, საერობო რუსეთში მაინც, — ყველაზედ მეტად

წერა-კითხვის მცოდნება. ამიტომაც რუსეთის ცხოვრების მიხედვით უფრო სამართლიანი იქნებოდა მოქალაქობრივ სრულ-წლოვანობის ცენტი იქმნეს შემოღებული, ე. ი. 21 წლი-წადი და არა 25 წლის ცენტი, როგორც ეს დღეს საერობო და საქალაქო არჩევნებისათვის არის დაკანონებული.

აქტიურ საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან სრულ-წლოვანები, რომელთაც მოქალაქობრივი უფლება-მოსილობა არა აქვთ, ე. ი. სუსტის გონების პატრონები, შეშლილები, ყრუ-მუნჯნი, მფლანგავნი და სხ., აგრეთვე ვისაც სასამართლოსაგანა აქვს უფლებები აყრილი და შეზღუდული. ჩვენი კანონმდებლობა კი სწირავს საერობო და საქალაქო დაწესებულებათა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აგრეთვე იმათ, ვინც ან გამოძრების ქვეშ იმყოფება ან სამართალშია მიცემული დანაშაულობისათვის, რომელსაც შედეგად უფლებათა შეჩღუდვა ან აყრა მოჰყვება. მაგრამ არსებითად უმართებულოა ეს წესი, — მით უმეტეს, რომ საშუალებას იძლევა ბოროტმოქმედება ჩაიდინონ: შესაძლებელია, უმიზეზოდ დასმინონ აღამიანი; ბრალი რამ დასდონ, ოლონდ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოუსპონ. დასავლეთს ევროპაშიაცა და რუსეთის საერობო დაწესებულებათა ისტორიაშიც მრავალია ისეთი მაჯალითი. დასასრულ, განსაკუთრებული საზოგადოებრივი მდგომარეობაც ბევრს უფლებამოსილს არ აძლევს ნებას არჩევნებში მონაწილეობისას. ამათ ეკუთვნიან, ჯერ ერთი, საშედრო სამსახურში მყოფნი, რომელთა დისკიპლინაც წინააღმდეგია სრულიად კრებებზედ თავისუფლად დასწრებისა და არჩევნებში მონაწილეობისა. მეორე მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკურს ცხოვრებაში მხედრობის აქტიურად ჩარჩევას შეიძლება მეტად სახიფათო და რთული შედეგიც მოჰყვეს. ამავე მიზეზებით არ უნდა იღებდნენ მონაწილეობის არჩევნებში ავრეთვე სახელმწიფო პოლიციის მოხელენიც. მათი საარჩევნო ბრძოლაში ჩარჩევა ცუდად იმოქმედებდა არა მარტო არჩევნების სამართლიანადა და ძიუდომელად წარმოებაზედ, არამედ თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ საარჩევნო უფლებით თავისუფალ სარგებლობაზედაც.

აქტიურ საარჩევნო უფლების განსახორციელებლად საკიროდ სთვლიან აგრეთვე ეგრედ წოდებულს ბინადრობის ცენზის, ე. ი. საარჩევნო სიებში შეაქვთ მხოლოდ ისინი, ვისაც ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში საკმაოდ დიდი ხანი უცხოვრია. საარჩევნო უფლების ასე შეზღუდვის წინააღმდეგ იგივე ითქმის თითქმის, რაც საცხოვრებელ ბინების ცენზის წინააღმდეგა ვსოდებოთ ზემოდ. ბინადრობის ცენზს აღვილობრივს ფაითმართველობასა და არჩევნებში, მართალია, აზრი აქვს კიდევ, რადგანაც იგი ჰმოწმობს აღვილობრივ საქმეებთან კავშირსა და ინტერესსა, მაგრამ პოლიტიკურს არჩევნებში-კი, სადაც მთელის ერის წარმომადგენლობაა საჭირო საერთო სახელმწიფო საქმეების გარდასაწყვეტადა, უადგილო და უაზროა. სრულის საარჩევნო უფლებებით აღჭურვილს რუსეთის მოქალაქეს შეუძლიან დაუბრკოლებლივ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში ყველგან, სადაც-კი უნდა შეემთხვეს იმ დროს, პინადრობის. აღვილასა, თუ სხვაგან სადმე, რადგანაც მის პოლიტიკურ შეხედულებასთანა და მიმართულებასთან ბინადრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

განსაზღვრული მცირე რამ ვადა ერთს ადგილას ცხოვრებისა, მართლია, უნდა უთუოდ არსებობდეს, რომ თავისს დროზედ საარჩევნო სიები შესდგეს, გამოირკვეს, ვის რა უფლება აქვს და სხ., მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ტეხნიკური მხარეა, ხმების სწორედ გამოსააწყარიშებლადა და ორს ადგილას კენჭის მიცემის თავიდგან ასაცილებლადა და არა ბინადრობის ცენზი, რომელიც უსამართლოდა პზღუდავს მრავალთა საარჩევნო უფლებას იმიტომ მხოლოდ, რომ არჩევნების დროს სხვაგან სადმე სცხოვრობენ დროებითა.

გადავიდეთ ალა აქტიურ საარჩევნო უფლებიდამ თვითონ არჩევნების წესზედ. უპირველესად ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ: თვითონ მცხოვრებლებმა უნდა ამოირჩიონ საერთო წარმომადგენლები ანუ დეპუტატები, თუ მცხოვრებნი ამოირჩევენ თავანთ შორის აწმუნებულებსა მხოლოდ და ამათ მიანდობენ დეპუტატების არჩევასა? ორ-კეც არჩევნების

სისტემის სასარგებლოდ, მეტადრე რუსეთში და პირველ ხანად, ვიდრე საჭირო საარჩევნო შეგნებულობას შეიძენდეს ხალხი, ჩვეულებრივ აი, რა მოჰყავთ საბუთადა:

პირდაპირი არჩევნები სხვილ საარჩევნო ოლქებიანს დიდს სახელმწიფოებში, ე. ვ. რომ ხალხი პირდაპირ ირჩევდეს. ამა თუ იმ ცნობილს დეპუტატსა, ფაქტიურად შესაძლებელია, მაგრამ საძნელო მეტად და იშვიათიც ამიტომ. ჩვეულებრივ ამომზრჩევლები კენჭს უყრიან ამა თუ იმ დეპუტატს-კი არა, გარკვეულს პოლიტიკურს მიმართულებასა და იმ კანდალატს, რომელსაც ესა თუ ის პარტია წამოაყენებს. ამ მხრივ იქაც-კი, სადაც პირდაპირი არჩევნებია შემოღებული, ფაქტიურად დეპუტატებს პარტიულ ორგანიზაციების საშუალებით ირჩევენ და არა პირდაპირ თვითონ ამომზრჩევლები თავისით. ამიტომაც აღნიშნულ ორგანიზაციათა არსებობა და მათი საარჩევნო აგიტაცია პირდაპირ საარჩევნო სისტემის სწორედ მოქმედების უსაჭიროეს პირობათ ითვლება, თუ მცხოვრები შეგნებულად ებყრობიან აგიტაციასა. მაგრამ საშიშიც ეგ არის სწორედ, რომ ვაი-თუ პირველ ხანად ასე არ იყოს რუსეთში. დიდი დრო და მეცადინეობაა საჭირო, რომ ჩვენში შემდგარმა პარტიებმა გარკვეული პროგრამები შეაღგინონ, მტკიცე ორგანიზაცია შექმნან. და თვისი მოქმედება უშველებელ სახელმწიფოს ყველა კუთხეში მოპოვინონ. ეს-კია, სახელმწიფო საკითხებისა და საგნების გადასაწყვეტად მოუშზადებელი მცხოვრებლები შესძლებენ-კი, განა, ესა თუ ის პოლიტიკური პროგრამმა შეგნებულად ამოირჩიონ! ამიტომაც აღნიშნულ დაბრკოლებათა თავიდგან ასაცილებლად ორკეც არჩევნების შემოღებას ურჩევენ, რომლის დროსაც მცხოვრებნი თავანთ შორის სანდო რწმუნებულთ ირჩევენ მხოლოდ და ამათ ავალებენ პოლიტიკურ პროგრამისა და დეპუტატების არჩევასა. ეჭვი არ არის, ასეთს პირობებში ხალხს თავისის მოვალეობის შესრულება აღარ გაუჭირდება და, სანდო კაცებს აღვილად იირჩევს. რწმუნებულები-კი თვისის განვითარებით იქამდის მაღლა იდგებიან უთუოდ, რომ შეს-

ძლებენ პარტიული პროგრამები შეგნებულად გაარჩიონ და კანლილატების დასასახელებლად გამართულს კრებებზედაც ჯეროვანი მონაწილეობა მიიღონ. ასეთია საზოგადოდ ორ-კეც საარჩევნო სისტემის სასარგებლოდ წამოყენებული მოსაზრებანი, რომელთა უგულებელსყოფაც შეუძლებელია. მართლაც.

იმდენად დიუი ნაკლი მაინც ამ სისტემისა, ორმ მისი მიღება, თუნდაც მხოლოდ მახლობელ დროისათვის; ვერაფერი ხელაურელია. ორ-კეც არჩევნების დროს მირითადად ირლვევა, მავალითად, ის ცხოველი და პირდაპირი კავშირი ამომრჩევლებსა და დეპუტატებს შორის, რომელიც წარმომადგენლობას შართლაც ხალხურს აზრსა და ხასიათს აძლევს. უმეტესობა ხალხისა არ იცნობს არჩეულს წარმომადგენლებსა და მათს არჩევანში თავისს მხრივ მონაწილეობას არა ჰერძნობს. არჩევნებიც ბევრს სრულიად არ იზიდავს, როგორც ამას პირდაპირ და ორ-კეც არჩევნების სტატისტიკა გვიჩვენებს და სავლეთს ევროპაში თუ ჩევნში (იდგილობრივს თვითმმართველობაში). მეორე მხრივ, არც წარმომადგენლები ჰერძნობენ პირდაპირსა და ცხოველს კავშირს ხალხთანა, რომელზედაც დამყარებულია. ზნეობრივი პასუხისმგებლობა წარმომადგენლებისა ამომრჩევლების წინაშე და მათი ავტორიტეტი მთავრობის თვალში: მთელის ხალხის არჩეულები კი არა, შემთხვევით შემდგარ. პატარ-პატარა საარჩევნო ჯგუფების არჩეულები არიან, რომელთა არსებობაც არჩევნების დასრულებისათანავე სწყდება. პოლიტიკური ცხოვრება მთლად ხალხის უმეტესობის გარეშე. სწარმოებს, ღრმად არ არის იგი შიგ ჩახედებული.

არ შეიძლება სარწმუნოდ იმისი თქმაც, რომ ორკეცი არჩევნები უკეთესს წარმომადგენლებს იძლეოდეს. პირ-და-პირ არჩევნების დროს დიდს საარჩევნო ოლქებში დეპუტატად ირჩევენ ან მეტად ცნობილს. გადამიანსა, რომელსაც რამდენიმე მაზრა იცნობს, ან-და მძლავრ პოლიტიკურ პატიის მიერ წამოყენებულს კანლილატსა, ესე იგი ორსავ შემთხვევაში არჩეული ამრჩევლებზედ ბევრიად მაღლა იდგება,

პირ-იქით, წვრილ საარჩევნო ნაწილებში-კი ოწმუნებულთ  
ადგილობრივ პირად დამოკიდებულებათა და კავშირის გავლე-  
ნით ამოირჩევენ; ამ რიგად ოწმუნებულებად მეტ წილად სოფ-  
ლის მევახშე-მბრძანებლები, მწერლები და სხვა მისთანა საეჭვო  
ხალხი მოჰველება, რომლებიც საარჩევნო მოვალეობას თვით  
უბრალო მცხოვრებლებზედ უკეთ ვერ. შეასრულებენ უთუოდ.  
მეორე მხრივ, თუ მცირე ნაწილი ოწმუნებულთა შეუსმენს  
პარტიებსა და მათს კანდიდატებსა, სამაგიეროდ შეიძლება  
ადვილად ყოველგვარ უკანონო გავლენასა და ძალდაწანება-  
საც დაემორჩილოს: რამდენისამე ასი ოწმუნებულის მოსყიდვა  
და შეშინება მუდამ უფრო ადვილია, ვიდრე რამდენისამე ათი  
ეთას ამომრჩევლისა. ამიტომაც აღნიშნულის მოსაზრებებით  
პირდაპირი არჩევნები ურჩევნიან ისევ რუსეთსა. მართალია,  
ჯეროვანის სისწორით ვერ. შესრულდება პირველ ხნობითა,  
მაგრამ იგია ერთად-ერთი მძლავრი აღმზრდელობითი საშუა-  
ლება, რომელიც სულ მოკლე ხნის განმავლობაში ხალხის  
პოლიტიკურს განვითარებას დიდად ხელს შეუწყობს.

### ფარული გენტის ერა.

არჩევნების თავისუფლებისათვის რომ ფარული (ანუ და-  
ხურული) კენჭის ყრა აუცილებელია, ამის შესახებ გრძლად  
მსჯელობა და მტკიცება არც-კი საჭირო. ფარული კენჭის  
ყრის დამაბრკოლებელი გარემოებაც, — მეტ წილ მცხოვრებ-  
ლების წერა-კითხვის უცოდინრობა, — უძლეველად არ ჩითვ-  
ლება. ეჭვი არ არის, ყველა წერა-კითხვის უცოდინარი იპო-  
ვის ვისმეს მეზობლად, სოფლად, ან კენჭის ყრის ადვილას,  
წერა-კითხვის მცოდნე სანდო კაცი, რომ კანდიდატის საარჩევ-  
ნო ბარათი დააწერინოს და საარჩევნო ბიუროს წარუდგინოს.

Scrutin individual. საერო წარმომადგენლების ასარჩევად  
მთელი რუსეთის იმპერია საარჩევნო ოლქებად უნდა იქმნეს  
იმ ანგარიშით დაყოფილი, რომ თვითონეული ოლქი თითო  
წარმომადგენლებს ირჩევდეს (ეს არის სისტემა ინდივიდუალურ

არჩევანისა ანუ scrutin individual). არის სხვა სისტემაც არჩევნებისა — ს-ებით (scrutin de liste), რომლის მაღითაც ოკითოეულ ტერტიტორიალურ ნაწილის ერთი და იგივე ამომრჩევლები რამდენსამე დეპუტატს ირჩევენ ერთად. მაგრამ პრაქტიკულად რუსეთისათვის შეუძლებელია ამ სისტემის შემოღება, თუნდაც სადაც და საკამათო არა ჰქონდეს. რა მისს უპირატესობასა. ისედაც ისრე დიდია რუსეთის სახელმწიფო და მრავალ რიცხვოვანნი მისნი მცხოვრები, რომ პირველ სისტემის დროსაც კი (scrutin individual) საშინლად დიდ სა-არჩევნო ოლქებად არის საჭირო სახელმწიფოს დაყოფვა, რაც მცხოვრებთა თხლად დასახლებისა გამო დიდად აპრკოლებს არჩევნებსა; მით უმეტეს შეუძლებელია, მაშასადამე და უხერხული მეორე სისტემით არჩევნების შემოღება — სიებით, რომელიც უმისოდაც უშველებელს ოლქებს ერთი სამად და ხუთად გაადიდებს.

### საარჩევნო ოლქებად დაუღვევა.

საარჩევნო ოლქებისა და, მაშასადამე, აქედამ საერთწარმომადგენლების რიცხვის გარდასაწყვეტად საჭიროა სახე-ეში ციქონიოთ ორი სხა-და-სხვა მოსაზრება: საარჩევნო ოლ-ქების სიდიდე და წარმომადგენელთა რიცხვი. პირველი ითხოვს, დაპატარავდეს, რაც შეიძლება, ოლქები და გამრავლდეს მათთა რიცხვი, რადგანც — საარჩევნო აგიტაცია, სიების შეღვენა, კენჭის ყრა და გამოანგარიშება ბევრად ადვილია პატარა ოლქებში, ვიღრე დიდებში და მეორე, რომ კანონშდებლობითის მუშაობის რიგზედ და წესიერად საწარმოებლად საერთო კრების წარმომადგენელთა რიცხვი დიდი არ იყოს მეტად. საზოვა-ოოდ წარმომადგენელთა რიცხვს 700 ჰქონდებოდა, რადგანც ყველაზედ დიდი საკანონმდებლო კრება, ინგლისის საზოგა-ოოებათა პალატა, 670 დეპუტატისაგან შესდგება. ბევრი-კი შესაძლებელადა სკრობს, კრება 800 და მეტ წარმომადგენ-ლისაგანაც შესდგებოდეს.

თუ პირველის ნორმით ვიხელდღვანელებთ, 200 ათასს  
მცხოვრებზედ თითო წარმომადგენელი (უკანასკნელის აღწე-  
რით) შეადგენს სულ 622 საარჩევნო ოქტოდამ ამდენსავე  
დეპუტატს, ხოლო თუ მეორეთი, მაშინ 150 ათასზედ რომ  
თითო დეპუტატი ვიანგარიშოთ, რომელი იმპერია 833 საარჩევ-  
ნო ოქტავ უნდა დაიყოს. რომელისამე მათგანის ახლავ  
არჩევა, ან საერთაშოუ ნორმის გამოძებნა (მაგალითად,  
რომ 175 ათასს მცხოვრებზედ თითო წარმომადგენელი მოდ-  
იოდეს) ჯერ-ჯერობით შეიძლება აღრეული იყოს. ამისათვის  
საჭიროა საგანგებო მუშაობა და ადგილობრივ გამოკვლევა  
იმისა, თუ რომელი მათგანი უფრო მიუდგება იმპერიის სხვა-  
და-სხვა ადგილობრივს პირობებსა.

საარჩევნო ოქტებისათვის საშუალო ნორმის დატვენის შე-  
ძლებაც ბევრჯელ იქმნება საჭირო აქტე თუ იქით მცირედი  
გადახვევა, რადგანაც ძნელია მეტად, ყველა საარჩევნო ოქტ-  
ები მცხოვრებთა რაოდენობით. სრულიად პროპორციონალ-  
ურად (თანაბრიდ) იქმნება დაყოფილნი, და აი, რათა: საარჩ-  
ოქტების შედგენის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს  
არა მარტო მცხოვრებთა რაოდენობასა, არამედ გეოგრაფი-  
ულს ადგილ-მდებარეობასაც, მცხოვრებთა ზერჩევულებასა  
და აგრეთვე იმის, თუ როგორ არის აღმინისტრატიულიად  
აღნიშნული კუთხე დაყოფილი, რამდენიმდე ხშირად დასახლე-  
ბულია და სხ. თუ საარჩევნო ოქტების მცხოვრებთა საშუალო  
ნორმად 200 ათასს კაცს მივიღებთ, ოქტების შედგენის დრ-  
ოს ზოგში მოჰყვება 150 ათასი, ზოგში 250 ათასი; მაგრამ  
იქნება უთუოდ ისეთი შემთხვევაც, როდესაც ცალკე ოქტე-  
შეადგენს სულ მცირე 150 ათასი და სულ დიდი 275 ათასი  
მცხოვრები. საარჩევნო ოქტების შედგენის დროს დიდი ყუ-  
რადღება უნდა მიექცეს უთუოდ ამა თუ იმ ადგილის აღმი-  
ნისტრატიულად დაყოფვას, რადგანაც ხალხი უკვე მიჩვეული  
იქნება ასეთს დაყოფვას და საარჩევნო საქმის წარმოებაც  
მოხერხებული და გაადვილებული.

თვითოვეული გუბერნია რამდენსამე ოლქათ უნდა იყოს გაყოფილი, მაგრამ თუ მცხოვრებთა რაოდენობით მცირეა მეტად გუბერნია და მაქსიმუმს არ იღება (მაგალითად შავის ზღვის პირის გუბერნია), ცალკე ოლქათ დარჩეს. დი- დი კურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ ქალაქებს, რომ- ლებიც ბუნებრივად თუ ადმინისტრატიულადა და ზე-ჩვეუ- ლების მიხედვით ცალკე ერთეულს წარმოადგენენ და ცხოვრე- ბის პირობებით მეტად განსხვავდებიან სოფელ ადგილებიდამა. ქალაქები, რომლების მცხოვრებთა რაოდენობაც საოლქო მინიმუმამდე (მაგალითად, 125 ათასამდე) აღწევს, მაზრებიდამ ცალკე ოლქებათ უნდა იქმნენ გამოყოფილნი, ან-და წმინდა საქალაქო ოლქებად დაყოფილნი, რომ მაზრიდამ აღარა მიე- მატოთ-რა.

პატარა ქალაქები კიდევ, მცხოვრებთა რაოდენობის მი- ხედვით, ან მაზრებთან ერთად შეადგენენ ოლქებსა, ან მაზ- რის ნაწილებთან ერთადა. ოლქების საზღვარიც სასურველია მაზრების საზღვარს არ გასცილდეს ხოლმე. მცხოვრებთა რაო- დენობით სრული მაზრებიც ცალკე საარჩევნო ოლქებს შეა- დგენენ. თუ მაზრის მცხოვრებთა რაოდენობა 300 ათასს აღემატება, უნდა უთუოდ ორ ოლქათ გაიყოს. პატარ-პატარა მაზრები-კი შეიძლება ორი და სამი შეერთდეს ერთად ოლქა- თა. დასასრულ, როდესაც ასეთი დაყოფვა სხვაფრივ არას გზით არ მოხერხდება, შეიძლება სხვა-და-სხვა მაზრის ნაწილებიდა- მაც შესდგეს ოლქები, ან ერთს რომელსამე მაზრას სხვათა ნაწილები წაედატოს. ყოველივე, რაც-კი გუბერნიების შე- სახებ ითქვა ზემოდ, სხვა აღმინისტრატიულს ერთეულებსაც (ოლქსა, თემსა და განყოფილებას) შექება, თუმცა შეიძლე- ბოდა მათ შესახებ ბევრად თავისუფლადაც მოვქცეულიყავით, რადგანაც, დიდი ხანი არ არის, რაც განაპირა ქვეყნებში შემოიღეს იგინი. გუბერნიებისა და თემების საარჩევნო ოლ- ქებათ დაყოფვისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა აღ- გილობრივს ორგანოებს უნდა დაევალოს (სახელდობრ, საე- რობო დაწესებულებათ, ხოლო სადაც ჯერ არ არის შემო-

ლებული, — მთავრობის მიერ შემდგარს კომისიებს, რომლებ-შიაც ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი უნდა იღებდნენ მონაწილეობასა), საბოლოო დამტკიცება-კი საარ-ჩევნო ოლქებისა საკანონმდებლო წესით მოხდეს.

პრინციპიალურად მთელი იმპერია უნდა დაიყოს საარჩევნო ოლქებათა, მაგრამ პრაქტიკულად შეიძლება დაირღვეს კიდეც ესა. ასე იქნება, მაგალითად, რუსეთის ზოგიერთა ადგილებში, როგორიცაა: არხანგელსკის გუბერნია, ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი კიმბირი და საშუალო აზიის ნაწილები, სადაც მცხოვრებთა მეტად თხლად მოსახლობისა გამო არჩევნების მოხდენა ფაქტიურად შეუძლებელია. იქ, სადაც 150 და 200 ათასი მცხოვრები ათასს ვერსზეა გაშლილი და დასახლებული, არჩევნების სწორედ მოხდენა შეუძლებელი საჭმეა. მეორე მხრივ-კი, მათი საარჩევნო ორგანიზაციიდამ გამორიცხვაც არსებითად არას ავნებდა საერო წარმომადგენლობის საჭმესა, რადგანაც მცხოვრებთა რაოდენობა ასეთ ადგილებში მცირე და მეტ წილად ველურია თითქმის. არავისთვის საეჭვო არ იქმნება, მაგალითად, რომ ნახევრად ველური ტოშები ჩუქჩებისა, სამოედებისა, კორიაკებისა და სხვ. ვერასოდეს საარჩევნო უფლებით შეგნებულად ვერ ისარგებლებენ. მაგრამ პრინციპია-ლურად მაინც საყოველთაო თანასწორ არჩევნების ნიადაგი არასფრით არ დაირღვევა, რადგანაც გამორიცხული იქნება მხოლოდ ესა-თუ ის ტერიტორიის ნაწილი, თვითონ ზალხს კი შეჰრჩება საარჩევნო უფლება და თუ მოისურვებენ, შეექლებათ (მაგალითად, ნოვაია ზემლიას მცხოვრებთ) აღრევე ჩამოვიდნენ არხანგელსკში ან პინეგაში, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

თვითონ საარჩევნო ტეხნიკას კი არ შევეხებით სრულიად, რადგან აღნიშნულს მოხსენებას აზრად არა აქვს ესა და მეორეც, შეიძლება თავისუფალ არჩევნების გარანტია და ტეხ-ნიკური პირობები სულ სხვა იყოს პირველის კრების დროსა და. სხვა შემდგომში, როდესაც მთლად სახელმწიფო წყობილება ახალს ნიადაგზე შეიცვლება,

მაგრამ საარჩევნო ორგანიზაციის სასურაველ საფუძვლის გაცნობა სრული არ იქმნება, თუ ზოგიერთა საგანი, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტად, ახლავე არ გავითვალისწინეთ. ასეთია, მაგალითად, საგანი პასსივურ საარჩევნო უფლებისა, განმეორებით არჩევნებისა და წარმომადგენელთა რწმუნების ვადისა.

### პასსივური საარჩევნო უფლება.

ზოგიერთი კანონმდებლობა არჩევს დეპუტატად ამორჩეულსა და ამომრჩეველსა და პირველისათვის მეტს წლოვანობასა, ზოგჯერ მეტს ქონებრივსა და განათლების ცენზს თხოვლობს, ვიდრე ამომრჩეველისაგანა. გარდა ამისა, უფლებას არ აძლევს ზოგიერთა კატეგორიის მოქალაქეთ (მაგალითად, სახელმწიფო სამსახურში მყოფთ) არჩეულ იქმნენ დეპუტატადა და სხ. ასეთი შეზღუდვა, ჩვენის აზრით, უსამართლობაა პრინციპიალურად და უადგილო და მეტი პრაქტიკულად. რაკი მცხოვრებთ უფლება ეძლევათ წარმომადგენლის არჩევისა და ამა თუ იმ პირს ყველაზე მეტად სცნობენ დეპუტატობის ღირსაღა, აღარავითარი ნება აღარა აქვს კანონმდებლობას შეზღუდოს ამომრჩეველთა თავისუფლება და ამორჩეულს სხვა ცენზი მოსთხოვოს, ვიდრე ამომრჩეველსა. სულ სხვა, როდესაც დეპუტატის მოვალეობა ზოგიერთა საზოგადოებრივსა და სახელმწიფო თანამდებობას არ შეეფერება. საარჩევნო უფლებას კი აღარ შეეხება ესა, შეეხება თვით წესს, რომლითაც საკანონმდებლო კრებები მოქმედებენ. დადგენილება ორის თანამდებობის ერთად მოუთავსებლობისა შესახებ არავის საარჩევნო უფლებას არ არღვევს, მხოლოდ ივალებს არჩეულს, რომ ერთ-ერთს მათგანზე უარისთვის.

ამ რიგად, პასსივური საარჩევნო უფლება არასტრით აქტიურიდამ არ უნდა გაირჩოს. ეჭვი არ არის, უსაბუთოა და უნიადაგო აგრეთვე ის, რომ წარმომადგენელი უთუოდ საარჩევნო ოლქს ეკუთვნოდეს.

როგორც უკვე ვოქვით ზევით, დეპუტატი წარმომადგენელია მთელის ერისა და არა მხოლოდ საარჩევნო ოლქისა; კავშირი ადგილობრივ ამომრჩევლებთან აუცილებელი საჭიროება და პირობა არ არის, რომ დეპუტატმა თავისი მოვალეობა საწირმომადგენლო კრებაზე ღირსეულად შეასრულოს.

### წინასწარი გამოცხადება ქანდიდატებისა.

მაგრამ პასივური საარჩევნო უფლება პრაქტიკულად შესრულების დროს ერთით უნდა იქმნეს მხოლოდ ფორმალურად შეზღუდული. წარმომადგენლად ამორჩეული იქნება ის მხოლოდ, ვისი კანდიდატობაც არჩევნებამდე იქმნება დადანიშნულს ვადაზე გამოცხადებული და ამ განცხადებაზე კანონით განსაზღვრულს ამომრჩეველთა რიცხვს ექმნება ხელი მოწერილი. ვისი კანდიდატობაც აღრევე არ იქმნება გამოცხადებული, იმისს ხმებს არავითარი ყურადღება არ მიექცევა და საარჩევნო სიების გამოანგარიშების დროს გაბათილდება უთუოდ, თუნდაც დიდი უმეტესობა მიიღოს ხმებისა. დასავლეთ ევროპის მრავალს სახელმწიფოში არსებულს ამ წესს (ეგრედ წოდებულ ლეგალურ კანდიდატობის სისტემას) აზრათ აქვს თავიდან აიცილოს არჩევნების დროს მეტად დაჭავაჭვა ხმებისა, როდესაც ველარც ერთი კანდიდატი საჭირო უმეტესობას ხმებისას ვეღარ მიიღებს ხოლმე.

პოლიტიკიურ არჩევნებს მიუჩვეველ მცხოვრებთათვის; როდესაც პარტიულ ორგანიზაციას ჯერ მტკიცე ნიადაგი არა აქვს კიდევ მოპოვებული, როდესაც ჯერ სასტიკი პარტიული დისკიპლინა არ შეუმუშავებიათ და ფართვ სამოქმედო ას-პარეზი არ მოუპოვებიათ, ხმების ასე დაჭავაჭვა შეიძლება ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცეს და დიდად ევნოს საჭმესა. ამიტომაც განსაკუთრებით სასურველია იგი რესეტისათვის. თუ რომ კანდიდატის წარმოსალგენად საჭირო რიცხვი ამორჩეველთა დიდი არ იქნება მეტად, მაგალითად, საკმაო იქ-

შნება მხოლოდ ათის ამომრჩევლის მიერ საკანდიდატო განცხადებაზე ხელის მოწერა, არავითარს შევიწროებას აღნიშნული წესი მაშინ არ მიაყენებს ამომრჩევლებსა. ყველა, ვისაც კი რამ იმედი ექმნება არჩევისა, აღვილად იშოვნის უთუოდ ათს სანდო მომხრეს, რომლებიც პირდაპირ გამოაცხადებენ მისს კანდიდატობასა. ამ აზრით კი წინადვე შეკრებვა და სჯა-მოლაპარაკება ამომრჩევლებისა, ეჭვი არ არის, კეთილად იმოქმედებს მცხოვრებლებზე და არჩევნებისადმი მეტს შეგნებასა და ცხოველს ინტერესს გაუღვიძებს.

თუ არც ერთი კანდიდატი არ მიიღებს ყველა კანონიერ ხმების უეჭველს (აბსოლუტურ) უმეტესობასა, არჩევნები მაშინ განმეორებით უნდა მოხდეს, რომელზედაც არჩეულად ჩათვლება კანდიდატი, რომელიც ხმის უბრალო უმეტესობას მიიღებს, თუნდაც იგი უეჭველს უმეტესობას არ შეადგენდეს. ევროპის სახელმწიფოების უმეტესობის მიერ შიღებულს ჩვეულებას განმეორებით კენჭის ყრისას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საშუალებას აძლევს, მებრძოლი პარტიები ერთმანერთში შეთანხმდნენ. ზოგიერთა სახელმწიფოებში, მაგალითად, გერმანიაში განმეორებით კენჭს უყრიან მხოლოდ პირველს ორ კანდიდატსა, რომლებმაც ყველაზედ მეტი ხმები მიიღეს, სხვაგან-კი, მაგალითად, საფრანგეთში განმეორებით უყრიან კენჭს ყველას, ვინც კი პირველს არჩევნებზედ დაიდგა ყუთი. ჩვენის აზრით, უპირატესობა ფრანგულს სისტემას უნდა მიეცეს, რადგანაც ნაკლებ ავიწროვებს ამომრჩევლებსა და მეტს ლონისძიებას უჩენს, რომ მებრძოლი პარტიები ერთმანერთში შეთანხმდნენ.

### განმეორებითი კენჭის ყრა.

წარმომადგენლობაში დემოკრატიულ პრინციპების შეტანა მოითხოვს, რომ დეპუტატთა რწმუნების ვადა რაც შეიძლება მოკლე იყოს. საარჩევნო ვადის ხანმოკლეობა უფრო ხშირად ახვედრებს წარმომადგენლებს ამომრჩევლებთანა, ამტკიცებს მათში ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნო-

ბასა და საშუალებას იძლევა, პოლიტიკურად შედარებით სწრაფად აიზარდოს ხალხი. ყველა ამას მეტი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით საწარმომადგენლო დაწესებულებათა პირველად შემოლების დროს, რადგანაც მაშინ უფრო ადვილად შეიძლება შეცდომა, ვიდრე შემდგომში. მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება არც ძლიერ მოკლე ვადის დადება, მაგალითად, ერთის ან ორის წლისა, რადგანაც არჩევნები ძვირად უჯდება მეტად ქვეყანასა, მთელის ამ ხნის განმავლობაში ხალხი პოლიტიკურადა პლელავს და საკანონმდებლო მუშაობაც შეწყვეტილია. ვგონებთ, რუსეთისათვის პირველ ხნიბით იგივე ვადა ემჯობინებოდა, რა ვადაც დღეს საერობო და სათავად-აზნაურო არჩევნებისათვის არის დადებული, ესე იგი სამის წლისა.

### თრ-ბაჭაციანი სისტემა.

უკვე დავასახელეთ უმთავრესი საფუძველნი, რომლებზე-დაც საყოველთაო და პირდაპირის კენჭის ყრით არჩეულ წარმომადგენელ კრების ორგანიზაცია უნდა აღმოცენდეს. მაგრამ ერთად-ერთი უნდა იყოს ასეთი კრება, თუ როგორ, აი საკითხი? როგორც უკვე მოგეხსენებათ, მთელის დედა-მიწის კონსტიტუციონალურ სახელმწიფოთა უმეტესობის საკანონმდებლო დაწესებულება ორის, ჩვეულებრივად სხვა-და-სხვა გვარად შემდგარის, პალატისაგან წარმოსდგება. ერთ-პალატიანი სისტემა მხოლოდ გერმანიასა, სერბიასა, ბოლგარიასა, ლუქსემბურგსა, პატარ-პატარა ნემეცთა სამთავროებსა და შვეიცარიის ზოგიერთს კანტონებსა აქვთ მიღებული. ჩვეულებრივ ზედა პალატა არისტოკრატულ დაწესებულებათა აქვთ წარმოდგენილი, რომლის მიზანიც წოდებრივ და კლასისობრივ ინტერესების დაცვაა. მაგრამ წარმოდგენა ესე, რომელსაც სახეში აქვს ინგლისის ლორდთა პალატა და მისი მზგავსი არისტოკრატიული ზედა პალატები ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოსი, როგორიცაა, მაგალითად, ზედა პალატა

ავსტრიისა, უნგრეთისა და პოლანდისა, სრულიად არაფრით ამართლებს სხვა სახელმწიფოთა წყობილებას, სადაც ორივე პალატა დემოკრატიულს ნიადაგზეა აღმოცენებული და ინტერესებსაც დემოკრატიულსვე იცავენ. ზედა პალატა აქვთ, მაგალითად, ასეთს დემოკრატიულს ქვეყნებს, როგორიცაა ჩრდილო-ამერიკის. კავშირი და მისი ცალკე შტატები, ინგლისის ახალშენები ავსტრიალიაში და სხ. საფრანგეთშიც სენატი საყოველთაო კენჭის ყრით არის შემდგარი. ნორვეგიაშიც თრთავ პალატა ერთნაირად არის შემდგარი: ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელი კრება (სტორტინგი). თავისით იყოფა ორ პალატათ: ლაგტინგათა და ოდელსტინგათ. ყველა ეს მაგალითები, ეჭვი ორ არის, ამტკიცებენ, რომ ორ პალატიანს სისტემას აზრიათ უთუოდ წოდებრივ და კლასიკობრივ ინტერესების დაცვა კი არა, სხვა უფრო ღრმა მიზანი აქვს, რომელიც კონსტიტუციონალურ სახელმწიფოთა ცხოვრებისაგან არის ბუნებრივად წამოყენებული. კონსტიტუციონალური სისტემა მარტო საერთო წარმომადგენლობის პრინციპის განხორციელება როდია; იგია გამახორციელებელი აგრეთვე უფლებათა დანაწილების პრინციპისა, რომლის აზრიც ის არის, რომ სახელმწიფო უფლებათა მთლიად ერთის თრგანოს ხელში მოქცევა, კოლეგიალური იქმნება ეს ორგანო თუ არა-კოლეგიალური, პირადისა თუ საზოგადოებრივის თავისუფლებისათვის სახითათოა უთუოდ. უფლებათა დანაწილების იდეა მოითხოვს, ჯერ ერთი, რომ კანონმდებლობის უფლება აღსრულებითა და სამოსამართლო უფლებას ჩამოსცილდეს; მაგრამ რაკი კანონმდებლობითი უფლება უმაღლესი უფლებაა და იდვილად შეუძლიან მძლავრ მბრძანებლად გადაიქცეს, უფლებათა დანაწილების სისტემამ შემდგომში თვით საკანონმდებლო უფლებაც ორ პალატას გაუყო შეა. ასეთი დანაწილება განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როდესაც საპარლამენტო რეჟიმისა გამო (როდესაც მინისტრები პარლამენტის უმეტესობიდან ინიშნებიან უთუოდ), აღსრულებითი უფლება კანონმდებლობით უფლებისაგან არის დამოკიდებული.

ლი. მაგრამ იმ ქვეყნებშიაც, სადაც პარლამენტარიზმი არ არსებობს და საკანონმდებლო კრებასთან ერთად მისგან და-მოუკიდებელი მთავრობა სდგას (როგორც, მაგალითად, ნე-მეცთა სახელმწიფოებსა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებშია), ზედა პალატა მეტად დიდმნიშვნელოვანი კონს-ტიტუციონალური ორგანოა. პოლიტიკური ისტორია დასავ-ლეთ ევროპისა და განსაკუთრებით, ერთ-პალატიან სისტემის გამოცდილება საფრანგეთისა 1791—1848 წლამდე ნათლად გვიჩვენებენ, რომ როდესაც პირის-პირ უდგანან ერთმანერთს ერთის მხრივ დემოკრატიული კრება და მეორე მხრივ მისგან დამოუკიდებელი მთავრობის უფლება, უთანხმოება და შეტა-კება მათ შორის მეტადა მწვავდება და ზოგჯერ სახელმწიფოს ცვლილებასაც გამოიწვევს ხოლმე. მეორე პალატის არსებობა-კი არასოდეს არ ამწვავებს შეტაკებასა და ხელს უწყობს, საქმე მშვიდობიანად გარდასწყდეს. როდესაც რომელისამე საგნის შესახებ მტკიცე და ერთსულოვანი საზოგადოებრივი აზრი არსებობს, თანხმობა თრისაცე პალატისა უჩვენებს მთავრო-ბასა, რომ ასეთის ავტორიტეტითა და რწმენით გამოთქმულს ქვეყნის ხმას უნდა უთუოდ დაუთმოს. პირ-იქით, როდესაც რომელიმე აზრი ჯერ კიდევ ვერ მომწიფებულა და საზოგა-დოებისათვის მტკიცე რწმენად არ გადაქცეულა, ორ-პალა-ტიანი ორგანიზაცია წარმომადგენლობისა აფრთხილებს და იცავს, რომ აჩქარებითა და მოუფიქრებლივ არ გადასწყვი-ტოს საქმე. მეორე მხრივ, შეცდომა იქმნებოდა გვეფიქრა, ვითომ ზედა პალატის მოქმედება ლიბერალურ და პროგრე-სიულ მისწრაფებათა დამაბრკოლებელი იყოს მუდამ. პირ-იქით, დასავლეთ ევროპის ისტორიის მაგალითები გვიჩვენებს რომ ქვედა პალატის მოქმედებაში თავნაჩენ რეაქციის წინააღმდე-გა და ნამდვილ ლიბერალურ დაწყებულებათა დამცველად ზედა ხშირად პალატა გამოსულა. ასეთი იყო პერთა პალატის მოქმედება საფრანგეთში შეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლების ბოლოში, აგრეთვე საფრანგეთის სენატის მოქმედება დრეი-ფუსის პროცესის დროსა და სხ. ორ-პალატიანი სისტემა

არასოდეს კანონმდებლობითს უფლებას არ ასუსტებს, როგორც ეს შემცდარად ბევრსა ჰგონია. პირ-იქით, ორსავ პალატის თანხმობის დროს (ჯეროვან ორგანიზაციის დროს-კი თანხმობა ექმნებათ ყოველთვის, როცა-კი აღძრულ საგნების შესახებ საზოგადოება თავისს აზრს დაახლოვებით ერთხმად გამოსთვამს) საერო წარმომადგენლობას მეტი ძალა და ავტორიტეტი ექმნება, როგორც მთავრობისა, ისე საზოგადოების თვალში, ვიდრე ერთის პალატისა ან კრების დროს.

მართალია, კანონპროექტების ორს კრებაზედ განხილვა, ცოტა არ იყოს, აგვიანებს კანონმდებლობითს პროცესსა, მაგრამ უმთავრესი ღირსება მისი ხომ სისწავე არ არის; მაშინ არის იგი ყველაზედ მეტად ფასდებული და ღირსეული, როდესაც ჯეროვანად არის მოფიქრებული და ხალხის ცხოვრების ყველა მოთხოვნასთან შეთანხმებული.

მიუხედავად ყველა ამ უპირატესობისა, ორ-პალატიანი სისტემა კიდევ სხვა მოსაზრებითაც არის ზოგიერთა სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით სიჭირო. ასეთ სახელმწიფოების შეადგენენ: ფედერატიული სახელმწიფოები, რომელთა შემადგენელი სახელმწიფოებიც დამოუკიდებელს პოლიტიკურს საეულს წარმოადგენენ და რომლებსაც ცალკე საკანონმდებლო კრებები აქვთ. ადგილობრივსა და ცენტრალურ კანონმდებლობის შორის რომ კავშირი არსებობდეს და შტატები. სა თუ კანტონების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყოს ფედერალურ უფლებისაგან, სახელმწიფოს მცხოვრებთა პირდაპირ წარმომადგენლობასთან ერთად ადგილობრივ საკანონმდებლო კრებათაგან ცალკე წარმომადგენლობას სხვას ირჩევენ კიდევ. ასეთი მნიშვნელობა აქვს სენატს, მაგალითად, შეერთებულს შტატებშია და კანტონების საბჭოს შვეიცარიაში. მაგრამ მოთხოვნილება ადგილობრივ დამოუკიდებლობის დაცვისა და ცენტრალურსა და ადგილობრივ საარჩევნო დაწესებულებათა შორის კავშირის ჩამოგდებისა. მარტო ფედერატიულს სახელმწიფოებს როდი აქვთ. ასეთსავე მოთხოვნილებას ჰგრძობენ იქ, სადაც საკანონმდებლო და-

უმაღლეს მთავრობის უფლების ცენტრალიზაციასთან ერთად ადგილობრივს მმართველობაში ფართე დეცენტრალიზაციაა განხორციელებული არჩევნებით. ამიტომაც ზოგიერთა ადგილობრივ ფართე თვითმმარველობიანს სახელმწიფოში, როგორიცაა, მაგალითად, ჰოლდანდია და შვეცია, ზედა პალატა ამერიკულს სენატს მოვაგონებს, რადგანაც ადგილობრივ საარჩევნო დაწესებულებათა წარმომადგენლობისაგან შესდგება იგი.

რაც შექება რუსეთს, მისთვის ხომ ორ-პალატიანი სისტემა და განსაკუთრებით მეორე პალატა ზემოდ აღნიშნულის ტიპისა დიდად და დიდად სასურველია. რასაკვრელია, ძნელია ვიფიქროთ, ვითომ ახლო მომავალში რუსეთი ფედერატიულ სახელმწიფოთ გადაიქცეს, მაგრამ ის-კი ეჭვს გარეშეა, რომ ვეება ტერიტორიისა, ადგილობრივ პირობათა და მცხოვრებთა ტომობრივ სხვა და სხვაობისა გამო სახელმწიფოს ცხოვრებას მხოლოდ მაშინ შეეძლება სწორედ განვითარება, როდესაც ფართე დეცენტრალიზაცია და ზოგიერთა განაპირო კვეყნებისათვის ადგილობრივი ავტონომია იქმნება შემოღებული. ერთად-ერთი საკანონმდებლო კრება, საყოველთაო და პირდაპირის კენჭის ყრით შემდგარი, უამისოდ თავისს დანიშნულებას სავსებით ვერ შეასრულებდა. დასავლეთ ევროპის ერთა ისტორია და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ცენტრალიზაციისადმი მისწრაფება მარტო ბიუროკრატიულ აბსოლუტიზმის კუთვნილებას არ შეაღენს და დემოკრატიულს ნიაღაგზედ აღმოცენებულ წარმომადგენლობით. კრებასაც შეეპარება ხოლმე. ტყუილად-კი არა სოვლიდა ბისმარკი გერმანიის გაერთიანების უკეთეს საშუალებათ საყოველთაო და პირდაპირს არჩევნება. საფრანგეთის მაგალითი ნათლად გვიმტკიცებს, რომ საყოველთაო და პირდაპირს არჩევნებს შეუძლიანთ ადგილობრივი ინტერესები სრულიად დაივიწყონ, ადგილობრივს დამოუკიდებლობას ბოლო მოუღონ. მართლაც-და დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა; ვითომ ერთხელ შემოღებული ფართე თვითმმართველობა სამუშავე

დამოდ უზრუნველ-ჰყოფდეს მხარესა და შიში აღარასტრისა მოელოდეს. ჯერ ერთი, არ შეიძლება საზოგადო სახელმწიფი ფო ინტერესებსა და ადგილობრივს ინტერესებს შორის რა-იმე გარკვეული საზღვარი დაიღოს, რადგანაც მჭიდროდ არიან ერთმანერთთან დაკავშირებულნი, ერთმანერთში გადახლარ-თულნი. არამც თუ ფართე ადგილობრივ თვითმმართველო-ბის ღროსა, ადგილობრივ ავტონომიის ღროსაც-კი ცენტრა-ლურ მთავრობის ხელთ არის ბევრი რამ ისეთი, რაც ადგი-ლობრივს ინტერესებს არსებითად შეეხება, მაგალითად, სა-ბაჟო პოლიტიკა, რეინის გზის საბაჟო გადასახადები და სხ- თვით საგარეო დამოკიდებულებასაც-კი შეეძლება ადგილობ- რივ დაწესებულებათა ინტერესებთან მჭიდრო კავშირი ჰქონ- დეს, რაც ნათლად მტკიცდება ზოგიერთა ერობის ამ წინან- დელ შუამდგომლობიდამა, რომ გერმანიასთან სავაჭრო ხელ- შეკრულობის შესახებ მოლაპარაკების ღროს მათს წარმომა- დგენლებსაც მონაწილეობა. მიეღოთ. წარმომადგენლობით კრების მიერ მიღებული, ადგილობრივ პირობებთანა და მოთ- ხოვნილებასთან შეუთანხმებელი კანონები, რასაკურელია, ნაკლები ბოროტება არ იქნებოდა, ვიდრე ბიუროკრატიის მიერ გამოცემული ასეთივე კანონები. ერთ-პალატიან სისტემის ღროს-კი ადვილი შესაძლებელია ასეთ კანონების შილება, რად- განაც არჩევნები აქ. საერთო სახელმწიფო პოლიტიკის ნიდაგ- ზედა სწარმოებს და არა ადგილობრივ ინტერესებისა, და არ- ჩევნებზედ წამოყენებული კანდიდატებიც ხშირად ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ეკუთვნიან, — მაშასადამე, არც რა იციან მათის ადგილობრივ ინტერესებისა.

ასეც უნდა იყოს პრინციპიალურად, რადგანაც პირ- დაპირ მცხოვრებლებისაგან არჩეული წარმომადგენლები მოვა- ლენი არიან გამოსთქვან და განახორციელონ საზოგადო სა- ხალხო ინტერესები და იდეა ხალხისა, როგორც მთელის ერთეულისა. ამიტომაც საჭიროა უთუოდ წარმომადგენლობა სხვა-და-სხვა ადგილებისა, როგორც განსაკუთრებულ ერთეუ- ლებისა. მაგრამ თუ არ არსებობს ასეთი წარმომადგენლობა,

ადგილობრივი ინტერესები მაშინ საზოგადო არჩევნებზედა მოქმედებენ და მათს ხასიათს ამახინჯებენ.

გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა უფლებებიც საკმაოდ უზრუნველ-ყოფილნი არ იქნებიან, როდესაც საყოველთაო და პირდაპირის კენჭის ყრით მხოლოდ ერთი პალატა იქმნება არჩეული. კანონმდებლობითს მთავრობას, რომელმაც მიანიჭა მას ეს უფლებები, შეუძლიან უკანვე გამოსწიროს იგინი და ადგილათაც შეუძლიან ამ გზას დაადგეს, თუ ზოგიერთი მისი ღონისძიება ადგილობრივ დაწესებულებათა შორის ოპოზიციას იწვევს. ასეთი ოპოზიცია-კი რომ თავს იჩენს, ეს ახლავე უეჭველია. თანამედროვე საერობო და საქალაქო დაწესებულებანიც-კი, რომელთა უფლებებიც საშინლად შეზღუდულია და ორგანიზაციის კიდევ სუსტი, გარკვეულს პოლიტიკურს ძალის წარმოადგენენ და სცდილობენ კანონმდებლობაზეც იმოქმედონ როგორმე, თუმცა რუსეთის ყველა ნაწილში არ არის ჯერ აღნიშნული დაწესებულებანი შემოღებული. თუნდაც დავთანხმდეთ, რომ საერობო კრებებისა და ქალაქის საბჭოთა მოღვაწეობის დღევანდელი პოლიტიკურია მიმართულება მხოლოდ ღრმებითი იყოს და განსაკუთრებულ გარემოებებით გამოწვეული, მაინც არა გვაძეს არავითარი საბუთი, ვიფიქროთ, ვითომ ცენტრალურ წარმომადგენლობის შემოღების შემდეგ ერობანი, და სხვილი ქალაქები თავისს პოლიტიკურს მნიშვნელობას სრულიად დაჰკარგავდნენ. უმაღლესს თვითმართველს კავშირებს მუდამა აქვთ ასეთი მნიშვნელობა, რაღაც მათს დანიშნულებას საზოგადო სახელმწიფო დანიშნულებასთანა და საქმეებთან მჭიდრო კავშირი აქვს. საერობო და საქალაქო დაწესებულებათა დემოკრატიულს ნიადაგზედ შეცვლა, გაფართოვება მათის კომპეტენციისა და მთელს რუსეთში მათი გავრცელება, ეჭვი არ არის, მეტს პოლიტიკურს მნიშვნელობას შესძენს. თუ რომ მათ შორისა და ცენტრალურ წარმომადგენლობის შორის ურთიერთო თანხმობითი მოქმედება არ იქმნება და მათი მეცადინეობა ვერას.

გახდება და კანონმდებლობაზედ ვერ იმოქმედებენ, მაშინ ვეღარც ადგილობრივს საქმეებში იმოქმედებენ ნორმალურადა. მაშინ აუცილებლივ შეტაკება და უთანხმოება მოუხდებათ და განსაკუთრებით გამწვავდება საქმე განაპირა ქვეყნებში, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობის ინტერესებს ზედ ახლა ეროვნებათა კულტურულ თვითგამორკვევის ინტერესები ერთვის. ამიტომაც, ცენტრალურსა და ადგილობრივ დაწესებულებათა შორის რომ ბრძოლა არ მოხდეს, რომელიც სახელმწიფოს ერთიანობას ძლიერად უთხრის ძირსა; ადგილობრივი დამოუკიდებლობა და ინტერესები რომ დიცულ იქმნას, სხვა გზა არ არის, გარდა იმისა, რომ ცენტრალურსა და ადგილობრივს წარმომადგენლობას შორის ცოცხალი და პირდაპირი კავშირი ასევებობდეს, სახელდაბრ, შეორე პალატის სახით, რომელსაც საგუბერნიო საერობო კრებათა (ან რომელისამე მათ თანასწორ დაწესებულებათა) და სხვილ ქალაქების საბჭოთაგან ამორჩეულები შეადგენენ. ქალაქების წარმომადგენლობა საჭიროა უთუოდ, რადგანაც სხვილ ქალაქების ცენტრებს თავისი განსაკუთრებული ინტერესები აქვთ, რომლებსაც საერობო დაწესებულებებიდამ საკმაო წარმომადგენლობა არ ეყოლება არასოდესა. მაგრამ უნდა განისაზღვროს სხვილ ქალაქების წარმომადგენლობით შხოლოდ, რადგანაც უამისოდ სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით მათ მეტი წარმომადგენელი ეყოლებოდათ საკანონმდებლო დაწესებულებაში. საერო წარმომადგენელ პალატის სწორუფლებიანი საერობო პალატა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მეორე პალატას, შეიქმნებოდა მტკიცებურჯად ფართე დეცენტრალიზაციისა და რუსეთის უცხო ეროვნებათა ინტერესების დამცველად, რომლებიც რუს მცხოვრებთა რიცხვით ჭარბობისა გამო, მარტოდ ერთს საერო წარმომადგენლობაში უზრუნველყოფილნი არ იქნებოდნენ არასოდეს. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა საგანგებო წარმომადგენლობის ერთი მეორე ხარისხოვანი, მაგრამ საყურადღებო უპირატესობა კიდევ სხვა არის: აღნიშნული წარმომადგენლობა ნებას მოგვცემდა, საკანონმდე-

ბლო მუშაობისათვის სავსებით გვესარგებლა იმ საზოგადოებრივ ძალებით, რომელნიც ასე თუ ისრე პოლიტიკურად მომზადებულნი არიან და საკანონმდებლო დაწესებულებაში შეგვეყვანა მეტი წილი იმათვანი, ვისაც ადგილობრივ თვითმმართველობის სკოლა უკვე გავლილი აქვს და უნარი და გამოცდილებაც მოპოვებული, თუ როგორ უნდა ამოძრავონ სახელმწიფო მანქანა. იქ, საღაც ქვეყანა საზოგადოებრივს დამოუკიდებლობასა და თვითმოქმედებას მიჩვეული არ არის და პოლიტიკურად გამოუცდელია მეტად, რასაკვირველია, აღნიშნული უპირატესობაც მცირედ დასაფასებელი არ არის განსაკუთრებული წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებისა ემსახურება ზემოდ აღნიშნულს დანიშნულებასა და არა შეადგნს მხოლოდ წოდებრივ და კლასსობრივ წარმომადგენლობის საგანგებო ფორმას მაშინ მხოლოდ, როდესაც საერობო და საქალაქო დაწესებულებანი ძირეულად იქმნებიან შეცვლილნი და მთელს იმპერიაში შემოლებულნი.

ძირითადი ნიადაგი ადგილობრივ რეფორმისა საერობო მოღვაწეთა ნოემბრის ბჭობის დროს უკვე აღნიშნეს და, სხვათა შორის, საჭიროთა სცნეს, საერობო დაწესებულებანი შეცვრებთ დაუახლოვონ (რისთვისაც შემოლებული იქმნება წვრილი საერობო ერთეული) და ერობისა თუ ქალაქების თვითმმართველობაში ყველა ადგილობრივ მცხოვრებლებმა მიიღონ მონაწილეობა. პრინციპიალურად იგივე შეიწყნარეს წარსულის წლის 12 დეკემბერს უმაღლესად გამოცემულს ბრძანებაში. ადგილობრივ თვითმმართველობის საზოგადო გეგმა ამ მოხსენებაშივეა წარმოდგენილი. მაგრამ რაღაც ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებათ ქვეყნის საზოგადო წარმომადგენლობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, საჭიროა თვითონ საერობო და საქალაქო წარმომადგენლობის საფუძველსა და კერძოდ ქონებრივს ცენზურაც შევეხოთ.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, აზრი, ვითომ ადგილობრივს თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლება უნდა

ეძლეოდეს იმას მხოლოდ, ვინც აღილობრივს გარდასახადებს იხდის, ძლიერ არის საერთო წრეში გაფრცელებული. მაგრამ არავითარი სიმართლე არ მიუძლვის მასა. ერობა და ქალაქის საზოგადოება სააქციონერო ამხანაგობა და სავაჭრო რამ საზოგადოება როდია, სადაც საზოგადო საქმეებში მონაწილეობის უფლება საერთო კასსაში შესატან ფულით გაიზომება. აღილობრივ თვითმმართველობის ორგანო სახელმწიფო დაწესებულებაა, რომლის მოწოდება და მოვალეობაც მარტოდ აღგილობრივ გარდასახადთა გამლებ ხალხის ინტერესების დაცვა-კი არ არის, მთლად ყველა მცხოვრებთა ინტერესების დაცვაა. ამიტომაც მათს მოლვაწეობაში მონაწილეობის უფლება პრინციპიალურად ყველა აღილობრივს მცხოვრებს უნდა ჰქონდეს უთუოდ, მით უშეტეს, რომ დღესაც კი, როცა საერთო და საქალაქო დაწესებულებათა მოლვაწეობა შეზღუდულია საშინლად, მარტოდ სამეურნეო ხასიათისა როდია ეს მათი მოლვაწეობა. პირ-იქით, ბევრი რამაა მათს მოქმედებაში ისეთი, რაც სახელმწიფო გამგებლობის ხასიათს ატარებს. მათს ასეთს მოლვაწეობას შეადგენს მაგალითად: სავალდებულო დადგენილებათა შედგენა, აღილობრივ მთავრობის დაწესებულებათა წევრების არჩევა, აღილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა შესახებ მთავრობის წინაშე შეამდგომლობა, მთაჭრობის კანონ-პროექტების შესახებ თავისის აზრისა და დასკვნის გამოთქმა. სახელმწიფოს წყობილებისა და თვითმმართველობის გამოკვლის შემდგომ ხომ, ეჭვი არ არის, კიდევ უფრო გაფართოვდება აღილობრივ თვითმმართველ ორგანოების მოქმედება და მოლვაწეობა. ამიტომაც არ შეიძლება მათი ისეთ კავშირებათ ჩათვლა, რომლებიც საერთო გარდასახადთა გამლებ წევრებისაგან უნდა შესდგებოდნენ მხოლოდ. აღილობრივს თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლება უნდა უთუოდ ყველასა ჰქონდეს, ვისაც-კი რამ დამოკიდებულება და კავშირი აქვს აღილობრივ საქმეებთანა. ამიტომაც საერთო და საქალაქო არჩევნების უფლებას საფუძვლად ბინადრობის ცენზი უნდა

დაედვას (რომ ამომრჩეველს განსაზღვრული დრო ეცხოვროს ადგილობრივა) და არა ქონებრივი, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. გარდა ამისა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა მიენიჭოს ყველას, ვინც-კი ადგილობრივ იქნება მცხოვრები თუ სხვა-გან სადმე. ამ რიგად საერობო პალატაც თითქმის იმავე საყო-ველთაო კენჭის ყრის პრინციპზედ იქმნება დამყარებული, როგორც საერო წარმომადგენელთა პალატა.

გუბერნიებსა და ქალაქებს შორის საერობო პალატაში წარმომადგენლობის განაწილება, რასაკურელია, უფრო სხვა რიგად მოხდება, ვიდრე საერო წარმომადგენელთა პალატაში და მცხოვრებთა რაოდენობასთან სასტიკად არ იქმნება პროპორ-ციონალურად შეთანხმებული. აქ იქმნებიან წარმოდგენილნი თვითონ ადგილები, როგორც განსაკუთრებული ორგანიული ერთეულები და არა მცხოვრებნი. ფედერატიულს სახელმწი-ფოებში, როგორც მაგალითად, ჩრდილო ამერიკაში, შტატებს ყველას თანაბარი წარმომადგენლები ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომელს შტატს რამდენი მცხოვრები ჰყავს. საეჭვოა, რომ იგივ პრინციპი რუსეთშიაც იქმნას სავსებით განხორ-ციელებული, და აი, რათა: ჩვენს ქალაქებსა და გუბერნიებს თავისის მნიშვნელობითა და სიდიდით ყველას ერთი ადგილი როდი უჭირავს საზოგადო სახელმწიფო ცხოვრებაში. მაინც ადგილობრივ ერთეულების სრული თანასწორობა არც ფედე-რატიულს. სახელმწიფოებშია განხორციელებული. მხარს უქცე-ვენ ასეთს თანასწორობას შევიცარიაში და მით უმეტეს გერმანიის შეერთებულ კავშირის წარმომადგენლობაში. არ არის იგი დაცული არც იმ ფედერატიულს სახელმწიფოებში, სადაც ზედა პალატის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგა-ნოები ირჩევენ და არც ჩვენში, საგუბერნიო საერობო კრებებზედ მაზრებიდამ ხმოსანთა არჩევის დროს. რომ მათლა ქალაქებისა და გუბერნიების სხვა-და-სხვა გვარი მნიშვნელობაც ვიქონიოთ სახეში და არც ისრე დიდი უთანასწორობა შევქ-მნათ მათ შორის, საჭიროა საერობო პალატაში ასე იქმნას.

წარმომადგენლობა განაწილებული: გუბერნიებს, რომლებსაც  
მილიონზედ ნაკლები მცხოვრები არა ჰყავთ, ორი წარმო-  
მადგენელი ჰყავდეთ, პატარ-პატარა გუბერნიებს-კი, რომ-  
ლებსაც 500 ათასზედ ნაკლები მცხოვრები ჰყავთ, თითო  
წარმომადგენელი მხოლოდ. გარდა ამისა, თვითოვეულს ზედ-  
მეტ მილიონს მცხოვრებზედ შეიძლებოდა თითო წარმომად-  
გენელი მიქმატებოდათ.

ამ რიგად 500 ათასს მცხოვრებზედ ნაკლები გუბერნიები  
თითო წარმომადგენელს აირჩევდნენ საერობო პალატაში,  
500 ათასიდამ მილიონ მცხოვრების მყოლე გუბერნიები—  
ორ-ორს, ერთიდამ ორ მილიონიანი გუბერნიები—სამ-სამს,  
ორიდამ სამ მილიონამდე მცხოვრების მყოლე გუბერნიები—  
ოთხ-ოთხს და 3 მილიონზედ მეტი მცხოვრების მყოლე  
გუბერნიები—ხუთ-ხუთს. ქალაქებისათვის-კი იგივ საზომი  
ღიძი იქმნება მეტად, რადგანაც სხვილი ქალაქების რაოდე-  
ნობა ერთობ მცირეა რუსეთში და სოფლის მცხოვრებთა  
რაოდენობასთან შედარებით ქალაქის მცხოვრები სულ  
უმნიშვნელო ადგილს დაიჭირდნენ; მაშასადამე, ქალაქების  
წარმომადგენლობაც მთლად დაიჩრდილებოდა, რაც, ეჭვი არ  
არის, ქალაქების სხვა-და-სხვა მნიშვნელობას სავსებით ვერ  
გაამართლებდა. ამიტომაც სამართლიანი იქნებოდა უფრო,  
თუ შვეციის მაგალითს წავბაძავდით და ყველა ქალაქს, რო-  
მელიც-კი საერო წარმომადგენელთა პალატაში არჩევნები-  
სათვის დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქათ არის გამოყოფილი,  
ზედა პალატაში წარმომადგენლობის უფლებაცა ჰქონდეს  
უთუოდ მინიჭებული. საარჩევნო ოლქის მცხოვრებთა მინი-  
მალურ რიცხვათ თუ 125 ათასს მივიღებთ, წარმომადგენლებს  
აირჩევენ მაშინ ის, ქალაქებიც, რომლებიც ეკონომიკურადა  
თუ კულტურულად ცენტრებათ ითვლებიან არა მარტო  
თავისის გუბერნიებისათვის, უფრო მეტ ადგილებისათვისაც,  
მაგალითად, კიევი, ხარკოვი, ყაზანი, ვილნო, რიგა, ვარშავა;  
ტფილისი, სარატოვი და სხ. ქალაქებს, რომლებსაც 200 ათას-  
ზედ ნაკლები მცხოვრები ჰყავთ, შეეძლოთ თითო წარმომადგე-

ნელი აერჩიათ, 200 ათასიდამ 400 ათასამდე მცხოვრებიანს (კიევს, რიგას, ლომს) — ორ-ორი, 400 ათასიდამ მილიონამდე მცხოვრების მყოლს (ვარშავასა და ოდესსას) — სამ-სამი წარმო-მაღვენელი და ომლებსაც მილიონზედ მეტი მცხოვრები ჰყავს (ორსავე სატახტო ქალაქს), — ოთხ-ოთხი. რასაკვრელია, აღნიშნულ ქალაქების მცხოვრებნი სათვალავში არ მიიღებიან, როდესაც გუბერნიებიდამ ამოირჩევენ წარმომაღვენლებსა და არც აღნიშნულ ქალაქების საგუბერნიო ხმოსნები მიიღებენ საერობო პალატის წევრთა არჩევნებში მონაწილეობასა, რო-დესაც საგუბერნიო საერობო კრებები მოახდენენ არჩევნებსა.

აღნიშნულის	წესით	არჩეული	საერობო	პალატა	შესდ-
გებოდა	ამ	რიგად	სულ	269	წევრისა ანუ სახელმწიფო ხმო-
სნისაგან	(თუ შეიძლებოდა ასე გვეწოდა მათვის),	რომელ-			სნისაგან (თუ შეიძლებოდა ასე გვეწოდა მათვის),
თავანაც	იმპერიის სხვა-და-სხვა მხარეს ჰქვდებოდა წილად:	50	გუბერნიას ევროპის რუსეთისას	165	წარმომაღვენელი.
10	გუბერნიას პოლონეთის სამეფოსას	23			"
11	" და ოლქს კავკასიისას	22			"
8	" და ოლქს ციმბირისას	15			"
9	ოლქს საშუალო აზიისას	18			"
და 13	სხვილს ქალაქს	26			"

მართალია, ამ რიგად დავასახელეთ ნიადაგი, რომელ-ზედაც საერობო პალატის ორგანიზაცია უნდა აღმოცენდეს, მაგრამ, რასაკვრელია, ეს არ ამტკიცებს კიდევ, ვითომ ზოგი-ერთა ცვლილების შეტანა შეუძლებელი იყოს. პირ-იქით, გუ-ბერნიებთანა და მაზრებთან შეთანხმებული შიდა რუსეთში არსებული სტრუქტურა ადგილობრივ თვითშპართველობისა შეიძლებოდა ზოგიერთა ადგილებისათვის, მათის ადგილობრივ პირობების მიხედვით, საკმაოდ მოხერხებული. და ხელსაყრე-ლიარ გამომდგარიყო. აგრეთვე რამდენისამე გუბერნიისაგან შემ-დგარი ზოგიერთა განაპირა ქვეყნები, როგორიცაა, მაგალითად, პოლონეთის სამეფო, იქამდის მთლიანია და განსაკუთრებულს ერთეულს წარმოადგენს, ეკონომიკურად გინდათ, კულტურუ-ლად თუ ნაციონალურად, რომ სრულიად ბუნებრივად იბა-

დება აზრი, რატომ არ უნდა მიეცეთ მათ მთელის ქვეყნისათვის ცალკე საარჩევნო დაწესებულება. შესაძლებელია ასეთს საოლქო კრებას მიენიჭოს არა მარტო ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოების უფლება, არამედ ზოგიერთა საკანონმდებლო უფლებაცა. თუ მართლა ასეთი თვითმმართველი ანუ ავტონომიური, რამდენისამე გუბერნიისაგან შემდგარი ერთეულები დაარსდებიან, სახელმწიფო ხმოსნებს მაშინ საგუბერნიო საერობო კრებები და ქალაქის საბჭოები-კი არ აირჩევენ, საოლქო საწარმომადგენლო კრება აირჩევს, რომელთა (ხმოსნების) რიცხვიც წინადვე იქმნება განსაკუთრებულის კანონით განსაზღვრული.

ადგილობრივ თვითმმართველობისა ანუ ადგილობრივ ავტონომის ორგანოებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ შეზღუდული, რომ საერობო პალატის წევრებს უთუოდ ამომრჩეველ კრებებიდამ ირჩევდნენ.

პირ-იქით, ადგილობრივ დაწესებულებათ ამ მხრივ სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოთ, რადგანაც თვითონ უკეთ უნდა იცოდნენ, ვინ უფრო სამჯობინო იქმნება მათთვის ადგილობრივ ინტერესების წარმომადგენლად საკანონმდებლო დაწესებულებაში. ამიტომაც იმპერიის ყველა მოქალაქეს, რომელსაც-კი საერო წარმომადგენელთა პალატაში არჩევის პასივური უფლება აქვს, იგივ უფლება საერობო პალატის არჩევნებშიაც უნდა მიენიჭოს.

სახელმწიფო ხმოსნები რომ მართლაც თანამედროვე საზოგადოების შეხედულებისა და მიმართულების ნამდვილი გამომხატველები იყვნენ, საჭიროა უთუოდ ირჩეოდნენ იმავე ვადით, თავადითაც მათს ამრჩევს საზოგადო კრებებს ირჩევენ; მასთან პირველს წელსვე, როგორც-კი მათი განახლება მოხდება.

არ შევხებით იმას, რამდენად სასურველია, საერობო და საქალაქო არჩევნების დღვანდელი ვადა შემდგომშიაც დაცულ იქმნას, მაგრამ იმას-კი შევნიშნავთ, რომ საერობო და საქალაქო დაწესებულებათა შორის ამ მხრივ არსებული განსხვავება და სხვა-და-სხვა დროის საერობო არჩევნები არა დაუშლის სრულიადა, რომ საერობო პალატის არჩევნებიც იმავ დროს მოხდეს ხოლმე.

პირ-იქით, ნაწილ-ნაწილად განახლება საერობო პალატისა მეტს უპირატესობასა და სიმტკიცესაც-კი შესძენდა მისს.

მოლვაწეობასა. შემთხვევაა, თუ სახელმწიფო ხმოსანი ავალ-  
მყოფობით ან სხვა რამ მიზეზით უარს იტყოდა წარმომადგენ-  
ლობაზედ, ან სიკვდილისა გამო გამოირიცხებოდა, მის აღ-  
გილას ვადამდე იგივე კრება ახალს ხმოსანს აირჩივდა.

სახელმწიფო ხმოსნები წარმომადგენლები არიან. და არა  
რწმუნებულები და შუამავლები თავიანთ ამომრჩეველ კრებე-  
ბისა. ამიტომაც არ შეუძლიანთ რაიმე ინსტრუქციებით იმოქმე-  
დონ, რადგანაც წარმომადგენელთა შემზღვდველი ბრძანებები  
და ინსტრუქციები წინააღმდეგი იქნებოდა სრულიად საერობო  
პალატის დანიშნულებისა, როგორც დამოუკიდებელ სახელმ-  
წიფო ორგანოსი და სისწორით საქმეების განხილვასა და გარ-  
დაწყვეტას შეუძლებელს გაპხდიდა. არც საჭიროა რაღაცა  
დარიგება-ბრძანებები, რადგანაც არჩეულ წარმომადგენელთა  
პოლიტიკური შეხედულება და მიმართულება საზოგადოე-  
ბრივს კრებებს წინადვე ეცოდინებათ უთუოდ. მაგრამ თუ რო-  
გორმე მათი მოლვაწეობა კრების მიმართულების წინააღმდეგი  
გამოდგება, ეჭვი არ არის, მეორე არჩევნების დროს ნდობას აღარ  
გამოუცხადებენ და აღარ აირჩივენ. ასევე შეუძლებელია  
ინსტრუქციებითა და დარიგება-ბრძანებებით საერო წარმომა-  
დგენლების შემზღვდვა.

როგორც საერო წარმომადგენლები ისე სახელმწიფო  
ხმოსნები სასყიდელს უთუოდ სახელმწიფო ხაზინიდამ უნდა  
იღებდნენ. წინააღმდეგს შემთხვევაში ცოტა იქნება მეტად  
ორისავე პალატის წევრთა შორის ისეთი ხალხი, რომელსაც  
საკმაო ქონება ექნება, ან შეეძლება ერთსა და იმავე დროს  
საწარმომადგენლო კრებებსაც ემსახუროს და სხვა. რამ საქმე-  
საცა, მასთან ისე, რომ შეიძლოს თავიც ირჩინოს და სამსა-  
ხურსაც მოსცდეს ხოლმე, როდესაც. ამას წარმომადგენლობა  
მოითხოვს.

რასაკვრელია, დიდი არ უნდა იყოს ზემოდ აღნიშნული  
სასყიდელი, რომ საერო წარმომადგენლისა და სახელმწიფო ხმო-  
სნის მდგომარეობა ვისთვისმე სასუსნავ წყაროდ არ გადიქცეს,  
მაგრამ საშუალება-კი უნდა უთუოდ მისცეს საკუთარ შეძლე-  
ბის უქონელს წარმომადგენელსა, რომ მეტი წილი წლისა  
სატახტო ქალაქში გაატაროს და საკანონმდებლო დაწესებუ-  
ლებაში მუშაობა. შესძლოს.

# საქალაქო და სერობრ მოღვაწითა

## მოხსენება და ხელმისაწვდომი კასუზი.

თიბათვის ექვსს პეტერბურგში ჭერმერის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორთან იყვნენ ერობათა და ქალაქთა მოღვაწენი: გრაფი გეილენი, ლვოვი, პეტრუნკევიჩი, გოლოვინი, თ. დოლგორუკოვი, კოჭალევსკი, ნოვოსილცევი, როდიჩევი, თ. შახავსკოი, პროფესორი თ. ტრუბეცკოი, ბარონი კორფი, ნიკიტინი, ფეოდოროვი.

პროფესორმა ტრუბეცკოიმ შემდეგი სიტყვით მიჰმართა ხელმწიფეს:

„ნება მიბოძეთ, ხელმწიფეო, მოგახსენოთ ჩვენი უღრმესი და გულწრფელი მადლობა, რომ ინებეთ და ჩვენის თხოვნისამებრ თქვენთან ხლების ნება გვიბოძეთ; მიჰხდით, რა გრძნობა გვიზიდავდა თქვენკენ და არ ერწმუნეთ იმათ, რომელნიც სცდილობდნენ—ტახტის მოღალატეთ და რუსეთის მტრებათ დავესახეთ ჩვენ, ერობათა და ქალაქთა მოღვაწენი. ჩვენ თქვენთან ერთმა გრძნობამ—სამშობლოსადმი სიყვარულმა და ჩვენის მოვალეობის შეგნებამ—მოგვიყვანა.

ვიცით, ხელმწიფეო, რომ ამ წამს ჩვენზედ მეტად თქვენი იტანჯებით. ნეტარება იქნებოდა ჩვენთვის ამ უამაღ თქვენი ნუგეშის ცემა და, თუ ვბედავთ და ასე უცნაურად მოგმართავთ, კვერწმუნეთ, ამას გვაიძულებს ჩვენი მოვალეობა და შეგნება საზოგადო განსაკრელისა, რომელიც დიდია ფრიდ, ხელმწიფეო.

მთელის სახელმწიფოს არეულობა უბრალო ამბობება არ გახლავთ მხოლოდ, რადგან ნორმალურ პირობებში იგი სა-შიშიც არ იქნებოდა; საზოგადო არეულობაში ისე დაქსაქსა და დაარღვია ყოველისფერი, რომ მართებლობა უძლური-ლაა მის წინააღმდეგ. რუსის ხალხს არ დაუკარგავს სამშობლოს სიყვარული, არ დაუკარგავს იმედი ხელმწიფისა და რუსეთის უძლეველ დიდებისა და ამიტომაც ვერ შეუგნია ჩვენი დამარცხება და შინააური არეულობა; ხალხს მოტყუებული ჰგონია თავი; ფიქრობს, იქნება ხელმწიფესაც ატყუებენო; და როდესაც ჰხედავს, რომ ხელნწიფეს ხალხისთვის კარგი უნდა და საქმით-კი ავის მეტს არას აღირსებენ ხოლმე; რომ ხელმწიფე ერთსა ბრძანებს და საქმით კი სულ სხვა კეთდება; რომ თქვენ ბრძანებათ, ხელმწიფეო, ხშირად იმისთანა კაცებს ანდობენ ასასრულებლად, რომელნიც მოწინააღმდეგენი და მტერნი არიან ყოველის წარმატებისა და ცვლილებისა, მაშინ უფრო მეტადა ჰყიქრობს, რომ მოტყუებულია იგი.

უკვე წარმოითქვა საზარელი სიტყვა „ღალატი“ და ხალხი ექცებს ამ მოღალატებს გენერლებშიაც, თქვენს მრჩევ-ლებშიაც, ჩვენშიაც და საერთოდ ყველაში, ვისაც-კი ბატონობა როგორმე ხელთ უგდია. ხალხის ასეთი გრძნობით სხვა-და-სხვა ნაირად სარგებლობენ: ერთნი უთითებენ მებატონეებზე, მეორენი სოფლის მასწავლებლებზე, ექიმებზე, ნასწავლებზე. მცხოვრებთა ერთს ნაწილს მეორეს წინააღმდეგ ამხედრებენ. მძულვარება—გულქვა და დაუნდობელი, საუკუნეობის განმავლობაში შეურაცხყოფით და შევიწროებით ნაზარი, მძულვარება, გამწვავებული მწუხარებითა და გაჭირვებით, უუფლებობითა და სასტიკ ეკონომიკურ პირობებით—ზვირთდება, იზრდება და მით უფრო საშიში ხდება იგი, რომ პირველ ხანად მამულიშვილობის სახით გვეჩვენება, — და მით უფრო ცეცხლივით ედება ხალხს. აი, ის ბოროტი განსაცდელი, ხელმწიფეო, რომელიც ჩვენ,—ხალხში მცხოვრებლებმა,—გავითვალისწინეთ მთელის თავისის სილრმითა და რომლის შესახებაც მოვალედ ჩავთვალეთ ჩვენი თავი; მოგვე-

ხსენებინა თქვენის იმპერატორების უდიდებულესობისათვის. ყველა ამ უბედურებათაგან თავის დასალწევად ერთად-ერთი გზა-ლაა, რომელიც თქვენვე აღნიშნეთ, ხელმწიფეო, — ხალხის რჩეულთა მოწვევა. ჩვენ გვწამს, მეფეო, ეს გზა, მაგრამ ვგრძნობთ-კი, რომ ყველანაირი წარმომადგენლობა არ შეუწყობს ხელს თქვენს კეთილ-განზრახულებას; იგი უნდა ემსახურებოდეს შინ მშვიდობიანობის დამყარებას; უნდა იყოს აღმაღვენელი და არა დამთრგუნველი, შემაერთოებელი და არა განმაცალკევებელი მცხოვრებთა სხვა-და-სხვა ნაწილებისა; უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს წეს-წყობილების გარდა-ქმნას, — როგორც თქვენა გაქვთ ნაბრძანები. ჩვენ არა გვაქვს მონდობილი, ეხლავე ვილაპარაკოთ არჩევნების წესსა და იმ საბოლოო ფორმებზე, რომლებშიც არ გვაქვს ჩალხის წარმომადგენლობა. თუ ნებას გვიბოძებთ, ხელმწიფეო, მოგა-ხსენებთ მხოლოდ იმის შესახებ, რაც გვაერთებს ჩვენ ყველას, რაც აერთებს რუსების უმრავლესობას, იმ უმრავლესობას, რომელსაც გულწრფელადა ჰსურს თქვენგან ნაჩვენების გზით. სიარული: საჭიროა ყველა თქვენი ქვეშევრდომი ჰგრძნობდეს თავისს თავს რუსეთის მოქალაქეთ; საჭიროა, არც ერთი ნა-წილი ანუ ჯგუფი მცხოვრებლებისა მოკლებული არ იყოს საარჩევნო უფლებებს, საჭიროა, განახლებულ წეს-წყობილების გარეშე არავინ დარჩეს, მისი მტერი არავინ შეიქმნეს; საჭიროა — არ უყვნენ უუფლებონი და უმწეონი. ჩვენ გვსურს, ყველა თქვენი ქვეშევრდომი — თუნდაც სისხლ-ხორცითა და სარწმუნოებით სხვაც იყოს, — რუსეთს უყურებდეს, როგორც თავისს სამშობლოს, თქვენ — როგორც თავისს საკუთარს ხელ-მწიფეს. ჩვენ გვსურს, რომ თქვენი ქვეშევრდომნი თავისს თავს რუსეთის შეილად უწოდებდნენ და შეიყვარონ. რუსეთი ისე, როგორც ჩვენ გვიყვარს იგი. საერთო წარმომადგენლობა უნდა ემსახურებოდეს შეერთების და შინაურ მშვიდობიან-ობის საქმეს. და ამიტომ არ უნდა იყოს წოდებრივი. როგორც რუსეთის მეფე არაა მეფე მარტოდ თავად-აზნაურებისა, მეფე მარტოდ გლეხებისა, მეფე მარტოდ ვაჭრებისა, არამედ

იგი მეფეა სრულიად-რუსეთისა, ისე ხალხის რჩეულები და თქვენთან ერთად სამეფო საქმის საწარმოოდ მოწვეულნი წოდებრივს კი არა, საერთო სახელმწიფო ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ. წოდებრივი წარმომადგენლობა დასთესავს შუღლსა და კერძოობას იქ, სადაც იგი სრულებით არ არის. გარდა ამისა, საერთო წარმომადგენლობა უნდა ემსახურებოდეს „სახელმწიფო ცვლილებათა“ საქმეს. ბიუროკრატია არსებობს ყველა სახელმწიფო ერში და თუ ჩვენ გავკიცხეთ იგი, ჩვენ გავკიცხეთ კერძო პირები კი არა, გავკიცხეთ „ბრძანებითი წეს-წყობილება“. განახლებულ წეს-წყობილებაში ბიუროკრატიამ უნდა დაიჭიროს შესაფერი ადგილი, ნება არ უნდა ჰქონდეს ძალად ეპატრონებოდეს თქვენს მეფურს უფლებებს, იგი პასუხის-მგებელი უნდა იყოს; —აი, ის საქმე, რა-საც უნდა ემსახუროს საერთო წარმომადგენლობა და რომელიც არ შეიძლება წარმოვიდგანოთ საკერებლად ძველ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა და თქვენსა და ხალხს შორის, იმპერიის მაღალ დაწესებულებათა სახით, კედელივით არ უნდა აღიმართოს. თქვენ თითონვე დაინახავთ, ხელმწიფელ, ამას, როდესაც მოიწვევთ ხალხისაგან არჩეულთ და პირისპირ შეპხვდებით, როგორც ახლა ჩვენ შევხვდით. დასასრულ, თქვენგან განზრახული ცვლილებანი იმდენად ეხება რუსეთის ხალხსა და საზოგადოებას, რომელსაც ახლა თქვენ იწვევთ — რომ გულ გრილად ვერ შეეგებიან. ამიტომ საჭიროა ნება მისცეთ, ვრცლად და სავსებით იქონიონ მსჯელობა სახელმწიფო წეს-წყობილების შესახებ, და ეს ნება მისცეთ მარტო წარმომადგენელთა პირველს კრებაზედ-კი არა, არამედ ახლავე, პრესსასა და საზოგად კრებებს. ხელმწიფელ, ნდობაზე უნდა აშენდეს რუსეთის-განახლება“.

ამის შემდეგ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. პ. ფედოროვმა მოახსენა: „ნება მიბოძეთ, თქვენო ულიდებულესობავ, თავად ტრუბეცკოის მოხსენებას დავუმატო ის, რაც აღელვებს ჩვენს ქალაქებსა. სოფელი და ქალაქი ისე ახლო სდგანან ერთმანეთზედ, რომ ერთის გაჭირვება მეორესაც უთუოდ უწევს.“

სოფლის ყოველივე გაჭირვება ცუდად მოქმედებს. ქალაქის კითილდღეობაზეც: ღარიბდება სოფელი, ჩვენც გაჭირვებაში ვვარდებით. არ შეგვიძლიან ამიტომ შეშით არ ვუყუროთ ახლო მომავალს. რა გვარადაც უნდა გადასწყვიტოს თქვენმა უდიდებულესობაში ომისა და ზავის საკითხი, ამი, ერთხელც იქმნება, გათავდება, და მაშინ იძულებული ვიქმნებით, ეკონომიკური და ფინანსური ჭრილობანი მოვირჩინოთ. წინდაწინვე ვგრძნობთ, რომ ამის გამო ჩვენის ქალაქის ბიუჯეტს წელიწადში რამდენიმე მილიონი მიემატება. ამ მილიონების საშოგნელიადა და ხარჯის დასაფარავად ხაჭიროა, დავიწყოთ დიდი კულტურული მუშაობა, ვიზრუნოთ ქვეყნის საწარმოობალთა აღორძინებისათვის, რაიცა მოხერხდება მაშინ მხოლოდ, როდესაც სასიცოცხლოდ მოწვეული იქმნება ხალხის ცხოველი ძალები და საზოგადოების თვით-მოქედება. მართლია, თქვენს უდიდებულესობას ჰყავს ნიკიერი მოხელენი, მაგრამ რიცხვით მცირენი არიან და ხალხის გაჭირვებასა და მოთხოვნილებას კაბინეტებიდან და კანცელარიებიდან გაჰყურებენ, მაშინ როდესაც მომავალ მოღვაწეობისათვის საჭიროა ისეთი ხალხი, რომელიც ცხოვრების უღელში თვითონ აბია. აი, ამიტომ ქალაქებიც საერებო მოღვაწეთა წმას უერთდებიან, რომელთა დედა-აზრიც თავადმა ტრუბეციონ მოგახსენათ“.

მისმა უდიდებულესობაზ კეთილ ინება და უპასუხა:

„მოხარული ვარ, რომ გისმენთ. ეჭვი არა მაქვს, ბატონებო, უთუოდ სამშობლოსადმი დიადის სიყვარულით ხელმძღვანელობდით, რომ ასე პირდაპირ მომმართეთ. თქვენთან და ჩემ ხალხთან ერთად მეც ვწუხვარ და ვგლოვობ იმ უბედურებათა გამო, რომლებიც რუსეთს ომშა თავს დაატეხა და რომლებიც კიდევ მოსალოდნელია. ვწუხვარ აგრეთვე შინაურ ამბოხებისა გამო, მაგრამ უკუ აგდეთ თქვენი ეჭვი. ჩემი სიტყვა—სატყვაა მეფისა, შეუდრეველი, და მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა სახელმწიფო მუშაობისათვის უნაკლულოდ შესრულებული იქნება. მე ყოველ-დღე თვალ-

უურს ვადევნებ და თავს ვადგევარ ამ საქმესა; თქვენ შეგიძლიანთ ამცნოთ ეს თქვენს მახლობელთ, სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთ. შეურყევლად მრწამს, რომ განსაკლელისაგან რუსეთი განახლებული გამოვა. დაე, დამყარდეს ჩემსა და საერობო მოღვაწეთა შორის დამოკიდებულება, რომელიც რუსეთის თავისებურს წესიერებას საფუძვლად დაედება. მე მრწამს თქვენი გულწრფელი სურვილი ამ საქმეში დახმარებისა“. შემდეგ ხელმწიფემ ყელა მის წრნაშე წამდგარნი უმოწყალესის საუბარით გააბედნიერა.

# ნ ა რ ე ვ ი

1) ელიზე რეკლიუ.—2) ოსმალები და ქრისტიანები.—3) ბაბილონის ისტორია.—4) ალექსანდრე ულარის წერილი.—5) ვაჭის სეულება.—6) კომერციული განათლება ქალებისა საფრანგეთში.—7) ხუმრობა.

**ელიზე რეკლიუ.** 4 კათათვეს გარდაიცვალა ბელგიაში ბრიუსელის „თავისუფალ უნივერსიტეტის“ პროფესორი ცნობილი მეცნიერი ელიზე რეკლიუ, რომლის გეოგრაფიული თხზულებანი ერთად ერთ საფუძვლად ითვლება ქვეყნის შესასწავლად. გეოგრაფიულ აღწერას რომელიმე ქვეყნისას რეკლიუ ყოველთვის თან აყოლებდა განმარტებას იმ დამოკიდებულებისას, რომელიც არსებობს ბუნებისა და აღამიანის განვითარების შორის. უმთავრესი თხზულება განსვენებულის მეცნიერისა, რომელში აწერილია მთელი დედა მიწა, რამდენსამე ტომს შეადგენს 1875—1891 წ. გამოცემულს და სახელად „ახალი გეოგრაფია“ ეწოდება.

1871 წ. რეკლიუ პარიზის კომიტნას მიემზრო და ამიტომ განდევნილ იქმნა საფრანგეთიდგან; ჯერ შვეიცარიაში დასახლდა, ქ. უენევში, მერმე ბრიუსელს იქმნა პროფესორად მიწვეული. მეცნიერულ შრომასთან ერთად რეკლიუ პოლიტიკურ თავის იდეალსაც ემსახურებოდა, ბევრსა სწერდა და ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის მომავალი სპეტაკზნეობაზედ და განათლებაზედ იქნება დამყარებული, სხვა და სხვა ერნი შეერთდებიან და დღევანდელი ჯიბრის და ქიშპობის წილ საზოგადო სარგებლობით-ლა. იხელმძღვანელებენ თავიანთ საქციელშიო.

განსვენებული ღრმად მოხუცებული იყო (1830წ. დაიბადა), მაგრამ ჯერ ისევ ჭარმაკად იყო და უკანასკნელ დღემდე არ ულალატნია შრომისთვის.

\*\*

**თსმაღები და ქრისტიანები.** შვეიცარიაში გამოდის უურნალი „საქვეყნო ბიბლიოთეკა და შვეიცარიის მიმოხილვა;“ ამ უურნალის კათათვის ნომერში დაბეჭდილია საინტერესო სტატია ოედერისა, რომელიც უცნაურს და ძნელად დასაჯერებელს. ამბავს მოვითხრობს; თსმალეთში უფრო თავისუფლად ცხოვრობენ ქრისტიანები, და უფრო მეტი უპირატესობა აქვთ, ვიდრე სხვაგან ქრისტიანთა სამფლობელოშიო. თსმალებს ჯარში არ გაჰყავთ ქრისტიანები და მაშასადამე ოჯახს არ ართმევენ საუკეთესო მუშებს; ხარჯად მოსავლის ერთ მეათედს სჯერდებიან და იმისთანა კეთილდღეობაში ჰყავთ ურჯულოთ ქრისტიანები, რომ საქრისტიანოში ვერსად ნახავთ ამ კეთილდღეობასაო... .

\*\*

**ბაბილონის ისტორია.** გერმანელი ისტორიკოსი ანგნადი მოვითხრობს, რომ 555 წ. ქრისტეს შობამდე ბაბილონის მეფემ ნაბუნაიდმა ბრძანება გასცა, მოთხარეთ და არქეოლოგიურად შეისწავლეთ ქალაქიო. მისმა შვილმა ბელსაზარმა, რომელსაც წინასწარმეტყველი დანიელი მოიხსენიებს, განაკრძალ არქეოლოგიური გამოკვლევანი. ბაბილონის გარდა ეს მეუენი სხვაგანაც ცდილობდნენ წარსულის ნაშთების აღმოჩენას და ქალაქ სიპარში ნაბუნაიდმა იპოვნა მზის ტაძრის უძველესი საძირკველი; მის ანგარიშით, ამ საძირკვლის ჩაყრა 3750 წლის წინად უნდა მომხდარიყო. ანგანდის ანგარიშით ბაბილონი უკვე განათლებული ქალაქი იყო ხუთიათასი წლის წინად ქრისტეს შობამდე.

\*\*

**ალექსანდრე ულარის წერილი.** ინგლისურ „თანამედროვე მიმოხილვის“ ივლისის წიგნში დაბეჭდილია ალ. ულარის წერილი „საქართველოს გაღვიძება“. დასაწყისში ავტორი ცდი-

ლობს გააცნოს ევროპელ მკიოხველს, — რა განსხვავება არის ქართველებსა, სომხებსა და კავკასიელ სხვა ხალხებ შორის; მერმე საქართველოს ისტორიის მოიხსენებს გაკვრით და დასკვნის: მაშასადამე საქართველო ნაწილი კი არ არის ოუსეთისა, არამედ კანონიერად თავისუფალი ქვეყანაა, რომლის მეფე რუსეთის ხელმწიფე არის. უკანასკნელი ასრ წელიწადი საქართველოს ისტორიისა არის ისტორია რუსთავან ღალატისა, აღთქმულის და ხელმოწერილ ტრაქტატის უარყოფის და დარღვევისა, და ქართველ ეროვნების დევნისა. ასი წელიწადი მარტო იმის ცდაში იყო რუსეთი, რომ ხალხი გაეღატა კეგებინა, ხალხსა და შეგნებულ მის ნაწილ შუა უთანხმოება და მტრობა ჩამოეგდო, დაევიწყებინა ეროვნული ენა და ისტორია; ავტორი დაწვრილებით აღწერს რუსეთის ყოველ „ღალატს“ და თვითონ რუსებმა გამოაღვიძეს ეს ხალხიო, დასძენს; დღეს მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, ერთი წალით არის გამსჭვალული და, თუ არ ნებავს ხელმწიფეს საქართველოს უბედურება, უნდა მიანიჭოს ქართველებს ყოველივე ის, რაც მისმა წინაპრებმა წაართვეს, ესე იგი „ეროვნული ცხოვრება“; აშის სამაგივროდ დიდ სამსახურს გაუწევს საქართველო რუსეთს, რაღაც თუ დაბექავებულს რუს ხალხს თავისუფლება ეღირსა, ისევ ქართველთა და პოლონელთა წყალობით ეღირსება. ავტორის აზრით, თუ მოხერხდა და „კავკასიის ფედერაცია“ განხორციელდა, უპირველეს აღაგს ქართველები დაიჭრენ, რაღაც ამისთვის განათლებაც საკმარისი აქვთ და ტერიტორიაც ხელთ უჭირავთ.

\*\*

გაზის სნეუდება. საფრანგეთში, ალჟირში და ტუნიზში რაღაც უცნაური სენი დაერია ვაზს: რთვლის რამდენიმე ხნის წინად ვაზი ხდება, ფოთოლი სცვივა, თვალშესული მარცვალი ვეღარ მწიფდება და უფერულ, უშაქრო ტკბილს იძლევა. ბევრი მეცნიერი ეწვალა ამ უცნაური სენის მიზეზის შესწავლის, მაგრამ ვერა გაიგეს რა, რაღაც ამ სნეულებას მიკრობებს აბრალებდნენ, და მიკროსკოპის წყალობით უნ-

დოდათ მის აღმოჩენა. ამას წინად პარიზის აკადემიუში ბ. რავას მოხსენება კი სულ სხვა მხრივ სინჯავს საქმეს და ამ-ტყიცებს, ეს სნეულება იმ ვენახებს გამოაჩნდა, რომლებში შარშან დიდი მოსავალი იყო და მაშასადამე მის მიზეზი ვაზის დაღალვა არისო; წამლად ბ. რავა ურჩევს ვენახის გაპატივებას, ზაფხულში საკმარის რწყვას, ვაზის დაბლა შეკვეცას და, თუ მეტად ასხია, მტევნების შემცირებას.

\* \* \*

კომერციული განათლება ქალებისა საჭრანგეთში. საფრანგეთის ვაჭართა და სოველაგართა (ფინანსისტები) კრებაშ დაადგინა, ქალებსაც მიეცეს უფლება კომერციულ სასწავლებლებში შესვლისა და კურსის გათვების შემდეგ სამზღვარ გარედ წასასვლელიად სტიპენდიის მიღებისაო. ეს ამბავი მით უფრო საინტერესოა, რომ საფრანგეთში ეხლაც არსებობს ის აზრი, რომ ქალს დიდი სწავლა არ უნდა, რადგან მისი მაცხოვრებელი მამა და ქმარი; ამგვარი აზრი არსებობს მიუხედავად ცხოვრების მსვლელობისა, რომელმაც სწორედ საფრანგეთში გამოიყვანა ქალი სამუშაოდ, საკუთარ ძალით და შრომით საცხოვრებლად, მამის და ქმრის დაუხმარებლად.

გერმანიისაგან დამარცხება საფრანგეთმა თავისდა სასარგებლოდ გამოიყენა და ამ ოცდა-ათის წლის განმავლობაში გაცილებით მეტი შეიძინა, ვიღრე სხვა დროს მთელი საუკუნის განმავლობაში შეუძნია. უპირველესი ყურადღება სახალხო განათლებას მიაქცია; დასაწყისი სწავლა ბერებს გამოაცალა ხელიდან და სავალდებულო და მუქთი გახადა ორივ სქესის ბავშვებისთვის. ამ ხანად საფრანგეთში იშვიათად მოიპოვება კაცი ან ქალი, რომ დასაწყისი სწავლა არ მიეღოს.

საშუალო და უმაღლესი განათლება ქალებისა კი უფრო ცუდად არის მოწყობილი. 1880 წლამდე ქალებს ასწავლი-დნენ წერა-კითხვას, ცოტა ანგარიშს... სწორედ იმდენს, რამდენიც საჭიროა დიასახლისისათვის, მუსიკა, ხელსაქმეს და სხ. 1880 წ. კი კამილ ზეის წინადადებით დაარსებულ იქნა ქალებისთვის კოლეჯები (კიმნაზიები) და თუმცა ქა-

ლეპისთვის საჭირო პროგრამმა ბევრად არის შემცირებული, ვაუების გიმნაზიებთან შედარებით, მაინც ჯერჯერობით 68 კოლლეჟში სულ 12 ათასი ქალი ირიცხება.

ორმოც კოლლეჟთან დამატებითი კლასი არის დაარსებული, რომელიც ამზადებს ქალებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად და სხვათა შორის სევრის ქალების სასწავლებელში; სევრის სკოლა ამზადებს მასწავლებლებს ქალების კოლლეჟებისას; მიუხედავად ამ უპირატესობისა მაინც ვერ მიუზიდლნია მოსწავლენი და 1901 წ. სულ 63 ქალი ითვლებოდა სკოლის სამივე კლასში და იმათვან შვიდი უცხოეთიდან იყო მისული. უფრო ნაკლებად ეტანება ფრანგი ქალი უმაღლეს განათლებას უნივერსიტეტში. ამ მხრივ ჯერ ისევ მძვინვარებს ძველებური — ქალს სწავლა რად უნდაო — და ძნელად უორმობს ასპარეზს ცხოვრების მოთხოვნილებათ.

ქალის ალაგი ოჯახშიაო, იძახიან, მაგრამ ცხოვრებამ უკვე დაშალა და დაანგრია საფრანგეთში ოჯახი; გაჭირებამ გარედ გამოიყვანა ქალი და ყოველგვარი შრომა აკისრებინა, მეურნეობაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში; ზოგ-ზოგი წელო-სწობა ძველადგანვე ქალების კუთვნილებას შეადგენდა და შეადგენს. შრომის განაწილებამ გაუადვილა ქალს კაცთან. ერთად მუშაობა და დღეს, მეტადრე ვაჭრობაში და სოფლის მეურნეობაში, ქალის შრომა ისეთივე აუცილებელ საჭიროებად არის მიჩნეული, როგორადაც კაცია.

რაკი ცხოვრების გაჭირებამ სამუშაოდ გამოიყვანა ქალი, საჭიროა რაც შეიძლება უკეთ იყოს მომზადებული შრომისთვის. და ცხოვრების ბრძოლისთვის, რაისთვისაც საჭიროა პროფესიური და სხვათა შორის კომეტული განათლებაც.

უკანასკნელ დრომდე ამ მიზანს მონოზნები და საქველ-მოქმედო საზოგადოებანი ემსახურებოდნენ. მონოზნებს, სულ უმცირესი რომ ვთქვათ, 25 ათასი ობოლი ინ ღარიბი გო-გო ჰყავდათ და წერაკითხვის გარდა ხელსაქმეს ასწავლიდნენ იმ განძრახვით, რომ ღარიბ ქალს გაჭირებაში თავის შვილების რჩენა შესძლებოდა. ახლა კი ქალებისთვისაც არის დაარ-

სებული საშუალო პროფესიური სკოლები, თითქმის იმავე პროგრამით, რომელიც ვაჟების სკოლებშია მიღებული. უმაღლესი კომერციული სასწავლებელი კი არ გახსნეს ცალკე ქალებისთვის; რა საჭიროა, თუ ნებავთ, ვაჟებთან ერთად ისწავლონ.

საინტერესო ის არის, რომ ინიციატივა ქალების პროფესიულ განათლებისა კერძო პირს ეკუთვნის და არა მართობლობას: ერთმა ქალმა, ლიუკენისამ, გახსნა 1856 წ. ლიონში კერძო სკოლა ქალებისთვის და კომერციულ საგნებს ასწავლიდა. სკოლის მრავალი მსურველი მიაწყდა და ამისა გამო ქალაქის დახმარებით კერძო სკოლა საკომერციო სასწავლებლად გარდაიქმნა და 1894 წლიდგან მოიპოვა უფლება — მოამზადოს მასწავლებელი ქალები ქალთა საკომერციო სკოლებისთვის. 1892 წლს კი, როდესაც კომერციული და ერთობ პროფესიული განათლება სავაჭრო სამინისტროს უწყებაში გედავიდა, სკოლებიც მრავალი გაიმართა, როგორც ვაჟებისთვის, ისე ქალებისთვის.

საშუალო პროფესიულ სკოლების გარდა უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე დამატებითი კლასები, რომელნიც, არსებობენ დასაწყის სკოლებთან და საჭირო ცოდნას აძლევენ სავაჭრო და სამრეწველო საგნებისას.

მართებლობას ამ დიად საქმეში საზოგადოებაც ეხმარება და საზოგადოების მიერ გამართული კურსები და ლექციები არა ნაკლებ ღვაწლს სდებენ საფრანგეთს, ვიდრე შემძლებელი ხაზინა. კურსებზედ კითხულობენ საუკეთესო მსწავლულნი და ადვილად გასაგებ ენით გადასცემენ მსმენელს მთელს მეცნიერებას, და ყოველ იმის დარგს. კურსები ისეა მოფენილი მთელს საფრანგეთში, რომ სულ უმცირესი დაბაც კი არ არის უნუგეშოდ მიტოვებული.

კერძო კურსთაგან უმთავრესად მნიშვნელოვანი არის პარიზის მუნიციპალიტეტის მიერ (ქალაქის გამგეობა) დაარსებული. კურსები გახსნეს 1870 წელს. ქალების მოსამზადებლად ვაჭრობისთვის. 1875 წ. ეგზამენები შემოი-

დეს და ვინც კარგად დაიკერდა, მოწმობას აძლევდნენ. ას-წავლიან არითმეტი იას საზოგადოს და კომერციულს, სავაჭრო მიწერ-მოწერიას, ბუპალტერიას, საფრანგეთის და მის ახალშენების გეოგრაფიას, ინგლისურს, ან გერმანულ ენას, სტენოგრაფიას და მანქანით წერას; მორე კურსზედ: საბანკო ანგარიშს, სავაჭრო თამასუქების შედგენას, ეკონომიურ გეოგრაფიას, კომერციულ კანონმდებლობას, პოლიტიკურ ეკონომიას. ამ კურსებზედ ჩაწერილია 1769 ქალი. რაც ხანი არსებობს, ამ დაწესებულებას გაულია 3171 მოწმობა. ამ მოწმობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან მოწმობის პატრონი თავისდღეში არ დარჩება უალაგოდ.

პარიზის მუნიციპალიტეტს სხვა ქალაქებშიც მიჰმადეს და დღეს საფრანგეთში ყველას შეუძლიან სრულიად უფასოდ შეისწავლოს, რასაც კი მოისურვებს, როგორც განყენებული, ისე პრაქტიკული საგნები. ქალაქები და საზოგადოებანი ერთმანერთს ექიშებიან ამ კეთილ საქმეში და, სხვა რომ არა ვთქვათ რა, დღეს საფრანგეთში 80 უნივერსიტეტი ითვლება სახალხოდ დაარსებული.

\*\*

**ხუმრობა.** ძეელის ძველ დროშიო, ამბობენ ინდოელები, როდესაც ღმერთმა შექმნა ქვეყანა და კაცი და მერმე დედაკაცის გაჩენა მოინდომა, ნახა, რომ ყოველივე მკვიდრი მასალა მამაკაცისთვის მოეხმარებინა და დედაკაცის გახაჩენად აღარა რჩებოდა-რა.

მაგრამ შეუძლებელი არა არის რა ყოვლად შემძლებელისთვის: აიღო სიმრგვალე მთვარისა, მოქნილება გველისა, ჩაწმახვნა ვაზისა, სიწვლილე ლელწმისა, ხავერდოვნება ყვავილებისა, სიმსუბუქე ფოთლისა, მზერა შველისა, სიმხიარულე შზის შუქისა, დაუდგრომლობა ქარისა, შიში კურდლისა, თავმოწონება ფარშავანგისა, სილბილე ბულბულის ყელის ყუითუკისა, სიმაგრე ალმასისა, სიტკბოება თაფლისა, სიმწარე ნაღველისა, სიცხე ცეცხლისა, სიცივე ყინვისა, ყბედობა კაჭკაჭისა და სინაზე მტრედისა, ერთმანერთში აურია, შექმნა დედაკაცი და მიჰვარა კაცი.

ერთი კვირის შემდეგ მივიღა კაცი ლმერთთან და შესჩივლა:

— მეუფეო! სიცოცხლეს მიმწარებს შენგან მონიჭებული არსება! მოუღალავი ყბედია, მოუსვენარი, დაუდგრომელი! სულ უინიანობს, ტირის, სულ ავად არის! შემიბრალე, ყოვლად მოწყალეო, მომაშორე; მე იმასთან ცხოვრება არ შემიძლიან!

ლმერთმა აუსრულა ვეღრება და მოაშორა დედაკაცი.

ერთი კვირის შემდეგ კიდევ მივიღა კაცი და შესჩივლა:

— მზე დამიბნელდა და სიცოცხლე შემძაგდა, მეუფეო, მას შემდეგ, რაც ის არსება მომაშორე. დავდნი, ალარ ვარ კაცი: სულ იმის ფიქრში ვარ, სულ იმისი სიმღერა და ალერსი მაგონდება.

შეუსმინა ლმერთმა ეს ვეღრებაც და კვლავ მიჰვარა დედაკაცი.

მაგრამ, არ გასულა სამი დღე, კიდევ წარსდგა კაცი ლვთისა წინაშე, პირქვე დაემხო და შეჭრალადა:

— ახლა კი დავრწმუნდი, მეუფეო, რომ ის არსება უფრო მეტს ტანჯვას და სევდას მანიჭებს, ვიდრე შვებას და სიხარულს. მომაშორე, მეუფეო, გევეღრები, შემიბრალე და მომაშორე ის...

მაგრამ განრისხდა ლმერთი და შეუტია:

— განმშორდი და, როგორც გენებოს, ისე იცხოვრე!

— მე იმასთან ცხოვრება არ შემიძლიან, — გაიძახოდა კაცი.

— და არც უიმისოდ ცხოვრება შეგიძლიან!

— ვაიმე უბედურს! — წარმოსთქვა ქვითინით კაცმა, — ჟეშმარიტად ბრძანა უფალმა: მე იმასთან ცხოვრება არ შემიძლიან და უიმისოდ კი ვერ გამიძლია.



# მინაური მიმღებლები

განზრახვა საერობო თვითმმართველობის შემოღებისა.—საერობო დებულება 1864 და 1890 წლისა.—რომელი ტიპის ურობა სჯობია.

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის და განსაკუთრებით კი საქართველოს საუკუთხესო სახოგადო მოღვაწეები ამაოდ ჰლალადებდნენ საერობო თვითმმართველობის შემოღებას. ხალხისადმი უნდობლობაზე დამყარებული მმართველობა, რასაკვირველია, ნდობის თვალით ვერ შეჰქედავდა კავკასიის მკვიდრთ, რომელნიც როგორც არა რუსი, აღმინისტრაციის თვალში გაცილებით ნაკლების ნდობის ღირსნი იყვნენ, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებნი. წელიწადი წელიწადს მისდევდა, ერთხელ აღძრულს შუამდგომლობას თვითმმართველობის შემოღების შესახებ—მეორე და მესამე, მაგრამ დღემდე ყველა შუამდგომლობა ან სულ უპასუხოთ რჩებოდა ან მეტის-მეტად უნუგეშო პასუხით თავდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო პრინციპიალურად თითქოს არ უარპყოფდა. ერობის საჭიროებას, პირიქით, ის ხშირად ბრძანებდა ხოლმე, მმართველობა გამუღმებულს მზრუნველობაშია, საერობო დებულება გაავრცელოს იმ გუბერნიებზედაც, რომელნიც დღემდე თვითმმართველობას მოკლებულნი არიან, მაგრამ ამ განზრახვის აღსრულებას ზოგან პოლიტიკური და ზოგან აღგილობრივი პირობები უშლის. ხელს. ღიაღ, ხან პოლიტიკურის და ხან-

არა პოლიტიკურის მოსაზრებით, მაგრამ ჩვენი ბედშავი ქაუყანა კი იმ ღრომდე იყო ერობის ულირსად ცნობილი, ვიღრე ეხლანდელმა ხალხის საყოველთაო პოლიტიკურმა და სოციალურმა მოძრაობამ ძირი არ გამოუთხარა აღმინისტრაციის კულანდელს გულიფიციანას ხალხის გაჭირებისა და სურვილისადმი და ანგარიშის გაწევა არ დააწყობინა უკვე პოლიტიკურად მომწიფებულ ხალხის მისწრაფებისთვის.

რაც ვერ შესძლო თხოვნამ, მუდარამ და ხვეწნამ, რაც ვერ განახორციელა გონივრულმა საბუთებმა ნახევარ საუკუნის განმავლობაში, ის უკრივ ერთბაშად აასრულა ხალხის მოძრაობამ... ეხლა ამიერ-კავკასიაში ერობის შემოლება რამდენისამე თვის საქმე-ლაა.

განსაკუთრებულმა ისტორიულმა ხანამ, რომელსაც აშეუად ჩვენი ქვეყანა განიცდის, გამოიწვია 26 თებერვლის უმაღლესი ბრძანება კავკასიაში ნამესტნიკობის აღდგენის შესახებ. გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშვილი, რომელსაც ხელმწიფები თავის მაგიერობა ჩააბარა და კავკასიის უმაღლესი შემართველობა დაავალა, ჯერ ისევ პეტერბურგიდან დეპეშით აცნობებდა მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ-ლეიტენანტს მალამას, ამიერ კავკასიაში ერობის შემოლება განვიზრახე და იმედი მაქს, ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები დახმარებას გამოიწვევნ ამ განზრახვის განსახორციელებლადათ. ივლისის შუა რიცხვებში ნამესტნიკის კანცელარიამ უკვე გამოაქვეყნა თავისი მოხსენება საერობო თვითმმართველობის შესახებ ამიერ-კავკასიის გუბერნიებში და 16 ივლისს ნამესტნიკის საბჭოს სხდომაზე მიწვეული იყვნენ რამდენიმე ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს იმ საკითხის განხილვაში, თუ როგორ უნდა მოეწყოს საგუბერნიო და საერობო საბჭოები, რათა ხალხს საშუალება მიეცეს მონაწილეობა მიიღოს საერობო დებულების პროექტის შემუშავებაში.

რუსეთის ბიუროკრატიის ერთ-ერთი დამახასიათებელი და ფრიად საგულისხმო ნიშანი ის არის, რომ იგი თავის

რეფორმებით ყოველთვის იგვიანებს. ვიდრე საზოგადოებრივი აზრი იმდენად არ დაპლექავს რამე ლიბერალურ რეფორმის საკიროებას, ვიდრე ცხოვრება იმდენად არ წაიშევს წინ, რომ რეფორმა უკვე დაგვიანებული არ შეიქნება, ბიუროკრატია ყურს იყრუებს და სხვა და სხვა მოსაზრებებით რეფორმის განხორციელებას ათასს დაბრკოლებას უჩენს.

ამ სწორედ ამ გვარი წილი ჰქვდა საერობო რეფორმის განზრახვას ეხლა. ათის, ოცის წლის წინად მთელი კავკასია აღტაცებით მიეგებებოდა საერობო თვითმმართველობას და განსაკუთრებით კმაყოფილი იქნებოდა იმ გარემოებით, რომ 1864 წლის დებულებას თითონ აღმინისტრაცია აძლევს უპირატესობას 1890 წლის საერობო დებულებასთან შედარებით. ეხლა კი მთავრობის განზრახვამ თითქმის ვერავინ ვერ დააკმაყოფილა, ვერავის გული ვერ მოიგო და მით უმეტეს ვერ დააცხრო ის მოძრაობა, რომლის პირველი ტალღები უკვე შიშის ზარსა სცემენ მყუდროებისა და სიჩუმის მოყვარულოთ.

კავკასიის მოძრაობა გაცილებით იმაზე მეტს ითხოვს, გაცილებით იმაზე მეტს ესწრაფვის, რაც საერობო დებულებას შეუძლიან მიანიჭოს ხალხს. კავკასიის მკიდრს დღეს მშვენივრად ესმის, რომ აღმინისტრაციისაგან ეხლა მინიჭებული ლიბერალური დაწესებულებანი, ხვალ, როდესაც მოძრაობა დაწყნარდება, შეიძლება ძირის-ფესვიანად აღიგავოს ცხოვრების სარჩიელიდან ისე, რომ ნატამალიც აღარ დარჩეს, კავკასიელს შეგნებული აქვს, რომ ეხლანდელი ისტორიული მომენტი სახელმწიფო მართვა-გამგეობის გაუმჯობესობას ითხოვს და არა საერობო მეურნეობის რეფორმას, შეგნებული აქვს ეს, და ამიტომ გულციფად უცქერის აღმინისტრაციის ლიბერალობას.

ქართულმა ყოველდღიურმა გაზეთებმა საკმაოდ გამოარკვიეს ის მიზეზები, რომელნიც სარჩულადა აქვთ ხალხის გულგრილობას საერობო რეფორმისადმი, და ამ მიმოხილვაში ამ საგანს აღარ გამოვეკიდებით. ჩვენ აქ გვსურს და-

ახლოვებით გავაცნოთ მკითხველი 1864 და 1890 წლების საერობო დებულებებს და აღვნიშნოთ მათი განსხვავება, ლირსება და ნაკლულევზნება.

1864 წლის დებულების სიტყვით საერობო თვითმმართველობითი დაწესებულებანი შემოღებულ არიან გუბერნიებში და მაზრებში ადგილობრივ მეურნეობის საჭიროებათა და სარგებლობათა გასაძლოლად. 1890 წლის საერობო დებულებაც ამასვე ამბობს, თუმცა წინანდელ „завѣдыванія“ ადგილის ახალს დებულებაში ნათქვამია „земскія учрежденія вѣдаютъ“ და „ам სიტყვის სხვადასხვაობას ზოგნი იმ მნიშვნელობას აძლევენ, რომ 1864 წლის კანონით ერობას სრული უფლება ჰქონდა თავის საქმეების წარმოებისა, ეხლა კი ეს უფლება სრული არ არისო.«

თვითმმართველობის მნიშვნელობა ყოვლის უწინარეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საგანი შეაღენს იმის მოქმედების შინაარსს. 1864 წლის დებულება საერობო დაწესებულებების ქვემდებარე საქმეებს ასე ჩამოსთვლის:

1) გამგებლობა საერობო ქონების, თანხების და ფულად შემოსულ გადასახადებისა;

2) მოწყობა და მოვლა ერობის საკუთარ სახლების, შენობების და გზებისა, რომლებსაც ერობა თავის ხარჯით ინახავს.

3) ლონისძიებანი ხალხის გამოკვების უზრუნველსაყოფელად.

4) გამგებლობა ერობის საქველმოქმედო დაწესებულებებისა და სხვა საქმეები მოწყალებისა; ლონისძიებანი მათხოვრობის მოსასპობლად; მზრუნველობა საყდრების აშენებაზე.

5) წარმოება ქონების საერობო საურთიერთო დაზღვევის საქმისა.

6) მზრუნველობა ადგილობრივის ვაჭრობის და მრეწველობის შესახებ.

7) მონაწილეობა, უპირატესად მეურნეობის მხრივ და კანონით ნაჩვენებს ფარგალში, ხალხის განათლებასა; ხალხის ჯანმრთელობასა და საპურიბილეებზე მზრუნველობაში.

8) დახმარება საქონლის ჭირის ასაცილებლად, პურის მოსავლისა და მცენარეების კალისაგან ან სხვა მავნე მწერისა და პირუტყვისაგან დაზარალების ასაცდენად.

9) ასრულება სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც ერობას აქვს დაკისრებული, და მონაწილეობა. საფოსტო ბეგარის (попечительство) საქმეში.

10) განაწილება იმ სახელმწიფო გადასახადებისა, რომლის გაწერაც გუბერნიისა და მაზრებში ეკისრება საერობო დაწესებულებებს კანონების ან უმაღლესად დამტკიცებულ განკარგულებათა ძალით.

11) გადადება, განაწილება, აკრეფა და დახარჯვა, საერობო გადასახადთა წესდების თანახმად, ადგილობრივის შემსავლისა (ცნიობებს) გუბერნიის და მაზრის საერობო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

12) წარდგენა უმაღლესს მმართველობაში, საგუბერნიო მთავრობის შუამავლობით, ცნობებისა და დასკვნისა იმ საგანთა შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ ადგილობრივ, გუბერნიის ან მაზრის, სარგებლობასა და საჭიროებასთან; წარდგენა, უმაღლესს მმართველობის და გუბერნატორებს მოთხოვნისამებრ, ცნობებისა საერობო მეურნეობის შესახებ.

13) არჩევანი წევრებისა და სხვა თანამდებობის პირებისა საერობო დაწესებულებებში და გადადება ამ დაწესებულებათა შესანახვად საჭირო ჯამისა. და 14) ის საქმეები, რომელნიც ჩაპბარდებიან საერობო დაწესებულებებს, განსაკუთრებით წესდებათა, დებულებათა ან დადგენილებათა ძალით.

დებულება 1890 წლისა ერობას თითქმის ამავე საქმეებს უქვემდებარებს, თუმცა უფრო გარკვევით და ნათლად განსაზღვრავს ერობის კომპეტენციას. აი სიტყვა-სიტყვით საერობო მოღვაწეობის ფარგალი 1890 წლის დებულებით:

- 1) გამგებლობა ოდგილობრივ საგუბერნიო და სამაზრო საერობო გაღასახადებისა ფულად და ნატურალ.
- 2) გამგებლობა ერობის თანხებისა და სხვა ქონებისა.
- 3) გამგებლობა საქმეებისა სალხის გამოკვების უზრუნველ-საყოფელად; მზრუნველობა სანოვაგის ნაკლებობის ასაცდე-ნად და დახმარება გაჭირებაში ჩავარდნილს ხალხს კანონით ნებადართულ საშუალებებით.
- 4) შეკვეთება და შენახვა ერობის ქვემდებარე გზებისა და საგზაო მოწყობილებათა; დაარსება და შენახვა ქალაქს გარედ ნავსადგურებისა და მზრუნველობა ოდგილობრივ გზების გა-უმჯობესობის შესახებ.
- 5) მოწყობა და შენახვა ოდგილობრივის ფორმისა.
- 6) გამგებლობა ქონების საურთიერთო საერობო დაზღვე-ვისა.
- 7) გამგებლობა საერობო საავადმყოფო და სამარტლ-მო-ქმედო დაწესებულებებისა; მზრუნველობა ლარიბთათვის დახმა-რების აღმოჩენაზე, განუკურნავ და სულიო ავადმყოფებზე.
- 8) მონაწილეობა ღონის ძიებაში ხალხის ჯანმრთელობის დასაცველად და საქონლის ჭირის ასაცილებლად და ამოსაკვე-თად; განვითარება მცხოვრებთათვის საექიმო დახმარებისა და ღონისძიებანი ოდგილობრივის ცხოვრების სანიტარულად უზრუნველყოფისთვის.
- 9) მზრუნველობა ცეცხლის გაჩენისაგან დაფარვაზე და გაჩენილის ცეცხლის ღროზე ჩასაქრობად; მზრუნველობა სოფ-ლის უკეთესად მოწყობაზე.
- 10) მზრუნველობა სახალხო განათლების საშუალებათა, გასამრავლებლად და კანონით განსაზღვრული მონაწილეობა ერობის ხარჯზე არსებულ სკოლებისა და სხვა სამოსწავლო დაწესებულებათა გამგებლობაში.
- 11) განვითარება ერობის ღონისდა მიხედვით ოდგილობ-რივის სასოფლო მეურნეობისა, ვაჭრობისა და მრეწველობისა; მზრუნველობა მინდვრების დასაცველად მავნე მწერებისა და ცხოველებისგან.

12) დაკმაყოფილება ერობისადმი დავალებულ სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის მოთხოვნილებათა.

13) საქმეები, რომელიც ექვემდებარება ერობას განსაკუთრებითის კანონებისა და წესდებათა ძალით.

1864 წლისა და 1890 წლის დებულებებში ჩამოთვლილი საერობო საქმეები რომ შეუდაროთ ერთმანეთს, აშკარად დავინახავთ, რომ ოთხმოცულა ათის წლის დებულება რამდენადმე აფართოვებს ერობის მოღვაწეობას; ამ მხრივ ახალი დებულება სჯობია ძველს. ეს განსხვავება კომპეტენციისა უფრო ნათლად და აშკარად სჩანს დებულების იმ ადგილიდან, რომელიც საგუბერნიო და სამაზრო ერობის მოღვაწეობას აღნიშნავს ცალ-ცალკე. ახალის 1890 წლის დებულებით ერობას შეუძლიან გამოსცეს მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილებანი, რის უფლებაც 1864 წლის თვითმმართველობის სრულიად არა აქვს. ეს სავალდებულო დადგენილებანი შეიძლება. შემდეგს საგნებს ეხებოდეს: 1) რა პირობები უნდა იქნას დაცული ცეცხლის გახენისაგან უზრუნველსაყოფელად სადგომ ადგილებსა, ტყეებსა და მინდვრებში; სავალდებულო დადგენილებანი ცეცხლის ჩაქრობისა და სოფლის შენობათა აგების შესახებ;

2) დადგენილებანი სისუფთავის დაცვის შესახებ მოედნებზე, ქუჩებში, გზებზე, ტბებზე და სხვა.

3) დადგენილებანი წყალზე მოგზაურობის და საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ;

4) ნივთების და ბარგის მიტან-მოტანის შესახებ რკინის გზის სადგურებზე.

5) ეზოების სისუფთავის შესახებ.

6) დადგენილებანი იმის შესახებ, თუ რა პირობები უნდა იქმნან დაცული საქონლის საკლავ ადგილების დასარსებლად და შესანახავად; როგორ უნდა იქმნას დაცული სანიტარული პირობები ქარხნებსა და სხვა სამრეწველო დაწესებულებებში.

7) დადგენილებანი შესახებ სისუფთავის დაცვისა სანო-ვაგის სავაჭრო სახლებში;

8) დადგენილებანი იმის შესახებ, რომ სასმელი წყლები არავინ გააფუქსოს და ჯანმთელობისთვის სახითათ არ გახდოს.

9) დადგენილებანი იმის შესახებ, თუ სად შეიძლება და სად არ შეიძლება იმ ნივთიერებათა საწყობების გამართვა, რომელნიც შესაძლოა აღვილად აფეთქდნენ.

10) დახოცილ საქონლის (მძოვრის) აკრეფის ან მოსპობის შესახებ.

11) დადგენილებანი გადამდებ ავადმყოფობათა გავრცელების საწინააღმდეგოდ; და

12) დადგენილებანი ბაზრობის და იარმუკობის შესახებ. როგორც ზემოდ ვთქვით, 64 წლის დებულებით ერობას უფლება ირა ჰქონდა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა; ამ უფლებას ადგილობრივ ცხოვრების მოწყობისა და გაუმჯობესებისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს — ეს საქმის მატერიალური მხარეა, იურიდიულად კი ეს უფლება ერობას ადგილობრივ მეურნეობის მაწარმოებელ ორგანოზე მაღლა აყენებს, საყოველთაო ბრძანებლობის ანუ უფლობის ხასიათს აძლევს იმის მოქმედებას, რაც, ჩვენის ფიქრით, თვალსაჩინო ნაბიჯია დეცენტრალიზაციის პრინციპის განხორციელებისკენ.

საერობო თვითმმართველობის კომპეტენციაში, ჩვენის ფიქრით, აუცილებლად საჭიროა შეტანილ იქმნას განსაკუთრებითი მუხლი, ადგილობრივ აღმინისტრაციის ორგანოთა მოღვაწეობის დაქვემდებარების შესახებ საერობო დაწესებულებათა ზედამხედველობის ან კანტროლისთვის. ეს მოთხოვნა სამართლიანია, რადგან აღმინისტრაციის მოხელენი ადგილობრივ შემოსავლიდან იღებენ ჯამაგირებს, და სასარგებლოა, რადგან თითოეული კერძო პირი უძლურია აღმინისტრაციის თვითნებობის წინაშე, ერობას კი საკმაო ძალა და ღონე ექნება აპლაგმოს მისი უკანონობა და კანონიერების ფარგალში ჩააყენოს იმისი მოქმედება. აღმინისტრაციის დაქვემდებარება ორ გვარად შეიძლება განხორციელდეს: საუკეთესო საშუა-

ლება იქნება, საერობო დაწესებულებანი თითონ ირჩევდნენ ან პნიშნავდნენ ყველა სააღმინისტრაციო მოხელეს და უკანასკნელი ყველაფერში პასუხის მგებელი იყოს ერობის წინაშე, მაგრამ თუ ჯერ-ჯერობით მაინც ამ აზრის სრული განხორციელება შეუწყნარებლად იქმნა ცნობილი, შეიძლება, აღმინისტრაციის უფროსი ადგილობრივი მოხელენი წინანდებურად ინიშნებოდნენ თანამდებობაზე, სხვები კი საერობო დაწესებულებისაგან; ორივ შემთხვევაში კანტროლის უფლება თვითმმართველობას მაინც აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

საჭიროა აგრეთვე საერობო თვითმმართველობას მიენიჭოს საკანონმდებლო ინიციატივა ე. რ. ერობას მიეცეს უფლება, აღძრის ხოლმე საკანონმდებლო დაწესებულებებში საკითხი რეფორმათა საჭიროების შესახებ, და საკანონმდებლო დაწესებულებას დაევალოს განიხილოს ერობისაგან აღძრული საკითხი, მოისმინოს ერობისაგან წარდგენილი საბუთები და შემდეგ საკითხს ისეთი მსვლელობა მისცეს, როგორც საერთოდ ეძლევათ კანონ-პროექტებს. ამ საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა და დაწვრილებითი აღნიშვნა იმ ფორმებისა, რომლებითაც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ინიციატივა, დღეს-დღეობით მოუხერხებელია, რაღაც დანამდვილებით არავის არ შეუძლიან გამოიცნოს, როგორ იქნება მოწყობილი რუსეთში საკანონმდებლო საქმე.

არ შეიძლება გვერდი ავტორით იმ უცნაურს განმარტებას, რომელიც ერობას ხალხის განათლების საქმეში სრულს თავისუფლებას არ აძლევს. და იმის მოქმედობას სასკოლო საქმეების მეურნეობით ჰქონდავს. სახალხო განათლება ყველა სხვა საჭიროებაზე უფრო საყურადღებოა. და საპატიო; ერობის ყოველი საკეთილო კულტურული დაწყებულება. შედარებით უნაყოფო და უნიადაგო იქნება, ვიდრე განათლება არ გავრცელდება ხალხში; ვერც გამოკვების საქმე, ვერც მიწის მუშაობა, ვერც სოფლის მრეწველობის და ვაჭრობის საქმე ვერ იხეირებს, ვიდრე ხალხი ბნელია და ვიდრე იმისი გონება მეცნიერების სხივით ოდნავ მაინც არ არის განათებუ-

ლი. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, სახალხო განათლების საქმეში ერობას სრული თავისუფლება უნდა მიეცეს. ვის შეუძლიან ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეზე მეტად იმზრუნველოს ხალხის განათლებისათვის? ნუ თუ გუბერნატორს, რომელიც დღეს აქ არის და ხვალ სად იქნება, თითონაც არ იცის! თუ უმაღლეს მთავრობას შიში აქვს, რომ საერობო მოღვაწეები, სახალხო განათლების საქმეში რომ სრული თავისუფლება მიიღონ, კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას დაიწყებენ, დევ მთავრობამ ყოველთვის, როდესაც კი საჭიროდ დაინახავს, სამართალში მისცეს საეჭვო მოღვაწეები და სამართალმა დასირთს თავისი პირულვნელი მსჯავრი, მაგრამ აღმინისტრაციის მოხელეებს კი სრულებით უნდა აეკრძალოთ ხალხის განათლების საქმეში ჩაერიცნენ ხოლმე. უცხოეთის საკონსტიტუციო კანონები ამბობენ: „მეცნიერება და იმისი სწავლა თავისუფალიაო;“ განა მეცნიერების თავისუფლება ჩვენთვის კი მატყინარი იქნება, განა მეცნიერების სწავლა ჩვენის ხალხის-თვის კი მავნებელი იქნება?

გარდა ამისა ერობას უნდა ჩაჰარდეს ორგანიზაცია მცხოვრებთათვის იურიდიულ დახმარების აღმოჩენისა და ერობას-ვე უნდა გადაეცეს ადგილობრივი ორგანიზაცია წვრილის კრედიტისა; ამ ფინანსურის რუსეთის იმპერიის მცხოვრებ-თათვის ფაქტიურად ერთი შემნახველი კასსა არსებობს, რომელიც ადგილობრივ გადარჩენილ გროვებს სწორწნის ხალხს და შემდეგ ისე ჰეთარჯავს ამ ფულს, რომ ხალხს თითოს ოდენი სარგებლობაც არა ჰეთვდება. ეს წესი უნდა მოისპოს: ცენტრალიზაცია შემნახველ კასსისა სახელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებაში დამღუპველია ხალხის კეთილდღეობისა. დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ერობას, ადგილობრივ აწარმოვლის საერთოდ წვრილის კრედიტის საქმე და კერძოდ ადგილობრივ საწარმოებლად უნდა გადაეცეს იმას შემნახველი კასსა. ერობას უნდა დაევალოს, მატერიალური დახმარება გაუწიოს. კოოპერატიულს მოძრაობას და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ მოძრაობის განვითარებას.

როგორც ამ. შენიშვნებიდამ დაინახავდა მკითხველი, საერობო დაწესებულებათა კომპეტენცია როგორც 1864 წლის, აგრეთვე 1890 წლის დებულებით ვიწროა და არ შეესაბამება ეხლანდელს ადგილობრივს საჭიროებას და სარგებლობას. კავკასიის ერობისთვის საფუძვლად 90 წლის დებულებაში ჩამოთვლილი საგნები უნდა დაიღოს, მაგრამ იმათი რიცხვი უნდა გამრავლდეს და გაფართოვდეს.

ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზაციისთვის ისეთს სახელმწიფოში, რომელიც ცენტრალისმის პრინციპზე სდგას და მცხოვრებთა და ქვეყნების გაერთფეროვნებას ესწრაფების, პირველი ადგილი იმ საკითხს უჭირავს, თუ რა დამოკიდებულება ირსებობს მმართველობის ანუ სააღმინისტრაციო და თვითმმართველობის დაწესებულებათა შორის. პრინციპიალურად, რა თქმა უნდა, შეუთანხმებელია ცენტრალისმის სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგრამ ოდესაც ცხოვრება ამ თვითმმართველობას აღცილებელ საჭიროებად ჰქილის, მაშინ სახელმწიფოს შინაურს მოწყობილებაში ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგ პრინციპი პირისპირდება. და მათ შორის იმდენს ხანს უნდა გასტანოს ბრძოლამ, ვიდრე საბოლოოდ დეცენტრალიზაციის პრინციპი. არ გაიმარჯვებს.

1864 წლის დებულების შემდგენელთ განზრახვა პქონდათ, „რამდენადც შესაძლო იყო, სრულად განვითარებინათ ადგილობრივ თვითმმართველობის დედა აზრი“ და, თანახმად ამ განზრახვისა, დებულებაში შეიტანეს ერთი მუხლი (მეექსე), რომელიც აკანონებს: „საერობო დაწესებულებანი მათდამი ჩაბარებულს საქმეებში დამოუკიდებლივ პმოქმედობენ. კანონი განსაზღვრავს იმ წესს და შემთხვევებს, როდესაც მათი მოქმედებისა და დადგენილებისთვის საჭიროა დამტკიცება და ზედამხედველობა მმართველობის საერთო დაწესებულებისა“ ამ დებულების მე-90-თე მუხლის ძალით გუბერნატორისაგან დამტკიცება საჭიროდ ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც საერობო კრება დაადგენს. 1) საერობო ხარჯთაღრიცხვას და იმის განაწილებას;

2) საერობო გზების დაყოფას, სამაზროდ და საგუბერნიოდ;

3) სამაზრო საერობო გზების გადაცემას სოფლებზე;

4) საერობო მიმართულების შეცვლას;

5) ადგილობრივ ნაწარმოებთა გამოფენის გამართვას;

6) საერობო საბჭოს წევრების თანამდებობიდამ დროებით გადაყენებას.

გარდა ამისა, საჭიროა მინისტრის დამტკიცება შემდეგის დადგენილებებისა: 1) ისეთის სესხის აღების შესახებ, რომლის რაოდენობაც ერობის ორის წლის შემოსავალს აღემატება;

2) საგუბერნიო საერობო გზების სოფლებზე გადაცემისა;

3) საერობო გზებზე მოსიარულეთაგან ბაჟის აკრეფის შესახებ;

4) ოოთხმეტ დღეზე მეტის ვადით იარმუკის გახსნისა და იარმუკების დროსა და ადგილის შეცვლის შესახებ.

5) ნავთსაყუდლების ერთის ადგილიდამ მეორეზე გადატანის შესახებ.

6) ქონებასა და სამადლო დაწესებულებათა დაყოფის შესახებ საგუბერნიოდ და სამაზროდ.

აქ ჩამოთვლილ საგნების გარდა, როგორც ვიცით, ერობას კიდევ სხვა ფუნქციებიცა აქვს, მაგრამ ადმინისტრაციის გარდა ზემოდ ჩამოთვლილ საგნებისა, სხვა არაფერთან, 64 წლის დებულებით, ხელი არა აქვს. გარდა ამისა, თითონ წესი გუბერნატორისა და მინისტრისაგან ერობის დადგენილებათა დამტკიცებისა ისეთია, რომ ერობის დამოუკიდებლობას ადმინისტრაციისაგან თითქმის არაფერი ხითათი. არ მოელის. გუბერნატორის ერობა ყველა თავის დადგენილებას უგზავნის; გუბერნატორი ორის კვირის განმავლობაში უცხადებს ერობას, რომელ დადგენილებას ამტკიცებს და რომელს არა, თუ ამ ორის კვირის განმავლობაში გუბერნატორმა ერობას არაფერი არ შეატყობინა, ყველა დადგენილება დამტკიცებულად ითვლება; და თუ პროტესტი განაცხადა რომლისამე დადგენილების წინააღმდეგ, მაშინ ერობა ხელახლა განი-

ხილავს თავის წინანდელს დადგენილებას და ან დაარღვევს იმას, ან ისევ ძალაში დატოვებს. მეორე დადგენილება ერობისა საბოლოოა, გუბერნატორს მხოლოდ უფლება აქვს შეიდის დღის განმავლობაში შეაყენოს პირადის პასუხის მგებლობის ქვეშ დადგენილების აღსრულება და საქმე სენატში გადიტანს, სადაც საბოლოოდ სწყდება დადგენილების ძალაში დატოვება ან გაუქმება. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ დებულების მე-36-ე მუხლის ძალით გუბერნატორი ერობის დადგენილებას მხოლოდ კანონიერობის მხრივ განიხილავს და არ შეუძლიან შეეხოს იმას, სასარგებლო გამოდგება ეს დადგენილება. ხალხის ინტერესებისთვის თუ საზარალო.

არც შინაგან საქმეთა მინისტრსა აქვს განუსაღვრელი უფლება ერობის დადგენილებათა დასარღვევად. მინისტრმა ორის თვის განმავლობაში უნდა აცნობოს ერობას თავისი პროტესტი, ამის შემდეგ ერობა ხელისხმა გადაშინჯავს თავის დადგენილებას და აცნობებს მინისტრს ახალს გადაწყვეტილებას. თუ მინისტრი ამ გადაწყვეტილებასაც არ დასთანხმდა, საქმე საბოლოოდ გადასაჭრელად სენატში გადადის.

ცენტრალისმის მოტროიალებს 1864 წლის დებულებით შექმნილი ერობის დამოუკიდებლობა მოსვენებას არ აძლევდა და, დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ კიდეც მიაღწიეს იმათ თავის მიზანს. 1890 წლის დებულებაში სსენატიც აღარ არის იმ მუხლისა, რომელიც ერობის მოქმედებას დამოუკიდებლად აღიარებდა; ერობის ყველა და არა მხოლოდ ზოგიერთი დადგენილება შეუძლიან აღმინისტრაციას დაარღვიოს, ამასთან არა მარტო უკანონობისა გამო, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ იგი „პირდაპირ მავნებელია“ ხალხის ინტერესებისთვის. გარდა ამისა, ზოგი დადგენილება ერობისა აუცილებლად ჯერ უნდა დამტკიცდეს აღმინისტრაციისაგან და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მათი განხორციელება, ზოგი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ განხორციელდება, რომლის წინააღმდეგაც განსაზღვრულს ვადაზე პროტესტი არ არის გამოცხადებული. რათა აღმინისტრაციის ზედამხედველობა ფართო იყოს და

ყოველმხრივი, 1890 წლის დებულებამ შეჰქმნა ახალი საად-  
მინისტრაციო ორგანო, გუბერნიის საერობო საქმეების საკრე-  
ბულო, რომელსაც შეადგენენ გუბერნატორი, ვიცე გუბერნა-  
ტორი, გუბერნიის სათავად-აზნაურო წინამდლობლი, სახაზინო  
პალატის მმართველი, ოლქის სასამართლოს პროკურორი და  
კიდევ რამდენიმე სხვა საგუბერნიო აღმინისტრაციის მოხელე.  
ამ საკრებულოს დანიშნულება ის არის, რომ საერობო თვით-  
მმართველობას აღევნოს გამუდმებით თვალი და, როცა საჭი-  
როდ დაინახავს, შეაჩეროს იმის მოქმედება.

მეტად მიგვაჩნია დაწვრილებით შევუდაროთ 1890 წლის  
დებულება 1864 წლისას იმ მხრივ, რომელიც თვითმმართვე-  
ლობის დამოუკიდებლობას შეეხება; ეს. ცნობებიც სრულიად  
საკმარისია იმ დასკვნისთვის, რომ 64 წლის დებულება გაცი-  
ლებით მაღლა სდგას 90 წლის დებულებასთან შედარებით და  
გაცილებით მეტად შეეფერება თვითმმართველობის დედა-  
აზრს. 64 წლის დებულებაში, ჩვენის ფიქრით, საჭიროა მხო-  
ლოდ იმ ცვლილების შეტანა, რომ საერობო კრებებზე თავ-  
მჯდომარეობა თვით კრებისაგან არჩეულს პირს ეკისრებოდეს  
და არა სამაზრო და საგუბერნიო მარშლებს ან განსაკუთრებით  
მთავრობისაგან დანიშნულს პირს; საჭიროა გაუქმდეს ის წესი,  
რომელიც ეთხოვს აღმინისტრაციისაგან დატკიციცებას საერო-  
ბო საგუბერნიო და სამაზრო საბჭოების თავჯდომარედ არჩე-  
ულის პირებისას; რაკი კრება აირჩევს თანამდებობაზე კაცს,  
ის პირდაპირ უნდა შეუდგეს თვის მოვალეობათა აღსრუ-  
ლებას, აღმინისტრაციისაგან იმისთვის აღარავითარი პატენტი  
არ უნდა იყოს საჭირო.

---

1864 წლისა და 1890 წლის დებულებანი თვალსაჩინოდ  
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აგრეთვე იმ მხრივ, თუ რომ  
გორ უნდა ჰქდებოდეს არჩევნები ხმოსნებისა. 64 წლის დე-  
ბულებით არჩევნებს ორი პრინციპი უდევს სარჩულად: ცენზი  
და წოდება, მაგრამ ეს დებულება იმდენს მნიშვნელობას წო-  
დებას არ აძლევს, რამდენსაც ცენზს. თავადაზნაურობა, მაგა-  
ლითად, არავითარის განსაკუთრებითის უპირატესობით არ

არის აღჭურვილი, იმას სწორედ ისეთივე ადგილი უჭირავს არჩევნებში, როგორც ყველა სხვა მოსაკუთრებს. გლეხებიც, თითქოს, თავის წოდების მიუხედავად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ ნამდვილად კი ისინი ერთს ცალკე საარჩევნო ნაწილს შეადგენენ.

არჩევნების მოსახლენად ხდება სამი სხვა. და სხვა ყრილობა: 1) მაზრის მიწის მფლობელებისა, 2) ქალაქის ამომრჩევლებისა და 3) სოფლის საზოგადოებეთაგან არჩეულ ამომრჩევლებისა. მიწისმფლობელების ყრილობაზე საარჩევნო ხმისთვის საჭიროა ერთ-ერთი შემდეგი პირობა: 1) მოსაკუთრეობა მამულისა, რომლის რაოდენობაც სხვა და სხვა მაზრისთვის სხვა და სხვაა, 2) სხვა რამ უძრავი ქონება მაზრის საზღვრებში; რომელიც 15,000 მანათზე ნაკლები არა ღირს, ან ისეთი სამრეწველო ან სამეურნეო დაწესებულება, რომელიც იმდენივე ღირს ან 6,000 მანათზე ნაკლები წლიური შემოსავალგასავალი არა აქვს.

ქონებრივი ცენზია აგრეთვე დაწესებული ქალაქისა ამომრჩევლებისთვის. აქ საარჩევნო ხმა აქვს, იმას, 1) ვისაც სავაჭრო მოწმობა აქვს აღებული, 2) ვისაც ეკუთვნის ფაბრიკები ან სხვა რამ სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულება. წლიურის შემოსავალ-გასავლით არა ნაკლებ 6,000 მან; და 3) ვისაც ქალაქში უძრავი ქონება აქვს, რომლის ღირებულობაც პატარა ქალაქებში 500 მან. ნაკლები. არ არის დადიდს ქალაქებში 3,000 მანათზე.

მესამე საარჩევნო ყრილობა ამ რიგად შესდგება: თითოეული სოფლის საზოგადოება ირჩევს თავის წრიდამ ამომრჩევლებს, რომელთა რიცხვიც არ უნდა აღემატებოდეს ერთს მესამედს სოფლის საზოგადოების ყრილობაზე ხმის პატრონებისას. ეს ამომრჩევლები შეადგენენ ერთს სამაზრო ყრილობას და იქ ირჩევენ იმდენს ხმოსანს, რამდენის არჩევის უფლებაც აქვთ კანონით.

რადგან სოფლის საზოგადოებაში ხმა მარტო გლეხებსა აქვთ, ამიტომ ეს მესამე ამომრჩეველთა ყრილობა რამდენადმე

წოდებრიობის ხასიათს ატარებს, თუმცა საერთოდ 1864 წ.  
არჩევნებს წოდებრივი არ ეთქმის.

1890 წლის დებულებამ არჩევნების სისტემაც შესცვალა:  
თავა-დაზნაურობისაგან განსაკუთრებული საარჩევნო ერთეული  
შეადგინა და ზოგიერთს პირებს სრულიად აუკრძალა არჩე-  
ვნებში მონაწილეობის მიღება, მაგალითად, ურიებს.

ჩვენის ფიქრით, არც 1864 წლის და არც 1890 წლის  
სისტემა არჩევნებისა არ არის შესაფერი ჩვენის ცხოვრების  
პირობებისა და ამიტომ არც ერთი არ შეიძლება მიღებულ  
იქმნას კავკასიის საერთო დაწესებულების საფუძვლად. ეხლან-  
დელს პირობებში ქონებით და წოდებით საზოგადო ინტერე-  
სების დამცველობა არ გაიზომება; ლარიბი ადამიანი, რომელი-  
საც საკუთრება არა აქვს, მდიდარზე უფრო მეტად თუ არა,  
ნაკლებ დაინტერესებული არ არის თვითმართველობის საქვე-  
ყნო საჭიროებათა სასარგებლოდ მოქმედებით; ამიტომ, ჩვენის  
ფიქრით, საერთო ხმოსნების არჩევანი საყოველთაო, პირდა-  
პირის, ფარულის და თანასწორის ხმის უფლებით უნდა სწარ-  
მოებდეს.

რომელი ტიპის ერობა უნდა იქმნას შემოღებული ჩვენში,  
რომელი უფრო ხელსაყრელი იქმნება ადგილობრივი ის ტერე-  
სებისთვის? ჩვენის შეხედულებით შეუცვლელად, შეუსწორე-  
ბლად არც 64 წლისა და არც 90 წლისა. რა თქმა უნდა,  
64 წლის ერობა, საერთოდ რომ ვთქვათ, უმჯობესია 90 წლის  
ერობაზე, მაგრამ იმასაც ბევრი თვალსაჩინო ნაკლულება არ  
აქვს. რაც ორმოცის, ორმოც დაათის წლის წინად დაიწერა  
და შეითხა, - შეუძლებელია ის ეხლა პირდაპირ მიუღეს  
ცხოვრებას. დამოუკიდებლობის პრინციპი 64 წლის ერობი-  
დამ უნდა იქმნას მიღებული და განვითარებული, კომპეტენ-  
ცია 1890 წ. ერობიდამ უნდა იქმნას აღებული და თვალსა-  
ჩინოდ გაფართოვებული, არჩევანების ორგანიზაცია კი სრუ-  
ლიად ახალს პრინციპზე უნდა დაემყაროს.

გ. რ.

გაზის გამყვან ჭიქისავე მილთან არის შეერთებული. ამ მილის შემწეობით შეგვიძლიან წმინდა გაზოვან ბრომწყალმბადი თავ-ლია ცილინდრულში მოვაგროვოთ ან ის წყალში ჩაუშავთ და ამ რიგად წყალში გახსნილი სიმჟავე დავამზადოთ (იხ. სურ). ჩვე-ულებრივ ტემპერატურაში ბრომწყალმბადი უფერულ გაზიურ ნივთიერებას წარმოადგენს, რომელიც ქლორწყალმბადსავით ჰაერის წყლის ორთქლთან შერევის ღროს ნისლსავით ბნელ ფერს იღებს. გაცივების შემწეობით გაზიური ბრომწყალმბადი სითხედ იქცევა და ასეთ მდგომარეობაში სდულს და ისევ გა-ზად იქცევა— $64,9^{\circ}$  გრადუსიან ტემპერატურაში, თუ ამავე ღროს ჰაერის ზედღაწოლის ძალა უდრის  $738,2$  მ.მ. უფრო ძლიერის გაცივებით სითხეული ბრომწყალმბადი მაგარ, უფე-რულ, გამსჭრიას კრისტალლებადაც იქცევა, რომლებიც ლლვე-ბიან და ისევ სითხედ იქცევიან— $88,5^{\circ}$  გრადუსიან ტემპერა-ტურაში. როგორც ქლორწყალმბადს ისე ბრომწყალმბადსაც მწვავე სუნი და მჟავე გამო აქვს. წყალში ეს სიმჟავე ქლორ-წყალმბადთან შედარებით ბევრად უფრო ადვილად იხსნება: მაგალითად  $10^{\circ}$  გრადუსიან წყალს ტანით ყოველ ერთნაწილ-ზედ შეუძლიან გახსნას 600 ბრომწყალმბადის ნაწილი.

როგორც სიმჟავეს სხვა და სხვა ლითონების, მაგალითად, ცინკის მაგნიუმის და სხვების ზედგავლენით წყალში გახსნილ ბრომწყალმბადს შეუძლიან შესაფერი მარილები წარმოშოს წყალმბადის განთავისუფლებით. უმეტესი ნაწილი ბრომწყალ-მბადის მარილებისა წყალში ადვილად იხსნებიან; მხოლოდ ბრომვერცხლი არ იხსნება. წყალში და ბრომტყვიაც ძალიან ძნელად. საზოგადოდ ბრომწყალმბადის და მის მარილების შე-სახებ კი უნდა ითქვას, რომ ისინი ქლორწყალმბადთან და ქლორლითონებთან შედარებით უფრო ნაკლებად მჭიდრო ნივ-თერებებებს წარმოადგენ. მაგარ გოგირდის სიმჟავის ზედგავ-ლენით როგორც ბრომლითონები, აგრეთვე ბრომწყალმბადიც ადვილად ანთავისუფლებენ ბრომს. მაღალ ტემპერატურის ზედ-გავლენით გაზიური ბრომწყალმბადი ადვილად იშლება ქიმიუ-რად თავისუფალ ელემენტების ბრომის და წყალმბადის წარ-

მოშობით. არც ერთ აქ მოყვანილ პირობეებში არც ქლორ-წყალმბადი და არც მისი მარილები არ ათავისუფლებენ ელე-მენტ ქო თრს.

$$\text{იოდი } J=126,85; J\ddot{\alpha}=253,7.$$

გარდა ქლორისა და ბრომისა ზღვისავე წყალში აღმოჩე-ნილ იქმნა აგრეთვე მდესამე გალოგენიც ესრედ წოდებული იოდი. ზღვის წყალში ეს უკანასკნელი არათავისუფალ მდგო-მარეობაში იმყოფება; ესეც ლითონ ნატრიუმსთან არის შე-ერთებული და მასთან ერთად ესეც ბრომ და ქლორ ნატრიუმ-სავით გალოგენ მარილს, იოდნატრიუმს წარმოადგენს. ქლორ-ნატრიუმთან და ბრომნატრიუმთან შედარებით იოდნატრიუმი ზღვის წყალში ძალიან ცოტა არის, ასე რომ პირდაპირ ზღვის წყლიდგან მისი მიღება და მისაგან თავისუფალ იოდის დამზა-დება მეტად ძნელია და ძვირიც დაჯდება. იოდნატრიუმის ზღვის წყლიდგან ბლომად და ადვილად დამზადების საქმეში ქიმიკოსებს ძალიან შეუწყო ხელი ზღვის და საზოგადოდ მა-რილიან წყლების მცენარეულობაში. უკანასკნელი აღვილად ითვისებს და აგროვებს თავის აგებულობაში. წყალში გახსნილ გალოგენმარილებს და მათ შორის იოდნატრიუმსაც. საკმარი-სია ზღვის მცენარეულობა უბრალოდ, ჰაერზედ დავსწვათ, ფე-რფლად ვაქუიოთ, რომ იოდის მომცემი მარილოვანი მასალა აუარებელ ზღვის წყლის დაუმუშავებლადაც ბლომად მივიღოთ. იოდნატრიუმის მისაღებად განსაკუთრებით ხმარობენ, შოტლან-დიის, ნორმანდიის და ისპანიის ზღვის ნაპირებზედ ტალღებით გამოგდებულ მცენარეულობას. ასეთ მცენარეულობის ნაცარ-ში პირველად აღმოაჩინა იოდი კურტუამ 1812 წელში. იო-დის ელემენტარული თვისება კი მხოლოდ სამი წლის. შემდეგ 1815 წ. იქმნა აღიარებული გეი-ლაუსაკის მიერ. იოდის და-სამზადებლად ხმარობენ აგრეთვე და თითქმის განსაკუთრები-თაც ჩილის გვარჯილის დედო სითხიდგან მიღებულ იოდმარი-ლებს. როგორც ამ უკანასკნელ მასალიდგან, აგრეთვე ზღვის

შეენარეულობის ნაცრიდგანაც. იოდის მიღება შეიძლება ან მანგანუმის გადაუანგის და გოგირდის სიმჟავის ზედგავლენით ანა და იოდ მარილების ხსნილზედ წმინდა ქლორის ზედმოქმედებით. საზოგადოდ იოდის დასამზადებლად იგივე საშუალებები იხმარება, რომლებითაც ქლორის და ბრომს ამზადებენ ხოლმე. პირველ საშუალებია ე. ი. მანგანუმის გადაუანგის და გოგირდის სიმჟავის იოდმარილებზედ ზედმოქმედებით მიღებულ იოდს მარილებისაგან გასანთავისუფლებლად კოლბიდგან გახურების შემწეობით ორთქლად აქცევენ და დისტილლაციით გაზივან იოდს რაიმე გაცივებულ ჭიქის ჭურჭელში მაგარ, კრისტალლიურ იოდად აქცევენ. მეორე საშუალებით-კი ე. ი. იოდმარილთა ხსნილზედ წმინდა ქლორის ზედმოქმედების დრო ხსნილში თავისუფალი და მაგარ მდგომარეობის იოდი სჩნდება, ასე რომ საწურავ ქალალის შემწეობით შეგვიძლიან. იოდის შავი ფხვნილი სულ ერთიანად მოვაშოროთ. წყალს და მასში გახსნილ სხვა-და-სხვა მარილებს. ამ საშუალებებით მიღებული იოდი ყოველთვის ცოტაოდენ ქლორის და ბრომსაც შეიცავს, ასე რომ სრულებით გასაწმენდად მას კოლბაში ჩაჰკრიან ხოლმე, შემდეგ ცოტაოდენ იოდკალიუმს მიუმატებენ და დისტილლაციის შემწეობით ჭიქის გაცივებულ ჭურჭელში გადადენიან. ასეთ პირობაში იოდში დარჩენილი ქლორი და ბრომი იოდა კალიუმის ლითონს უერთდებიან, განთავისუფლებული იოდი კი კოლბაშივე მოთავსებულ იოდთან ერთად ორთქლოვან მდგომარეობაში მოსაგროვებელ ჭიქის ჭურჭელში გადავა და იქ მოიყრის თავს. ჩვეულებრივ ტემპერატურაში იოდი წარმოადგენს შავ-მონაცრისფრო მაგარ ნივთიერებას, რომელიც ნელ-ნელ აორთქლებით და გაცივებით ლითონისებურ ბრჭყვინავ ფერის კრისტალლებად, დიდ დიდ რომბიულ ფურცლებად იქცევა ხოლმე. კრისტალლიურ იოდის დასამზადებლად შავ იოდის ფხვნილს ფარფორის ჯაჭვედ დაჰკრიან ხოლმე და ზევიდგან მეორე ფარფორისავე ან ჭიქის ჯამს დაამხობენ. შემდეგ რაც შეიძლება ნელ-ნელა იწყებენ ქვედა ჯამის გახურებას, ზედას კი რაიმე შესაფერ საშუალებით დრო გამოშვებით

გაცივებენ, რომ ამნაირად უკანასკნელის ქვედა გაცივებულ პირთან შეხებით აორთქლებული იოდი ნელ-ნელავე გაცივდეს და კრისტალლებად იქცეს. ცოტა ხანს შემდეგ ქვედა ჯამიღ-გან იოდი სულ ერთიანად აორთქლდება და ზედა ჯამის პირ-ზედ ლამაზ რომბიულ კრისტალლებად დაჯდება. განსაკუთრებით ლამაზ, კრისტალლიურ იოდის მიღება შეიძლება აგრეთვე იოდის ძმრის სიმუავიდგან კრისტალლად ქცევის მემწეობით. ე. ი. თუ იოდს წმინდა ძმრის სიმუავეში გაეხსნით და ასეთს ხსნილს ნელ-ნელა ჰაერზედ ჩვეულებრივ ტემპერატურაში ან ცოტაოდენ გახურებით დავაშრობთ. იოდს თავისებური არა-სასიამოვნო სუნი აქვს, რომელიც ცოტათი ქლორის სუნს წააგავს. ხელის კანს იოდი ბნელ-წითელისფრად ჰლებავს და მხოლოდ ხანგრძლივის ზედგავლენით მოქმედობს გასზედ ქი-მიურად, მაშინ როდესაც ამ მხრით ქლორი და ბროში ბევრად უფრო ენერგიული გალოვენები არიან.  $17^{\circ}$  გრადუსიან ტემ-პერატურაში იოდის სიმჭიდრე უდრის = 4,948-ს. მაგარი იო-დი ლლვება  $114,2^{\circ}$  გრადუსიან ტემპერატურაში და სდულს  $183,05^{\circ}$ -იან ტემპერატურაში, თუ ჰაერის ზედდაწოლის ძა-ლი ამდროს უდრის 760 M. M. გაზიური იოდი იას-ფერისა არის, რის გამოც ამ ელემენტს უწოდეს სახელად იოდი, რაც ბერძნულად ნიშნავს იასფერს. წყალში იოდი ძა-ლიან ნაკლებად იხსნება და ასეთი იოდით ღარიბი წყლის ხსნილი ყვითელი ფერისა არის. თუ წყალში იოდკალიუმი არის გახსნილი, მაშინ ასეთი წყალი ბევრად უფრო აღვილად ხსნის იოდს და წითელ-მოიასფრო სითხედ იქცევა. აღვილად იხსნება იოდი ალკოჰოლშიაც; 10 პროცენტიან იოდის ხსნილს ალკოჰოლში უძახიან სახელად *tinctura jodii*-ს. სხვა იოდის აღ-ვალად გამხსნელ სითხეებიდგან ახსანიშნავია აგრეთვე ეთერი, ქლოროფილი და გოგირდნახშირმბადი. ამ სითხეებთა შესა-ხებ საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ალკოჰოლში და ეთერში იოდი იხსნება მიხაკის ფრად, ქლოროფილმში და გოგირდნახშირმბადშიც მოწითალო იასფრად.

ქიმიურ თვისებეებით იუდი მეტის მეტად წააგავს ქლორს და ბრომს იმ განსხვავებით, რომ სხვა ელემენტებს ის უფრო სუსტად, არა მციდროდ უერთდება. და მათთან შეერთებით უფრო ნაკლებად მციდრო რთულ ნივთიერებებებს აჩენს, ვიდრე ორი პირველი გალოგენი. წყალმბადი პირდაპირ მხოლოდ ჩვეულებრივზედ უფრო მაღალ ტემპერატურაში და ისიც ძალიან სუსტად უერთდება იოდის. ლითონებიდგან-კი ყველაზედ უფრო ადვილად იოდს ვერცხლის წყალი უერთდება, რომელიც იოდთან შეერთებით წითელ, იოდვერცხლის მარილს აჩენს. უკანასკნელ სინტეზის განსახორციელებლად ხმარობენ ერთის მხრით გერმეტიულად შეკავშირებულ და შუაში ორ ადგილას ბურთივით გამოიხერილ ჭიქის მიღს. უკანა, შეკავშირებულ ბოლოსთან მდებარე ბურთში ცოტაოდენ იოდის ფხვნილს შეიტანენ ხოლმე, წინაში-კი ცოტაოდენსავე ვერცხლის წყალს მოათავსებენ; ამას შემდეგ გორიზონტალურად მდებარე ჭიქის მიღს ნელ-ნელა გაახურებენ, რომ ამნაირად იოდი და ვერცხლიც ორთქლად იქცენ და ასეთს მდგომარეობაში უფრო სავსებით იმოქმედონ ერთი მეორეზედ. ასეთ პირობებში გაჩენილი წითელი იოდვერცხლი მტვერისებურ მდგომარეობაში მიღის კედლებზედ და ვერცხლის წყლის ზევით დაილეკება. იოდის და ვერცხლის წყლის სინტეზს ჩვეულებრივ ტემპერატურაშიაც აქვს ადგილი, თუ ფართორის ან ჭიქის სანაყის შემწეობით მაგარ იოდის და ვერცხლის წყლის ნარევს კარგად და ხანგრძლივად დასრესენ, აურდაურევენ. აქაც წითელი იოდვერცხლი ვერცხლისწყალს ზევით მოიყრის თავს. არალითონებიდგან პირდაპირ, ჩვეულებრივ ტემპერატურაში და ენერგიულად იოდს ყვითელი ფოსფორი უერთდება, რომელიც მასთან ერთას სამ და ხუთ იოდ ფორფორს აჩენს. ყველაზედ უფრო საყურადღებო იოდის ქიმიურ თვისებეებიდგან არის მისი ზედმოქმედება ესრედ წოდებულ კრახმალის კლეისტერზედ ე. ი. მდუღარე წყალში გახსნილ კრახმალზედ. კლეისტერი სულ ცოტაოდენ იოდის ხსნილის ზედგავლენით ლამაზ, ლილის ფრად იღებება, რადგან იოდი ქიმიურად უერთდება კრა-

ხმაოს და მასთან ერთად რთულ ლილისფერ ნივთიერების იოდ-კრახმალის აჩენს. იოდ კრახმალის ხსნილი დუღილის დროს ადგილად ჰკარგავს თავის ლილის ფერს, რომელიც ხსნილის გაცივებისთანავე ისევ ისე ჩნდება ხოლმე, ასე რომ თუ გვსურს; მაგალითად, გავიგოთ, არის თუ არა ამა თუ იმ ხსნილში იოდი, უკანასკნელს აუცილებლად გაცივებული კლეისტერი უნდა მიუმატოთ და, რაღა თქმა უნდა, თვით ხსნილიც ცივი უნდა იყოს. თუ ხსნილი ბევრ იოდს შეიცავს, მაშინ კლეისტერის ზედ გავლენით ის ბნელ ფერს იღებს და მის გამოც იოდის ალმოსაჩენად, ლილისფერიოდკრახმალის მისაღებად ასეთ მაგარ ხსნილს რაც შეიძლება ბევრი წყალი უნდა მიუმატოთ და მხოლოდ მაშინ ვიმოქმედოთ ჩაზედ კლეისტერით. იოდის მოლეკული მისი სიმჭრისნისადა მიხედვით გაზიურ მდგრმარეობაში 253,7-ს იწონის და ორ იოდის ატომს შეიცავს. ასეა: ი მოლეკულიარული წონა წყალმბადთან შედარებით იოდისათვის გამოანგარიშებულია  $600^{\circ}$ -იან ტემპერატურაში ე. ი. თუ  $600^{\circ}$ -იან ტემპერატურაში ავსწონით ერთნაირ ტანის წყალმბადს და გაზოვან იოდს, იოდის ტანის ანუ მისი მოლეკულის წონა  $126,85$ -ჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ამხელავე ტანის წყალმბადის ანუ მისი ორატომიანი მოლეკულისა ე. ი. 253,7 იქნება. აქედან ორატომიანისავე იოდის მოლეკულისადა მიხედვით ამ ელემენტის ატომიური წონა უნდა უდრიდეს  $126,85$ -ს, იოდის მოლეკულის ორატომიანობის საუკეთესო დამატებიც უებელ ფაქტებს კი იოდწყალმბადის და იოდლითონების ანალიზები გვაძლევენ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორც ერთ რთულ იოდიან მოლეკულში იოდი არ შედის უმცირეს  $126,85$  ნაწილისა, მისი მოლეკულის წონა კი, როგორც ვიცით, უდრის  $253,7$ -ს; ასე რომ აშკარაა იოდის მოლეკული ორ იოდის ატომს უნდა შეიცავდეს ე. ი  $253,7 : 126,85 = 2$ -ს. იოდის მოლეკულთა შედგენილების შესახებ საყურადღებო არის ერთი გარემოების აღნიშვნაც, სახელობრ ამ შედგენილების ცვალებადობა ტემპერატურისდა მიხედვით.  $1500^{\circ}$ -ზედ უფრო მაღალ ტემპერატურაში ერთი ტანის გაზიური იოდი მხოლოდ

63,42-ჯერ უფრო მეტს იწონის, ვიდრე ამხელავე ტანის წყალმბადი, ესე იგი იოდის ერთი მოლეკული ასეთ პირობებში 63,42-ჯერ უფრო მეტს იწონის, ვიდრე ორატომიანი იწყალმბადის მოლეკული, მისი მოლეკული 126,85-ს იწონის. რაღაც 126,85-ზედ უფრო ნაკლებ რაოდენობით იოდი არც ერთ სხვა რთულ მოლეკულებში არ შედის, უეჭველია, უნდა დავსკვნათ, რომ  $1500^{\circ}$ -ზედ უფრო მაღალ ტემპერატურაში იოდის მოლეკული შესდგება მხოლოდ იოდის ერთ ატომისაგან.

იოდ წყალმბადი. HJ.

სინტეტიურად იოდწყალმბადის დამზადება იოდისაგან და წყალმბადისაგან შეიძლება პლატინუმის შემწეობით. როგორც ვიცით, პლატინუმის შეუძლიან წყალმბადი და საზოგადოდ გაზები აღვილად შეკმუშნოს თავის პორებში და ამნაირად გააძლიეროს მათი ქიმიური მოქმედება. დღეს შესაფერ ხელსაწყობის შემწეობით იოდ-წყალმბადის ნარევის გახურებულ პლატინუმში გატარებით. სრულებით წმინდა იოდწყალმბადის ამზადებენ. წმინდა იოდწყალმბადის დამზადება შეიძლება აგრეთვე იოდვერცხლზედ წმინდა წყალმბადის ზედმოქმედებიდაც; ასეთ პირობებში იოდვერცხლის ლითონი სულაც თავისუფლდება, იოდი კი წყალმბადთან იოდწყალ მაღალ აჩენს შემდეგის თანასწორობით:

AgJ+H=HJ+Ag. ყველაზედ უფრო აღვილად განსახორციელებელი, სახელდახელო საშუალება იოდწყალმბაზის მისაღებად არის სამან ხეთ იოდფორფორის დაშლა წყლის შემწეობით. მ. საშუალებით იოდწყალმბადის მისაღებად ჭიქის ას სანტიმეტრიან კოლბაში 44 გრ. კარგად დანაყულ იოდს მოჰთავსებენ და შიგ ნელ-ნელა 4 გრ. წვრილად დაჭრილ ყვითელ ფორფორის შეიტანენ. ფორფორის ნატეხები აღვილად, ალის წარმოშობით უერთდებიან იოდს, ასე რომ საჭიროა დრო გამოშვებით რეაქციისაგან გახურებულ კოლბის ცივი წყლით გაცივება. ფოსფორის შეტანის დროს კოლბა ყოველ-

თვის კარგად უნდა შეინძრეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფორფორი იოდს ზევით დარჩება და უსარგებლოდ ჰაერის მეუმბადს შეუერთდება. \*) ფოსფორის შეტანის შემდეგ კოლბას ოთახის ტემპერატურამდე გააცივებენ, შიგ ცოტაოდენ წყალს ჩაასხამენ და ნელ-ნელა ცეცხლზედ გაახურებენ. ასეთ პირობებებში წყალი ქიმიურად მოქმედობს ფოსფორზედ გაზოვან იოდწყალმბადის და ძნელიად ასაორთქლებელ ფოსფორის სიმჟავის წარმოშობით შემდეგის თანასწორობით:  $PJ_5+4 \text{ H}_2O = 5 \cdot HJ + H_3PO_4$ . აქაც, როგორც ბრომ წყალმბადის მიღების დროსაც, იოდწყალმბადს ცოტაოდენი თავისუფალი გალოგენის ურევია, რომელიც მას მიხაკის ფერს აძლევს და ამიტომაც უკანასკნელის მოსაშორებლად კოლხიდგნ გამომავალ გაზს იოდის წამრობევ წითელ ფოსფორიან ხელსაწყოში გაატარებენ. ამნაირად მიღებული იოდწყალმბადი შეგვიძლიან ან გაზიურ მდგომარეობაში მოვაგროვოთ როგორიმე ჭიქის ჭურჭელში ანა და ის წყალში გავხსნათ და ამრიგად წყალსნალი სიმჟავე დავამზადოთ. წმინდა იოდწყალმბადი წარმოადგენს უფერულ, გამჭრიას გაზს, რომლის სიმჭიდრეში წყალმბადთან შედარებით უდირის  $63,7$  იოდწყალმბადი როგორც სხვა გალოგენ სიმჟავეებიც მჟავე თვისების არის, ისიც ლურჯლაკმუსს, წითლად ჰლებავს და ჰაერის სინესტიის ზედგავლენით მეტის მეტად ინისლება ე. ი. მეტად პნელ ფერს იღებს. ოთხ ატმოსფერის ზედდაწოლით გაზიური იოდწყალმბადი აღვილად იქცევა უფერულ სითხედ  $0^{\circ}$  გრადუსიან ტემპერატურაში; სითხეული სიმჟავე კი  $730,4$  მ. მ. ჰაერის ზედდაწოლით სდულს —  $34,14^{\circ}$  იან ტემპერატურაში; უფრო დაბალ ტემპერატურამდე გაცივებით ეს სიმჟავე მაგარ მდგომარეობასაც იღებს და სდულს —  $50,8^{\circ}$ -იან ტემპერატურაში იგივე  $730,4$  მ. მ. ჰაერის ზედდაწოლის პირობაში. იოდწყალმბადი ძალიან აღვილად

\*) წვრილად დაჭრილი ფოსფორი წყალში უნდა იყვეს მოთავსებული და კოლბაში ჩასაგდებლად ყოველი მისი ნატეხი პინცეტის შემწერაშით უნდა ამოვილოთ და საწურავ ქალალდით კარგად გავაშროთ.

იხსნება წყალში: ათ გრადუსიან ტემპერატურაში ტანით ერთ ნაწილ წყალს შეუძლიან 425 ტანის სიმუავე გახსნას. ასეთ გვარ ხსნილს ძრიელ მაგარი, მწვავე სუნი აქვს და ღროისა და მიხედვით ნელ-ნელ იოდის განთავისუფლებით ის ბნელ მოყვითალო ფერს იღებს.

იოდწყალმადის ხსნილი როგორც სიმუავე, ლითონების ზედგავლენით აჩენს იოდმარილებს ესრედ წოდებულ იოდი-დებს და ანთავისუფლებს წყალმბადს. იოდმარილები ბევრად უფრო სუსტს, არა მჭიდრო რთულ ნივთიერებებს წარმოადგენენ, ვიდრე ბრომიდები და ქლორიდები. საკმარისია, მაგალითად, იოდკალიუმს გოგირდის სიმუავე დავასხათ, რომ თითქმის მთელი მისი იოდი სულაც განთავისუფლდეს. იოდიდები გარდა იოდვერცხლისა და იოდვერცხლის წყლისა ძალიან აღვიყად იხსნებიან წყალში; ბნელად იხსნება. აგრეთვე ჩვეულებრივ ტემპერატურაში იოდტყვიაც. იოდწყალმბადი ბრომწყალმბადზედ უფრო არა მჭიდრო, ქიმიურად აღვილად დასაშლელი სიმუავე არის; ასეთი ქიმიური დაშლა უძრავო გახურებითაც აღვილად შეიძლება განხორციელდეს, თუ ჩვენ რაიმე ჰურჭელში წმინდა იოდწყალმბადს  $180^{\circ}$ -ზედ უფრო მეტ გრადუსამდე გავახურებთ. იოდწყალმბადის დასაშლელად საკმარისია ამ გაზიურ სიმუავით სავსე ჭიქის ცილინდრში გახურებული ჭიქის ჩხირი შევიტანოთ. ასეთ პირობაში ცილინდრში მოთავსებული იოდწყალმბადი სწრაფად დაიშლება თავის შემადგენელ ნაწილებად და მის მაგივრად იოდის და წყალმბადის მექანიკური ნარევი გაჩნდება. იოდწყალმბადი აღვილად იშლება აგრეთვე ჭავრის მუვმბადის ზედგავლენითაც შემდეგის თანასწორობით:  $2 \text{ HJ} + \text{O} = \text{H}_2\text{O} + \text{J}_2$ .

ამით ახსნება ის გარემოება, რომ იოდწყალმბადის ხსნილი ჭავრის ზედგავლენით აღვილად ჭარგავს თავის წყალმბადს წყლის გასაჩენად და ხსნილში ნელ-ნელა თავისუფალი იოდი სჩნდება. საზოგადოდ იოდწყალმბადს აღვილად შეუძლიან სხვა მუვმბადოვან ნივთიერებებს მუვმბადი წართვას, ისინი მუვმბადით დააღარიბოს წყლისა და თავისუფალ იოდის წარ-

მოშობით, ამგვარი გამომუნგველი, მუკავშადის წამრთმევი რე-  
აქციები იოდწყალმბადის ზედგავლენით განსაკუთრებით აღვია-  
ლად მიშდინარეობენ მაღალ ტემპერატურებში.

### დისისტაციაცია.

გალოგენ წყალმბადები, განსაკუთრებით იოდწყალმბადი  
და ბევრი სხვა ქიმიური ნივთიერებანიც მაღალ ტემპერატურის  
ზედგავლენით ნელ-ნელა ტემპერატურის მომატებისა და მი-  
ხედვით ქიმიურად იშლებიან სხვა და სხვა თავის შემაღენელ-  
ნაწილებად, რომლებიც თავის მხრით გაცივებისადა მიხედვით  
ისევ ურთიერთშორის შეერთებასა და ისევ დაწყებით ნივთიე-  
რებად გარდაქცევას იწყებენ. ნივთიერებათა ამგვარი დაშლა  
სითბოს. ზედგავლენით და კვლავ შეერთება ტემპერატურის  
შემცირებისა და მიხედვით პირველად აღმოაჩინა და შეისწავ-  
ლა 1857 წ. სენ-კლერ-დევილმა და დაარქვა მას სახელად  
დისსოციაცია, რაც ლათინურად ნიშნავს დაშლა-დაცალკევე-  
ბას. ნივთიერებათა დისსოციაცია მიმდინარეობს ნელ-ნელა და  
მიუხედავად ტემპერატურის მომატებისა, მას სამზღვარიც აქვს  
დაშლილ ნივთიერების შემაღენელ ნაწილთა ურთიერთშორის-  
მიშჩიდველობაში. მაგალითად, თუ ჩევნ მდუღარე გოგირდის  
ორთქლში შესაფერ ჭურჭელში მოთავსებულ იოდწყალმბადს  
445 გრადუსამდე გავახურებთ, დავრწმუნდებით, რომ 100 ნა-  
წილ სიმუკიდგან მხოლოდ 21,040/0 გარდაიქცევა დისსოცია-  
ციით თავისუფალ წყალმბადად და იოდად; 78,900/0 პროცენ-  
ტი კი ისევ იოდწყალმბადად დარჩება. თუ ავიღებთ თავისუ-  
ფალ იოდის და წყალმბადის ეკვივალენტურ ნარევს; ე. ი. ერთ  
ატომ იოდის წონაზედ წყალმბადის ერთსავე ატომის წონას  
და ასეთ ნარევს იგივე 445° გრადუსამდე ხანგრძლივათ გავა-  
ხურებთ, მივიღებთ 78,960/0 იოდწყალმბადისა და 21,50/0  
პროცენტი კი ისევ თავისუფალ იოდად და წყალმბადად დარ-  
ჩება. ასე რომ მიუხედავად პაღალ ტემპერატურისა რთული ნივ-  
თიერება, იოდწყალმბადი მხოლოდ განსაზღრულ რაოდენობით

იშლება ქიმიურად, რადგან დაშლისაგან გაჩენილი თავისუფა-  
ლი იოდი და წყალმბადი სკლილობენ თავიანთ მიმზიდველო-  
ბის ზედგავლენით ერთი ერთმანეთს შეუერთდნენ. ჩვენს მა-  
გალითში განსაზღვრულ ტემპერატურაში 100 ნაწილ იოდ-  
წყალმბადის დისსოციაციით  $21,5^{\circ}/\text{o}$  თავისუფალ იოდისა და  
წყალმბადისა სჩნდება, ამავე ტემპერატურაში ასავე ნაწილ  
ეკვივალენტურ იოდის და წყალმბადის ნარევიდგან  $21,04^{\circ}/\text{o}$   
თავისუფალ ელემენტებისა რჩება; ასე რომ ასეთ პირობებისა  
და მიხედვით იოდწყალმბადის დისსოციაციის სამზღვარს წარმოადგენს.  
დისსოციაცია ადვილად ასახსნელია გაზების კინეტიურ ტეო-  
რიით, რომელიც, როგორც ვიცით, აღიარებს, რომ ყოველ  
გაზის მოლეკულები სწორ მიმართულებით და სწორ თან და-  
თანობითი სისწრაფით მოძრაობენ. მოძრაობის დროს როგო-  
რიმე ჭურქელში დაწყვდეული მოლეკულები ერთი მეორეს  
მოხვდებიან ხოლმე და უკურქცევიან წინანდელისავე, სისწრა-  
ფით. ტემპერატურისა და მიხედვით მოლეკულთა ამგვარ მოძ-  
რაობის სისწრაფეც, რასაკვირველია, იცვლება, იზრდება. ამ  
ტეორიით მოლეკულების შემადგენელი ატომებიც მოძრაობენ  
და ტემპერატურის მომატებით მათი მოძრაობის სისწრაფეც  
მატულობს. ატომთა მოძრაობა ამ ტეორიით შეიძლება წარ-  
მოვიდგროთ ან როგორც მოლეკულის შემადგენელ ატომთა  
მოძრაობა მოლეკულისავე ცენტრის გარშემო, ანა და რო-  
გორც მათი ურთიერშორისი მიმზიდველობ-დაშორებითი მოძ-  
რაობა. ამას შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რანაირად  
უნდა მოხდეს მოლეკულთა დისსოციაცია. უხადია, რომ მო-  
ლეკულის შემადგენელ ატომებს მაღალ ტემპერატურის ზედ-  
გავლენით შეუძლიანო თავიანთ მოძრაობის გაძლიერებით და-  
ამრიგად ცენტრ წარმტაც ან საზოგადოდ ატომთა მიმზიდვე-  
ლობის შემამცირებელ ძალის გაჩენით ნელ-ნელა სულაც და-  
შალონ-დაანგრიონ მოლეკული, მის მაგივრად პირობების შე-  
საფერი რამ ახალი. მოლეკულივე წარმოშონ. ქიმიურ თვისე-  
ბებისა და მიხედვით სხვა და სხვა ნივთერებათა დისსოცია

ციისათვის სხვა და სხვა პირობეებიც არის საჭირო. როგორც  
ვიცით, ქიმიაში ცნობილია გიდროტერმიული ე. ი. სითბო შე-  
თვისებული და ეგზოტერმიული ანუ სითბოს წარმოშობით გა-  
ჩენილი ნივთიერებანი. ეგზოტერმიული ნივთიერებანი, რო-  
მელთა საუკეთესო მაგალითს კარგად ცნობილი წყალი წარ-  
მოადგენს დისსოციისათვის მუდმივ სითბოს შეთვისებას მოით-  
ხოვენ. ასეთ ნივთიერებათა დისსოციაცია ნელ-ნელა მიმდინა-  
რეობს. რადგან ვახურების დროს ქიმიურად ჯერ უფრო გა-  
ზურებული მოლეკულები იშლებიან, შემდეგ კი სითბოს შე-  
თვისებისა და მიხედვით სხვა მოლეკულებიც ეძლევიან დისო-  
ციაციას. ეგზორტერმიულ წყლის დისსოციისათვის სენ-კლერ-  
დევილმა მაღალ ტემპერატურამდე ვახურებული თიხის მილი  
იხმარა. უკანასკნელი მან მეორე უფრო ფართო ფართორის  
მილში მოათავსა, შემდეგ ორთავენი თეთრფრამდე გაახურა და  
შუათანა მილში ერთ ლია ბოლოდგან მდუღარე წყლის ორ-  
ჯლი შეუშვა. ასეთ პირობეებში წყლის ორთქლის მოლეკუ-  
ლებში მაღალ ტემპერატურის ზედგავლენით ხდება დისსოცი-  
აცია: ისინი თავისუფალ წყალმბადად და მჟავმბადად იქცევიან.  
ამათგან პირველი დღილად გადის თიხის მილის პორებში, აქე-  
დან ფართორის მილში შედის და უკანასკნელის ლია ბოლოდ-  
გან გარეთ გამოდის; მჟავმბადი კი პირველ მილის პორებში  
უფრო ძნელად გადის და ამის გამო ის განსაკუთრებით თიხის  
მილის მეორე ლია ბოლოდგან გარეთვე გამოდის. მჟავმბადის  
ის ნაწილი კი, რომელიც თიხის მილის პორებიდგან წყალ-  
მბადიან ფართორის მილში გადავა, გაცივებისადა მიხედვით  
წყალმბადთან ერთად ისევ წყლად იქცევა. გნდოტერმიული  
ნივთიერებანი კი, როგორიც, მაგალითად ბერტოლეტის მარი-  
ლი Cleo 3-ვ იშლებიან თავის შემადგენელ ნაწილებად, ჩვენს  
მაგალითში ქლორ კალიუმად და თავისუფალ მჟავმბადად სით-  
ბოს წარმოშობით; ასე რომ მათ დისსოციაციისათვის სითბო სა-  
ჭიროა მხოლოდ დასაწყისში. ასეთ ნივთიერებათა დისსოცია-  
ცია სხვათა შორის იმით განსვავდება ეგზოტერმიულ ნივთი-  
ერებათა დისსოციაციისაგან, რომ პირველ შემთხვევაში გაჩე-

ნილი ნივთიერებათა შემაღენელი ნაშილები ვეღარ ერთდებიან ხელმეორედ ტემპერატურის შემცირებისადა მიხედვით. დისსოციაციით სხვათა შორის აიხსნება აგრეთვე ზოგიერთ გაზიურ ნევთიერებათა ანომალური სიმჭიდრე და მაშასადამე მათ მოლეკულთა ანომალური ატომიური შედგენილებაც. მაგალითად, გაზიურ იოდის სიმჭიდრე 600° გრადუსიან და 1500° გრადუსიან ტემპერატურებში წყალმბადთან შედარებით უდრის: პირველში 126,85-ს; მეორეში კი 63,42-ს ე. ი. პირველ შემთხვევაში იოდის მოლეკულის წონა უდრის 253,7-ს ანუ მისი მოლეკული შესდგება ორ ატომისაგან, მეორეში იოდის მოლეკულის წონა უდრის 126,85-ს ანუ მისი მოლეკული ერთ ატომ იოდისაგან შესდგება. აშკარაა იოდის მოლეკულის ერთ ატომიანობა 1500° გრადუსიან ტემპერატურაში უნდა აიხსნას იოდის ორ ატომიან მოლეკულის დისსოციაციით. დისსოციაციით ადვილად ასახსნელია აგრეთვე ესრედ წოდებული დაბრუნებული ანუ ორ-რიგი რეაქციაც. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ გახურებულ რკინის ზედგავლენით წყალი იშლება. ქიმიურად, ის თავის, მჟავმადს რკინას უერთებს ჟანგის წარმოსაშობრად, წყალმბადს კი სულაც ანთავისუფლებს. ამასთანავე ცნობილია, რომ, თუ ჩვენ გახურებულ რკინის ჟანგზედ წყალმბადით ვიმოქმედებთ, უკანასკნელი ადვილად შეუერთდება, ჟანგის მჟავმადს ისევ წყლის გასაჩენად და რკინას კი სულაც გაანთავისუფლებს. ასე რომ თუ წყლის დაშლა გახურებულ რკინის ზედგავლენით როგორიმე დახურულ სივრცეში მიმდინარეობს, ცხადია ერთსა და იმავე დროს ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე რეაქციებს უნდა ჰქონდეთ ადგილი. ასეთ პირობებებში ყოველ განსაზღვრულ ტემპერატურაში ადგილი უნდა ჰქონდეს განსაზღვრულსავე ქიმიურ თანასწორობას, როდესაც ერთსა და იმავე დროს განსაზღვრულ რაოდენობის მოქმედნი და წარმოშობილი ნივთიერებანი უნდა არსებობდნენ, სხვა ნაირად რომ ესთქვათ, განსაზღვრულ რაოდენობის მოქმედ ნივთიერებათა რეაქციასთან ერთად შესაფერ რაოდენობის წარმოშობილ ნივთიერებათა რეაქციაც უნდა მიმდინარეობის წარმოშობილ ნივთიერებათა რეაქციაც უნდა მიმდინარეობის.

ობდეს. ამგვარ ორ-რიგ მოწინააღმდეგე რეაქციების აღსანიშნავად ქიმიურ თანასწორობაში მოქმედ და წარმოშობილ ნივთიერებათა შუა—მაგივრად ხმარობენ შემდეგ ნიშანს „ $\rightleftharpoons$ “. მაგალითად წყლის დაშლა გახურებულ რკინის ზედგავლენით წყალმბადად და მჟავმბადად რკინის ფანგის წარმოშობით და უკანასკნელისავე დაშლა წყალმბადის ზედგავლენით ისევ რკინად და წყლად უნდა აღინიშნოს შემდეგის თანასწორობით ა FL+4 H<sub>2</sub> O  $\rightleftharpoons$  FL<sub>3</sub> O<sub>4</sub>+4 H<sub>2</sub>. ამ რეაქციაში ორ რიგ დისსოციაციას აქვს ადგილი, ერთის შხრით რთული ნივთიერება წყალი მაღალ ტემპერატურის ზედგავლენით იშლება ქიმიურად თავის შემადგენელ ელემენტებად რთულ ნივთიერების რკინის ფანგის წარმოშობით, მეორეს შხრით კი უკანასკნელი რთული ნივთიერება იგივე მაღალ ტემპერატურის ზედგავლენით ისევ მარტივ ნივთიერებად იქცევა და თავის მჟავმბადს პირველ დისსოციაციის დროს განთავისუფლებულ წყალმბადს უთმობს. წყლისავე გასაჩენად.

ფლუორი  $FL=19$ ;  $FL_2=38$ .

მეოთხე და უკანასკნელი გალოგენი პირველად თავისუფალ მდგომარეობაში მისილო 1886 წ. მუსანმა. ფლუორი ცველა დანარჩენ გალოგენებზედ უფრო ენტგიულად, უფრო მჭიდროდ უერთდება სხვა ელემენტებს და ამიტომაც ბუნებაში ისიც არა თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფება. თავისუფალ ფლუორის დასამზადებლად საზოგადოდ ხმარობენ ბუნებრივ ფლუორლითონებს განსაკუთრებით კი ფლუორკალციუმს, რომელსაც უწოდებენ სახელად ფლუსშპატს. სხვა გალოგენ მარილებსავით ეს ნივთიერებაც გალოგენ წყალმბადის სიმჟავის ე. ი. ფლუორწყალმბადის სიმჟავის მარილს წარმოადგენს; მის მალეკულში Ca.  $FL_2$ -ში ორ ატომ ფლუორზედ ლითონ კალციუმის ერთი ატომი მოუდის, რაღაც, როგორც შემდეგ დავინახავთ, კალციუმი ორმიშზიღველოვანი ელემენტია, ფლუორი კი სხვა გალოგენებსავით ერთ მიმზიდველოვანი. ტეორე-

ტიულად ფლუორკალციუმის მიღების ჩეაქტია ფლუორწყალ-  
მბადის სიმუავიდგან და კალციუმიდგან ამრიგად უნდა აღინიშ.  
ნოს 2 H FL+Ca=Ca FL<sub>2</sub>+H. ე. ი. ერთ ორ მიზიდველო-  
ვნ კალციუმის ატომზედ ფლუორწყალმბადის ორი მოლეკუ-  
ლი უნდა ავილოთ. ფლორკალციუმიდგან ადვილად შეიძლება  
გოგირდის სიმუავის ზედმოქმედებით ფლუორწყალმბადის დამ-  
ზადება და უკანასკნელი კი წარმოადგენს საუკეთესო მასალას  
წმინდა ფლორის მისაღებად. რადგან ფლუორწყალმბადში ფლუ-  
ორი მეტის მეტ ენერგიულად—მჟიდროდ არის შეერთებული  
წყალმბადთან, ამისათვის უკანასკნელის წასართმევად და ამრი-  
გად წმინდა ფლუორის მისაღებად თავისუფალ მუავმბადის (in  
statu nascendi-ს მდგომარეობაში) მაგივრად საჭიროა სხვა რამ  
უფრო ძლიერი დამშლელი ძალა. ამ მიზნისათვის მუსანმა  
მიჭმართა ელექტრონის ძალას, რომლის შემწეობიდაც მან ძა-  
ლიან ადვილად დაშალა ფლუორ-წყალმბადი თავისუფალ ელე-  
ქტროდებად ფლუორიად და წყალმბადად. ფლუორწყალმბადის  
დასაშლელად ხმარობენ ყერზედ დასმულ ასო ინივით მოხრილ  
პლატინის მილს, რომელიც სიმუავის ელექტროლიზის დროს  
—22°. გრადუსამდე უნდა იყვეს გაცივებული. ამ მიზნისათვის  
ჭიქის მილის ხმარება შეუძლებელია, რადგან ჭიქაზედ მეტად  
ადვილად, ენერგიულად მოქმედობენ როგორც ფლორწყალ-  
მბადი, აგრეთვე თავისუფალი ფლუორიც.—22° გრადუსამდე  
გაცივებულ პლატინის მილში მოათავსებენ ხოლმე წმინდა,  
წყლისაგან სრულებით განთავისუფლებულ სითხეულ ფლუორ-  
წყალმბადს; შემდეგ მილის ორთავე სკრეტილებს გერმეტიუ-  
ლად თავს დაუცავენ ფოლის შპატიდგინ გამოჟალილ თავსაცა-  
ვების შემწეობით, რომელშიაც ჩამაგრებული უნდა იყვნენ  
პლატინისავე გაზის გამყვანი მიღები და მავთულები ელექტრო-  
ნის სიმუავეში შესაშვებად. მილის მიმატებითი ელექტროდი  
ანუ ახოდი, რომელზედაც ფლორი სჩნდება ხოლმე, ერთად შემ-  
ღვალ ლითონ პლატინუმისაგან და ირიდიუმისაგან უნდა იყვეს  
დამზადებული, გამოკლებითი ელექტროდიცი ანუ კატოდი  
შეიძლება პლატინუმისაც იყვეს ანა და უმჯობესია ისიც შემ-

ღვალ პლატინ-ირიდიუმისა. მილში მოთავსებულ ფლუორ-წყალმბადში, რომელშიაც პლატინის სიმების შემწეობით ჩა-კიდებულია შემღვალ პლატინ-ირიდიუმის ელექტროდები, შე-უშვებენ ძლიერ ელექტრონის ძალას ბუნზენის ოციოდ ელე-ნეტებიდგან და ამ რიგად ელექტროლიზის დროს გაჩენილ გაზოვან ელემენტებს გაზის გამყვან მილებიდგან მიიღებენ თა-ვისუფალ მდგომარეობაში ანოდიდგან ფლუორს და კატოდი-დგან წყალმბადს.

ფლუორი წარმოადგენს ოდნავად ყვითელ-მომწვანო ფე-რის გაზს და მეტად მწვავე სუნისაა. სითხედ ქცეული ფლუ-ორი ლია ყვითელ ფერისაა და სდულს— $187^{\circ}$  გრადუსიან ტემ-პერატურაში. გაზიურ ფლუორის სიმჭიდვე უდრის 19-ს წყალმბადთან შედარებით; სითხედქცეულის კი= $1,14$  წმინდა წყალთან შედარებით. ჩვეულებრივ ტემპერატურაში ფლუორი ძალიან ადვილად და ენერგიულად უერთდება წყალმბადს, სი-ბნელეშიაც კი ფლუორწყალმბადის წარმოშობით. ფლუორის წყალმბადის ადმიენერგიულ მიმზიდველიას. დაბალ ტემპერა-ტურაშიაც კი აქვს არგილი. მაგალითად— $210^{\circ}$  გრადუსიან ტემპერატურაში მაინც ალის წარმოშობით უერთდება წყალ-მბადს. მტვრად ქცეული ნახშირმბადი ფლუორის ზედგავლენით სწრაფად იწვის ე. ი. ის ცეცხლის წარმოშობით უერთდება ფლუორის ფლუორნახშირმბადის წარმოშობით შემდეგის თანას-წორობით  $C+4 \text{ FL}=\text{CFL}_4$  (ნახშირმბადი წყალმბადთან შედა-რებით ოთხმიმზიდველოვანი ელემენტია) ქლორი კი პირდა-პირ მაღალ ტემპერატურაშიაც კი ვერ უერთდება ნახშირ-მბადს. ფლუორი სწრაფად და ენერგიულად უერთდება მეტა-ლოიდების უმეტეს ნაწილს. ლითონებიდგან კალიუმი, ნატ-რიუმი, კალციუმი და სხვა ტუტემბადე ელემენტები ჩვეულებ-რივ ტემპერატურაშივე უერთდებიან ფლუორის ცეცხლის წარ-მოშობით ღა მასთან ერთად ფლუორმარილებს ესრედ წოდე-ბულ ფლუორიდებს აჩენენ, მტვრად ქცეული რკინაც ადვი-ლად იწვის ფლუორში ფლუორრკინის წარმოშობით. ოქრო და ჰურცხვად პირდაპირ ვერ უერთდებიან ფლუორის, მაშინ რო-

# მოაგრძელება

წელიწადი მეთორმეტე

## გამოცემის ურთიერთება

ფასი უკრნიალ „მოამბისა“ გაგრძელია:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:	საზღვაო-განება:
ერთის წლით . . . . 10 მან.	ერთის წლით . . . . 13 მან.
ექვსი თვით . . . . 6 მან.	ექვსის თვით . . . . 7 მან.
სამი თვით . . . . 4 მან.	სამი თვით . . . . 5 წან.

8000 „მოაგრძელება“ გამოცემის, „ცნობის ურთიერთები“ პრისა რჩის სურათებიანის დამატებით უფასოდ დაეთმობა ფასის განაწილება შეიძლება ასე: ბირჟებად 5 მან. 1-დ შარტ დე—3 მან, და 1-დ გიგისტომდე—2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, უურნალ „მოამბის“ რედაქცია აონიელიც იმყოფება ვანქის დიდ ქარხაზე. № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერმა ერთი მანეთი უნდა წარმოადგი დამატებათა გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: **Тифлісъ, Редакція „Моамбъ“**

უურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვდა ქალაქია შეასწორებას და შეამოკლებას. ხელნაწერები, რომლებიც დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განლობაში,—მერამე ველა მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერა დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უკლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რეურომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შენალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლარი. უნდა მოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირებს გარდა, შუალედიან ნაშუალევის. ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ცველა ხელის მოწერთ, რომელთა უურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წაგზავნონ აგრძელე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანც იღნიობრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიულია. წინააღმდეგ თხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.